



ჩანაწერები
ინბას უბნიდან
გაგზავნა



მშენებ

ბათუმი-2015

რედაქტორ-შემდგენელი: ინგა გომიბერიძე
რედაქტორი: გიორგი აღნიაშვილი
კომპიუტერული აწყობა: ნანა ჩიკვაძე
გარე ყდის დიზაინი-ნინა მებრევიძე
ინგას უბნის წევრები მადლობას უხდიან
მხატვრებს დავით ბაძაღუს და გიორგი მელუს
რჩეულის ლოგოსათვის

©ISBN 978 - 9941-0-8243-6

დაიბეჭდა შ.პ.ს „თევი“
ქ. ბათუმი, მ. კომახიძის 128

ტირაჟი 230 ცალი

წინასიტყვაობის გაგიერ!!!!!!

ჩანაწერები ინგას უბნიდან
ყვითელი.
ცისფერი.
წითელი.
მწვანე.
ლურჯი.
ესაა ცისარტყელა.
ჩვენი სიტყვა. ჩვენი ლექსი.
პოეზია. პროზა.
გული. სული. სევდა.სიყვარული.
სიხარული ჩემი.
სიხარული შენი.
სიყვარული სხვისი.
ესეც ცისარტყელაა-ჩვენი ლურჯი წიგნი.
ასე უბრალოდ მინდოდა მეთქვა!!!

ინგა გოგიბერიძე-ხუთივე კრებულის
შემდგენელ-რედაქტორი.



კრებულის სტუქტურები

❖ ბადრი სულაძე

ტკბილი ამბორი

ისე ტკბილია შენი ამბორი,
როგორც ტყის თაფლის გემო, ველური...
მე კი ამ ამბორს სანთლად ჩამოვქნი,
შენს ლამაზ თვალებს შემორჩეული...
გარეთ ხეებიც ისე შოთავენ,
თითქოსდა ვინმემ ესროლა ტყვია,
გზაზე კი, როგორც ბედის ბორბალზე
გულგახეთქილი ჭერმები ყრია;
სიტკბოს ისინიც გაიმეტებენ,
თუმცა ქარებმა კალოდ მოაგეს...
ასეთ სიყვარულს სანთლით ეძებენ,
სულის ჯებირებს რომ გადმოანგრევს...
დიდად არ ვეტრფი შფოთსა და ავ ქარს,
თუმცა სიყვარულს შევნის გრიგალიც,
როცა გრძნობებით თამაშის ნაცვლად,
რჩები ბოლომდე შეუნიღბავი...

❖ ლანა მინველი

არ ვარ ხვარამზე

არ ვარ ხვარამზე, არც შენა ხარ ვაჟიკა ვიცი,
ბარში გაბრდილი ფშაველი ხარ, არ უნდა ფიცი,
მაინც ის მხიბლავს, რომ ფესვები წარსულის გიღირს,
შორიდან მათობს არსებობა არ შემდგარ გმირის.
სხვისი ცოლი ვარ, ვუნანავე ქალაქელ ბავშვებს.
იცი, ცხოვრება თავისთავად ოცნებას გარვევს, -
რამდენჯერ შენთვის გამიშლია ძვირფასო ტაბლა,
არავინ იცის, მენატრები რა რიგად ახლა.
იქნებ, ოდესმე დაელანდო ქურას მარჯნიანს
ეგ ნაბიჯები, ამ ქვაფენილს უკვდავს გახდიან,
როგორ ანანე სიამაყე გოგოს ბაფთიანს

მას შემდეგ, წლები სინანულით ზეცას ახდიან.
დიდხანს მეგონა, მოხვიდოდი თბილი ხელებით
და გააქრობდი ყველა ტკივილს ერთი შეხებით,
მაგრამ უძლებდი უჩემობას მთელი სიცოცხლე,
მეც გადაგმალე გულის გულში, ჩუმად იცოდე...
ცრემლად ვაჩნდები დედამიწას, ისევ გინატრე -
იქნებ დამცალდეს, თვალი მოგკრა, გითხრა სიმართლე...
წლებმა უნდობლად მათოვა და ქარებში მთომა
აჰა, მივდივარ, დასრულდა და არ ქრება ტრფობა...
არ ხარ ვაჟიკა, არც მე ვიყავ ხვარამზე ვიცი,
მაინც მასავით ვეწამე და ... მოვიდა ბინდი...
უკანასკნელად წამიკითხეს ლოცვები შვიდგზის,
გზები გაიხსნა, უბედური „ხვარამზე“ მიდის ...

❖ მაცვალა დავლაძე

ნატვრად ქცეული მოგონება

ნატვრად ქცეული მოგონება ქვითინებს.
ერთი ულუფა სავსე ცრემლით აფუებული,
დღის ცისფერ მოტივს სახრეს უშვერს მოურიდებლად,
უნდა იპოვოს სილამაზის ნათელი კვალი.
ვერ მივწვდი მიზანს, ცამდე ასულა და ზეცას ეკვრის,
მზის თბილი სხივი უშურველად სითბოს მაწოდებს,
მაგრამ არ მყოფნის ძალა, უნდა შევცვალო როლი,
რომ ერთი ციდა პეშვის სიტკბო მეც მომაწოდონ.
თვალეები საგნებს დაითვლიან, დროჟამით ნაცვეთს,
მერე ბებერ მეზურნესავით უპე ჩაშლილი,
ცრემლით ავსილი აიხედავს,
ცის ნათელს შესთხოვს, ღმერთო მადლობა!
არაფერი მაქვს უკვე სათქმელი!
ნატვრად ქცეული მოგონება ქვითინებს.
ფერად სიზმრებსაც ვეღარ ვხედავ,
ფერთა მსახურმა ჩამომათოვა და გრძელ აბრაზე
შავ-თეთრად დასვა,

ფერი ხუნარი, უფერული, სივრცეში შთანთქა...
ასეა მართლაც, იმედის ძაფს გავუფრთხილდები,
ერთი ნაგლეჯი სითბოს მსხვერპლად გადავიქცევი,
ნატვრად ქცეული მოგონება ეხლაც ქვითინებს,
ძალა არ მყოფნის, ვერ ვიპოვე ღმერთო სათქმელი!!

❖ მზი მინსურაძე

გადავწყვიტე. კრემაცია ყველა ლექსს და
რითმთა მწყობრი მიმოფანტეთ ველებზე,
იქნებ როცა ხელმეორედ მოვალ ქვეყნად
ჩემს ბავშვობას დაეყაროს ხელებზე.
ანდა იქნებ არც არსებობს ეს მეორე
დაბადება და კვლავ დავრჩე ეული,
იქნებ უკვე დავიბადე ხელმეორედ
იქნებ სხვისი სული დამაქვს სხეულით.
აბა, ასე უსაშველოდ რატომ მტკივა
ჩემში აგი უცნაური შეგრძნება
ასე ჩემად ნეტავ რატომ მიმანჩხარ
ჩვენი გზები თუ არასდროს შეხვდება.
ოჰ, რამდენი პოეტები უგზო უკვლო მისავალში,
თავს შენს გამო წირავენ,
გადაშლილი ფრთა მომეცი სამოთხიდან
თორემ სულში ეშმაკები გმინავენ.

❖ მზია თვალაბიშვილი

უბანი. სახლები. ქუჩები.
მზერა. ღიმილი. ხმა.
ყვავილი. ხეები. ბურქები.
დაბნევა. ფეხი. ქვა.
ხელები. თვალები. ტურები.
მხრები. თითები. თმა.
ამბორი. ბეჭედი. რუქება.
ქორწილი. ლხინი. სმა

მუზა

მუზა, მუზა
ამეტუზა.
გავაბრაზე
გაიბლუზა.
ერთი ლექსი
მიკარნახა
მეორეზე
გაისუსა.

წლები გადიან წლები გადიან
და სიჭაბუკეს, ეცვლება ფერი,
ალარ მხიბლავენ სიყვარულზე,
ძველი ზღაპრები,
გაუფერულდა გრძნობის ფერი,
დაჭკნა ვარდები, რატომ არავინ,
მწველი ჟინით, არ მიყვარდებით...
გადაიყარე გულო ღრუბლის,
სქელი საფარი,
ააშრიალე ქარბორბალავ,
ძველი ჭადარი,
თქვენ გეკითხებით,
წელთსიჭარბევ, ვნება სად არის?!
შენ სულ არა ხარ,
ბედის სარკვე, ჩემი სადარი...
წლები გადიან და სიჭაბუკე,
გედის ხმით მღერის,
უკვდავება ხომ სიკვდილშია,
არსის ზღაპრებში,
გვინდა ლექსებით, წუთში წამი,
გავახანგრძლივოთ, წამოიმართე!
ჰქმენ ირაო! ვაჟას არწივო!...

„ინგას უბნელთა“ კრედიო

ოდეს დადუმდნენ ძველი ჰანგები,
შთამომავალნი ცისა და მიწის,
ოდეს მრწამსი და აზრი ქართული
მზის დაფიონზე ალისფრად იწვის,
ოდეს წარსტაცეს ქვეყნიერებას
ლაჟვარდოვანი ფერები ცისკრის,
ოდეს ქართული სულიერება
მხოლოდ სამრეკლოდ შემორჩა სინდისს,
ოდეს მწერლობის მხნე ტვირთის სახედ
ტანთ შემოძარცვა მიჩნეულია,
ურცხვი სიშიშველე შლეგი მაქმანით
„განსპეტაკებას“ მიჩვეულია,
ოდეს ეპკურა ღვაწლმოსილთ კალამს
ფოლიანტების მტვერთა ცრემლები,
როს, გაფერკმრთაღდა სიტყვა კაბმული
და აღზევებას ლამობს ვედრებით, --
ჰოი, „უბნელნო“! ჩვენი ვალია,
შევეხმიანოთ ერსა და მოძღვართ,
შემოვუნახოთ შთამომავლობას
სტროფად მფრინავი ძალუმი ლოცვა!
ლოცვა სულის და ლოცვა ზნეობის,
სიყვარულის და სიკეთის ლოცვა,
სიტყვიერება გამორჩეული
და თავანკარა ღაღადი მგოსანთ...
აჭარის მთებზე განფენილ წარსულს
სატახტოს კარზეც დაუთოვლია.
„ინგას უბანში“ მზის და ზღვის ასულს
თანამოკალმეთ ახლავს თოლია.
თოლია - ერის თვითგადარჩენის,
ახალგაზრდობის ხიდი და ფარი,
თავისუფალი სიტყვის მედროშე
და ხელთუქმნელი, მებრძოლი ქნარი...
მომავლისაკენ მივყვებით ზენას, --
გზას ვერ შებორკავს სევდა და ჯანღი.
ლექსით მოვქარგავთ მშობლიურ ენას,
მამულს კვირტებად დაგაფრქვევთ აპრილს...



აღნიშნული გიორგი



დავიბადე 1965 წლის 6 დეკემბერს ქალაქ თბილისში. დედა ანელი ბაკურაძე ქიმიკოსია. მის ძირითად სფეროს სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენდა. ამჟამად პენსიონერია. მამა მერაბ აღნიშნული მათემატიკოსია, პროფესორი, ამჟამად თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობს უკვე 80 წელს მიღწეული პედაგოგი. ჩემი ძმა ზურაბი საქართველოს ერთერთი უდიდესი კომპანიის თავკაცია, მეუღლე ხათუნა ცოფურაშვილი კი თიბი.სი ბანკის წარმატებული თანამშრომელია. ჩემი უფროსი ვაჟი მერაბი სტუდენტია და ერთერთ მაღალი დონის პროგრამისტადაა აღიარებული თავის სფეროში. უმცროსი ვაჟი ანდრეა კი ჯერ სკოლის მოსწავლეა.

მე ინჟინერ ჰიდრო - მშენებელი ვარ, თუმცა გარდა 7 წლიანი სამეცნიერო მუშაობისა 19-20 წელი ვმუშაობდი, როგორც სამთავრობო, ასევე კომერციულ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამ ეტაპზე ჩვენი სააოჯახო მეურნეობის მშენებლობით ვარ დაკავებული, ძირითად საქმიანობას მევენახეობა და მემარცვლეობა წარმოადგენდა, ახლა თხილის მეირნეობას ვაშენებ! ლიტერატურულ საქმიანობას საკმაოდ დიდი ხანია ვეწევი. ამ ეტაპზე გამოცემული მაქვს 3 წიგნი, და ვამზადებ მეოთხეს. ჩემს ძირითად ინტერესს რითმული პროზის განვითარება წარმოადგენს. ვარ პროზაიკოსი.

ბატონი გიორგი ჩვენი კრებულების რედაქტორიც გახლავთ, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას!

...და იქნებ დროა...

აჭარული წვიმა ნამავდა მიდამოს, ცივმა ნიავმაც ჩამოუქროლა მთებს, წვიმის წვეთები ჩაიხუტა მკერდში და აქეთ იქით მომოფანტა, ეხლა ხეებს შეეთამაშა ნიავი, ცალად შერჩენილი ფოთლები მოწყვიტა, ზე აიტაცა და ველზე მიმოფანტა. ცაზე ელვამ გადასერა ღრუბლები და ბოხი ხმით, ძღვევამოსილად იჭექა. წვიმა გაძლიერდა, აქა იქ ფანტელებიც შემოურია სტიქიამ. ნოემბრის თვე იდგა, დედამიწა საზამთროდ იბუდებდა.

ბუხრის პირას პაპა სელიმი სამფეხა სკამზე ჩამომჯდარიყო, გრძელი ყალიონი თამბაქოთი გაეტენა და მშვიდად აბოლებდა. ცეცხლს ჩაშტერებოდნენ ასი წლის მოხუცის ჭორღა თვალები თითქოს ცეცხლზე და ნაკვერჩხლებზე ჩხიბავსო მომავალს. ბავშვები მიუცუცქდნენ პაპას. ბაქარმა უფროსობა არ დათმო და ყველაზე ახლოს მიაჩოჩა სკამი, ძმას შუათანა ზვიადი მიუჯდა გვერდით და პაპის კალთა ცუგრუმელა ნინოს ერგო წილად.

- პაპა გვიამბე ამბავი, ბევრი რამ გინახავს და გადაგხდენია, ზღაპარს არა გთხოვთ, ნამდვილი ამბავი გვიამბე პაპა, ნამდვილ გმირებზე - სთხოვეს ბავშვებმა მოხუცს.

პაპა სელიმმა ჩაიღიმა, თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა, თითქოს ამბავს იხსენებსო თვალები მოჭუტა, შემდეგ ყალიონი ისევ გატენა თამბაქოთი და დაიწყო თხრობა.

- ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, ჩემი დიდ პაპის ბაღლობის დროსა, მაშინ აჭარა ტურფად ყვავოდა, ერის სიმრავლით ღმერთიც ხარობდა, მაშინ სხვა იყო აჭარის ზეცა, ცისა სილურჯის ფანტელით თოვდა, ზღვაც ბედნიერი ანცობდა მაშინ, ტალღას ტალღაზე ხალისით კეცდა. სავანეს ჰგავდა მაშინ აჭარა, ედემის წალკოტს ტოლს არ უდებდა, მაგრამ ბოროტმა იმძლავრა მაშინ, მტერი დაიდრა, მტერი იმდენი კაცთა სიმრავლით ვითარცა ქვიშა და ვით ვარსკვლავნი მთელი ცისანი. ჯარი შეჰკრიბეს კაცებმა, დიად ვაჟკაცთა კრებული, მაგრამ ცოტანი არიან ვაჟნი საქვეყნოდ ქებულნი. იქ, ბრძოლის ველზე ამაყად დადგნენ ქართული სპა და მტერი ვერაგი.

ბრძოლა დაიწყო, ისმის ყოჟინა, ბრძოლის გნიასი, ვაჟკაცთა ხელში მტერს კვეთავს ხმალი, მეომირის ღირსი ვადაჯვრიანი. ბევრნი არიან ოსმალნი. მტრის გვამი ფარავს ბრძოლის ველს, აჭარელსაც სწვდება სიკვდილი. ცოტანი დარჩნენ ქართველნი, ფერდობზე დასცეს საფარი. დაშორიშორდნენ ჯარები. ბოლო

ბრძოლისთვის სამზადის ეწევა ოსმალთ ლაშქარი, ახალი ჯარით შეავსო სისხლად დაცლილი ლაშქარი. ქართველს შემცვლელი ვინა ჰყავს? მართო არიან ვაჟკაცნი. ხმალი გამართა ოსმალთ, ბრძოლად დაიძვრნენ ურიცხვნი. ბრძოლობს ქართველთა ლაშქარი, მტერს ანადგურებს... უცებ ცა თითქოს დაბნელდა, ისრები ჰკვეთენ ოსმალთს... ქედზე ქალების გუნდი დგას ისრით ჰკოდავენ უსჯულოს. მერმე დასჭევეს ქალებმაც, ხმალი იშიშვლეს სვიანი, მტერს მედგრად სცემენ, ხოცავენ ადგილის დედის ნათლულნი. შედრკა მომხდურის ლაშქარი, პირი იბრუნა, გაიქცა, უკან მოჰკვივის ქართველნი ჰოროლსა სცემენ ბურგიდან. უცებ გვერდიდან, უკნიდან მტრისა ჯარები გამოჩნდნენ, ალყაში ჰყავდათ ქართველნი, სიკვდილს ქართულად მებრძოლნი.

ჯერ არ ყოფილა, არ თქმულა სიკვდილმა სახით უგვანომ, ჯიქურ ჩახედოს თვალებში აჭარელს სისხლით უბიწოს. გაწყდა ქართველთა ლაშქარი. მტერი ზეიმობს ტიალი, ფაშა ხუტბასა ადავლენს გამარჯვებული მომხდური.

დახოცილ ქართველთ დასცქერის, შიშმა შეიპყრო სულთანნი. ღიმილი სახეს უნათებთ ისე მომკვდარან ქართველნი.

„ალბათ შიშისგან გაგიჟდნენ, მკვდრისგან სად თქმულა სიცილი?“

„არა სულთანო, სიკვდილს დასცინის ქართველი, მათი ყიჟინის გამოგონე ბჭე ჯოჯიხეთის ზანზარებს.“

იმ ომში ჩემი დიდი პაპა წინმდგომად მდგარა ბაქარი, მაყვალა ჩემი დიდი დიდედა ჰოროლით მდგარა ქმრის გვერდით. ორივე აუკაფიათ საფლავიც არ აქვთ იმ საწყლებს...“

- პაპა მერე შენ რა ჰქენი?

- რას მეკითხები შვილო?

- თუ შენი დიდი დიდპაპა და შენი დიდი დიდედა მტერმა მოგიკლა ტიალმა, ეს რომ გაიგე რა ჰქენი? მტერს რა უთხარი საქმითა?

ბაქარს შეხედა მოხუცმა, პასუხს ელოდა ყმაწვილი.

პაპა დადუმიდა, ჩაფიქრდა „ მე რა ვქენი?“ აეკვირათა ფიქრები...

- შვილო ბაქარ ეს ბრძოლა დიდი ხნის წინ მოხდა. მის მერე დიდმა დრომ განვლო და მე რა უნდა მექნა?

- მადლობა პაპა ამბისთვის, სამზადში ჩავალთ ბებოსთან ან ვითამაშებთ... აღარ შეგაწუხებთ კითხვისგან.

სამივე ბავშვი ეზოში ჩავიდა.

- რა ვქნათ? - იკითხა ზვიადიმ
- ნანგრევებთან წავიდეთ, ამბობენ იქ იდგაო თავკვეთურა - დუნედ ჩაილაპარაკა ბაქარმა.
- მეც წამოვალ, მერე რა რომ გოგო ვარ, წამოვალ რაააა - შეეხვეწა ძმებს ნინო.
- ამ წვიმაში რომ გაცივდე დედას რა უთხრათ? - ღიმილით მიმართა ბაქარმა დას.
- არ გაცივდები, მერე რა რომ წვიმს? მე მაგარი გოგო ვარ - არ დათმო ნინომ.
- მაშინ წავიდეთ - თქვა ზვიადმა და წასასვლელად მოემზადა.
- მოიცაო, ვაზის ლერწებს წამოვიღებ - მიმართა ძმებს დამ. წალამთან მიიღბინა, ორი მსხვილი ტოტი ამოარჩია და თავის განუყრელ ჩანთთან ჩადო და ძმებს უთხრა - ეხლა წავიდეთ.
- წმინდა ნინოს ნანგრევებზე ქვეულ ეკლესიის ეზოში შევიდნენ ბავშვები. ჯაგნარს დაეფარა ეზო. ეკლესიის კედლის ლოდები მიმოფანტულიყო გარშემო, აქა იქ საფლავის ქვებიც მოსჩანდა. გავერანგბულიყო წმინდა საყდარი. სამ საუკუნეზე მეტია არ ანთებულა ეკლესიის ეზოში სანთელი. ოსმალთა ფაშას აქ ედგა თავკვეთურა და მზისსულ, უტევ აჭარღებს, ქრისტეს სჯულის მცველთ აქ უსწორდებოდა მომხდური. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და აქაურობა მხოლოდ ტკივილიან მოგონებად გადაქცეულიყო.
- ბავშვები ნანგრევებში შევიდნენ. ქვის იატაკზე ბალახს ამოეყო თავი. ჩამოშლილ კედლებზე შერჩენილ ფრესკებზე ჯვარი გამოირჩეოდა უცილოდ. ეკლესიის წიაღში ამაღლებულ ადგილს მიაპყრეს ყურადღება ბავშვებმა.
- აქ ალბათ ქრისტიანი მოძღვარი იდგა და ქადაგებდა, ამიტომაც არის ამაღლებული - ძლივს გასაგონად თქვა ზვიადმა.
- მანდ საკურთხეველი უნდა ყოფილიყო, ეხლა კი მხოლოდ ნანგრევებია - ამეტყველდა ბაქარი.
- იქ ასვლა შეიძლება? - იკითხა და საკურთხევლის ნანგრევებისკენ გაიშვირა ხელი ნინომ.
- არა, ქრისტიანები იქ ასვლის უფლებას ქალებს არ რთავდნენ - უპასუხა ბაქარმა.
- შეხედეთ, აი ნინოს ფრესკა - თითოთ ანიშნა ძმას ზვიადიმ.

ოდნავ შესამჩნევად მოსჩანდა ფრესკაზე ქალის სახე ვაზის ჯვრით ხელში.

- ეგ წმინდა ნინოა, პირველქრისტიანი საქართველოში - ამაყად დასძინა ბაქარმა.

- ვიცი, ვიცი სკოლაში გვიამბეს, თურმე საკუთარი თმებით შეუკრავს ვაზის ლერწმინგან ჯვარი და იმით შემოუტანია ქრისტიანობა - აჭიკჭიკდა ნინო.

შემდეგ ძმებს გადახედა და საკურთხევისკენ გაემართა ასული.

- არ ახვიდე, მანდ ასვლა ქალისთვის არ შეიძლება - შეუძახეს ძმებმა.

- მე ქალი არა ვარ, მე ბავშვი ვარ - უპასუხა გოგომ - ვინ იცის იქნებ დიდ ომს გადაურჩენ და აქ თავკვეთურაზე დაასრულეს სიცოცხლე დიდი დიდპაპამ და დიდი დიდებებომ.

- ეგ არავინ არ იცის ნინიკო და გთხოვ არ ახვიდე მანდ, წესი არ არის - მიმართა დას ბაქარმა.

ნინო საკურთხეველზე ავიდა, ჩანთა ძირს დადო და იქიდან ვაზის ორი ლერწი ამოიღო, ძმებს რაღაცის თქმა სურდათ, მაგრამ უცნაურმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყროთ, გაფაცვიცებით აკვირდებოდნენ პატარა დის საქმიანობას. ახლა ნაწნავი ჩამოიშალა ასულმა, წელამდე სცემდა თმა.

- ბაქარ - მიმართა ძმას გოგომ - გთხოვ ნაწნავი მომაჭერი.

- გაგიჟდი? დედა მომკლავს, არ გახსოვს? მთელი დღე გიწნავდა თმას...

ნინომ მაკრატელი გაუწოდა ბაქარს და მხოლოდ ერთი სიტყვით მიმართა „მოსჭერი!“

ბაქარმა ანგარიშმიუცემლად გამოართვა მაკრატელი, გოგონა შებრუნდა და მორჩილად დაელოდა მისი საამაყო ნაწნავის მოკვეთას. მხოლოდ მაკრატლის ჩხაკუნი გაიგონა ნინომ და მობრუნდა, მოკვეთილი თმა ჩამოართვა ძმას. ვაზის ყლორტები გადაჯვარედინა და ნაწნავით შეჰკრა და მდუმარედ მიეახლა წმინდანის ფრესკას.

- ვიცი, რომ ქალის ამოსვლა აქ არ შეიძლება, მაგრამ მე ბავშვი ვარ და მაპატიე ეს თავნებობა, მე შენი სეხნია ვარ და მეც ნინო მქვია. პაპა სელიმმა გვიამბო ჩვენი წინაპრების ამბავი. ისინი ქრისტიანობას შეეწირნენ დიდ ომში. გთხოვ, დალოცე ჩემი ძმები და ჩვენი დიდი

ოჯახი. მაპატიე, ჩემთვის ქრისტიანულად ლოცვა არავის უსწავლებია და მერწმუნე, რასაც ვამბობ გულით გეუბნები.

გოგონამ დაიჩოქა, ვაზის ჯვარი ზეალაპყრო და განაგრძო:

- მე და ჩვენი ოჯახი დიდი დიდპაპა ბაქარის შთამომავლები ვართ და გთხოვ ნუ მიწყენ თავნებობას. გპირდები, მე ვისწავლი ქრისტიანულად ლოცვას, გპირდები ...

ნინო ფეხზე წამოდგა, ვაზის ჯვარი მკერდზე მიიხუტა და გაოგნებულ ძმებს მიაპყრო მზერა. ხმას ვერ იღებდნენ ვაჟები. თვალებიდან მხოლოდ უზარმაზარი მოწიწება იფრქვეოდა დისადმი.

- მე პირჯვარს გადაგწერთ და დაგლოცავთ, მე მაქვს ამის უფლება, რადგან მე და ვარ თქვენი და თუ ვინმე უნდა დაისაჯოს დეე ეს მე ვიყო.

გოგონას კიდევ სურდა რაღაცის თქმა მაგრამ ...

- შეხედეთ, ხალხი - თქვა ნინომ და ხელი ეკლესიის ნანგრევებზე და ქცეულ გალაგნისკენ გაიშვირა.

ხალხი ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდა ბავშვებს, ეზოში ფეხის შემოდგმას ვერავინ ბედავდა.

- გამომყევით - მტკიცე ხმით მიმართა ძმებს ნინომ.

ეკლესიის დარბაზი გადაკვეთეს, ეზო გაიარეს ბავშვებმა და ნაალაფარს მიადგნენ. ერთი მოზრდილი ხის ძელი იყო ორ ლოდზე გადაებული და ეს „კარიბჭე“ იყო საზღვარი ეკლესიასა და ხალხს შორის. „კარიბჭეს მიუახლოვდა ასული, მცველებად ძმები ედგნენ „ჯვრისმტვირთელს“ .

- აქ თქვენი მამა-პაპათა საფლავებია, აქ ლოცულობდნენ თქვენი წინაპრები, შემოდით... - მშვიდად ამეტყველდა ნინო.

- ვინ არიან ეს ლაწირაკები - იღრიალა ვილაცამ!

- მე ნინო ვარ ... - უპასუხა ნინომ.

- ნინო? ნინო! ... ნინოლო - ტალღასავით გადაუარა ხალხს

- ნუთუ ეს ძელი გაბრკოლებთ? - ჰკითხა ხალხს ნინომ.

- წესი არ არის, გარეთ გამოათრიეთ ეს ლაწირაკები - იყვირა ვილაცამ

- რომელი „წესი“ არ არის? მამაპაპათა რჯული და ადათის თაყვანისცემა „წესი“ არ არის? - მიმართა ხალხს და ვაზის ჯვარი ასწია ნინომ.

- რას მაიმუნობ გოგონა? ეგ ჯვარი ნაკურთხიც კი არ არის - გამოაჯავრა ვილაცამ.

ბაქარი და ზვიადი „კარიბჭეს“ მიუახლოვდნენ, ხის ძელი აიღეს, იქვე კედელზე მიაყუდეს და ისევ დას დაუდგნენ გვერდში.

- მე გეკითხებით თქვენ, რას ნიშნავს „ნაკურთხი“ - მშვიდი და შეუალი ხმით მიმართა ხალხს ნინომ - შემოდით აქ თქვენი ოჯახის დედაბოძის სულია დასვენებული, აქ ჩვენი წინაპრების რჯულია და ... და... იქნებ დროა ...

გოგონას ხმა ჩაუწყდა, გაჩუმდა, მშვიდი სახით აკვირდებოდა თანასოფლელებს. ხმას არავინ იღებდა. წვიმამ გადაიღო, ღრუბლის ნაპრალებიდან მზის სხივებმა გამოსჭრეს სარკმელი.

„ პაპა სელიში მობრძანდება“, ხმა დაირხა ხალხში. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა სოფლის უხუცესი. ნანგრევებს მოადგა, გზა უტია ხალხმა მხცოვანს. შიშნარევი თვალები მიაპყრო პაპამ ხალხს, შემდეგ ეკლესიისკენ გაიხედა. შვილიშვილებს მკაცრი მზერით შეავლო თვალი და ბრაზმორეულმა მიმართა ბავშვებს „სასწრაფოდ დასტოვეთ აქაურობა... სახლში მოგელაპარაკებით.“

- პაპა - წამოიწყო ბაქარმა - ჩვენს რჯულს უნდა დაუბრუნდეთ, რადგან ყოველივე რითაც ვამაყობთ ჩვენი წინაპრებით და ჩვენი ისტორიით ყველაფერი გაცამტვერდება და ... და ... ჩვენ ...

- პაპა - მკაფიო ხმით მიმართა ნინომ ოჯახის უფროსს - მე ჩემი ნაწნავით შევკარი ვაზის ჯვარი როგორც ჩემმა წმინდა სეხნიამ ...

- ბავშვებო პაპას დაუჯერეთ - დაარიგა უცნობმა.

მკაცრად შეხედა მოხუცმა ბავშვებს, და მოხდა ...

ძმები წინ აღუდგნენ პაპას, ხელი ხელს ჩასჭიდეს ძმებმა და დის წინ დადგნენ ვაჟები. გალავნის ნანგრევებზე ახლა ბაქარის და ზვიადის მეგობრები გადმოხტნენ და გვერდში დაუდგნენ ბავშვებს . ბავშვებით გაივსო ეზო. ცოცხალი ჯაჭვით გარს შემოეფლენ ჭაბუკნი ეზოს გალავანს. „ მღვდელი გიორგი მოდისო „დაირხა ხმა ხალხში. ეკლესიის ეზოში აქოშინებული მოძღვარი შემოვიდა. ჯერ „გარეთა“ ხალხს გადახედა და შემდეგ ბავშვებს დააცქერდა წმინდა მამა. მზერა ნინოზე გადაიტანა და გაოცდა, ბავშვის სახეს მშვიდი და სათნო ღიმილი დასთამაშებდა, ვაზის ჯვარმა გააოცა მღვდელი.

- ვინ ხარ შვილო? - მიმართა მოძღვარმა ბავშვს

- მე ნინო ვარ, დიდი წმინდანის სეხნია, ნუ დამსჯით მამა გიორგი, ნურც ცელქობაში ჩამომართმევთ ამ ვაზის ჯვარს, მე ჩემი ნაწნავით შევკარი ...

- ღმერთო იკურთხოს შენი სამართალი - აღმხდა მოძღვარს.

- მე დიდი დიდპაპა ბაქარს და დიდი დიდებებია მაყვალას შთამომავალი ვარ, ვადაჯვრიანი ხმლით რომ ებრძოდნენ სულთანს - ამაყად მიუგო მღვდელს ზვიადიმ

- მე ესტატე მჭედლის შთამომავალი ვარ...

- მე იროდი ცხრამუხელის შთამომავალი ვარ...

- მე მღვდელი იაკობის შთამომავალი ვარ თავკვეთურაზე რომ აზიარეს სიკვდილს...

- მე შანშე მეთევზის შთამომავალი ვარ თავკვეთურაზე რომ დასაჯეს ქრისტეს რჯულისთვის...

- მე...

რიგრიგობით აცნობდნენ თავს ბავშვები მოძღვარს.

მამა გიორგიმ ნინოს ჯვარი გამოართვა და საკურთხევისკენ წაიღო, ბატკანივით უკან გაჰყა ნინოც. ჩამონგრეული საკურთხევისკენ ლოდზე დადო მამამ დალალით შეკრული ვაზის ჯვარი და აკურთხა... ლოცვას განაგრძობდა მოძღვარი. შემდეგ მობრუნდა და გაოცდა, ეზო ხალხით იყო სავსე, მხოლოდ რამდენიმე მოხუცი და თითოოროლა კაცი იდგა „კარიბჭის“ მიღმა. პირველნათლულს, ნინოს აცხო ზეთი წმინდა მამამ. ხალხსა ნათლავდა მამა გიორგი.

- სელიმ - მიმართა თანასოფლელმა პაპას - რას იტყვი ამ ამბავზე?

და მოსაუბრემ ხელი ეკლესიისკენ გაიშვირა.

-წინაპართა რჯული თავისას ითხოვს... - ჩაიდუდუნა მოხუცმა, ფეხზე წამოდგა და „კარიბჭის“ ზღურბლს გადააბიჯა.

სამი მტრედი შენიშნეს, ეკლესიის ნანგრევების ქიმზე ჩამომსხდარიყვნენ ფრთოსნები.

იქნება დროა?... დროა!

კვაზიმულო

იმ წელიწადს რაჭაში წავედი დასასვენებლად. ჩემი დედულეთია რაჭა. დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა სუფრა გავშალეთ, იმ ადგილს ქვაპტკარს ეტყვიან რაჭველები. ლამაზ და წარმტაც ბუნებას, ფაფარაყრილი რიონიც რაჭული სიდინჯითა და მხნეობით შემოგვეგება ძველ მეგობრებს.

პირველი ჭიქა თემური ასწია,

- ჩემო მეგობრებო, მოდით ამ პირველი სასმით ჩვენს პირველი, თავდადებული მეგობრის, კვაზიმოდოს შესანდობარი ვთქვათ...

ეს ამბავი კი ასე დაიწყო.

ათი წლისანი ვიყავით მაშინ, რიონის პირას ჩავედით საბანაოდ ქვაპტკარში, რიონი აქ პატარა ტოტს იკეთებს, წყალი მდორეა და საბანაოდ უსაფრთხო. იქ ერთ ბომბორა ძაღლს დაედო ბინა, გვიმრიანში იყო მისი ბუნაგი, საცოდავს უკანა ფეხები წართმეული ჰქონდა, ამბობდნენ „მანქანამ დაარტყაო და ხერხემალი დაუბიანაო“, ალბათ ბურგზეც ამიტომ ჰქონდა კუბი. „კვაზიმოდო“ შევარქვით ძაღლს. როცა ქვაპტკარში საბანაოდ მივდიოდით ყოველთვის მიგვქონდა ძვლები, პური ან რაიმე სასუსნავი, რამდენჯერმე ბებიანემის გამომცხვარი ხაჭაპურიც კი მივართვი ხეიბარს.

ერთხელაც ჩვეულებისამებრ ვეწვიეთ ქვაპტკარს მეგობრები, ყიჟინა დავეცით, „კვაზიმოდოსაც“ მივართვით მოსაკითხი. ვწუწობდით, ვცურავდით, ყვინთვაში ვეჯიბრებოდით გალაღებულები... ჩვენ შორის თემური ყველაზე კარგად ცურავდა, მკლავურში ვერ ვჯაბნიდით, თევზივით ცურავდა... „რიონში უნდა შევცურო“ მოგვაძახა თემურმა და მკლავურით გასცურა მომცრო კუნძულისკენ ტოტსა და რიონს შორის რომ ამობურცულიყო. ბევრი უშალეთ თავის ნათქვამას. ტოტი გადასცურა, კუნძულზე ავიდა, ცოტა ხანს დაისვენა, ხელით გვანიშნა აქაოდა მიყურეთო და წყალში შესცურა, ჩვენც გულმშვიდად ვუცქერდით მედიდურ მოცურავეს, რიონისკენ გასცურა და... მძლავრმა მდინარემ ტალღა შემოჰკრა თავმომწონე მოცურავეს, თემური იბრძოდა მაგრამ ნაპირისკენ ვეღარ მოცურავდა, თავის წიაღში ითრევდა მდინარე „თემურიიიი, თემოლოო“ ყვირილით ნაპირნაპირ მიგდევდით ბავშვები, მეგობარს ვამხნევებდით შეშინებულნი...

- შეხეთ, კვაზიმოდო - შესძახა რომელიღაც ჩვენთაგანმა.

რიონის ტალღებს მიაპობდა ძაღლი, ყეფდა, თათებს ძალუმიად უსვამდა... დაეწია, დავინახეთ, როგორ მოხვია მკლავები ძაღლს, ნაპირისკენ მობრუნდა ძაღლი, თემურმაც გაშალა მკლავი, ბავშვი და ძაღლი ქანცგაწყვეტამდე ებრძოდნენ დუჟმორეული მდინარის აქაფებულ ტალღებს, შორს წაიყვანა მდინარემ. ნაპირს სირბილით მიუყვებოდით ატირებული და მოღრიალე, ფეხშიშველა ტრუსების ამარა ბავშვები. „თემურ ნაპირისკენ, ნაპირისკენ მოუსვით“ - ხმის ჩახლქმდე ვამხნევებდით მეგობარს. თავთხელში შემოსცურეს ბავშვმა

და ძაღლმა, უკვე აღარც ჩვენ გვემინოდა, შევცურეთ წყალში, ღონემიხდელი მეგობარი ნაპირზე გამოვიყვანეთ. როგორ ხარ თემურ? - კითხვები დავაყარეთ მეგობარს

„ძაღლს მიხედეთ, მას მიეხმარეთ, ამოიყვანეთ“ ამოიკვნესა ილაჯაყრილმა.

მოვტრიალდით, „კვაზიმუდო“ არსად ჰჩანდა, შორს შევნიშნეთ, რიონს გაუტაცნია ოთხფეხა რაინდი. ყეფდა, რიონს ებრძოდა, ტალღებს ებრძოდა ძაღლი, ძალა ეცლებოდა, დუჰმორეული ტალღები დაუნდობლად სცემდნენ გადამრჩენელს, უცბად მძლავრად ამოიწია წყლიდან, რამდენიმე წამი გვიყურებდა ტალღების ნებას მინდობილი, თათები წყალს დაუშინა ისევ და გულის განმგმირავი ყმუილი მოგვესმა. გულქვა რიონმა ტალღა გადააფარა ალბათ უკვე სულგაყრილი ძაღლის ვეება სხეულს. „კვაზიმუდოოო“, ცრემლით დანამული ხმით უხმობდით მეგობარს. ჩვენი ყვირილი იქვე მომუშავე მუშებს გაუგონიათ, ჩვენსკენ მორბოდა ხალხი, „რა მოხდა? ვინ იხრჩობა? „სახეარეულმა, რუჯნაკრავმა კაცმა მოგვაყარა კითხვები. „კვაზიმუდო“ - ძლივს ამოვღერღეთ გულმოკლულებმა. „კვაზიმუდო? ვინ არის კვაზიმუდო?“ - დაგვეკითხა გაოგნებული, „ძაღლია, ძაღლი. მან თემური გადაარჩინა დახრჩობას და თვითონ... „და ტირილი დავიწყე. „ცოდვიანი მდინარეა რიონი ... „ჩაიდუღუნა კაცმა, თავზე ხელი გადამისვა და წავიდა.

აგერ უკვე ორმოცდაათი წლისანი ვხდებით და იმ დღის მერე რიონში არასოდეს გვიბანავნია. თუმცა სამოთხიდან, ხომ მხოლოდ ძაღლი გამოჰყვა ადამიანს მწედ და მეგობრად.

ფეხზე ავდექით და ისე შევსვით ჩვენი მეგობრის შესანდობარი.

მამიკო

საკურთხეველთან დგახარ შვილო დედოფლის კაბაში, ჯვარს იწერ და ღვთის წინაშე უღალატობის, ერთგულების და სიყვარულის ფიცს სდებთ. შენი არჩევანია მამიკო. შენ თავად ჰქმნი შენს ოჯახს, შენს ბედს. დღეს მე მარტო დავბრუნდები სახლში... მარტო... ალბათ დედაშენი აქ არის სადღაც, ანგელოსად მოვლენილი, თქვენ ოჯახს

აკურთხებს და ლოცავს. შენ ხომ შენს დედიკოს, მხოლოდ სურათებით იცნობ ჩემო მამისერთა. ჩემი სიცოცხლის გამართლება მხოლოდ შენ ხარ შვილო. საოცარია, რიგში ჩავდექი, რომ მოგილოცოთ უკვე შეუღლებულთ ოჯახის შექმნა. ბედნიერი ხარ, სახე გიციანის, შენი მეუღლის სიყვარულით ანთებულ თვალებს შევყურებ, თავის დედოფალს, რომ შესცივინებს ახალგაზრდა კაცი. ცრემლები მომერია, გულში რომ ჩაგიხუტე, მომეჩვენა თითქოს ცივი იყავი ჩემდამი, მომეჩვენა, მხოლოდ მომეჩვენა. მამამთილს „მამა“-ო მიმართე და მე მხოლოდ „მამიკო“ -ს ტიტულით დამაჯილდოვე შვილო. ასე იყოს, ბედნიერი ხარ და მე ეს მახარებს. სიძე ბატონი დამპირდა „ყველაფერს გავაკეთებო მისი ბედნიერებისთვის და ბედნიერების ცრემლის გარდა სხვას ვერ იხილავენ მის სახეზე უკუნისამდე“. იცი, როგორ მინდა მჯეროდეს? გახსოვს საბავშვო ბაღში, რომ მიმყავდი და რეიტუბი უკუღმა რომ ჩაგაცვი? ის თუ გახსოვს ბაფთის შეკვრას რომ მასწავლიდა შენი ბაღის აღმზრდელი? ის გახსოვს... ალბათ უკვე აღარ. „მამა მიყვარს და ჩემს ბედნიერებას წინ ნუ აღუდგებიო“ - მითხარი, დავიჯერო მაგას უფრო მეტედ უყვარხარ ვიდრე მე? ნეტავ რას ვსულელობ. დაგლოცოს შვილო ყოვლად წმინდა სამებამ, და წმინდა მარიამი იყოს შენი შემწე. ბედნიერი მეუღლე და დედა ყოფილიყავი შვილო. და გთხოვ... ძალიან გთხოვ... არაფერს არ გთხოვ, ოღონდ შენ იყავი ბედნიერი ჩემო მამისერთა.

მოძღვრის წერილი

- გამარჯობა გიორგი, გამეხარდა შენი წარმატება, ახალ ქვეყნის მართვის სადავეებთან ახლოს ხარ და სიკეთეც ხელგეწიფება. ვიცი არა გცალია, დროის უკმარისობა ხომ თანამედროვე ცხოვრების ერთერთი სენია, ველარც ტაძარში მოდიხარ, რამდენი ხანია აღსარებაც აღარ ჩაგიბარებია. ეჰჰ, რას ვიზამთ? მომენატრა შენთან საუბარი. ამ წერილს შენ გწერ და მინდა ყურადღებით წაიკითხო.

შენი უპირველესი მოვალეობაა იგივე ფიქრით და გულისხმის-ყოფით მიხვიდე სამსახურში როგორც ტაძარში, რადგან სიმართლე ყველაზე კარგი პოლიტიკაა. შენ მეტყვი ყველაფრის გამომზიურება არ შეიძლებაო, იქნებ ასეცაა, მაგრამ დაიმახსოვრე მხოლოდ სიმართლე შობს ბედნიერ მომავალს.

ნუ გაორდები, რადგან გაორებული მორალი ყოველგვარი უზენოების საწყისია. ისტორიას ბევრი მაგალითი ახსოვს, როცა ფარისეველთა ფუსფუსით გაორებულ ზნეობას ქვეყნისთვის სიავის მეტი არა მოუტანია რა. ორი სახე გაქვთ პოლიტიკოსებს პირადი და საზოგადოებრივი, მაგრამ იმდენად ეფლობით ფარისევლობის ნიღბის წიაღში, რომ ხშირად საკუთარ სახეს კარგავთ. ადამიანებს ჯერათ სიკეთის, ხო ჯერ კიდევ ჯერათ, რადგან სიკეთე და სიმართლე ადამიანის არსობის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა და კიდევ არსებობს საზოგადოებრივი იარაღი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია უდანაშაულო ადამიანი საზოგადოებისთვის უსარგებლოდ ან ბოროტ-მოქმედებად შექმნათ. მე გეტყვი, ისტორიას ახსოვს ქრისტიანთა შევიწროება და ხოცვა, მაგრამ ისიც ახსოვს ისტორიას, რომ არასასურველ პიროვნებებს როგორ სჯიდნენ ქრისტიანებთან ურთიერთობის ბრალდებით, შემდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში „სოციალისტის“ და საბჭოეთში „ხალხის მტრების“ დამღით დადაღულ ადამიანებს როგორ უსწორდებოდნენ. დღეს უფრო საშიში დროებაა, რადგან ჰუმანიზმის დოგმები ბრალდების სახეცვლილებად მოვევლინა საზოგადოებას და მარადიული ფასეულობები „ჰუმანიზმი“, „შემწყნარებლობა“, „პატიება“ და „კაცთმოყვარეობა“ გარყვნეს, ეროვნული და საქვეყნო ფასეულობების დასათრგუნად გამოიყენეს და დღესაც წარმატებით იყენებენ. ეს გაორებანი საზოგადოების შექმნისთვისაა საჭირო, რომ ადამიანებს რეალური ღირებულებები რწმენა და მრწამსი დაუნგრეონ. შენ ალბათ მეტყვი ერთი კაცი რას გავხდებიო, როგორც ერთ კაცი ვერაფერს გახდები, მაგრამ როგორც ერთი პოლიტიკოსი, როგორც ერთი საზოგადო მოღვაწე და როგორც ერთი პარლამენტარი კიდევ ერთ სიტყვას იტყვი ქართული ფასეულობების დასაცავად და მერწმუნე ეს ცოტა არ არის. იცოდე შენი ყოველი სიტყვა აწონე რადგან ნათქვამს თუ საქმე არ მოჰყვა მხოლოდ ფორმად გაქცევს შინაარსის გარეშე, მოდი ტაძარში, გაძლიერდი, რომ ქვეყნის სამსახურად ძალა გეყოს. ღმერთმა დაგლოცოს.

მამა ლაზარი

შესანიშნავი დილა გამოთენდა. სასაზღვრო ნაწილის ხელმძღვანელობამ წარმატებულად ჩატარებული ოპერაციის გამო ერთ

კვირიანი შვებულებით დაგვაჯილდოვა ოფიცრები. ათასი იდგა მიტრიალებდა თავში, ქეიფი, დროსტარება, ძმაკაცები, ნათესავები და კიდევ ვინ იცის რა ფიქრები და ოცნებები არ სერავდნენ ჩემს გონებას. სამხედრო ნაწილთან ახლოს ახალი ეკლესია აეშენებინათ. ვიფიქრე „შევალ, ერთ სანთელს მაინც დავანთებ, რომ იმ „ჯოჯოხეთს“ ცოცხალი და უვნებელი გადაურჩი მეთქი“. ტაძრის კარიბჭეს მიუახლოვდი. ტაძრის ეზოს კარი დაკეტილი დამხვდა, თუმცა ტაძრიდან მგალობელთა ხმა ისმოდა. გამიკვირდა, წირვისას კარს რად დაკეტავდნენ? კარის მცველად საშვალო სიმაღლის ახალგაზრდა სტიქაროსანი დაეყენებინათ. სამხედრო ფორმაში გამოწობილს რომ შემხვდა თითქოს დაიბნა, მომიახლოვდა და მითხრა „მოდღვარმა ინება კარის დაკეტვა და მის ნებას ვერ გადავალ ბატონო“. არაფერი მითქვამს, მოვბრუნდი, ის იყო წასვლას ვაპირებდი, რომ ეკლესიის ეზოში სასულიერო პირი გამოჩნდა, რაღაც გადაულაპარაკა სტიქაროსანმა მას, წმინდა მამას გაეღიმა და მომმართა „მობრძანდით ოფიცერო, ჩვენი მრევლი ბრძანდებით?“ „არა, უბრალოდ სანთლის დანთება მინდოდა, მეტი არაფერი“ მიუგე მე. სტიქაროსანმა კარი გამოღო. ეკლესიის ეზოში შევედი. „მომისმინეთ ოფიცერო“ მომმართა მღვდელმა, „ეს ტაძარი წმინდა დედოფლის დინარას სახელობისაა და დღეს განსაკუთრებული დღეა, წმინდა დედოფლის დინარას ხსენების დღე... „კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა მოძღვარი, მაგრამ დუმილი არჩია. „იყავ ნება ღვთისა“ მხოლოდ ეს სთქვა და ტაძარში შემოდგა. საკურთხეველთან ათი ახალგაზრდა იდგა ოთხი გოგო და ექვსი ვაჟი. დანარჩენი ხალხი ახალგაზრდების გარშემო დამდგარიყვნენ. წირვაზე ვყოფილვარ და მინახავს ტაძარში მრევლი, მაგრამ აქ ჩემთვის გამოუცნობი რამ ხდებოდა, რატომღაც ჩავთვალე რომ ერთადერთი „დაუპატიჟებელი სტუმარი“ ტაძარში მხოლოდ მე ვიყავი. მესანთლემ რამდენიმე სანთელი მომაწოდა და მითხრა „აანთეთ ოფიცერო, ეგრემც უფალი შეგეწევთ, ფული საჭირო არ არის“. ამბიონზე მოძღვარი ქადაგებდა, ლოცავდა ახალგაზრდებს. სმენად ვიქეცი. „წიგნთა შორის წმინდა სამებას მოგიძღვნით თქვენ. უფლისმიერი ბიბლია, ყოველთა ქრისტიანთა მთავარი წიგნი, ყოველთ ქართველთა თაყვანაყცემი სულმნათი რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ უფლისა მიერ, ყოველთა ქართველთა ერთობის, ღვთით კურთხეული „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილისა უფლისა მიერ. ეს სამი წიგნია წიგნთა შორის წმინდა

სამება. გაკურთხებით თქვენ პედაგოგნო ჰერთა მიწაზე სამოღვაწეოდ, თავადაც ჰერეთელნო, რამეთუ განავრცოთ ქართველთა შორის სიტყვა ქართული, ენა ქართველთა, რწმენა და სურვილი ქართველთა ერთიანობისა და სრულიად საქართველოს გაერთიანებისა. თქვენ გვეალებათ ძენო და ასულნო საქართველოისა ასწავლოთ ქართველთა ჰერეთს, ისტორია ერისა ჩვენისა, თქვენ უნდა დააუბრუნოთ სიამაყე და ასწავლოთ დიდება მათ ქართველობისა და ერისა ჩენისა სიდიადე. ღმერთმა დაგლოცოთ და არ მოგშლოდეთ წყალობა ქურმუხისა, ლექართისა, მეშაბაშისა, კახის ალავერდისა და ყოველი ქართული სალოცავისა, გფარავდეთ ჰერთა დიდი დედოფალთ დედოფალის წმინდა დინარა დედოფლის მადლი და ძალი თქვენს ქართულ საქმეში ამინ.“

მოდღვარმა ჯგარი გადასახა პედაგოგებს, მგალობელნი უფლის სადიდებელსა ჰგალობდნენ. დავინახე ჩემი ნაცნობი მღვდელი როგორ მიუახლოვდა მოძღვარს და რაღაც უჩუჩუღღღა, მოძღვარს გაეღიმა და განაგრძო მსახურება „უფლისა მიმართ ვილოცოოთ....“

სანთლები ღამის ხელში ჩამომადნა, წმინდა გიორგის ხატს მივაშურე და ...

„ღვთის განგებით მუნდირი შენი აბჯარია ერისა და ქვეყნისა და თუ განგებამ ინება, მანტია შესამოსელი უფლის მიერი ნათელში დამკვიდრებულისა. სვიანად გეტარებინოს ღირსება ქართველი ოფიცრისა. იმედისა და ღირსებისა ქვეყნისა ჩვენისა შვილო ჩემო...“

მოვბრუნდი, ალბათ სახეზე დამეტყო დაბნეულობა. მოძღვარი და მრევლი მე შემომცქეროდა.

-ოფიცერო - მომმართა მოძღვარმა - ალბათ მიხვდი ჩვენი „საიდუმლო სერობის“ მიზეზს, ეს ახალგაზრდები ჰერელნი არიან და ჰერეთის მკვიდრნი, პედაგოგები. მათ უნდა აღზარდონ ქართველთა ახალი თაობა, მათ უნდა უწინამძღვრონ ბავშვებს მამა -პაპათა სისხლით მორწყულ ტანჯულ და ჯერაც უცხო ფრთის ქვეშ მყოფ მიწაზე. შენ ვინ ხარ ოფიცერო?

- მე, ჩემო ბატონო მესაბღვრე ვარ. ბოდიშით რომ უდროოდ როს გეწვიეთ...

მოდღვარი ჩაფიქრდა და მითხრა

- ჩემო სულიერო შვილო, საქმე შენი მადლმოსილია, რამეთუ ქართულ მიწა-წყალს იცავ, იცავ ყოველთა ქართველთა ჯვარცმულ მიწას. არვის აქვს უფლება გაასხვისოს მიწა კურთხეული უფლისა

მიერ და ვაი მათ ვინც, რომ პირადი ვნებათა გამო უარყოფს ერისა ჩვენისა უდიდეს სიმდიდრეს და სიწმინდეს, მიწას ქართულს. უფალმა გააკურთხოს ქართველო ოფიცერო...

მოდღვარმა დაახანა და მრევლს მიმართა ისევ, ლოცვის კითხვას შეუდგა წმინდა მამა. მოვბრუნდი, წმინდა გიორგის ხატს მიუახლოვდი, სანთელი ავანთე და უნებურად სამხედრო სალამი მივეცი ხატს და აღმომხდა „ვემსახურები საქართველოს“. თითქოს დაემთხვა, დარბაზში მრევლმა ერთხმად იგრიალა „ვემსახურებით საქართველოს“ და მოდღვარმა დალოცა „უფალმა დაგლოცოთ, ჩვენთან არს ღმერთი“ ერმაც დაიგუგუნა „არს და იყოს, ამინ“

- ოფიცერო, მომიახლოვდით - მომმართა მოდღვარმა - მინდა საჩუქარი მოგიძღვნა შვილო ჩემო, ბიბლია, ყოველთა ქრისტიანთა წიგნი პირველი, ვეფხისტყაოსანი ყოველთა ქართველთა საუნჯე ხელთუქმნელი და „დედა ენა“ იაკობ გოგებაშვილისა სიმბოლო ქართველთა სიდიადისა და ერთიანობისა და კიდევ ხატი წმინდა დედოფლისა დინარასი. უფალმა დაგლოცოს ოფიცერო შენს წმინდა საქმეში... მიმართავ პედაგოგებს?

- მადლობთ მამაო... ბატონო პედაგოგებო, მინდა მოგმართოთ, მე ქართველი ოფიცერი გეუბნებით თქვენ, სიხარულით გავაცვიბ ჩემს მკერდში თქვენთვის ნასროლ ტყვიას - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

მივხვდი, რომ ტაძარი უნდა დამეტოვებინა. წიგნები, ხატი და ხელში ჩამდნარი სანთლები მეჭირა ხელში. გარეთ გამოვედი, ღრმად ჩავისუნთქე. სახლისკენ მიმავალ ქუჩას გავხედე, ერთხანს ვიდექი, მერე კი მოვბრუნდი და ყაზარმისკენ გავაგრძელე გზა.

საწნახელი

...ებოში მშვეს ეფიცებოდა მარნიდან დევნილი საწნახელი. ბზარებსაც დაეტყოთ ხელი და მის მეუფებას ხანის მომატება ამცნეს, ნაოჭებად რომ გასდევნებოდნენ საწნახელის ვეება სხეულს.

ერთ დროს ჩვენს მარანში იდგა. ბაღლობაში მახსოვს პაპა ფეხებს დაგვბანდა ბავშვებს, ფეხშიშველები ვიდექით საწნახელში და ვჭყლეტდით ყურძენს, მადლიანი რაკრაკით იღვრებოდა წვენი ქვევრში და ჩვენთვის უცნობ ენაზე კურთხეულ ქართულ მიწას ბარაქის საგალობელს უღიღინებდა. მახსოვს, სანამ ყურძენს ჩავყრიდით

დასაწყლეთად პაპა ორ სანთელს აანთებდა და საწნახელის თავში და ბოლოში დაამაგრებდა თვითოეულს, მესამეს კი თავად დაიჭერდა ხელში და ლოცულობდა. სირცხვილური ვარ რამეთუ არ მახსოვს ეს ლოცვა, მხოლოდ რამოდენიმე ფრაზა შემორჩა მეხსიერებას „...დღით ქართული მიწით შობილო, ზეცით ღვთის მიერ ჯვარდაწერილო, მარჯვენით ჩემით მოვლილო - ნაამაგარო, მადლობას გიძღვნი ოჯახის ჩემის მდღეგრძელებლად მოსულს, შენით დამალოცინე ერი და ქვეყანა ჩვენი, შვილნი და შვილიშვილნი ჩემი, ღვთისთვის მადლობა მათქმევინე და წასულთათვის შესანდობარი, წლის მოსავლის მადლი და გვიმკვიდრე ოჯახში, ამინ ...“

შემდეგ ბავშვებს ჩაგვაყენებდა საწნახელში, ყურძენს ჩაგვიყრიდნენ და ჩვენც ვკაცობდით. იცი როგორ მიხაროდა?

პაპა ღიმილით შემოგვცქეროდა „ჩემი კაცებიო“ გვეტყოდა. ქვევრს, რომ ავავსებდით, გვეგონა, ქვეყანა ჩვენი ყოფილიყოს ისე მედიდურად დავაბიჯებდით... საღამოს წალამზე შემწვარი მწვადით გვიმასპინძლებოდა პაპა, ცოტაოდენ ღვინოს ჩაგვისხამდნენ ჭიქაში და წყლით შეგვივსებდნენ ხოლმე. ასე გვასმევდნენ ღვინოს. თამადობას და ქართველობას გვასწავლიდა გვასწავლიდა პაპა... ვახ, დრონი, დრონი... ახლა ეზოში მარტო დავაბიჯებ, ჩემი პაპა - ბებია ალბათ სხვა სამყაროდან დამცქერიან და მლოცავენ. აგერ ხარისა და სპილენძის დიდი ქვაბი თათარობას რომ მართავდა ბებო, ჩურჩხელებს ამოგვივლებდა და ჩვენ, ბავშვები რუდუნებით ჩამოვკიდებდით ხარისაზე. რამდენი სითბო და სიყვარული გაუღიათ მოხუცებს ჩვენთვის და ვერ დავაფასეთ... იცი კიდევ რა მახსოვს, სანამ ვენახში შევიდოდა ლოცვას ამბობდა პაპა, მისი სიტყვები ეხლაც ზარივით ჩამესმის ყურში „წასულთა მაკურთხეველო და დარჩენილთა მდღეგრძელებელო, უფლსა ჩვენისა სისხლო კურთხეულო და უფლისა ჩვენისა სხეულის განმბანელო, კახელი გლეხის დიდებაჲ და ქვეყნის ჭირნახულის ჭირისუფალო, აკურთხე მოდგმა ჩემი, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, შთამომავლნი ჩემი უკუნითი უკუნისამდე ამინ“. ლოცვას იტყოდა პაპა და შემდეგ შედიოდა ვენახში. ღილინით მიუყვებოდა და სხლავდა ვაზს. ერთხელ უთხარი „პაპა ალბათ ღილინი გართობს და გიიოლებს შრომას...“ ნაჯაფარი მკლავი მომხვია და მითხრა - „არა შვილო, მევენახის სიმღერა ვენახსა გალობად ესმის“

სასაფლაოზე ავედი, სარეველა ბალახისგან გაფწმინდე მათი საფლავეები, მიწა მოვასწორე, სანთელი ავანთე და ცრემლები მომერია...

ერთხელ პაპას ვკითხე „პაპა ეს ამხელა საწნახელი რომ გვიდგას მარანში მარტო საწურავით, რომ დავწუროთ ყურძენი არ შეიძლება?“ პაპა დაფიქრდა და მიპასუხა „საკურთხეველ მორღვეულ ეკლესიას დაემსგავსება საწნახელისგან გამარცვული მარანი შვილო“

ეზოში მორბე ჩამოვჯექი. ივნისის მზე აფრქვევდა ნათელს, მე მარტო ვიყავი ჩემს მოგონებებთან.

ჩემი ცოლი და შვილები ჩამოვიდნენ თბილისიდან, ჩემი ჟღურტულა გოგო და ბრუსუნა ვაჟი ჩავიკარი გულში. „მამიკო გავიჭყლიტეო“ შემომჩივლა ასულმა. მეუღლე „ეკონომიურად“ მომესალმა და ერთი კოცნა ვალად დამადო.

„მერაბ შვილო, მომეხმარები ხვალ საწნახელი რომ გავარემონტოთ და დავასუფთაოთ? და მერე მარანშიც შევიტანოთ“ „კიიიი“ აჟღურტულდნენ ბავშვები. ჩემს მეუღლესაც გაელიმა „მეც მოგეხმარებით“ მხარი აგვიბა ოჯახის დედამ.

მეორე დილით დავიწყეთ შრომა. საღამოსთვის მოვრჩით. ყველა ნახეთქი ამოვავსეთ და სანთლით გავლამპრეთ საწნახელი. მისი ვეება სხეული მზეს მივანდეთ გასალბუნებლად. ნათესავებმა მარანში შემატანეს და თითო ჭიქა ღვინო შეასხეს კედლებზე „ბარაქის მადლი შეგეწიოთო“ დაგვლოცეს.

ასლა სექტემბერია, რთველი ჩავატარეთ და ყურძენი ჩავყარეთ საწნახელში. ჩემს ვაჟს ფეხები დავბანე და დამწურავად ჩავაყენე. პაპაჩემის ლოცვაცა ვთქვი, ის რაც მახსოვდა, სანთლებიც ავანთე და სასწაული დაიწყო...

მერაბმა მკითხა „მამა რას ნიშნავს კარგი ქართველობა?“

შევცბი, არ ველოდი ასეთ შეკითხვას „ქართველობა პირველ რიგში შენი ერის უანგარო სიყვარულია შვილო“.

„კი, მაგრამ რაში გამოიხატება ეს სიყვარული?“

„ბევრი შვილების ყოლაში და მათი ერისკაცებად აღზრდაში... წამოვიწყე მე.

„კი, მაგრამ შენ ხომ ქართველი კაცი ხარ მამა?“

„რა გაქვს მხედველობაში“ დავიბენი ალბათ,

„ის რომ შენ და დედას მხოლოდ ორნი გყვართ, მე და ელენიკო. ორი შვილი ბევრია მამა?

„არა, ბევრი არ არის, გეთანხმები, მაგრამ...“

სიტყვა ელენიკომ წამართვა

„მამიკოლოლო, ფული ალა გაქ? მე მაქ, ცემი დაბადების დღეზე მარუქეს... მოგიტან“

ცოტა ხანში ჩემმა სამი წლის ასული მარანში გოჭის ფორმის ყულაბით ხელდამშვენებული დაბრუნდა.

„აი... მე დაიკო მიკიდეთ“

და ყულაბა იატაკზე დაანარცხა, ხურდები მიმოიფანტა, პაწაწინა ხელებით კრეფდა ბავშვი ფულს და კაბის კალთაში აგროვებდა, რამდენიმე ქალღმადის კუპიურაც ვერია მათში. და მე და ჩემს მეუღლეს მოგვმართა „სულ ეს მაქ, ერთი დაიკო მიკიდეთ რააა, სულ პატარა დაიკო, დედიკოს გეფიცებით მე მოუვლი“.

გავოგნდი. ჩემი ცოლი გაოცებული შეურებდა ბავშვს. პატარა კვლავ ატიტინდა,

„დედიკო შენ ხომ კარგი ბავშვების არჩევა იცი? და მიყიდეთ დაიკო, მამიკო მოგაყვანინებს სახლში, დედიკოს გეფიცები მე მოუვლი...“

ხურდები იქვე მაგიდაზე, დედის წინ დაყარა და მეც მუდარის თვალებით შემომხედა...

„ხო, გიყიდით შვილო დაიკოს“ - ძლივს ამოღერღა დედამ

„მეე?“ - სიტყვა მოცელა მერაბმა - „ძმა ძმისთვისაო და...“

„ბავშვებო რა გჭირთ?“ - აუწიე ხმას

„არაფერი მამა - დინჯად მიპასუხა ექვსი წლის ვაჟმა - პაპამ მითხრა „ქართველობა ოჯახიდან იწყებაო“ და თუ ბევრი შვილების ყოლა ერისკაცობის და ქართველობის დასტურია ჯერ შენი ოჯახიდან დაიწყე.“

„ბავშვებო, აბა საქმეს მიხედეთ“ - წამოერთო დედა,

„ასეა, რასაც გვასწავლით თავად არ გსურთ მისი გაზიარება, იცით და არ აკეთებთ, მე ვის დაუჯერო?“ - მომმართა ვაჟმა.

„ჯერ ყურძენი დაწურეთ მამიკო, კარგი“ - ძლივს ამოვიღულულულე.

დინჯად ჭყლეტდა ყურძენს მერაბიკო, წვენი საამური რაკრაკით იღვრებოდა ქვევრში, მხოლოდ ეგ იყო, თავჩახრილი იდგა ბავშვი და ისე შრომობდა. ელენიკოს ხურდები მაგიდაზე დაეტოვებინა და

იქვე ოთახში თოჯინით თამაშობდა. იცი რა მომესმა? „ნეტა ნამდვილი იყო“ - ეუბნებოდა თოჯინას პატარა ქალი.

წალამზე მწვადი შეეწვი და ოჯახი შევიკრიბეთ სუფრასთან. ფუძის ანგელოსის სადღეგრძელო შევსვი და ჩემს ვაჟს მიუჭახუნე ჭიქა...

უცნაურია და უცილო ვალდებულება ვიგრძენი ჩემი შვილების წინაშე, მერაბის სიტყვები მიჰიოდა ყურში „ იცით და არ აკეთებთ, მე ვის დაგიჯეროთო“... შემრცხვა.

ბავშვებმა დაიძინეს. აფორიაქებული ვიდექი სარკმელთან და განვლილ დღეზე ვფიქრობდი . ჩემმა მეუღლემ მომხვია ხელი კისერზე, ვაკოცე „ესეც ბიჭი“ ჩავჩურჩულე ყურში. გადაიკისკისა, „ესეც გოგო და ვიყოთ ვალმოხდილი მშობლები“ მითხრა და ლოყაზე მაკოცა...

მოთხრობის წერას მოვრჩი. კიდევ ერთხელ გადავიკითხე და... მე მარანში საწნახელი არა მაქვს, ორი შვილი მყავს და ვცდილობ ქართველებად აღვზარდო. ოღონდ ეგ არის ერისკაცობა, მხოლოდ ცოდნით და თავგანწირვით არ შემოიფარგლება, შვილთა სიმრავლეა უცილო პირობა... ასეა, ასე.

წერილი დედას

ვიცი ნაწყენები დარჩით „ ორი კვირით ჩამოხვედი და ისევ გაიქეცი 20 წლის უნახავი შვილიო“ - მითხარით. ალბათ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ნუ შეეცდები ჩემი საქციელის ახსნას. არც თანადგომას გთხოვ და არც სიბრაულეს. ამ წერილით მინდა აგიხსნა ჩემი საქციელი.

მე მანდ უცხო ვარ.

როცა წავედი ოცი წლის ყმაწვილკაცი ვიყავი, ყველაფერს იმედით და ოპტიმიზმით ვუყურებდი. მეგონა საწადელს მივაღწევდი ჩემი ნიჭისა და ენერჯის წყალობით. მე სამ ენაზე თავისუფლად ვსაუბრობდი, ვთარგმნიდი, ვწერდი და... ამ ცოდნით საზოგადოებრივი ტუალეტის დამლაგებლად „დამაწინაურეს“. თქვენი სახელოვანი შვილი ხუთი წელი ამ „თანამდებობაზე“ წარმატებით შრომობდა. ხო, ესეც არის, რომ სხვა სამსახურიც ვიშოვე და ფულს ვშოულობდი, ვაგროვებდი და ოჯახში ვგზავნიდი. მერე აქაური სკოლაც დავამთავრე, სხვადასხვა კურსები გავიარე და ჩემი ემიგრანტობის მეშვიდე წელს სარკეში, რომ ჩავიხედე პირველად აღვითქვი საკუთარი თავი ადამიანად. ის წლები კი გაფრინდა. იცი რა მახსოვს? ის, რომ მხოლოდ მოგონებებით ვცხოვრობდი რადგან რეალობა, ჩემთვის ჯოჯოხეთი იყო.

როცა ჩემს ძმებთან ერთად სუფრაზე დავსხედით, შენ ზეპირად იცოდი ვის რა კერძი მოსწონდა, იცოდი მათი მანერები და მხოლოდ მე ვიყავი ამოუცნობი ქარაგმა. მორიდებით მიღიმოდი დეე, არ იცოდი როგორ მომქცეოდი. ჩემი ძმების სიხარულიც ალბათ ნახევარი საათში ჩაეტია.

მე უცხო ვიყავი თქვენთვის. ჩემს ისტორიას ვერავის მოგიყვებოდით. რითი მეამაყა? უნიტაზების წმენდით? საქართველოში ორმოც წელს გადაცილებული კაცი დავბრუნდი ოცი წლის ჭაბუკის ისტორიით. ჩემმა მეგობრებმა თითქოს გული გამიხსნეს, მაგრამ მათთვის მე მხოლოდ ახალგაზრდობის მოგონება ვიყავი და ისიც რამდენიმე წუთში ჩაეტია.

იმ საღამოს მივხვდი რომ უკვე სხვა ვიყავი. ორი კვირის თავზე საქმეები მოვიმიზეზე და დავბრუნდი. აქ მე ბიზნესმენი მქვია. საინტერესოა, რომ სამშობლოშიც და აქაც ემიგრანტად დავრჩი. ჩემი ადგილი მანდ უკვე აღარ არის. აქ თავიდან დავიბადე ადამიანად, ისტორიის გარეშე. თავად შევქმენი ჩემი პიროვნება და ვერასოდეს ვიტყვი რომ წარსულიდან მოვდივარ მეთქი. აქაც მახსენებენ ჩემს „გმირულ ეპოქას“ უნიტაზებთან, იუმორით შეფუთულ გესლს მესვრიან და მეც ასევე ვპასუხობ.

დღეს მე თავად ვარ დამსაქმებელი. მაგრამ ქართული იერის და წარმომავლობის გარდა ყველაფერი დაგკარგე. ასეა და გთხოვ მკაცრად ნუ განმსჯი. დეე, გთხოვ ეს წერილი მამას და ჩემს ძმებს არ აჩვენო... და კიდევ სიყვარული დამრჩა ქართული. ფული გადმოვრიცხე და მამაჩემისთვის მანქანა გამოვგზავნე, მინდა რომ ბედნიერი იყოს... იცი „შე მამაძაღლოო,“ რომ შემომძახებდა ისიც მომენატრა... ჩემი შვილები ამაცობენ ქართველობით, მაგრამ ქართული არცერთმა არ იცის. საკვირაო სკოლაში მინდა მივიყვანო, აქ კარგად ორგანიზებული ქართული დიასპორა გვყავს და სკოლაც არის.

მანდ ყველას გადაეცი, რომ ჩვენ ემიგრანტები აქ, საზღვარგარეთ, ჩვენი ქვეყნის ღირსებას წარმოვადგენთ, ჩვენ დროებამ შეგვქმნა და ნუ უარგვყოფენ, რადგან, ჩვენ ჩვენს სულს, ორივე ხელით ვებლაუჭებით, რომ გაუცხოვებამ ესეც არ ამოგვგლიჯოს სხეულდან და არ გავცარიელდეთ. ემიგრანტების ადგილი აღარ არის საქართველოში, ხანდახან მგონია, რომ სამშობლომ ამოგვგლიჯა თავის წიაღიდან.

აქ ეკლესია გვაქვს, სადაც ვიკრიბებით ემიგრანტები. ვერ წარმოიდგენ, როგორ გვიხარია ერთმანეთის ნახვა, რომელიმე ჩვენთაგანის უმნიშვნელო წარმატებაც კი ზვიმის საბაბი ხდება, ხანდახან ჩვენვე ვიგონებთ ისტორიებს მეგობრებზე, ოჯახზე რომ თუნდაც ამ უვრო ტყუილით საკუთარი მიწაზე ჩვენი ფესვების ილუზია მაინც შევინარჩუნოთ.

დედა არ იტირო გთხოვ. მე ხომ შენი ცელქი ბიჭი ვარ დეე.

ნახვამდის.

შენი შვილი.

წერილი ყოფილ შეყვარებულს

- გამარჯობა, იქნება და გაგიკვირდეს წერილსა რათა მწერსო, მაგრამ რომ არ დამეწერა არ შემეძლო. მერვე კლასში რომ ვიყავით შენი გულისთვის მუსიკაზეც დავდიოდით, რომ შენი კიდევ ერთხელ ხილვის საშუალება მექონოდა. ვფიქრობდი „იქნება მუსიკით მაინც გავაგებინო მეტეჩი ჩემი გულისთქმა“. სოლფეჯიოზეც შენი გულისთვის დავდიოდით. ის 45 წუთი იმდენად ძვირფასი იყო ჩემთვის, რომ არად ვაგდებდი ძმა-ბიჭების ქილიკს. სკოლაშიც ვერაგინ გიბედავდა ზედმეტ სიტყვას, ყველამ იცოდა რომ მიყვარდი... მერე?... სკოლა რომ დავამთავრეთ მხოლოდ „მეზობელი“ და მხოლოდ „კლასელი“ დავრჩი შენთვის. თბილისში წახვედი და სტუდენტობა მოირგე მშითვივით. მე კიდევამა მამაჩემის დალოცვილ ვენახში ვმუშაობდი და ჭაპანწყვეტით ვქმნიდით ოჯახის სარჩოს. მეც გავხდი სტუდენტი, თელავში უნივერსიტეტი დავამთავრე და... სულ მენატრებოდი. ჩემი ძროხების გაყიდვაც ვიფიქრე „ფული მექნება და ქალაქში მოვინახულებ მეტეჩი“... იმ ზაფხულს კიდევ, რომ ჩამოხველ, იგეთი მოკლე კაბა გეცვა, რომ სულ თვალებში შემოგცვიცინებდი, ვიფიქრე“ დაბლა, რომ დავიხედო , უტიფრობაში არ ჩამომართვას მეტეჩი“. მაშინაც უარმყავი. სუფრაზე მარჯვენა დამილოცე გლახკაცს. გლახობას მე არა ვთაკილობ... მერე... და მერე... გავიგე რომ უცხოეთში წასულხარ სამუშაოდ. „ქმარ-შვილს იქიდან ინახავსო“ მითხრეს, კი მგრამ, რის ფასად?...

ხვალ, დედაშენის ორმოცია, მამაშენმა მთხოვა „ფული მასესხე და ჩემი გოგო, რომ გამომიგზავნის გაგისტუმრებო“, მე უთხარ „მაიტა მეზობლობის ხათრით ლიზა ძალოს ორმოცს მე ვიკისრებ მეტეჩი“. ჯერ

იუარა, მერმე დამთანხმდა ოჯახის მარტოკაცი. გოგო, ისე ჩავიდა დედაშენი სამარეში, რომ შენი ხილვის ნატვრა წაიღო მოუსავლეთში.

თუმცა იქნება ზედმეტადაც ვსჯი? ვინ იცის...

დღეს ვენახიც მაქვს, ხე-ხილის ბაღიცა და ბაღ-ბოსტანიც, „პარნიკიც“ ავაშენე ჩემს მიწაზე. მერე რა, რომ არც პარიზი მინახავს და არც მადრიდი? გრემის მთავარ ნაგელობთან, რომ ამოვივლი პირჯვარს გადავიწერ და მადლობას ვეუბნები ღმერთსა, ვენახში სანამ შევალ ნეკრესს შევხედავ, წყალობასა და უფლის შეწევნასა ვთხოვ...

ჩემს ცოლს ნატოს შენ იცნობ. სულ რომ დასცინოდით სხვისი გამონაცვალის სამოსის გამო, გახსოვს? დღეს კი ხუთი შვილის დედაა, ჩემი ოჯახის დედაბოძი. ოთხი ვაჟი მყავს და ერთიც ასული. ვაჟებს ქართველობის მძიმე ჯვრის ტარებას ვასწავლი და ასულსა მანდილის სიბრძნეს ნატო უბიარებს. ათი კაცი მოულოდნელად რომ მესტუმროს დასახმარებლად გვერდზე არ გავიხედავ... კიდევ ბევრი რამის მოყოლა მინდოდა, მაგრამ არ არის საჭირო...

იცო რა მეწყინა? გახსოვს ვენახიდან ნაჯაფარი რომ ვბრუნდებოდი გვერდით გამიარეთ შენ და შენმა ქმარმა, სალამი დამამადლეუთ და „ფუ რა სუნი ასდისო“ შენს სანაქებო ქმარს გადაულაპარაკე. მეწყინა, ძალიან მეწყინა. მე ქართულ მიწაზე ვარ და ვცხოვრობ ისე, რომ ოჯახის ერთიანობას გულით ვიცავ. შენ? შენს გოგოს, რომ მოსწერე „მეტი აღარ შემიძლია, ჩამოდი და მომეშველეო“, განა ცოტას ვუმშვენიერეთ ჯიში და მოდგმა? რომ დედა ეძახი საკუთარ შვილს „სხვებისთვის“? ცოდვა-მადლი არა გაქვს?...

გული ამიჩქარდა... ვხვდები რომ იმაზე მეტს ვამბობ ვიდრე მეკუთვინის...

ამ წერილს შენ არ გამოგიგზავნი, ჩემთვისა ვწერ, მერე ფურცელს გავკეცავ და უჯრაში ჩავდებ. ეს ბოლო წერილია... ნატო მიხმობს, მშვიდობით.





აღმოსავლელი არიკო



დავითადაც გურიაში, ჩოხატაურის რაიონში, ულამაზეს სოფელ დაბლაციხეში, იქ არის ჩემი სამშობლო, ნოდარ დუმბაძის კუთხიდან ვარ და ეს მემამაცება, სხვებს აღარ ვასახელებ, ერთი წლიდან ვცხოვრობ ქალაქ თბილისში, იქ დავამთავრე 167-ე სკოლა, რადგან ცუდად ვსწავლობდი, მერვე კლასიდან გამიშვეს პროფესიულ ტექნიკუმში, ვარ სპორცმენი, კერძოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავე, მაქვს პატარა მიღწევებიც, ცოტა ცელქი და ამხანაგების ამყოლი რომ არ ვყოფილიყავი, ბევრად მეტს მივაღწევდი. ჯარი მოვიარე რუსეთში. რომ ჩამოვედი, სპორტი გავაგრძელე, ოღონდ სხვა სახეობით, რომელსაც ბრძოლა წესების გარეშე ჰქვია. დავამთავრე იურიდიული, ვარ პოლიციის ოფიცერი, მყავს მეუღლე და ექვსი შვილი და უსაყვარლესი შვილიშვილი ელენიკო.

...გრძნობა მიუხვდომელი...

ჩემს გულს ავსებს სიყვარული,
შენი სითბო სიშორეც,
სამუდამო დალი მადევს
ამ დარდს ველარ ვიშორებ.

გამიხსენი ერთხელ გული
მითხარი რა გაწუხებს,
შვებას იგრძნობ დამერწმუნე
დასძლევ სულის მარწუხებს.

მე ვაფასებ შენს დუმილსაც
კარგად მესმის ყოველი,
აღარ ძალმიძს უშენობა
შენს სიყვარულს მოველი.

სიშორე მიჯობს
შენგან სიშორე,
გრძნობის მარწუხებს
ველარ ვიშორებ.

დავიკარგები როგორც წვიმა ისე გავქრები
გაგახსენდება ჩემგან მოძღვნილი თბილი ჰანგები,
მუდამ ვიფიქრებ შენზე, მომკლავს დარდები
თუ მოგეკარა გრძნობა მე ისევ მოვალ, შენთან გავჩრდები.
კიდევ რამდენი მოგეძღვნება თბილი ფრაზები
შენს ქალობას და სილამაზეს ვეთაყვანები,
სულ მახსენდება მოკაშკაშე ნაზი თვალები
იმედია, რომ როდესმე გაიღვიძებს
გრძნობა შენში და შეგიყვარდება.

ემიგრანტებს

სამშობლო გენატრებათ
სამშობლოს ენატრებით,
ის უფრო ძლიერია
ემიგრანტებით.

რა რთულია ემიგრანტი დედის ხვედრი,
რომ ავლწერო ეს სიმწარე
არ მეყოფა ასი გვერდი.
რამდენი გაქვთ გულზე სევდა,
რამდენი გაქვთ სულში დარდი,
მძიმე შრომის ფასად ცდილობთ
მომავალი შექმნათ კარგი,
ვისთვის? ისევ შვილებისთვის
ქვეყნისათვის, ოჯახისთვის
რა რთულია ემიგრანტი დედის ხვედრი
გაიხარეთ სულ გფარავდეთ დიდი ღმერთი.

...ემიგრანტებზე...
გამოვიხსნათ საქართველო
ტირანის კლანჭებიდან,
დავაბრუნოთ ჩვენი ხალხი
უცხო ქვეყნის მონობიდან.
იყო დრო რომ გვესეოდა
მტერი ყოველ მხრიდან ხშირად,
და მონებად მიდენიდნენ
ჩვენს ხალხს როგორც პირუტყვს მთიდან.
გადალახა ღვთის წყალობით
ეს მძიმე დრო საქართველომ,
ვერ დააკლო ვერაფერი
ხანმა მეტად სავალალომ.
არ დაკარგეს რწმენა მადლი
გულზე ერთი ჰქონდათ დარდი,

რომ წილ-ხვედრი ღვთისმშობლისა
მიწა-წყალი იყოს ლაღი.
იმულებით იპყრობდნენ და
ჰყავდათ ხალხი მტრებს შავ დღეში,
დღეს კი თავის ფეხით ყველა
თავად მიდის უცხოეთში.
რაქნან სხვა გზა რომ არა აქვთ
ოჯახს კიდევ, ბევრი უნდა,
ერთ ტკბილ სიტყვას არ ეტყვიან
უცხოეთში ჩვენებს თუნდაც.
მძიმე არის ემიგრანტის
საზღვარგარეთ ცხოვრება,
იმედი აქვთ შეიცვლება
დაწყნარდება დროება,
აქეთ ვერო - კავშირი და
იქეთ რუსი დებს ქვირითს,
ამერიკაც ჩვენსკენ იწევს
ვერ ელევა ყველგან ჯირითს.
გვეშველება ნეტავ რამე?
ყველაფერს შეცვლის დროება!
ვუსურვოთ ჩვენს ემიგრანტებს
მაღე სახლში დაბრუნება.

რთული არის ეს ცხოვრება
სანამ შევძლებთ ატანას???
მაგრამ მაინც არ მივყიდოთ
სული ჩვენი სატანას!!!

...

ერთმანეთი დავაფასოდ
სულში ჩავწვდეთ სიკეთეს,
სამყაროში უფლის მადლით
დიდ ბუდეს რომ იკეთებს.
კი რთულია ყოველივეს
რაც დღეს ხდება ატანა,
მაგრამ უფლის მადლით შევძლებთ

ამ ცხოვრების გატანას.

...

სამოთხიდან რომ განდევნა
ხალხი ღმერთმა ოდესღაც,
დაიმკვიდრა აქ მიწაზეც
მრავალ ცოდვის გორებმაც.

...

თუ გვსურს ისევ დაუბრუნდეთ
ჩვენს ზეციურ სამყაროს,
ამისათვის რწმენა დიდი
ყველამ უნდა ამყაროს!

...ნიღაბი...

ნიღაბს რომ ვხდით ადამიანს,
ჯერ ჩვენს ნიღაბს დავხედოთ,
თუ აღმოჩნდა რომ ჩვენ არ გვაქვს,
მერე სხვას გადავხედოთ.

...დიდება უფალს...

უარყოფა უფლისა, უარყოფა რწმენისა, ეს ნიშნავს უარის
თქმას სიყვარულზე, სათნოებაზე, სიკეთის კეთებაზე,
ჯანმრთელობაზე, ბედნიერებაზე, სულიერ სიმშვიდეზე, ცოდვების
მონანიებაზე და რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ზეციურ
სამშობლოში დაბრუნებაზე. გვფარავდეს მუდამ უფალი, ის არის
ჩვენი მხსნელი, ნუ განვშორდებით უფალს და გაგაძლიეროთ
რწმენა...

...ჩემს მიჯნურს...

გავიდა ზამთარი
თოვლი არც გვინახავს,
ნეტავი ზეცა ფიფქებს
სად ინახავს??
მე შენს სიყვარულს
გულში ღრმად ვინახავ,
მსგავსი მე ტროფობა

არსად არ მინახავს.
მიყვარხარ ძალიან
დარდი ხარ ფიქრი,
ოცნებით სულ მუდამ
სადღაცა მივქრი.
ფიფქები ჩნდებიან
მაღვევე ქრებიან,
მიჯნურნი ჩუმ-ჩუმად
ერთმანეთს ხვდებიან.
ჩემი დღეც დადგება
იმედს არ ვკარგავ,
მე შენს სიყვარულს
არასდროს დავკარგავ.

მსურს აგიხსნა სიყვარული
დარდი გაგიზიარო,
ჩემი სული მოღრუბლული
იქნებ გაამზიანო.
ფიქრით დარდით დავდივარ და
კვლავ ოცნება მაცოცხლებს,
იმედი მაქვს რომ შენს გულშიც
გრძნობა გაიმზიანებს.

...მანდილოვნებზე..

ქალი ოცნება
ქალი ტკივილი
ქალი?დარდია
ქალი ღიმილი.
ქალი სიხარული,
ქალი სიყვარული,
ქალი ძვირფასია,
ქალი არნახული.
ქალი ხან ტანჯვაა
თუმცა ღირს ამაღ!!!

...ჩვენთან არს ღმერთი...

ასე იარა იესომ
ის ასე დადის ეხლაც,
ყველა გლახაკს თუ უმწეოს
ხელს გაუწოდებს კვლავაც.
ნუ განვშორდებით იესოს
ის არის ჩვენი მხსნელი,
წყვიადის გამნათებელი
მაგრად ჩავჭიდოთ ხელი.
მეორედ მოდის უფალი
თუმც არც წასულა არსად,
არ მიატოვებს თავის ხალხს
გვერდით იქნება მარად.

თავად ღმერთმა დაანათლა
საქართველოს სიყვარული,
უფალი არს ჩვენთან მარად
მთავარია სინანული.

რა კაცი ხარ?
თუ არ დააფასე ქალი.
მისი სითბო სიყვარული
უდიდესი ქვეყნად ღვაწლი.
შენ თუ შენს თავს არ აფასებ
სხვას ვერასდროს დააფასებ...
ქალი არის სახე ჩვენი
ოჯახის და ქვეყნის,
ვაგრძნობინოთ, რომ გვერდით ვართ
კმაყოფილი დარჩეს ბედის.
ტკბილი სიტყვა ვუთხრათ მუდამ
მთავარია ნუ ვატკენტ გულს,
სიყვარულით გადაიხდის
ღრმად ჩასწვდება ქალი ჩვენს სულს.

სიყვარული არის ცეცხლი
შეკეთება უნდა ხშირად!
თუ რაქრა და ვერ გაღვივდა
დაგიჯდება ძალზედ ძვირად

გული ფეთქავს წყვეტილ რიტმით,
გავგიჟდები შენზე ფიქრით.
დამესიზმრე გუშინ ღამით,
სიზმარშიც კი მავსებ დარდით.
მე მოვიხმობ ჩემთან,
სიყვარულის ანგელოზებს,
გადმოვაფრენ შენთან,
გამოვატან ჩემს ოცნებებს,
გადავცურავ სიყვარულის
ღამაზ მორევს,
იმედი მაქვს მოვიპოვებ
შენს გულს ოდეს.

...სხოვრებისეული...

..(კაცი)...
მიქელ გაბრიელ რისთვის მოხვედი?
რად ჩამოჯექი ჩემს სიახლოვეს?
ცოტაც მაცალე წვრილ შვილის პატრონს,
მათ ნაადრევად ნუ დამიობლებ...
...(მიქელ გაბრიელი)...
განგება არის ასეთი,
ვერეფერს შევცვლი მაგაში,
გამოეთხოვე ოჯახს და,
შემომეგებე ებოში...
...(კაცი)...
შენც დარჩი ჩვენთან ცოტახანს,
გაინავარდე მთა ბარში,
ჩემს ნაცვლად სხვას ნუ წაიყვან,

მე გამოგყვები ზეცაში.
ოღონდ მაცალე ცოტახანს,
გზას გავუკვალავ ჩემს შვილებს,
მერე კი აღარას ვდარდობ,
ცხოვრება საით მატარებს.
...(მიქელ გაბრიელი)...
ნუ გავაგრძელებთ საუბარს,
სხვებიც მყავს მოსაკითხავი,
წავიდეთ რაღას აყოვნებ,
დამთავრდა შენი ამბავი.
...(კაცი)...
სიკვდილის არ მეშინია,
არც მიფიქრია მასზე არასდროს,
რა გაეწყობა წმოვალ,
შენ ხომ არ გესმის, არავის არასდროს...
...(მიქელ გაბრიელი)...
რად მოვევლინე სიკვდილად,
ამაზე ვფიქრობ ხშირ-ხშირად,
არავის უნდა რომ დამაფასონ,
ყველას ერთ ხმად სურთ მე რომ ჩამქოლონ.
თვით სიკვდილიც უკვდავია,
სიკვდილს ვერ მოჰკლავთ ვერასდროს,
როდესღაც მოვა განგების ნებით,
ასე იქნება ყველა დროს.

დავიღალე ოცნებებით
ფრთა-შეუსხმელ ნატვრით,
გადაგვარდა ჩემი გული
ფიქრებით და დარდით.

გამიღიმე ერთხელ მაინც
შვება იგრძნოს სულმა,
წამიერად გაიხაროს
რითმ-დარღვეულ გულმა.

მიყვარხარ ძლიერ მიყვარხარ
ნეტავ იცოდე როგორ,
გადაივიწყე ეგ სიამაყე
ჩემო სიცოცხლე გოგოვ.

ეს რა კარგია ურთიერთობა
ოცნებად მექცა ჩვენი ერთობა,
ყველაფერს კურნავს დროება
რჩეულთა სვედრია იცი დათმობა.

ჩვენი სამშობლო საქართველოა,
ულამაზესი მთა და მდელოა,
სულით ძლიერი ქართველი ხალხით,
დიდად უდრეკი რწმენით და მადლით.
წილ სვედრი მიწა არის ღვთის მშობლის,
ის ხომ ჩვენს გვერდით არის ყოველთვის.
დიდ მფარველობას მოველით ღვთისგან,
კვლავ რომ დავიცვათ სამშობლო მტრისგან.
მხარ და მხარ უნდა დავდგეთ ბიჭები
რომ დავიბრუნოთ ჩვენი მიწები,
კვლავ გამთლიანდეს ისევ ქვეყანა
ვერ იბოგინოს მტერმა ვეღარა...
რამდენმა დედამ ჩაიცვა შავი,
რამდენი კიდევ დაობლდა ბავშვი,
რამდენი ქალი დაქვრივდა ადრე,
ღმერთო გვარგუნე მშვიდობა მალე.
უსამართლობის და ბოროტების
აღმომფხვრელი ხომ ჩვენთან არს მარად,
წმინდა გიორგი წინ წაგვიძღვება
ის დაგვიფარავს ქართველნი ახლაც...

იცინო რა? მე შენ მომწონხარ,
ნურაფერს მეტყვი ამჟამად.
ნეტავ რა ხდება? თავს ვერ ვერევი,
მინდა გავერკვე გრძობებში თამამად.
მოწონებაა თუ უფრო მეტიც?
გული მთხოვს მუდამ ვიყო შენს გვერდით!
სიხარულს მანიჭებს შენი დანახვა,
ხშირად კი ვერ გხედავ, გამორდი სადა ხარ?

რა სასტიკია ცხოვრება ზოგჯერ,
ამ ქვეყანაზე ვერ მოხვალ ორჯერ,
ვცხოვრობთ ალაღად? თუ გვწამს სიკეთის?
უფალი იქნება ჩვენთან ყოველთვის.

...ილია ჭავჭავაძის...

ოი, ბედკრულო ქვეყანავ
ეს რა შავი დღე გწვევია,
წმინდა ილია მართალი
ჩვენს მოძმეს განუგმირია.
ერის ბურჯსა და უდიდეს ქართველს
მოღალატენი მზაკვრულად დახვდნენ,
ყველაზე დიდი სირცხვილი ჩვენი
იგი განგმირეს ქართველის ხელით.
უსამართლობის ხანა დამთავრდა
რამდენი ემსხვერპლა გმირები ჩვენი,
მათი დევიზი სისხლის ღვრა არის
გადაშენება ქართველი ერის.
არეულობა და კვლავ ომები
ქვეყანას ჯიჯგნის აგრესორები,
ვერ გაძღნენ სისხლით არაკაცები
თავს არ ზოგავენ ჩვენი ბიჭები.
ნათელში იყვნენ ჩვენი გმირები
სამშობლოსათვის დაღუპულები,
არ შევარცხვინოთ სახელი გმირების
არ შევარჩინოთ მტერს სისხლი ბიჭების.

...გალაკტიონ ტაბიძეს...

თავის ნებითვე მივიდა
არ დაელოდა განგებას,
ვერ შეეგუა სიყალბეს
ქვეყნიურ უსამართლობას.
პოეტი იყო მგოსანი
სიყვარულს გულით აფრქვევდა,
მას, პოეზიის მეფესა
ხალხი არქმევს და არქმევდა.
იმსახურებდა გალაკტიონი
მეფეთა შორის მეფობას,
უძღვნიდა მუდამ სტრიქონებს
სიყვარულსა და ერთობას...

...ვაჟა ფშაველას...

სიცოცხლეშივე ვაჟაო
ვერ დაგაფასეს კარგადა,
მარტო იყავი ლოგინად
მნახველ არ იყო მრავლადა.
ძლიერ სტკენდა გულს ფშაველას
მეგობართ ამგვარ ცდომება,
ასე ამბობდა, სიკვდილის შემდეგ
ფასდება ხალხთა ცხოვრება.
ყოველი ფრაზა მგოსანის
სიმართლით გაჟღენთილია,
და თითო სიტყვა პოეტის
ცრემლებით დაწერილია.
ბევრს არ მოსწონდა მისი შემოსვლა
რადგან იხილეს მათზე ბრძენია,
ის შეამჩნია წმინდა ილიამ
მან აღიარა დიდი გენია.
დღეს კი მსოფლიო იცნობს ფშაველას
მრავალ ენაზე თარგმნეს ყოველი,
არწივთ კუთხიდან, თავად არწივი
მასზე უკეთესს ვიღას მოველით.

გაზაფხული რომ დადგება,
ყვავის ნაზად, მთა და ველი,
ყვავილებით იქარგება,
დედამიწა მომხიბვლელი.
ღვთაებრივი სურნელი აქვს,
გაზაფხულზე, ყველა ყვავილს,
დარწმუნდებით თქვენ ამაში,
ერთხელაც რომ, ნახავთ მაინც.
ფრთხილებენ, ჭიკჭიკებენ,
აშენებენ ბუდეებს,
პაწაწინა ჩიტუნები,
დარაჯობენ ჟღურტულებს.
გაიღვიძა ბუნებამ და
მზე ელვარებს, კამკაშებს,
ასეთია გაზაფხული,
ყველას უყვარს აფასებს.

მე სიყვარული მინდა მოგიძღვნა, მეტად გულწრფელი,
მე სიხარული მსურს შენთვის, ბევრი უღევი,
სითბო ალერსი მინდა მხოლოდ შენი და გელი,
ვიცი არასდროს დაწყნარდება გული, შენს პასუხს ველი.
ნეტავ თუ ფიქრობ ჩემზე, ნეტავ ვიცოდე,
მე შენს გარეშე, დარდი არ მაქვს,
გინდ ცეცხლში ვიწვოდე,
სიყვარული მაქვს შემოჭრილი, მეტად გულწრფელი,
უსიყვარულოდ მხოლოდ დარდია გულში, სევდა უღევი...
რით ვინუგეშო გული იქნებ მასწავლო,
სიმშვიდისა და სიხარულის დიდო წამალო,
ჩემს სულს ედები, ვით დაჭრილ სხეულს შვების მალამო,
რა გზას ვეწიო, ან რით დავიპყრო შენი გული,
ჩემო ლამაზო.
არ მეკარება ძილი ძვირფასო, არც დღე არც ღამე,
და მივაცილებ გამთენიის ხანს, ჩამავალ მთვარეს,
ამოვა მზე და ლამაზი სხივებით, გაათბობს მთა-ბარს,

ისევ იმედით დაველოდები, შენს გამორჩენას.
სიცარიელე ბატონობს გულში უსიყვარულოდ,
კვლავ უფალს შევთხოვ, არ დაასრულოს დღე უიმედოდ,
რავქნა ვერ ვპოვე მე სიმშვიდე, მიმძიმს უშენოდ,
გთხოვ არასოდეს არ მომექცე შენ მე უგულოდ.
მე მოთმინების ამევსება ალბათ ფიალა,
დავძლევ სიმორცხვეს,
გადაგიშლი მთელს გულს მთლიანად,
მინდა გაიგო, რა მჭირს სულში, რამ გამამწარა,
იქნებ იმედიც მომცე, თუნდაც ცოტა, ძალზედ პატარა.
მსურს რომ შენს გულშიც გაიფიქროს, ამ ნაპერწკალმა,
მაღე ჩამოჰკრას ამ სანატრელმა წუთმა და წამმა,
მინდა ავიხსნა, რას გრძნობს გული ეს დადაგული,
თუკი გამიგებ, მაშინ მიხვდები რად ვარ ტანჯული...
სიყვარული მაქვს გულში გამეფებული,
არა არ მინდა, ოცნება დამრჩეს აუხდენელი,
რად ხარ ასეთი უკარება მიუწვდომელი,
სიყვარულისთვის შექმნა ღმერთმა ყოველი.
გულის კარები რად გაქვს ძვირფასო გამოკეტილი,
ძლიერ მიყვარხარ, გთხოვ რომ არ იყო, შენ უღმობელი,
მარუქე გრძნობა კეთილშობილი, დაუცხრომელი.
შენზე დარდი მკლავს, სევდა და ფიქრი,
რით დავიწყნარო გული მე რითი,
ხან იმას ვფიქრობ გადავიკარგო,
აღარასოდეს აღარ ვიდარდო.
შესაძლებელი არის ეს განა?
ვეღარ გივიწყებ, რა ვქნა ვეღარა,
შენსგან სიშორეს მე ვერ ავიტან,
ამ სიშორეოვს, ვერ გადავიტან.
ისევ უძილო ღამე მომელის,
და გათენება იმედის დილის,
შენი ხილვაც კი, მაწყნარებს იცი?
ეს ხომ შვებაა ჩემთვის, თან დიდი.
მე სიყვარული მინდა მოგიძღვნა, მეტად გულრწეფელი,
მე სიხარული მსურს შენთვის, ბევრი უღევი,
სითბო ალერსი მინდა მხოლოდ შენი და გელი,
ვიცი არასდროს დაწყნარდება გული, შენს პასუხს ველი..

...ემიგრანტებს...

რაც მთავარია ეს ერთად-ერთი,
ემიგრანტებო გფარავდეთ ღმერთი...

ვიცი რთულია სამშობლოსაგან
შორს წასვლა სადღაც გადაკარგულში,
ბევრ წყენას იტანთ უგულოთაგან
მაგრამ ივიწყებთ არ ტოვებთ სულში.

ასეთი არის ქართული სული
ასეთი არის ქართული აღზრდა,
არ ვიბოლმებით ვპატიობთ მუდამ
გულის სიღრმეში კი რჩება დარდად.

რით შემიძლია რომ განუგეშოთ
ალბათ პატარა ლექსის სტრიქონით?
სამშობლოსაგან შორს სადღაც უცხოოდ
ოჯახისაგან განმარტოვებით.

სიტყვით ვერ აღწერს ადამიანი
თუ რას გრძნობს ემიგრანტი
მუდამ დარდიანი...

იცით გეტყვით რომ უნდა გამაგრდეთ!
რომ აღასრულოთ თქვენი ოცნება,
რის გულისთვისაც ამ ლამაზ წუთებს
თქვენს ოჯახს წირავთ გელღებათ გონება.

რაც მთავარია ეს ერთად-ერთი,
ემიგრანტებო გფარავდეთ ღმერთი...

...დედა შვილობას...

დ-ავლოცოთ დედები
ე-ცოცხლოთ ბევრ-ხანს,
დ-ედაზე თბილი
ა-მ ქვეყნად არ გვყავს,
შ-ვილებზე ამაგი მუდამ და მარად,
ვ-ერასდროს მშვიდდება, გულზე აქვს დარდად,
ი-ს რომ, შვილებმა იცოცხლონ კარგად.
ლ-ოცვა გვდევს დედის, ჩვენ უდიდესი,
ო-ღონდ ჩავწვდეთ და მადლია უღრმესი,
ბ-ერდება დედა, გადიან წლები,
ა-რც კი იმჩნევენ, გფარავდეთ ღმერთი,
ს-აიდან მოდის ზღვა ენერგია?
ი-მას ფიქრობთ სულ, შვილებს რა გვარგია,
თ-უ აღეზარდა შვილები კარგი,
ბ-ედნიერია ამ დიდი მადლით.
ო-როგორ მინდა იცოცხლო მრავალ წელს,
ა-ღარ გყავთ დედა? ნათელი მათ სულებს,
დ-ავლოცოთ დედა და გაუმარჯოს დედაშვილობას,
ი-მხელა სითბო აქვს, ამ ულამაზეს სათუთ ერთობას,
დ-ალოცვილია ღმერთისგან,
მუდამ ვაფასებთ ამ ღვთიურ გრძნობას,
ი-ხარეთ მუდამ, უფლის წყალობით ყველას გისურვებთ,
დედაშვილობის სითბოს შეგრძნებას.

და თუ ჩვენს შორის სიყვარულის ხიდს
დაებედება ჩამოშლა ნგრევა,
გამიჭირდება მე უშენობა
და ვერც გავუძლებ ამ ტკივილს ვერა.
მე ხელისგულზე მინდა გატარო
მხოლოდ იას და ვარდს შეგადარო,
მომეცი უფლება ვიზრუნო შენზე
და ვერ იხილავ ბედნიერს ჩვენზე.
ნუ გაანელებ გაღვივდეს გრძნობა
უდიდესია შენს მიმართ ტრფობა,

შენა ხარ მხოლოდ ჩემი ოცნება
და ერთად ერთი ბედნიერება.

ჩემი სიყვარულით
აღარ შეგაწუხებ,
აღარც თავს მოგახვევ
სევდიან რითმებს,
წავალ გავუყვები
ჩემს გზას მე ოთხივ მხრივ,
და მივეცემი მწუხარე ფიქრებს.
ეს ყოფილა ჩემი ხვდედრი
ეს ყოფილა ჩემი ბედი,
თუ ასეთი უიღბლო ვარ
რატომ გამაჩინე დედი.
ვეცდები, რომ არ დავეცე
გაძლიერდეს ჩემი სული
დღე და ღამე უფაღს შევთხოვ
კვლავ მოვიგო შენი გული.

სული ამიფორიაქე,
სიმშვიდე მაქვს დაკარგული,
მთელს სიცოცხლეს განაცვალებ
ოღონდ გადამიღე გული.
თუ ჩაწვდები სულის კარნახს
შენ მიხვდები ძალზედ მრავალს,
არასოდეს დავიღლები ტრფობით
შემიყვარდი მთელი გრძნობით.
არ მგონია რომ ცალმხრივად
გაგრძელდება ჩემი ტრფობა,
ვფიქრობ, რომ შენც მოგეკარა
გაიღვიძა დიდმა გრძნობამ.
ქალს სჩვევია და უხდება
დაფასება თავის,
ზედმეტს ნულარ მოინდომებ

გადაცდომას ზღვარის,
სულმა თუკი იგრძნო
შემოტევა ზვავის,
შენ გწვევია სიყვარული
შეიგრძენი ძალა მადლის.

ზღვის პირას იჯდა დამწუხრებული
და მასთან ერთად ზღვაც კი ფელავდა
რა ჰქონდა დარდი ამდენი სულში?
რომ არავისთვის თქმა არ ეწადა.
სიყვარულია მიზეზი ალბათ,
ამ ლამაზმანის გულის ფრთხილის,
თითქოს ტალღებიც თანაუგრძნობენ
ეხეთქებიან ერთურთს ხშიანნი.
რა ლამაზი ხარ პატარა ქალო
ვინ გაწყენინა ასე ძალიან?
შენ დაიფარე მიეც ნუგეში
გადმოაფარე კალთა მარიამ.

ცხრა მთის გადავლაც
რომ დამჭირდეს
მუხლებზე ჩოქვით,
მე მაინც მოვალ შენთან
სათუთი ტრფობით.
და გეტყვი მიყვარხარ
ჩემო ძვირფასო,
ჯერ არ ნახული
არც გაგონილი
ძლიერი გრძნობით.
ჩვენმა სიშორემ დამარწმუნა
როგორ ძალიან მიყვარხარ,
ჩემი ოცნების ქალო
შენ მხოლოდ ერთადერთი ხარ.

სიყვარულო, რად ხარ ასე ფრთიანი
დაიმონე ყველა ადამიანი,
შენს მონობას მე ვუსურვებ სუყველას
ბოლოს გვირგვინს და დიდ ბედნიერებას.

ასეთია სიყვარული
რას გაუგებ ნეტავი,
შემოვა და დაიბუდებს
ვეღარ წაშლის ვერავინ.

გული არასოდეს ბერდება...

ვფიქრობ დამეთანხმებით, ჩემო კეთილო ხალხო და მეგობრებო, რომ გული არასოდეს ბერდება, ის ისევე ისეთივე რჩება, როგორც ბავშვობაში იყო. ჩვენ წლები მოგვემატება, გარეგნობაც შეგვეცვლება, მაგრამ გული შეუცვლელი დარჩება, თუნდაც ასი წლის გავხდეთ. საოცარია ჩვენი სიცოცხლე მართლაც, შეიძლება ადამიანმა იფიქროს რომ, როგორ შეიძლება ხანში შესულ ადამიანს და ახალგაზრდას ერთნაირი ხედვა ჰქონდეს ცხოვრების მიმართ. სწორედ ეს არის საინტერესო, რომ გული იგივე რჩება, არაფერი იცვლება, და ისევე სწყურია სიცოცხლე ხანდაზმულ ადამიანს როგორც ახალგაზრდას. დიახ გული არასოდეს ბერდება და დაბადებიდან ღრმა სიბერემდე, სამარის კარამდე უცვლელი რჩება.

რა არის გული?
გული გულია.
უგულობა კი,
ძალზედ რთულია.
გული ბოროტი,
გული კეთილი,
არსებობს ავიც,
და მეტად ნაზიც.
გული მაგარი,
და გული რბილი,
გული თბილია,
ხანაც კი ცივი.
დავფიქრდეთ ღრმად და,
ვკითხოვ ჩვენ ჩვენს თავს,
როგორი გულით,
ვუცქერთ ცხოვრებას.

როცა გრძნობები ფარგლებს გასცდება
სიმპატიაზე მეტი რამ ჩდება,
სულში და გულში თუ აგდის აღმური
ეს ნიშნავს გწვევია შენ სიყვარული.

არასდროს ვეცადოთ სხვისი დამცირება
თორემ დავმცირდებით თავად,
სინდისი წმინდა გვაქვს? გული კეთილი?
ღმერთი დაგვიფარავს მარად.
თუ ბოროტება გაივლეს გულში
ჩვენ უპასუხოთ სიკეთით,
ამას გვასწავლის უფალი
მუდამ იყავით იმედით.
ასე გაივლის ჩვენი ცხოვრება
ყოველდღე მოხდება რაღაც ახალი,
რასაც ვუსრუვებთ ერთმანეთს
ის მოგვეცემა მრავალი.

რა დამავიწყებს, შენს ლამაზ სახეს,
მე ხომ შემთხვევით, ქუჩაში გნახე.
ჩამიარე და სულიც გამოგყვა,
ვერ გაგიბედე, იმ წამს რომ მეთქვა,
როგორ დაიწყო, ამ გულმა ფეთქვა.
გული ამგერდა, ჩქარი რიტმებით,
შენსკენ იწევდა, კეთილ მიზნებით,
მეგონა ვპოვე, ჩემი სიცოცხლე,
ვისაც ვეძებდი, მთელი სიცოცხლე,
ჩაიარე და გაქრი, ერთ წამში,
მე კი ვიდექი ისევ, იქ ხალხში,
ტკბილ მოგონებად, დამრჩა, ეს სახე,
მე ხომ ის გოგო, ვეღარსად ვნახე...
ჩემი ოცნების, ქალად იქეცი,
დარდად და ფიქრად, გადამექეცი,

ყოველ დღე ძლიერ, უფალს ვთხოვ ამას,
თუ კიდევ მომცემს, მე ერთხელ ამ შანსს,
რომ შემხვდე სადმე, გადაგეხვიო,
ჩემი გრძნობების, ალში გაგხვიო...

...სადღეგრძელო სიყვარულზე...

ეს სასმისი კი იმ გრძნობა ეძღვნება,
რომლის გარეშეც სიცოცხლე ძნელდება,
გული ძგერდება სული მიმდებია
თითქოს ამ ქვეყნად დროც კი ჩერდება.
თუ გაგვიმართლა სიყვარულში და
იმ წამიდანვე ცხოვრება გრძელდება.
სიყვარულია ყოვლის შემძლები
ბოროტების და ავის დამძლველი,
ფეხზე ავუდგეთ ამ გრძნობას ლაღად
და გაუმარჯოს სიყვარულს მარად!

...წინაპრებზე..

გავაძლიეროთ რწმენა ნამდვილი,
რამდენი სისხლი არის დაღვრილი,
რამდენი გმირი ეწამა, რისთვის???
შესავედრებლათ სამშობლოს ღვთისთვის.

გურიანზე (სახუმარო)

ჩემი ლამაზი გურია,
იქ სიყვარულის ბუშია,
ხალხი ხომ მეტად ძმურია
ულამაზესი სული აქვთ.
მშვიდობის სადღეგრძელოთი
იწყება მუდამ ქეიფი,
თქვენ მისი ძალმნიშვნელობა
უხსოვარ ხნიდან ქე იცით.
ბევრ ულამაზეს ადგილს იხილავთ
თუნდაც იხილეთ ბახმარო,

მთის და ზღვის შერწყმულ
ჰაერს ისუნთქებ,
და გასუქდები გამხდარო.

...სამშობლოზე...

მუდამ გვენახოს ქართველი ერი გახარებული
და საქართველო აწ და მარადის აყვავებული,
გამთლიანდება ჩვენი სამშობლო გაძლიერდება
უფლის წყალობით ამის იმედი არ განელდება

გთხოვ მაპატიე გული თუ გატკინე,
სევდა თუ მოგგვარე ცრემლი თუ გადინე,
მაგრამ ასე სჯობს გავერკვეთ გრძნობებში,
დაუფიქრებლად ნუ შევალთ მორევში.

...მამა გაბრიელზე...

უფალს კვლავ შესთხოვს
წმინდა გაბრიელი
როგორც ყოველთვის,
მაღე დასრულდეს საქართველოში
დღენი გოდების მწარე ომების.

...

წმინდა მამა გაბრიელო
უფლის მუდამ მადლიერო,
გამთლიანდეს მიწა-წყალი
შენი ლოცვით გთხოვთ ძლიერო.

...

გახსნეს საფლავი გაბრიელისა
დიდი მადლია ქართველი ერისა,
არ მოჰკლებოდეს სამშობლოს
ლოცვა კურთხევა წმინდა ბერისა.

...სადღვებრძელო მანდილოსნებზე...

ქალი სინაზე და ქალი სიხარული
ქალი ოცნება და დიდი სიყვარული,
რა ჩადო ასეთი უფალმა თქვენში
სულის სიმშვიდეს რომ არღვევს ჩვენში.

...

თქვენა ხართ ქალებო სიცოცხლის არსი,
უთქვენოდ ცხოვრებას არ ააქვს აზრი,
გულწრფელად მინდა იცოცხლოთ კარგად
მაღალი ღმერთი გფარავდეთ მარად.

...

ხელში მაქვს სასმისი, კვლავ მინდა დაგლოცოთ,
სულ წარმტებებში გამჩენმა გამყოფოთ,
გლოცავთ და გლოცავთ კეთილი გულით
მუდამ ძლიერნი იყავით სულით.

...

ღმერთმა ინება ადამი შექმნა
შემდეგ კი მის ძვლისგან მან ქალი შექმნა,
იმ დღიდან დაიწყო კაცთა სიმფოთე,
უკუნისამდე ასე იშფოთებს.

...

ეს სამუდამო დაღსა ჰგავს სულში
თუ ჩაუვარდი როდესმე გულში,
არ გადათელავს არასდროს გრძნობას
მუდამ პატივს სცემს ქალი ჩვენს ტრფობას.

...

მაშ შევახვედროთ გრძნობაზე გრძნობა
ნუ გავიცრუვებთ იმედებს ნდობას,
ბედნიერები გინდათ, რომ იყოთ
მათი გულები უნდა დაიპყროთ.

...

ქალი სინაზე და ქალი სიხარული
ქალი ოცნება და დიდი სიყვარული,
რა ჩადო ასეთი გამჩენმა თქვენში
სულის სიმშვიდეს რომ არღვევს ჩვენში.

ყველაზე ლამაზები
ყველაზე ნაზები,
კაცთა არსებობის
დიდი აზრები,
ჩვენი ვარდები და
ჩვენი დარდები,
მუდამ გვიყვარხართ
და გვეყვარებით,
მანდილოსნებო
გვეამაყებით.
მოდგმათა ოცნება
და გაოცება,
სამყაროს სინაზე
და სილამაზე,
არ არსებობს და
ვერც იარსებებს,
ქალზე ლამაზი
ამ ქვეყანაზე.

ქალი ლამაზია
ქალი ნაზია,
სამყაროს
არსებობის დიდი აზრია.
ქალი ვარდია
და ქალი დარდია,
მგრძნობიარეა თბილია ძალიან,
თუკი შეგიყვარა
აღარ დაგივიწყებს,
თავდადებულები ტრფობაში არიან.
მუდამ გავუფრთხილდეთ
გრძნობებს ჩაუფიქრდეთ,
რომ არ მოვინანოთ
შემდგომში ძალიან.
ქალი ლამაზია
ქალი ნაზია,
სამყაროს
არსებობის დიდი აზრია.

ამომავალ მზესა ჰგვანან
სამყაროში ქალები,
უფრო ლამაზს რას იხილავს
ნეტავ ჩვენი თვალები.
ნუ ვიქნებით, ქალის მიმართ,
მწარეები ავები,
თორემ წავა და გაქრება,
ჩვენ დაგვრჩება დარდები.

ჩვენ ორს-შორის უფსკრულია დიდი,
მსურს რომ ერთად ავაშენოთ ხიდი,
ხიდი, ხიდი, დიდი სიყვარულისა,
დალოცვილი ოდითგანვე უფლისა.

სიყვარული უფრო ღრმაა
ვიდრე ყველა უფსკრული,
როცა გიყვარს ვერ ისვენებს
ფორიაქობს სულ-გული.


დაამარცხებს ყველგან მტრობას
გაიდება უფსკრულის ხიდი,
ასეთია სიყვარული
გაფრთხილება უნდა დიდი.

უნდა იყო ძალზედ თბილი,
სიყვარული თუ გსურს მშვიდი,
მის გარეშე არსებობა,
ტკივილია მეტად დიდი.

რომ შეიძლებოდეს ჩემი იქნებოდი მუზა,
შენთან ახლო-მახლოს, ჩავუშვებდი მე ღუზას,
სადღაც ოცნებებში მოგიალურსებდი თბილად,
ვიცი არასოდეს რომ არ მომექცევი ცივად.

...მივუძღვენი შეყვარებული წყვილის საბედისწერო გადახტომას ხიდიდან.

ბოლო ჩახუტება,
ბოლო ამოსუნთქვა,
და კიდევ ერთხელ
ვუთხარით ერთმანეთს,
მიყვარხარ, მიყვარხარ,
ვიმეორებდით,
ასეთი რა შევცოდეთ
მაღლა ღმერთს.
ამ ქვეყნიურ სიყვარულის
დამტკიცებას ვცდილობდით,
ვეზიარეთ მარადიულს
ერთად, ერთად, ვიდოდით.
ჩვენ ვერ გაგვყრის, ვერც სიკვდილი,
ვერა-ძალა ვერასდროს,
ეშმაკ წამით გაიხარა
ის მარცხდება ყველა დროს.
თუკი სადმე შეისმევა
სიყვარულზე ფიალა,
ერთი სიტყვა ჩვენზეცა თქვით
დარდმა გადაიარა.
ჩაეხუტეთ ერთმანეთს და
სულ იმრავლეთ იხარეთ
ასეთი რამ არასდროს,
ჩაიდინოთ, იცოდეთ!





აბულაძე ნანა



დაიბადა 1979 წლის 8 მაისს ხულოში. 1996 წელს დაამთავრა სოფელ უჩხოს საჯარო სკოლა, 1997 წელს ჩაირიცხა ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 2002 წელს დაამთავრა.

ნანა აბულაძეს ხულოს მუნიციპალიტეტის საზოგადოება იცნობს ლექსებით, ჩანახატებით, წერილებით, ნოველებით, მოთხრობებით. მისი ლექსები იბეჭდებოდა პერიოდულად გაზეთ „ხულოს“ ფურცლებზე. 2007 წელს ჟურნალ „ჭოროხშიც“ დაიბეჭდა რამდენიმე ლექსი. 1998

წლიდან მუშაობს უჩხოს საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 2011 წელს წარმატებით ჩააბარა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. მისი ლექსების დებიუტი გაზეთ „ხულოში“ შედგა. პირველი რეცენზია გაზეთ „ხულოში“ ნარგიზ დეკანაძემ გაუკეთა, ხოლო მწერალთა კავშირში ჟუჟუნა შაინიძემ დაულოცა პოეზიის სამყაროსაკენ მიმავალი გზა. იგი არის წიგნის „ჩემი სარკმელის“ ავტორი, რომელიც 2007 წელს გამომცემლობა აჭარამ გამოსცა ლალი კონცელიძის რედაქტორობით, მისი წიგნის პრეზენტაციაც ლალის ხელმძღვანელობით იმავე წლის 11 მაისს მწერალთა კავშირში შედგა, რომელსაც აჭარის მწერალთა საზოგადოება ესწრებოდა. იმავე წელს შეხვედრა მოუწყეს ორი ახალგაზრდა ბათუმელ პოეტთან ერთად ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. ახლა კი ეს ნიჭიერი ქალბატონი ჩვენი კრებულის ერთ-ერთი ავტორიცაა... გზა დავულოცოთ მას!!!!!!

გულახდილობა

ვიგონებ სიხარულს, სხივჩამქრალს,
სიყვარულს - ზვავ-მეწყრით დაფარულს,
მინდორ-ველს - ნისლისგან გადამზრალს,
კოშმარებს - ჯარივით დარაზმულს.
ჩამიქრა იმედის ლამპარი,
დამემსხვრა ოცნების სამყარო...
გრძნობებით ვიცლები და მაინც
არ მინდა ფარ-ხმალი დავყარო!
ყურს ვუკვებ ჟრიამულს ჩიტების,
მე მათი ჭიკჭიკიც მახარებს...
მსურველი მეტის არ ვიქნები,
ამ ქვეყნად არ ვითხოვ არაფერს, -
ვცხოვრობდე ქართული ზეცის ქვეშ,
ვსუნთქავდე სამშობლოს ჰაერით,
წუხილი გავანდო ქარ-წვიმებს,
ვცოცხლობდე მე ჩემი ლექსებით.

არ მინდოდა დამეწერა არაფერი,
მაგრამ მაინც ვწერ.
არ მინდოდა დაენახათ ცრემლი ჩემი,
მაგრამ თავს ვერ ვძლევ.
გულისტკივილს ვერ ვუშვებ ვერაფერი -
სევდასაც კი ვერ...
მე ვწერ ისე,
როგორც ვცხოვრობ ქვეყანაზე,
ვცხოვრობ ისე,
როგორადაც ვწერ.

ახლა ვარსკვლავები ცაზე კიაფობენ,
მთვარეც დამყურებს ზეციდან მეფურად,
ციმციმა ვარსკვლავები შენზე მიაძობენ,
ო, ისე ნარნარად...
და ისე კეკლუცად.

ო, ისე კარგია ახლა ღამის ზეცა,
ისეთი ღამაში, ისეთი უსაზღვრო.
და ისე კარგია შენი გახსენება,
არ ვიცი განცდებს გზა
რით შემოვუსაზღვრო.
ბედი ქურის
ყველაზე საცოდავი,
ყველაზე მომთმენი
ყოფილა ქურა.
მის ქელვას,
მის თელვას,
ზედ წიხლით შედგომას
ბოლო არ უჩანს.
რაც უნდა იტანჯოს,
სიტყვა არ დასცდება,
ითმენს და ითმენს
და როცა იბზარვის,
ეს - მისი ტკივილის ბზარია იქნება!

გახსოვს?
გინდოდა ჩემს სიყვარულს მოფრთხილებოდი -
და არაფერი გამოგივიდა.
-გულს ნუ გაიტეხ! -
ზუსტად ასე მეუბნებოდი,
სველი ფიქრი რომ სევდას მიშლიდა.
მივაბიჯებდი ცისფერ ბილიკზე,
ანგელოზივით დაფრინავდა თეთრი იმედი.
მე თითქო ზღვიდან გავუბრბოდი
მწუხარ ოცნებას
და წვიმისფერი მარგალიტის კრთოდა ღილები.

დავწვი, დავფერფლე,
რასაც ვწერდი ოცნებით შენზე,
ცეცხლმა დანაცრა
ჩემი გულის გამოძახილი,
ქარმა გაფანტა,
გააბნია ბალახზე, ველზე...
ვიდექ მდუმარი
და მცვიოდა ცრემლი ვაზივით.

დაო, ძვირფასო!
ღრუბელთა შუა გამოკრთა
მზის სხივთა ელვარება
და მინდა, დარჩეს სახსოვრად
ამ ლექსთა მღელვარება.
დაო, ძვირფასო! მე გული
მექცა ლექსების მონად,
შენს გარდა ჩემი ძახილი
სხვა არვინ გაიგონა.
როცა ამას ვწერ, ჩემს გულში
სევდის ბორანი ცურავს
და შავი ზონრით შემოსილს,
დავყურებ დედის სურათს.
დაო, ძვირფასო! მხოლოდ შენ
გამომიწოდე ხელი,
როცა ტირილი მახრჩობდა,
შენ შემიმშრალე ცრემლი.
ჩემს ლექსებს შენგან ეყოფა
ცრემლით გამოსარჩლება
და მინდა დაგრჩეს სახსოვრად
ამ ლექსთა მღელვარება.

დღეს აღარ მინდა ამინდი წყნარი,
მინდა, რომ იყოს გრიგალი, ქარი.
მსურს ქარიშხალი მეძგეროს გულზე

სეტყვად და გრგვინვად, ვით მიწის ხნულზე.
მწყურია წვიმა, მწყურია წყალი,
რომ ნიაღვარის დატოვოს კვალი,
მინდა ამინდი მოვიდეს წარღვნად,
ჩემი გრძნობების და ფიქრის მსგავსად.
მსურს ქარაშოტში შევიგრძნო თავი,
ავკრიფო ლექსად რითმის თავთავი.
მწყურია წვიმა, მწყურია წყალი,
სეტყვა, გრიგალი და ქარიშხალი...
ზვირთები ზვირთებს შეასკდეს ლექსად
და სტრიქონები გაიჭრას ველად,
გადამატაროს მთა-ბარი, კბოდე
და ჩემი ლექსის სიცოცხლით მოგკვდე.

ვკონებ, დასრულდა ღრუბლის მხარეში
ლურჯი ზღაპარი.
აღარც თიბათვე, აღარც მზე და
აღარც „გალია“,
და არც თვალები ჩუმი ვედრებით
არ ამხელენ გულის ხვაშიადს.
...ღრუბლის კაბა წვიმის სირმებით
თურმე ისევ,
ისევ მაცვია...

ზეცა ზოგჯერ
ავად მოიღრუბლება,
თავსხმა წვიმა
დაეშვება თავქვე,
მერე უცებ
მზის სითბოთი ბრწყინდება,
სხივთა ჩქერი დაიღვრება წამსვე.
ზოგჯერ მთებზე
მწვანე ფერი ხასხასებს

და ცხვრის ფარა
ცვრიან ბალახს მოძოვს,
მოვა დრო და
თოვლი თავის თავსაბურს
დაახურავს
შემოდგომის ბოლოს.
როს წაბლის ხეს
აკვნისათვის მოჭრიან,
სიხარულით
აღვსილი გვაქვს გული,
მაგრამ ბოლოს
დაახვევენ შავ ზონარს
ვიღაცისთვის
ქრება გაზაფხული...
და ჟამთა სვლაც
უსასრულოდ მიიწევს,
ხან მშვიდობა,
ხანაც ღელვა გვაგვებს...
მაგრამ ზოგ კაცს
კაცი თურმე არ ჰქვია,
კარგკაცობას
ნიღბად დაატარებს.

ზურაბ გორგილაძეს

დრო მიგელავს, როგორც რაში,
თოვლის ფიფქი გვედება.
გული გულობს ისევ მაინც,
გული არ დაბერდება.
დრო თუ მიდის, დე, წავიდეს,
სითბო მას არ გაჰყვება,
პოეტს თავის ჩუმი დარდი
დღენიადაგ დაჰყვება.
პოეტს მუდამ სტკივა რაღაც,
სული თოვლით ევსება
და სათუთი, ნაზი გრძნობით

დედულ-მამულს ვეღება.
„ჰოიდა ნანა“ სიმღერაა,
„ოჰოი ნანა“ კვნესაა,
ფიქრის სულის სავანეა,
დათმენა და რწმენაა.
საქართველო სიმღერაა,
საქართველო დარდია,
მისი თითო გოჯი მიწა
სალოცავი ხატია!
ეს ცხოვრება სიმშვიდეა,
ეს ცხოვრება ღელვაა,
„ჰოი ნანა“ სიმღერაა.
„ოჰოი ნანა“ კვნესაა...
დრო მიგელავს, როგორც რაში,
წლები წლებს ემატება,
გული გულობს ისევ მაინც
გული არ დაბერდება.

თიბათვე იყო,
და მზის ნათელს გვჩუქნიდა ზეცა,
ჩუმი ფიქრები დაეფარა სითბოს და სევდას;
იყო ღიმილი,
ვედრება და სინაზე ფერთა
და იმ ოცნებას
ჩვენი ლურჯი ზღაპარი ერქვა.

თოვს.
უხვად ცვივა თოვლის ფანტელი,
ცას დაუხურავს რუხი მანდილი.
სული ივსება თეთრი ვარდებით,
ფიქრი ფიფქივით დნება დაღლილი.
სევდიანია ჩემი სარკმელი...
თოვს...
უხვად ცვივა თოვლის ფანტელი.

ისე მინდა შენი ნახვა,
ისე მინდა,
გული ლამის საგულედან გამიფრინდა.
ისე მტკივა უშენობა,
ისე მტკივა,
მონატრების სევდამ
სულიც ამატკივა.
დამემგერა ზამთრის ქარი უჯიათად,
სულ წამართვა იმედები,
რაც გამაჩნდა,
მხოლოდ შენი სიყვარული, სანატრელო,
ქარიშხალმაც ვერ წამართვა,
ვერ წამართვა.

ისევ იფეთქა ალუბლების თეთრმა კვირტებმა,
და სტრიქონები ჩამეღვარა სულში მზესავით.
ისევ ჩაიცვა თოვლისფერი კაბა აპრილმა,
ფერად ოცნებას ვერ წაუვა გული ვერსაით.
ჩემს გულშიც ფეთქავს გაზაფხულის თოთო კვირტები,
სიცოცხლეს ჩემი აპრილივით აყვავილდება.
მინდა, რომ იყოს გაზაფხული, სულ გაზაფხული,
ზეცის კამარა როცა ღურჯად მოისარკება,
მაგრამ რა არის ზეცა თუკი წყნარია მხოლოდ,
თუკი ქარბუქმა არ შეგვაკრთო რა აპრილია,
და თუ ჩემს სულშიც ქარიშხალმა არ გაიფლავა,
არ ამაღლავა, არ მაშფოთა, რა სიცოცხლეა!..
ისევ ჩაიცვა თოვლისფერი კაბა აპრილმა...

ისევ სავსეა სული ცრემლებით,
გული - სამართი,
მზერა - ტკივილით.
ისევ დაჰქრიან ლურჯი მუზები
ჩუმი ნათებით,
ჩუმი ჩურჩულით.
ახლა მართო ვარ და ეს ცრემლები,
დარდი და სევდა ისევ ჩემია,
ისევ ჩემია უთქმელი ტანჯვა
და მოგონებაც ნისლისფერია...
ისევ სავსეა სული ცრემლებით.

მე დავინახე უძველესი ეგვიპტის მხარე

მე დავინახე
უძველესი ეგვიპტის მხარე
და ჩემთვის უცხო პეიზაჟით ვარ გარემოცული.
ნაპრალებსა და
ხეობებში მკაფიოდ მოჩანს
ლურჯი ცის ფონზე მთები, მაღლა წამოწეული.
ნილოსის პირას
აღმართულა ქალაქ ამონის
ნაირფერებად მოელვარე დიდი ტაძრები,
პირქუშ მწვერვალებს
და ნილოსს შორის გადაშლილია
მცირე არხებით დატოტვილი თებეს ბაღები.
და ბენტ-ანატის
სამშობლოში დაქროლილ ქვიშის
გამძვინვარებას ირეკლავენ ქედები შორი.
წყლის გამჭვირვალე
ზედაპირზე, როგორც სარკეში,
მოჩანს ზურმუხტად მოელვარე ფოთლების ზოლი.
სიკომოროსთან
თავს იწონებს ფინიკის პალმა,

მთის ფერდობიდან სიმღერები ისმის გუნდური,
თვით ნეკროპოლშიც
სჩქეფს სიცოცხლე, ვით პაპირუსის
ჩახლართულ ბარდში იდუმალი ქარის ჩურჩული...
შორით ყვითელი
ქვიშნარია გადაჭიმული,
ჩამოწოლილა ცა უღრუბლო ეგვიპტის თავზე,
და მიმოდიან
ქურუმები, ფარაონები,
მორთული ნავი ირეკლება მარჩენალ წყალზე.
მე დავინახე
უძველესი ეგვიპტის მხარე
და ჩემთვის უცხო პეიზაჟით ვარ გარემოცული.
ნაპრალებსა და
ხეობებში მკაფიოდ მოჩანს
ლურჯი ცის ფონზე მთები, მაღლა წამოწეული.

რა ნაზი იყო აპრილი იმ წელს! რა საოცარი, როგორი წმინდა,
ცამდე მაღალი! უსიტყვო სიტყვა, თვალთ ნათქვამი... და მაინც ეჭვი,
ისე, როგორც ჩახლართულ ბარდში ქარის ჩურჩული.

ჩემი მაისი... სევდის მარწუხი, გულზე მჭიდროდ შემოხვეული.
ივლისი?

სევდის კაბით და ცრემლის მძივით შემკული დღენი. ჩემი
სარკმელი და ფოთოლი, სველი და ნაზი ზედ მოტმასნილი. წვიმა და
გულით საუბარი წვიმის წვეთებთან. კალამი ხელში. დუმილი და
„ვიწრო გაღია“

ეჰ, დროგ!

კენკავს საათის ციფერბლატი წამებს და წუთებს.
იანვარია...

ღამე იყო, ცქრიალებდა ცაზე მთვარე,
მოეხურა ვარსკვლავების მოსასხამი.
საოცარი იყო ღამე, თრთოდნენ ხენი
და ფოთლებში კრთოდა სიო, ონავარი.
ღამე იყო და ჩემს სულშიც იყო ღამე,
ჩემს გულშიაც კრთოდა სიო, თრთოდა სული.
ვენთე ლექსად და ვიწვოდი, როგორც ღამე.
ვარსკვლავებში ერეოდა მთვარეს რული.

ციდან დაეშვა ცრემლების ფარდა,
ჩემი ცხოვრებაც თითქოს წვიმას ჰგავს.
რა შემრჩენია წუხილის გარდა,
გულში ოდნავი სხვიც ვერ ატანს.
ვერაფერს ვხვდები...ო, ღმერთო, რა ვქნა?
ან ეს ცრემლები როგორ შევიშრო?
არ მყოფნის ძალა, სხვასთან როგორ ვთქვა
ჩემი წუხილი... როგორ შევიჩვილო?...
ჩემი ცხოვრება ჰგავს უკუნ ღამეს,
ცაზე ვარსკვლავთა სხვიც არა კრთის,
ო, ბედისწერავ, რისთვის მაწამებ,
ან უნდა მტანჯო ნეტავ სანამდის...
კალთას მისველებს ცრემლების წვიმა,
ჩემი ფიქრებიც უკვე წვიმას ჰგავს...
რა ვუყო სევდის უსაშველობას,
გულში ოდნავი სხვიც ვერ ატანს.

აყვავდა ვარდი,
ტოროლამ იწყო
ცაში ნავარდი.
ბრწყინავს მაისი-
მზის ათინათის
ედელვალისი.

თვეა ვარდობის
და კლდეს ჩანჩქერი
ცრემლად ჩამოსდის.
ამ სიტურფეში,
ვარდობისთვის
ფერად ფერებში,-
ვგრძნობ, ხელმეორედ
ვიბადები ვარდობისთვეში.
გული ვარდივით
ჰყვავის, ფეთქავს
ჩიტის ბარტყვით.
კამკამებს ზეცა,
მაისს ყოველთვის
მზის კაბა ეცვა...
მზის სხივთა ჩქერში
და ყვავილების უნაზეს ფერში-
მე ხელმეორედ დავიბადე
ვარდობისთვეში.
მზე თითქოს გულში იხუტებს ნაძვნარს,
მიწის სურნელი ზეცამდე წვდება.
ალუჩას ფერად ფოთლებზე ცრემლი
დიდხანს კამკამებს და უცებ წყდება.
რძისფერი ორთქლი ახურავს ნაძვნარს,
ღიღინით დადის ყანაში მამა.
ხეებს მწვანე თმას უვარცხნის ვიღაც,
მზე სხივით ქარგავს უხვ ფერთა გამას.
ბუტბუტებს წყალი თამარის ხიდქვეშ,
ლურჯი ოცნებით სავსეა გული.
ამაღლებულა კარათი ცამდე,
გოროზად მდგომი და მუდამ ჩუმი.

**მზით გავსებული,
მზით განბანილი**

ქართველი ვარ და
ვით ყველა ქართველს
მაქვს ერთი ენა- ენა ქართული,
მზით გავსებული,
მზით განბანილი,
შიგ გულში ტურფად ამოქარგული.
არ ყოფილიყო ქართული ენა,
არ გვექნებოდა ახლა რაც არი,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ „დავითიანს“
არ ექნებოდა მადლი ამგვარი.
ვერ გავიგებდით სიბრძნეს სიცრუით
რომ გვასწავლიდა ორბელიანი,
ანდა საითკენ მიისწრაფოდნენ
ვაჟას არწივი, ტატოს მერანი.
გალაკტიონის ლურჯა ცხენები
საით მიჰქროდნენ გრგვინვა -გრიალით,
არც „დედა ენა“ არ გვექნებოდა,
გზას რომ გვინათებს „აი იათი“.
ვაჟას, ილიას, აკაკის სიბრძნეს
ვერ შევიცნობდით ვერასდიდებით,
ლადოს და მირზას უმანკო ხსოვნას
ვერ შევამკობდით ამგვარ დიდებით.
ქართულო სიტყვავე, წმინდათაწმინდავე,
ცხრათვალა მზით და ვარსკვლავთ ნაქარგო,
რამდენ მომხდურს და მტარვალს გადურჩი,
მრავალჭირვარამგადანახადო!
ქართულად ვწერ და ქართულად ვმზებ,
ქართულად ვგლოვობ, ვინ სთქვა ზედმეტი!..
ქართული სიტყვით გამაქვს ლელო და-
სხვა რა ვინატრო ამაზე მეტი!

მშვიდად კიაფობს ცაზე ვენერა,
სადღაც ოლოლი ეძახის ოლოლს,
სული სავსეა გათანგულ ფიქრით
და „ჩემი ბოდვის“ მე მჯერა მხოლოდ.
მივყვები ლურჯი ზღაპრების ბილიკს,
ჩემი ოცნება ნაზია, ჩუმი...
და მიმაქროლებს ზღვაური იქით,
მართო ტკივილს რომ პოულობს გული.

ოცნებავ ჩემო, როგორ წავაგე...
ჩამოიღვენთა სინარული, ვით კელაპტარი.
ან ის კოშკები რისთვის ავაგე?
ან რატომ იყო მაშინ ზეცა ისე სხვაგვარი?
ოცნებავ ჩემო, ფრთებდატეხილო,
ხედავ, წავაგეთ და გული ისევ ცარიელია.
ოცნებავ ლურჯო, მართოდ შეენილო,
მე და შენ ახლა გლოვის მეტი რა დაგვრჩენია?..

ფრიდონ ხალვაშ

როცა ბინდდება, დედამიწაზე
ნაზი სიჩუმე დაისადგურებს
და ვარსკვლავებით მოჭედელ ტახტზე
დაბრძანებას რომ მთვარე იწებებს,
მე სინანულით ვფურცლავ ძველ წიგნებს
და სტრიქონები ძალზე ნაცნობი
გამახსენებენ ჩვენებურების
ოცნებას ცხელი ცრემლით დალტობილს.
ფიქრებს დათოვლილს,
ჩუმს და სევდიანს
მემლექეთსა და სანუკვარ ცაზე
და მტკივა ნატვრა, შორს დაფერფლილი,
მთვარეც დაღლილი სხივებით მავსებს.

სევდა წარსულზე ხშირი ფიქრებით
უმისამართოდ დაეხეტება.
ვფურცლავ ძველ წიგნებს კვლავ სინანულით
და მეჩვენება:
ღამის ლოცვაზე ძირს ჩამუხლულა ქალი ლერაქით,
ღმერთს ევედრება...
ბუხრიდან ცეცხლი, როგორც იმედი,
ბჟუტავს და მაინც არ ინავლება.

ქარი ხელს მხვევდა,
ვისუნთქავდი მის ამო ალერსს,
ნაზი ფერებით
მიტოვებდა თმის ხვეულს შუბლთან.
კრძალვით ველოდი,
თუ გამიმხელს,თუ მეტყვის რამეს
და გულს სოველი, ჩუმი ფიქრის
გამხელა სურდა.
უკანასკნელად ჩამიქროლა
მთაწმინდის ქარმა
და ნატვრის ხესთან
შემატოვა ამბორი წმინდა,
მომელამუნა გრილი სუნთქვა
ნაზი ჩურჩულით
და დამიშალა:
ნუო, არ გინდა!

წვიმს.
დინჯად, გაბმით წკაპუნობენ
წვიმის წვეთები.
ცრის,
არა და არ მასვენებენ სველი ფიქრები.
შორს,
თბილ ქვეყანაში
მიფრინავენ ფრინველთ გუნდები.
მთებს
ფიქრიანად დაუხურავთ ნისლის ქუდები.
წვიმს...
ისევ გაბმით წკაპუნობენ წვიმის წვეთები.



ბერაია ნანა



მე, ნანა ბერაია დავიბადე 1961 წლის 4 სექტემბერს, ქ. ფოთში. დამთავრებული მაქვს ქ. ფოთის რკინიგზის 16 საშუალო სკოლა. მაქვს იურიდიული განათლება, დამთავრებული მაქვს ქ. მოსკოვში დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი. ქ. თბილისში დამოუკიდებელი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მყავს ორი შვილი და ერთი ულამაზესი შვილისშვილი. ვცხოვრობ ქ. თბილისში.

ქალბატონი ნანა აქტიურად ღებულობს მონაწილეობას ლიტერატურულ და საქველმოქმედო საღამოებში ქალაქ თბილისში და ბათუმშიც. დღეს ის პირველად წარსდგება მკითხველის წინაშე და მინდა ეს კრებული მისთვის დიდი წარმატების მომტანი იყოს!

„ჩემი ანგელოზი“

ეს ამბავი რეალურ ფაქტებზეა აგებული, მაგრამ ის აღმოსავლურ ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ამბავს, რადგანაც ის ტაჯ-მაჰალივით სასწაულია... ტაჯ-მაჰალი კი ის ადგილია საიდანაც დაწყვილებულები ბრუნდებიან...

იყო და არა იყო რა...

ზღვისპირა ქალაქი, სადაც პატარა დაიბადა, ტერიტორიულად დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. იმ ადგილას, სადაც ახლა ნიკო ნიკოლაძის სახლ - მუზეუმი, ოდესღაც მდინარე რიონი მიედინებოდა. დროთა განმავლობაში, მდინარე თავის კალაპოტს დაუბრუნდა და მუზეუმის გვერდით ბრწყინვალე აია-სოფიას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო მინი ტაძარმა დაიდო ბინა.

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმართულია უძველესი კოლხეთის მეფის-აიეტის გრძნეული ასულის, მედეას ქანდაკება. ეს არის სიმბოლო იმ ღვთაებრივი სილამაზის ქალისა, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი გონიერებით.

ისტორიიდან ცნობილია, რომ კოლხეთის მეფე-აიეტი ინახავდა ოქროს საწმისს, რომლის მოსაპოვებლად შორეული საბერძნეთიდან არგონავტები ჩავიდნენ, მამაცი იაზონის მეთაურობით. არ დააყოვნა სიყვარულის ღმერთმა. რა წამს მედეამ იაზონი იხილა, ეროსის ისარი მას პირდაპირ გულში მოხვდა, რის შემდეგაც საოცარი ვნება აღეძრა იაზონისადმი.

ჭაბუკმა იაზონმა დაამარცხა ურჩხული, მოიპოვა ოქროს საწმისი და გრძნეული მედეაც თან წაიყვანა საბერძნეთში. ქანდაკება კი, რომელიც დღესაც ამშვენებს ძველი კოლხეთის ქალაქს არის ცოცხალი ლეგენდა, თუ როგორი სილამაზის იყვნენ კოლხი ქალები.

19... 1 მარტს, ზღვის ნაპირზე მოსრიალე ვერცხლისფერფრთიანმა თოლიებმა ქვეყნიერებას ბავშვის დაბადება ამცნეს.

ათენამ - სიბრძნე, გონიერება, ხელოვნებისა და მხატვრობის ნიჭი დაანათლა.

ორფეოსმა - კითარაზე (თანამედროვე გიტარის მსგავსი ინსტრუმენტი) დაკვრა და სიმღერა ასწავლა.

ამფიტრიდემ - წყლის სიმღიერე და გამბედაობა შეჰმატა... და როცა მზის პირველი სხივი ამფიტრიდეს ლურჯ მოსასხამს შეეხო, გაისმა ახლშობილის ხმა, რამაც ზღვის სათნო ქალიშვილები - ნიმფები გაახარა.

აფროდიტეს საყვარელმა ფრინველმა - მტრედმა, მინდვრის ყვავილე-ბით შეამკო ახალშობილის საწოლი.

კოლხეთის უძველეს ქალაქში (ფაზისში) დაიბადა პატარა გოგონა, რომელიც ისეთი ლამაზი იყო, ოჯახის წევრები, დედა, მამა, ბებია და ბაბუა, მართო არავისთან ტოვებდნენ და არც არსად უშვებდნენ. ეშინოდათ, ბავშვს თვალი არ ეცვსო. (ადრე, შორეულ წარსულში, ქინძისთავს ან გიშერს დაჰკიდებდნენ ხოლმე ბავშვს, რომელიც ავი თვალისგან იცავდა)

გაიზარდა პატარა ქალბატონი ლამაზი, ტანადი და რადგანაც კოლხი ქალები განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან, არც პატარა „დედოფალი“ ყოფილა გამონაკლისი. მასზე ამბობდნენ, არამიწიერი სილამაზის პატრონიაო, მის განსაკუთრებულ ნიჭზე კი მთელი ქალაქი საუბრობდა. გოგონას სილამაზე მტერს თვალს უბრმავებდა, მოყვარეს გულს უხარებდა.

მტერი ახსენეს, მაგრამ საიდან ჰყავდა პატარა ქალბატონს მტერი? მტერი ყველას ჰყავს, რადგან მისგან არავინ არ არის დაცული. თანაც თუ ისტორიას მიადევნებთ თვალს, ქართველი ქალების სილამაზე საქვეყნოდ იყო ცნობილი და რა გასაკვირი იყო, ასეთი ნიჭისა და სილამაზის პატრონსაც ჰყოლოდა მტერი? თუმცა, მოარული ხმები იმასაც ამბობდნენ, რომ გოგონას ნამდვილად მფარველობდა ანგელოზი, რომელიც მის ცხოვრებაში არსებობდა.

პატარა ქალბატონი ბავშვობიდანვე მეოცნებე იყო. გარკვეულ ასაკში დაუწყო ლექსების წერა, უკრავდა ფორტეპიანოზე და ოცნებობდა ისეთ სიყვარულზე, რომლის მსგავსი არ ახსოვს ადამის მოდგმას. ბავშვური ფანტაზია ხშირად გადაჭარბებულად ეჩვენებოდა ქალბატონ ლამარას, მაგრამ ფიქრობდა, დროთა განმავლობაში ყველაფერი თავისით დალაგდებოდა. გოგონა ხშირად გარბოდა ხოლმე მეზობლის სახლისკენ, სადაც ავადმყოფი მოხუცი ქალბატონი ცხოვრობდა. როგორც მერე გაირკვა, პატარა ქალბატონის ტიკტიკმა ძალიან უშველა მოხუცს. გოგონას შეეძლო ეიფორიაში მყოფი ადამიანი დაემშვიდებინა. გამხმარი ყვავილი „ანგელოზის“ ხელის შესებისას ცოცხლდებოდა, ყვავილობას იწყებდა და სხვა...

ლამარას ახლობლები ურჩევდნენ, ბავშვი ფსიქოლოგთან მიეყვანა, მაგრამ თავად მედიცინის მუშაკი, პროფესიით ნევროპათოლოგი, არ ჩქარობდა. თუმცა გულის სიღრმეში ყოველთვის განიცდიდა შვილის მდგომარეობას და იმედს იტოვებდა, რომ მისი დედისერთა თავის შესაძლებლობებს მხოლოდ კეთილ საქმეში გამოიყენებდა.

ცხრამეტი წლის ასაკში მოიტაცეს, (ლევებმა არა, მეზობლის ყმაწვილმა), მაგრამ მალევე მოაბრუნეს მშობლებმა, რადგან გოგონა წინააღმდეგი იყო, უსიყვარულოდ ვერ გავთხოვდებიო. ამას შემდეგ მოჰყვა ის, რომ ოჯახის წევრები წაკინკლავდნენ და მეზობლებში ხმა დაირხა, სამკვდრო - სასიცოცხლოდ ემტერებიან ერთმანეთსო.

იმ დროს, როცა ეს ამბავი მოხდა, ხალხს სხვა სალაპარაკო არ ჰქონდათ. ათასი ბინძური და ცუდი ენები დაჰქონდათ ჭორიკანა ქალებს, თანაც მოგვხსენებათ გურული ქალების ენა, რაც არ უნდა დაატკბო, მაინც მწარეა.

„პრინცესას“ მოტაცებიდან ორი წელი იყო გასული. ე.ი. ის უკვე ოცდაერთი წლის ხდებოდა. ლამარა ნერვიულობდა. უკვე დრო იყო შვილი პატრონისთვის ჩაებარებინა, (ასე იტყოდნენ ხოლმე, გასათხოვარ ქალიშვილზე).

ღამე ორჯერ დაეშვა დედამიწაზე, ორჯერ გათენდა, მაგრამ „პრინცესას“ ღრმა ძილით ეძინა. წიგნი გადაშლილი დარჩა. ხელები დაშვებული. „კიდევ სძინავს“ - გაიფიქრა ლამარამ და კარები მიხურა. ხმაურზე „პრინცესას“ გაიღვიძა. დედას დაუძახა, თვალებს იფშვნეტდა. წამოჯდა. საუბარი დაიწყო.

- ვერა, ოცდახუთი წელიწადი ვერ დაველოდები... ვებრძვი საკუთარ თავს, მაგრამ არაფერი იცვლება. მე კი სულ სხვაგვარად წარმომედგინა ჩემი ბედნიერება, ჩემი ცხოვრება. ვიცი, ახალი დღის გათენება არავითარ სიხარულს არ მომიტანს... მინდა „ის“ ერთადერთი მიყვარდეს, „ის“ ერთადერთი მხედარდეს, მხეხბოდეს. მინდა მან დამიამოს ტკივილი და მითხრას: მე შენ მიყვარხარ! შენ მე მეკუთვნი! მინდა ბედნიერი გიხილი და ა.შ. განა იმის ღირსი არა ვარ, ვინმე მიყვარდეს, ვინმეს ვუყვარდე, რომ ფეხშეწყობით, დიდი სიყვარულით ვიცხოვრო ამქვეყანაზე და შევასრულო ის მისია, რომელიც ყველა ქალს აკისრია. გავხდე დედა და ვიყო ერთგული მეგობარი. გადავწყვიტე... თემოს გავყვები ცოლად.

შეშინებული თვალებით შესცქეროდა ლამარა თავის ქალიშვილს და ფიქრობდა, ჩემს გულის ნადებს როგორ მიხვდაო. მერე დაამშვიდა, - სიზმარი ნახე შვილო, გამოფხიზლდები და ყველაფერი დაგავიწყდება.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ინგა ბოლქვაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. არდადეგებზე ჩადიოდა ხოლმე მშობლიურ ქალაქში და ბედნიერი იყო, თუმცა თბილისთან განშორება მაინც უჭირდა. რატომ? იმიტომ, რომ ის მარტო თბილისს არ ემშვიდობებოდა, ის საყვარელ მამაკაცზე ფიქრობდა, რომელიც მისი აზრით თბილისში ცხოვრობდა.

ზამთარი ახლოვდებოდა. ზღვისპირა ქალაქში კი, როცა სითეთრით ცნობილი ზამთარი შემობრძანებას აპირებს, შმორი უფრო მატულობს და ისე მძაფრად შეიგრძნობ მის სუნს, გგონია, სხეული ნესტის საცხით დაგიბილვსო. მერე გაზაფხული მოდის და ასე თუ ისე, ეს შემაწუხებელი სუნი ნელ-ნელა გშორდება. ემშვიდობები ზამთარს და სახეზე სხვა განწყობილება გეხატება. მიძინებული მზე თავისი ფერადი სხივებით განებვირებს. ამოხეთქილი კვირტების სურნელება კი თავბრუს გახვევს,

განსაკუთრებით ბუნენის ეს ცვალებადობა ხიბლავდა ინგას და სურდა, მუდამ გაზაფხული ყოფილიყო მის სულსა და საყვარელ ქალაქში...

ინგასთვის ამ წუთში ერთადერთი იმედი და თავშესაფარი დედა იყო, რომლის იქეთ თითქოს საზღვარი ჩაიკეტა. ფარდა არ დაშვებულა, რადგან გრძნობდა, გამოჩნდებოდა თეთრ რაშზე ამხედრებული პრინცი, ან ხომალდი „არგო“ შემოვიდოდა მშობლიური ქალაქის ნავსადგურში, რომელსაც გმირი იაზონი ჩამოყვებოდა ინგას მოსატაცებლად....

ერთი რამ კარგად ახსოვდა ინგას იმ სიზმრიდან.... ეს იყო მისი სახელი - გეგა. ტყუილად არ ოცნებობდა ჩვენი პრინცესა თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცზე. იქნებ წმინდა გიორგი ესიზმრა და რეალობაში ვინმეს მიაშგავსა? ჰო, გაიხსენა, ახალგაზრდა ყმაწვილის თეთრი სამოსი. ამასაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა ინგასთვის, რადგანაც თეთრი ფერი ბავშვობიდან მოსწონდა. ზამთარიც სწორედ იმიტომ უყვარდა, რომ თოვლი თეთრად შემოსავდა ბუნებას. საოცარი სანახავი იყო მაშინ მყინვარწვერი და კაკვასიონი. მთის ფერდობზე განლაგებული თეთრად შემოსილი მწვანე ნაძვები გოლიათე-

ბივით იდგნენ, ყველაფერი მეორდება. სიცოცხლე გრძელდება, განგება კი დიდი სიურპრიზებით გვანებივრებს....

იმ დღიდან მოყოლებული, ინგა ეძებდა მამაკაცს იმ ნიშნით და იმ სახელით, რომელიც სიზმარში ნახა.

იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ, ორი წელი გავიდა. ინგა მითქმა-მითქმით დაიღალა და საბოლოოდ გადაწყვიტა გათხოვილიყო, რადგან ოცდაერთი წლის უღამაზესი ქალიშვილი, ოცდახუთი წელი ვერ დაელოდებოდა თავის პრინცს, რომელიც ხან მთაში იყო, ხან ბარში და ხანაც ცაში....

გადაწყდა. ინგამ თანხმობა განაცხადა ქორწინებაზე. მისი რჩეული გახდა ეკონომიური ფაკულტეტის მე 4-ე კურსის სტუდენტი, თემო კავსაძე. ახალგაზრდა წყვილს ბედნიერ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. რაც მთავარია, თავად ინგას შეექმნა კეთილგანწყობა თემოს მიმართ. ქალბატონი ლამარა კი, იმედოვნებდა, რომ თემოს სიყვარული, ინგას, იმ „ვიღაცას“ აუცილებლად დაავიწყებდა.

საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებულ ინგას თეთრებში ჩაცმული ყმაწვილი კვლავ გამოეცხადა, მთის წვერზე იდგა. ხელების ქნევით დაემშვიდობა. „მე შენ მიღალატე“, - შემოესმა ხმა. ინგა ელდანაცემივით წამოხტა ლოგინიდან. „დედა!“- დაიძახა. ქალბატონი ლამარა მაშინვე გაიქცა შვილის ოთახისკენ.

- რა მოხდა, ხომ კარგად ხარ ?

- დედა, გთხოვ, მომისმინე, შენ ჩემი უახლოესი მეგობარი ხარ, ნუ გამსჯი. მე „ის“ ვნახე. ხელის ქნევით დამემშვიდობა. ვაწყენინე. ასე მითხრა, მიღალატეო. გემუდარები დედა, შემადლებინე ცხოვრება მაგის გარეშე, თუმცა არა, მოუთმენლად დაველოდები იმ დღეს, როცა შევხვდები... გუშინ, როცა თემოს გვერდით ვიწეი, ისეთი უსუსური ვიყავი, თავი შემებრალა.... მაგრამ, პირობას გაძლევ დღეიდან აღარ ვიზოზინებ, უფრო შემართებით ვიქნები, მზესავით ვიბრწყინებ... შევეცდები ჩემი სიყვარულით არ შეგაწუხო და გული არ გატკინო... საოცარია, მე „ის“ მყინვარწვერივით ცვი და მიუკარებელი მეჩვენა. არადა, როგორ შეიძლება მისი თვალების პატრონი მიუკარება იყოს.... ღიმილი?! ჯოკონდას ღიმილი უფრო ნაკლებ საიდუმლოს მალავს, ვიდრე მისი ღიმილი. ერთადერთხელ გაირიმა უცნობმა და მხოლოდ მაშინ გაუხდა სახე ღვთაებრივი, როცა მე დაგუმახე...

სწორედ ამ ღიმილში ამოიკითხა ინგამ მისდამი სიყვარული და ის ფარული ბრუნვა, რომელსაც მთელი ცხოვრება გრძნობდა.

გავიდა ცხრა თვე... ინგას და თემოს შეეძინათ გოგონა, რომელსაც წმინდა ივლიტას საპატივცემულოდ ნიტა დაარქვეს.

ინგა დიდიად მორწმუნე არ გახლდათ, მაგრამ ღვთის შიში და რიდი ბავშვობიდანვე ჰქონდა. ამიტომაც თავისმიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯს, სიტყვა- პასუხს ზომავდა, წონიდა. სიკეთესა და ერთგულებას ღვთისადმი მორჩილებაში, ადამიანებისადმი სიყვარულში გამოხატავდა. თავად ერთგული, სხვისგანაც ერთგულებას ითხოვდა. სწორედ ერთგულება და

სიყვარული იყო მისი ყველაზე დიდი სამკაული. ყველა ამ თვისებას, ისიც ემატებოდა, რომ ინგას არამიწიერ სილამაზეზე, მთელი ქალაქი საუბრობდა. ზოგი წმინდა ნინოს ადარებდა, ზოგი - ღვთისმშობელს, მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ის, რომ ინგა სუფთა სულით დადიოდა მიწაზე, რომლის სიყვარულიც სიკვდილამდე გულით დაჰქონდა.

არსებობს ლეგენდა, როცა „უზენაესი“ მიწებს არიგებდა, საქართველო ღვთისმშობელს ხვდა წილად. აქედან მომდინარეობს ის აზრი, რომ ქართველები ღვთისმშობლის შვილები არიან, როგორც უფალი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ადამიანები, ცოდვებით დამძიმებული სულით მიდიან იმ ქვეყნად, ხოლო, უფალი, ჩვენი მაცხოვარი, ადამიანთა ცოდვებისთვის დაი-საჯა.

ეს პატარა წინასიტყვაობა, საშუალებას მოგცემთ უფრო კარგად გაეცნოთ ჩვენი ქალბატონის ცხოვრების ისტორიას. ეს არის „რომანი“, რომელიც შეიძლება ზღაპარიც კი ეგონოს მკითხველს, რადგან ბევრი რამ ზღაპრულად არის აღწერილი... სინამდვილეში, ის ერთი დიდი ისტორიაა ახალგაზრდა ქალბატონისა, რომელიც ოცდახუთი წელი ელოდებოდა საყვარელ ადამიანს.

გადიოდა დღეები, თვეები... ინგას წამითაც არ ავიწყებოდა „ის“, რადგან უსაზღვროდ უყვარდა და ვერასოდეს შეეგუებოდა იმ აზრს, რომ არ არსებობს, რომ „ი“ მხოლოდ ხილვებშია და არარეალობაში. მისი ღიმილი, მისი გამოხედვა, აპრეხილი თმა კეფაზე, ნაბიჯები, რომელიც ყოველთვის ჩაესმოდა და ხმა... რა იყო ეს? მატერია თუ სული?, ვფიქრობ ორივე, რადგან ორივე არსებობს, ორივე ბუნებაშია.

ინგას და თემოს ოჯახური ურთიერთობა არ აეწყო. არა, ინგა დამ-ნაშავე არ ყოფილა. მას არასოდეს უფიქრია ოჯახის დანგრევაზე. ეს თემოს „მეგობარმა“ იაჭტიურა და თავდაყირა დააყენა მათი სიყვარული. ინგას ფარ-ხმალი არ დაუყრია. ჩვილი ბავშვით ხელში დაბრუნდა მშობლებთან. მოგონებებით განაგრძობდა ცხოვრებას და ფიქრობდამ სადღაც შორს, ცივ სამყაროში ცხოვრობდა მისი „პრინცი“! ინგა ბედნიერი იყო, რადგან იცოდა, ოცნებებს ვერავინ წაართმევდა, მაგრამ თუ თემო მოინდომებდა შერიგებას, ინგა ყველაფერს აპატიებდა პატარა ნიტას გამო.

ნიტა, რომელიც ინგას იმედი და ბედნიერება იყო, იზრდებოდა და დედასავით მშვენიდებოდა. ბავშვი, გამუდმებით ასხენებდა მამას. ამბობდა, როცა ჩემი მამიკო სტუდენტი აღარ იქნება, მამიმ ჩამოვაო.

საღლეტი რეზინასავით გაიწეა წლები... ერთ მშვენიერ დღეს, ინგას სახლის კარებზე ზარის ხმა გაისმა. კარები გააღეს. ზღურბლზე თემო იდგა. ოთახში შესვლის ნება ითხოვა. შეიპატიჟეს. ნიტამ მამის დანახვაზე შეჰკვივლა, კისერზე ჩამოეკიდა, კოცნიდა. ინგას გული აუჩქარდა. იდგა მამაკაცი ოთახში, შვილის მამა, რომელიც ინგას უყვარდა და არც უყვარდა. ისე მოხდა, ცოლ-ქმარი შერიგდა. ინგასთან შერიგებამ, მისდამი სიყვარულმა, რომელსაც პატარა ნიტა კიდევ უფრო ალამაზებდა, ოჯახი კიდევ უფრო გაამყარა. ამას შედე-

გად მოყვს ის, რომ ოჯახს მეოთხე წევრი შეემატა. ინგას და თემოს შეეძინათ შვილი-ვაჟი.

სწორედ აქედან იწყება ის მტკივნეული და ბედნიერი ისტორია, რომელიც ოცდახუთი წელიწადი გაუგებრობითა და იდუმალებით იყო მოცული.

ამ ნაწარმოების, ზოგადად ამ ისტორიის დაწერის მიზეზიც სწორედ ეს არის, მას კი სიყვარული ჰქვია.

რა არის სიყვარული? ზოგი ამბობს, რომ ეს ამოუხსნელი ფენომენია, რომელიც დაუსრულებლად უნდა დაიბყრო, როგორც ჯომოლუნგმა და ევერესტი. რაც უფრო მაღლა ადიხარ, უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება. ზოგი ამბობს, რომ არ არსებობს სიყვარული, გარდა დედაშვილურისა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ხომ ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე საუბარი? განა შეიძლება, არ აღფრთოვანდე, როცა საყვარელი ადამიანი თვალებში გიციქერის და ჩუმად, უხმოდ გეჩურჩულებს სიყვარულზე? ნუ იტყვით იმას, რომ ეს ყველაფერი დროებითია, ყველაფერი ქრება... პირველი კოცნა... არ არსებობს ამაზე თბილი და ნაზი გრძნობა, როცა პირველად შეგეხება საყვარელი ადამიანი, როგორ შეიძლება ის ჩაქრეს, ფერფლად იქცეს, თუ კი თქვენ არ ჩააქრობთ მას თქვენი ცრემლებით, თქვენი უგუნურობით,

ყველას კარგად ახსოვს ევას და ადამის სიყვარული... რა მოხდა მას მერე, როცა სამოთხის ბაღში დაუკითხავად მოწყვიტა ვაშლი. საუკუნეები გავიდა მას შემდეგ. შეიცვალა იდეოლოგია. დაიბადნენ ახალი ადამიანები, ახალი სახელებითა და ახალი აზროვნებით. ადამიანები ვახსენეთ, არ მოგჩვენებიათ, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, ჩვენც ხომ სიყვარულით ვართ მოვლენილები ამქვეყანაზე. სწორედ ჩვენ, ადამიანები ვაღვიძებთ ერთმანეთში ამ გრძნობას და ღმერთმა ნუ ქნას, ეს უკანასკნელი გაქრეს ცნობიერებიდან, მაგრამ აქვს კი მნიშვნელობა იმას, როგორ და რანაირად ვიბადებით? ცოდვით მოვევლინეთ ამქვეყანას, თუ სიყვარულის თესლი გაღვივდა ქალის საშოში. ამას მნიშვნელობა არა აქვს. „ანგელოზი“ იბადება და რადგან იბადება, ე.ი.-იქ უფლის ხელი ურევია, რომლის წინაშე, ჩვენ, მოკვდავები უძლურები ვართ. აქედან გამომდინარე, ნუ განვიკითხავთ ნაწარმოების პერსონაჟს და ქვაც იმან მოიმარჯვოს, ვინც უცოდველია, ადვილი შესაძლებელია, წიგნის წაკითხვის შემდეგ, სხვისი შეცდომის პატივაც შეძლოთ. ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით...

ინგას და თემოს შეეძინათ ვაჟი. დედა ახალშობილთან ერთად თავს კარგად გრძნობდა. თემოს ღირსეულად ეჭირა თავი და ამაცობდა, რომ ჰყავდა ულამაზესი მეუღლე, ორი შვილი, ჰქონდა კარგი ოჯახი, რაშიც დიდი დამსახურება ნიტას მიუძღოდა, მაგრამ სასაცილო იყო ის გარემოება, რომ ბავშვს სახელი არ ჰქონდა. აწრიალდნენ ინგას მშობლები, შეწუხდნენ ნათესავები. ასე როგორ შეიძლება, ბავშვს სახელი როგორ ვერ მოუძებნეთო. შეწუხდა თავად ინგა, მაგრამ შემოთავაზებული სახელებიდან არცერთი არ მოსწონდა.

ინგას მშობლებს, ქალბატონ ლამარას და ბატონ ბესარიონს ქალაქში შემდეგულ ოჯახის შვილებად, ხოლო თავად ღირსეულ, განათლებულ ადამიანებად თვლიდნენ. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ლამარა ულამაზეს ზღვისპირა ქალაქში გაანაწილეს სამუშაოდ. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე და შეუღლდნენ. ბესარიონის მშობლებმა გადაწყვიტეს, შვილი არსად გაეშვათ და ახალგაზრდა რძალი ქ. ფოთში ცხოვრებაზე დაითანხმეს.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ბატონმა ბესარიონმა მამაპაპისეული სახლი გაყიდა და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. ერთ მყუდრო ქუჩაზე, საბურთალოზე შეიძინეს ბინა და დასახლდნენ. ინგას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ის თვლიდა, რომ სამყარო მისია. ჰყავს ახალგაზრდა მშობლები, კარგი მეუღლე, ორი შვილი და კიდევ „ის“.

იყო დღეები, როცა „მასზე“ ფიქრი სადღაც გასხლტებოდა და ინგაც დაღლილი აღარ დაედევნებოდა დასაჭერად, რამდენჯერ გადაწყვიტა არ ეფიქრა, მაგრამ „ის“ ყოველთვის ინგას გონების სადარაჯოზე იდგა და მოსვენებას არ აძლევდა. ინგა მორჩილებაში მყოფი ქრისტიანივით, სულ უფრო და უფრო ეხვეოდა მის მიერ გაბმულ მახეში. რა ერქვა ამას?! უფსკრულის ერთ მხარეს ინგა ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, მეორე მხარეს, რომელიც არ ჩანდა „ის“. მის საპოვნელად საშინელი ხიფათით სავსე გზა უნდა გაეფლო. გზა, რომელიც სულ ზევით მიიწევდა და დასასრული არ ჰქონდა. ინგას არ სურდა წყვილიაღში დარჩენილიყო. ეძებდა, სულ ეძებდა ადამიანს, რომლის ნახვის სურვილი არც არასოდეს დაუკარგავს. ხანდახან გაებუტებოდა, საკუთარ ამრებს და საყვედურობდა. მართლობასთან დარჩენა არ სურდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ინგას სამსახურის ძებნით თავი არ შეუწუხებია, რადგან გადაწყვიტა, შვილებისთვის, ოჯახისთვის დაეთმო მეტი ყურადღება. თუმცა, არასოდეს დავიწყებია მისი პროფესია და თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში იჯდა. კითხულობდა ლიტერატურასაც... ბოლო დროს-პარაფსიქოლოგიითაც დაინტერესდა...

ინგას ვაჟისთვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელი დარქმეული. სახელი კი განსაკუთრებით ვაჟის ძნელი ასარჩევი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ქართული სახელები გემოვნებიანი და ჟღერადია... დავითი, გიორგი, ლუარსაბი, დემეტრე და ა.შ. ადვილი შესაძლებელი იყო, რომელიმეს სეხნია ყოფილიყო ახალშობილი, მაგრამ ინგა თავს იკავებდა.

ზაფხულში, როცა ინგა ოჯახთან ერთად ბათუმში ისვენებდა, ბატონმა ბესარიონმა ქალიშვილს სთხოვა, მანქანით ზღვის სანაპიროზე გასულიყვნენ და ბულვარში დაესვენათ. ინგა დათანხმდა, მაგრამ ბავშვების წაყვანაზე სასტიკი უარი განაცხადა. ბავშვები დედას დაუტოვა და წავიდა.

ბატონი ბესარიონი საჭესთან იშვიათად ჯდებოდა, ამიტომ ინგას სთხოვა მანქანის მართვა. შემოიარეს თითქმის ყველა ქუჩა, ჩიხი და ბოლოს ზღვის სანაპიროსკენ ჩაუხვიეს...

ეს იყო ერთი ჩვეულებრივი დღე, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა სხვებისგან. უცბად ცა მოიქუფრა, თითქოს ღრუბლების დედოფალმა

ნეფელემ მოიწყინაო. ამბობენ, როცა წვიმა მოდის, ნეფელეს თავისი შვილები აგონდება და ტირისო. ნეფელეს ცრემლებს კი დიდი ძალა აქვს. ის წვიმის სახით მოედინება ზეციდან და მიწის განაყოფიერებას უწყობს ხელს.

სალამო ხანი იყო. დაახლოებით რვა ცხრა საათი. ხალხი ნელ-ნელა ტოვებდა ზღვის სანაპიროს.

- დავბრუნდეთ, შვილო, მე მგონი წვიმას აპირებს, უთხრა ბესარიონმა ქალიშვილს. ინგამ მოსახვევეში საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოძს დაეჯახა. ვინ იცის, რამდენი ხანი იქნებოდნენ უგონოდ, რომ არა ერთი ღვთისნიერი ადამიანი, რომელმაც შორიდან შეამჩნია გადაყირავებული მანქანა. ბესარიონის შემობრუნება იმ მხარეს, სადაც სავარაუდოდ ინგა უნდა მჯდარიყო, ცუდი შედეგით დამთავრდა. მანქანის კარები გაიღო და ბესარიონი მიწაზე დავარდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბესარიონმა ლავიწის ძვალი დაიზიანა. ახალგაზრდა ყმაწვილმა სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა და დაშავებული მამა-შვილი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ბატონი ბესარიონი სასწრაფოდ საოპერაციოში შეიყვანეს. ინგას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. პულსი არ ესინჯებოდა. მდგომარეობა რთულდებოდა. მედიცინის დამ პატრონი მოიკითხა. არავინ უპასუხა. ოპერაციის გაკეთებაზე თანხმობა იყო საჭირო, გარდა ამისა თანხა იყო გადასახდელი.

რა დალევს ქვეყანაზე ღვთისნიერ ადამიანებს. განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, სადაც სიყვარულში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ჰოდა, ისევ გამოჩნდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც თავისთავზე აიღო ოპერაციის ხარჯები. დაფაცურდნენ ექიმები. დაიკეტა საოპერაციო ბლოკი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ოპერაცია დაიწყო. ყველაზე დიდი ბრძოლა ახლა კედელს იქით მიმდინარეობდა. ბრძოლა სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და არავინ იცოდა ვინ იზენიმებდა. ირგვლივ ყველა ტუჩებს „აცმაცუნებდა“, ლოცულობდნენ. მათ შორის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ინგას ოპერაციის ხარჯები დაფარა. ყმაწვილმა ილოცა, კები თავზე დაიხურა, გაიხურა საავადმყოფოს კარები და წავიდა. წავიდა ისე, რომ არავისთვის უთქვამს ვინაობა.

გაირკვა, რომ ინგას ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული. ექიმებმა ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად. ინგა ნარკოზიდან ვერ გამოდიოდა. ბატონი ბესარიონი გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს.

მეორე დღეს, დილით, მოვიდა ქალბატონი ლამარა, შვილი რომ ასეთ მდგომარეობაში დაინახა, მეუღლისკენ არც გაუხედავს. სახედახოკილი ცრემლიანი თვალებით იდგა შვილის სასთუმალთან და უფალს თავის დედისურთას, თავის „ანგელოზს“ ავედრებდა.

როგორც კი „ანგელოზმა“ დედის ვედრებას მოჰკრა ყური, მაშინვე თვალები გაახილა.

-ვინ არის, აქ?-იკითხა

-მე ვარ, დედაშენი, სხვა ვინ უნდა იყოს, შვილო!

-არა, ის ახალგაზრდა კაცი ვინ იყო, თავზე რომ მიაღერებდა?- იკითხა ინგამ და კარებისკენ გააყოლა მზერა.

-აქ, არავინ არ არის, შვილო, მე მარტო ვარ, მარტო.

-არა, დედა, „ის“ აქ იყო, იმედი მომცა, მან გადამარჩინა, სულ ჩემთან არის, არ მტოვებს.

ლამარას ცოტა არ იყოს შეეშინდა. იფიქრა, ცუდად არის საქმე, ისევ ბოდავსო.

-დაისვენე შვილო, ყველანი აქა ვართ, ისიც აქ არის, -უთხრა ლამარამ, მაგრამ თვითონაც ვერ მიხვდა, ვისზე იყო საუბარი.

დაუძახა მედიცინის დას და ოპერაციის ხარჯების დაფარვა მოითხოვა.

-ყველაფერი ახალგაზრდა მამაკაცმა გადაიხადა, რომელმაც ვინაობა შეგნებულად არ დაგვისახელა, თუმცა ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა, -აუხსნა მედიცინის დამ და ნელი ნაბიჯებით პალატისკენ შეუხვია.

გაოგნებული იდგა ლამარა და ფიქრობდა, ალბათ მაცხოვარი თუ გამოეცხადა ინგასო, რადგან ის ერთადერთია, ვინც არასოდეს არავის ტოვებს, განსაკუთრებით განსაცდელის ჟამს. მერე ისიც კი იფიქრა, თეთრი ჯვარი ახსენა ინგამ, ალბათ წმინდა გიორგი თუ გამოეცხადა თეთრ რაშზე ამხედრებულო, მაგრამ როცა მედიცინის დამ დაწვრილებით უამბო, აი მაშინ კი ნამდვილად შეშინდა.

-დედა!- დაიყვირა ინგამ და თვალები გაახილა.

-აქ ვარ, შვილო!

-დედა, მან მითხრა, რომ ჩემს პატარას დემეტრე უნდა დავარქვა.

გადაწყდა. ინგას პატარას დემეტრეს დაარქმევდნენ. ქალბატონი ლამარა, რომელიც თავად გახლდათ მედიცინის მუშაკი, არ გაჰკვირებია შვილის გადაწყვეტილება, მაგრამ არც მისი შვილის ეიფორული მდგომარეობა გახარებია.

ანომალია, ასე შეაფასა ქალბატონმა ლამარამ შვილის მდგომარეობა, რაც სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს ნიშნავს. არც იყო გასაკვირი. ინგა ხომ ცხრა საათი ნარკოზულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ძლივს გამოვიდა მედიკამენტური ძილისგან. დიახ, ლამარამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა, მაგრამ გზას ეძებდა შვილის დასახმარებლად. თავად ნევროპათოლოგი იყო, ინგა-ფსიქოლოგი. დიდი თავშეკავება და პროფესიული სიფრთხილე იყო საჭირო, რომ დედა-შვილს შორის კავშირი არ გამწყდარიყო. ინგა თავად განაგებდა თავის ცხოვრებას და ამ შემთხვევაშიც თვითონ უნდა ეფიქრა, რამდენად სწორად გამოიყენებდა თავის შესაძლებლობებს.

პარაფსიქოლოგიური მოვლენები, (გაახსენდა ლამარას ერთ-ერთ სამედიცინო წიგნში წაკითხული) ანუ ანომალია, შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც გააჩნია სხეულის ყველა ნაწილი და რომელიც ფლობს ბიოველს, აურას... ეს არის ანომალური მოვლენა, რომელიც აქტიურად

სწავლობს ნათელმხილველობის ფენომენს, როგორმე შევიდეს ადამიანის მესხიერებაში და მის წარმოსახვაში ითამაშოს გარკვეული როლი....

როცა ჩვენი „პრინცესა“ უნივერსიტეტში სწავლობდა, მის მესხიერებაში, (ხილვებში) გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ინგა არ იცნობდა. ჯერ გათხოვილი არ იყო, როცა მის გონებას საკუთარი ნებართვით თეთრებში ჩაცმული ყმაწვილი დაეპატრონა. ის იყო ინგას ცხოვრების არქიტექტორი და როგორც უნდოდა, სადაც უნდოდა, რა დროსაც უნდოდა, ყოველთვის ჰქონდა უფლება, დაპატრონებოდა ინგას ტვინს. გაჭრილიყო უჯრედებში და მხოლოდ მაშინ დაემუხრუჭებინა, როცა ამას ინგა მოისურვებდა. ინგა უკრავდა, მეცადინეობდა, ეძინა, ხატავდა, ყველაფერს, რასაც აკეთებდა, ყველგან და ყველაფერში ხედავდა მას. ესმოდა მისი, უფრო მეტიც ესაუბრებოდა.

ქალბატონი ლამარა ნერვიულობდა. მას კარგად ჰქონდა გათვინობიერებული შვილის მდგომარეობა და წუხდა იმ სიყვარულის გამო, რომელიც მის შვილს ჰქონდა აკვიატებული.

ჩემო საყვარელო, შვილო, შენს მიერ გამოგონილი, შექმნილი ადამიანი არ არსებობს, არარეალურია. იცხოვრე ისე, როგორც, ყველა ვცხოვრობთ. შენ ხომ ოჯახი გაქვს, გყავს არაჩვეულებრივი შვილები. „ის“, ვიღაც არ არსებობს. ეს შენი ფანტაზიის ნაყოფია, რომელზედაც ფიქრი კარგს არაფერს მოვიტანს. მალე თავად გახდები ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი“.... დააღაგებდა ლამარა აზრებს, მოემზადებოდა შვილთან სასაუბროდ, ბოლო წუთს თავს იკავებდა. ეშინოდა, კიდევ უფრო არ დაემძიმებინა მისი სულიერი მდგომარეობა და უფრო დიდი ტრამვა არ მიეყენებინა შვილისთვის, რადგან სულის სიღრმეში კარგად იცოდა, როგორ მოვლენასთან ჰქონდა საქმე, თუმცა დიაგნოზის დასმას მაინც არ ჩქარობდა.

ბავშვები იზრდებოდნენ. თემო ისე იყო შეწუხებული მეუღლის მდგომარეობით, რომ საერთოდ დაავიწყდა საკუთარი თავი. დღე და ღამეს ინგაზე ლოცვაში ატარებდა. არ დარჩენილა ბათუმში ტაძარი, სადაც სანთელი არ დაანთო. ფეხშიშველი უვლიდა ტაძარს გარშემო და თავის ულამაზეს, უსაყვარლეს ადამიანს, შვილებს დედას ავედრებდა ღვთისმშობელს. ახლა, როცა ინგა სარეცელს იყო მიჯაჭვული, თემო თავს დამნაშავედ გრძნობდა იმ შეცდომების გამო, როცა ინგა ჩვილი ბავშვით ხელში მართო დატოვა....

ბატონი ბესარიონი ინგაზე ადრე გაუშვეს საავადმყოფოდან. მალე ინგასაც გაწერდნენ, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა. თუმცა, გამუდმებით იმას ეჩინებოდა დედას, რომ მამაკაცი, რომელიც მის ცხოვრებაში, მის გონებაშია, რეალურია და მას ოცდახუთი წლის შემდეგ აუცილებლად შეხვდება. ლამარას, როგორც პროფესიონალს, მაინც ეჭვი ეპარებოდა შვილის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ სიტყვა,, ექიმთან უნდა წახვიდე შვილო“, მის ბაგეს არ წამოსცდენია. ანდა, როგორ უნდა ეთქვა შვილისთვის, სიყვარულისგან გჭირდება განკურნებაო, ან ინგა

იტყოდა უარს იმ მამაკაცზე, რომელზედაც მთელი შეგნებული ცხოვრება ოცნებობდა.... ან ვინმეს გინახავთ ადამიანი, სიყვარულისგან განკურნებული?

ის იყო მაღალი, თეთრი, თაფლისფერი თვალებით. ანგელოზს ჰგავდა. ტყუილად კი არ შეარქვა ინგამ „ ჩემი ანგელოზი“. ინგამ იცოდა, რომ მისი საოცნებო მამაკაცი, აუცილებლად ხელოვნების ნიჭით იქნებოდა დაჯილდოვებული. დია, ის ხატავდა, წერდა ლექსებს, კითხულობდა გალაქტიონს და ამქვეყანაზე ყველაზე ძალიან უყვარდა სამშობლო, რომლისთვისაც ბოლომდე დაიხარჯებოდა....

ინგას სიყვარულის შესახებ, ქალბატონი ლამარას გარდა არავინ არაფერი იცოდა, ან როგორ იტყოდნენ, „სირცხვილით თავი მოგვეჭრებაო“, ხშირად უთქვამს ინგასთვის დედას... ისე მოხდა, რომ ქალბატონი ლამარა მძიმე სენით დაავდდა და გარდაიცვალა. დედის სიკვდილმა ინგა ძალიან შეცვალა. ამოიგდო თავიდან აკვიატებული აზრი სიყვარულზე და ვინ იცის, მერამდენედ დადო პირობა, რომ არ იფიქრებდა მასზე.

ვის, თუ არა ქალებს, ყველაზე უკეთ ესმით ერთმანეთის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არჩევანს სწორად გააკეთებენ. ამქვეყანაზე ძნელია იპოვო ერთგული მეგობარი, რადგან თვითონ ერთგულების ფენომენი გახდა დეფიციტი....

დედის გარდაცვალებიდან ორი წელი გავიდა. ინგას მდგომარეობა ჯანმრთელობის მხრივ უმჯობესდებოდა. მეუღლე და შვილები თავს ევლებოდნენ. განსაკუთრებით ნიტა იჩენდა დიდ ყურადღებას.

ნიტა-სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი იყო. დემეტრე ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა. შვილები რომ დამოუკიდებელ ცხოვრებას მიეჩვივნენ, ამაში დიდი წვლილი ინგას მეუღლეს თემოს მიუძღვოდა.

ინგა დიდ პატივს სცემდა მას. უფრო მეტიც, ბოლო დროს ძალიან შეუყვარდა. ნანობდა კიდევ, სხვა მამაკაცზე როგორ ვფიქრობდი, რა ცოდვას ჩადდიოდით... მაგრამ ეშმას არ ეძინა. ...იქვე იყო პასუხიც.... შენ მე მეკუთვნი, შენ ჩემი ხარ, ნუ გეშინია. მე შენი მფარველი ანგელოზი ვარ! და ა.შ.

რა წაშს ინგას გონებაში ეს სიტყვები ამოტივტივდებოდა, ინგა იცვლებოდა, ღიზიანდებოდა? არა, პირიქით უფრო სათნო და კეკლუცი ხდებოდა. ყველას უკვირდა, მათ შორის მეუღლესაც, რომელსაც არასოდეს შეპარვია ეჭვი ინგას ერთგულებაში....

თემოს არასოდეს გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ ინგას მუშაობა დაეწყო. პირიქით, სულ იმას ამბობდა, ქალმა ოჯახს და შვილებს უნდა მიხედოს. მამაკაცმა კი ოჯახი უზრუნველყოსო.

გავიდა დრო. ერთხელაც, შინ დაბრუნებულმა თემომ, ინგას „სიურპრიზი“ მოუწყო. შესთავაზა სამსახურის ძებნაში დაგეხმარებო. მოგესხენებათ, რა ძნელია დღევანდელ საქართველოში მუშაობის დაწყება. პირველ რიგში კი მისი პოვნა. თავდაპირველად ინგას ყურადღება არ მიუქცევია თემოს სიტყვებისთვის, მაგრამ გავიდა გარკვეული პერიოდი და სერიოზულად დაიწყო ფიქრი მუშაობის დაწყებაზე.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ინგა ბოლქვაძე, კარგ ხასიათზე იყო ხოლმე, როცა მისი ოჯახის წევრები სასტუმრო ოთახში შეიკრიბებოდნენ და ერთმანეთს მომავლის გეგმებს უზიარებდნენ, რამდენად წარმატებული დღე ჰქონდათ და ა.შ.

ეს იყო საუკეთესო წუთები ინგას ცხოვრებაში, რადგან სწორედ ამ დროს ხდებოდა მისი გონების განტვირთვა და ის აზრი, რომ ვიღაც მესამე ისევ არსებობს მის ცხოვრებაში, დროებით ფიქრებს მიღმა რჩებოდა. რა ერქვა ამ მდგომარეობას? სიყვარული თუ ნევროზი?

თუ ნევროზი, ინგა თავისი სპეციალობიდან გამომდინარე, საკმაოდ გაწონასწორებული ადამიანი იყო. თუ სიყვარული, მაშინ სად იყო ის ?.

ყველასათვის ცნობილია, რომ სასიყვარულო ამბებში, მეტწილად ქალები აქტიურობენ ხოლმე, მაგრამ არც ამით გამოირჩეოდა ინგა. ვერ მოაბა თავი მის გრძნობებს, რადგან კითხვა „რას იტყვის ხალხი“, ჯერ კიდევ იდო ქართულ თვითცნობიერებაში... ასეთი საქციელი განსაკუთრებით მიუღებელი იყო ერთმორწმუნე ქრისტიანებში, მაგრამ ინგას და იმ მამაკაცს შორის ხომ არაფერი ხდებოდა? ისინი ხომ ოცდახუთი წლის შემდეგ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს? თუმცა, შინაგანი ლტოლვა ქალსა და მამაკაცს შორის ხომ არსებობდა?....

ისინი თურმე ერთ და იმავე უბანში ცხოვრობდნენ. მგზავრობდნენ სხვადასხვა ტრანსპორტით, მაგრამ სახლიდან მიმავალი გზა თურმე საერთო ჰქონდათ. ხშირად არა, მაგრამ თურმე ხვდებოდნენ კიდევ ერთმანეთს....

ერთხელ, მაღაზიაში შესულმა ინგამ, რიგში მდგომი მამაკაცი თავის საყვარელ ადამიანს მიაშვავა. მივიდა. გვერდით დაუდგა. მისი სუნამოს სურნელი შეიგრძნო, „ის არის“, უთხრა თავის თავს და უკან გამობრუნდა. ქურის კუთხეში დადგა. დაელოდა, როდის გამოვიდოდა, რომ უკან დადევნებოდა. ცოტა ხანს მაინც ეცქირა საყვარელი ადამიანისთვის, ან „შემთხვევით“ ხელით შეხებოდა, თუმც დანამდვილებით თავადაც არ იცოდა „ის“ იყო თუ არა.

რაოდენ სასაცილოდაც არ უნდა იყოს, ასეთი სიყვარულიც არსებობს თურმე და მას (შ.რუსთაველის სიტყვები მოვიშველიოთ) „შორით ტრფობა, შორით დაგვა“ შეიძლება ეწოდოს, მაგრამ ეს სიყვარულზე მეტი იყო. ინგა არ თამაშობდა. ის იყო სუფთა, გულწრფელი და უმწიკვლო „მასთან“ ურთიერთობაში.

2007 წლის თებერვალი... გვიანი იყო. დაღლილ - დაქანცული საქართველო შვიდი ნოემბრის იარებს იშუშებდა... შვიდ ნოემბერს დარბეული იქნა მიტინგი, რომელსაც ათობით ქართველი თუ არაქართველის სიცოცხლე შეეწირა. ასეთი ტრაგედია არ ახსოვს ქართველ ხალხს ცხრა აპრილის შემდეგ, როცა რუსთაველის პროსპექტზე „მოსეირნე“ რუსულმა ტანკებმა ქართველების სისხლით მორწყული მიწა შეგვიღახეს. ძნელია დაიჯერო ის ფაქტი, რომ ერთმორწმუნე ქრისტიანები (რუსები) თავიანთი ძმების, მართლმადიდებლების სისხლს ღვრიდნენ.

საქართველო იარებს იშუშებდა. მაგრამ არავინ იცოდა ერთი წლის შემდეგ რა განსაცდელი ელოდებოდა....

ინგა მეგობრის სახლიდან გვიან გამოვიდა. ავტობუსის გარეშე პატარა ბიჭები შენიშნა. ცოტა არ იყო, შეეშინდა. კომენდატის საათი იყო და გაუკვირდა, ასეთ დროს ეს ბავშვები აქ რას აკეთებენო. მიმოიხედა იფიქრა, იქნებ უფროსი ახლავთ ვინმეო. ჯინსის ქურთუკში, ყელზე რამოდენიმე რგოლად დახვეული „შარფი“, თავზე კეპით იდგა ახალგაზრდა მამაკაცი. ინგა შეცბა. „ის არის“. რა ხდება მის თავს? ყველგან როგორ ელანდება? ნუთუ დასდევს, ნუთუ ისიც იმავს გრძნობს, რასაც ინგა?

მართალია, ინგას კითხვებზე მამაკაცი ვერ პასუხობდა, რადგან აზრები, რომელიც ინგას აწუხებდა, მხოლოდ მის გონებაში იყო და მას სხვა ვერავინ იგებდა.... და ინგას პირველად დაეხება აზრი, რომ ეს ყველაფერი სიმართლა, ან უკვე მოხდა და რეალურ ცხოვრებაში უნდოდა გადმოტანა... და თუ ეს ასეა, მაშინ კარგად ყოფილა საქმე. ბოლოს და ბოლოს, ინგასაც ხომ აქვს უფლება იცხოვროს ოცნებებით, უყვარდეს ის, ვინც მას უნდა, იმოგზაუროს სადაც უნდა, იყოს ინგლისის დედოფალი და ა.შ.

2008 წლის ოცდამეორე თებერვლის დილა თენდებოდა. ეს იყო თარიღი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრებოდა ინგა ბოლქვაძეს. ოცდამეორე თებერვალი ქალბატონ ლამარას, ინგას დედის დაბადების დღე იყო.

ტელევიზიისთან, კოსტავას ქუჩაზე უნდა გასულიყო. თაიგული ეყიდა. მერე სასაფლაოზე წავიდოდა. ქუჩა გადაკეტილი დახვდა. საზოგადოებრივ არხზე გამოაცხადეს, რომ მიტინგი ტარდებოდა, მაგრამ გადაავიწყდა, მიტინგში აქტიურად იყვნენ ჩაბმულები სტუდენტები, უბრალო მოქალაქეები, პროფესორ-მასწავლებლები, ისინი, ვისაც გული შესტკიოდა თავიანთ ქვეყანაზე... თითქმის ყველა პარტიის ლიდერები იყვნენ მისულები და სიტყვით, ხმა-მაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ იქ მყოფთ. მომიტინგეთა მხარდასაჭერად მუსიკოსებიც მისულიყვნენ. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერლები....

ინგა იდგა ერთ ადგილზე და თვლების ცეცებით მომიტინგეებს შორის ვილაყას ეძებდა. ო, არა, ბოდიში, ვილაყას კი არა, მას ეძებდა. იპოვა, გაარღვია ბრბო, მიუახლოვდა, დაინახა როგორ გაუღიმა. „ინგა“. დაუძახა კიდევ. „ის“ თითქმის მიუახლოვდა. ე.ი. იცნო. მასაც უყვარს და იგივეს გრძნობს, რასაც ინგა. მამაკაცმა მხრებზე პატარა გოგონა შემოისვა, უცხო ქალბატონს ხელი ჩაჰკიდა და გაუჩინარდა.

გაოგნებული იდგა ინგა. ვილაყას დაეჯახა. გამოფხიზლდა. ცრემლები შეიმშრალა და გზა განაგრძო. გაიარა კოსტავას, გამსახურდიას, საბურთალოს ქუჩები და მერე მიხვდა, რომ ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყო. „არა, ეს სიგიჟეა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება მისი საქციელი. მას ოჯახი აქვს, რას აკეთებს, ვის ეძებს. ადამიანს, რომელსაც არ იცნობს?! რა აბსურდია, მორჩა, დამთავრდა, აღარავისზე აღარ იფიქრებს- მხოლოდ მისი ოჯახი, შვილები, დედა“... ინგას ახლა მოაგონდა, რომ ყვავილების საყიდლად იყო გამოსული.

სული მოითქვა. სადარბაზოსთან იდგა. ნელი ნაბიჯებით აუყვავ კიბეს. ვერ წავიდა დედის საფლავზე, ვერ მიუტანა მინდვრის ყვავილებისგან შეკრული თაიგული, ვერ მიულოცა დაბადების დღე. „რა გემართება, ინგა?“ მერამდენედ დაუსვა თავის თავს კითხვა. კარები ნიტამ გააღო. „ინგა, ინგა“... მან ხომ ეს სახელი დაუძახა? მერე, მერე რატომ ჩაჰკიდა უცნობ ქალს ხელი? ოთახში შევიდა. სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

-ცოტა ხანს დავისვენებ, ქურაში მიტინგია, უთხრა ქალიშვილიშვილს და თვალები მიიღუღა.

„2008 წლის თებერვალში, ხელისუფლების ოპოზიციურმა მხარემ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. შიმშილობიდან მეშვიდე დღეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია მეორემ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მოშიმშილეებს თხოვნით მიმართა, დაშლილიყვნენ“....

ინგას გაეღვიძა. ტელევიზორი ჩართო. ინფორმაციას მოუსმინა, მერე სხვა არხზე გადართო გონების განსატვირთად... დიდებული, ღვთიური, ბრწყინვალე... სამოცდაათოთხმეტი მეტრის მიუხედავად მსუბუქი და ჰაეროვანია. ასე დაიწყო გადაცემის წამყვანმა საუბარი იმ არქიტექტორულ ძეგლზე, რომელიც ინდოეთის ქალაქ აგრასში მდებარეობს. მდინარე იამუნას დაბლობში აღმართული ტაჯ-მაჰალი ყველაზე უმშვენიერესი ქნმილებაა ინდოეთში და შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც. მაღლა ცად აზიდული ერთი დიდი და ოთხი მცირე მარმარილოს გუმბათები, რომელთა უმწიკვლო შემოწერილობაში შესაძლებელია ქალის ფორმების ამოცნობა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ტაძარი ჰაერშია გამოკიდებული. ეს ძეგლი შაჰ-ჯაჰანისა და ზღაპრული სილამაზის მუშთაზ- მაჰალისადმი სიყვარულზე მოგვითხრობს.

„აქაც სიყვარულზე საუბრობენ“, ჩაილაპარაკა ინგამ... არა, აღარ სურს არაფრის მოსმენა. დაიღალა. ახლა ესმის რატომ აგიჟებს სიყვარული ადამიანებს, მაგრამ სიყვარულის გარეშე ვინ არის ადამიანი? სჯობს ისევ სიყვარულზე ისმენდეს ამბებს, ვიდრე გაუთავებელ ჩხუბსა და კამათს ადამიანებს შორის....

ეს იყო 2008 წლის ხუთ დღიანი ომი საქართველოს და რუსეთის ფედერაციას შორის, ომი დაიწყო ოსს სეპარატისტთა შორის კონფლიქტით ცხინვალის რეგიონში.

ნიტა, რომელმაც სამედიცინო უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა, მოხალისედ წავიდა იქ, სადაც მისი თანატოლები იყვნენ, სადაც სამშობლოს უჭირდა. ეს იყო ხუთ დღიანი მძიმე ბრძოლა, რომელიც ქართველთა დამარცხებით დამთავრდა.

ამ ომში ასეულობით ქართველი დაიღუპა. რა მნიშვნელობა აქვს ჯარისკაცი იყო ის, თუ არა? უდანაშაულო სისხლი დაიღვარა. ბევრმა ქართველმა დედამ და ვინ იცის რამდენმა ქართველმა ქალმა ჩაიცვა შავები, რამდენ დედას არ დაუბრუნდა თავისი დედისურთა. რამდენი ბავშვი დაობლ-

და და რამდენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას. საშიშროება იდგა ქვეყნისა და ერის წინაშე. რუსეთი საქართველოს მთავრობის დამხობას აპირებდა, ისევ მიიტაცა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი.

ომმა ფეხზე დააყენა და გააერთიანა ერი და ბერი. ხალხი მოედანზე იკრიბებოდა, იქმნებოდა კომიტეტები, ყალიბდებოდა პარტიები. იმ საბედისწერო დღეებში, ნიტა ფრონტის წინა ხაზზე იყო. დაჭრილი მეომრები გამოყავდა ბრძოლის ველიდან. საბედნიეროდ, ხუთი ნერვიულობისა და უძილო ღამეების შემდეგ, ნიტა მშვიდობით დაბრუნდა სახლში. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ გადაწყვიტა ინგამ, ეროვნულ მოძრაობაში ჩართულიყო, აქტიური მონაწილეობა მიეღო, რადგან მიხვდა, არ არსებობს უფრო ღირებული და წმინდა საქმე, ვიდრე სამშობლოს დაცვაა, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლაა.

ავგისტოს ხუთი დღე, რუსეთ-საქართველოს ომი, ასე ჩაიწერა ეს ომი საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. ომი, რომელიც ქართველი ხალხის დამარცხებით დამთავრდა. ამ ისტორიაში უცნაური სიყვარულის ამბავია მოთხრობილი, რომელიც ნაწარმოების პერსონაჟმა განიცადა, მაგრამ არსებობს ბუნებაში კიდევ რაღაც (სამშობლოს სიყვარული), რომელსაც გვერდს ვერ აუვლი. ჰოდა, როგორ შეიძლებაოდა გვერდი აგვევლო, იმ ისტორიული მოვლენებისთვის, რაც ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა სამშობლომ გამოიარა... ისტორია, რომელიც აქამდე მართლა ზღაპარს ჰგავდა, თანდათან რეალური ხდება. მამაკაცი, რომელიც ინგას გონებაში „ცხოვრობდა“, მართლა გამოჩნდა და გამოჩნდა ზუსტად ოცდახუთი წლის თავზე. დაგვიანებული, (შევერცხლილი თმებით) დაბერებული, მაგრამ „ხელშეუხებელი“!...

ინგა ქალიშვილის ომიდან დაბრუნების შემდეგ, კიდევ უფრო შეიცვალა. გაუმძაფრდა პარაფსიქოლოგიური მოვლენები. შეეშინდა. „არა, სახლში ვერ გავჩერდები, დროა მუშაობა დავიწყო, გულს გადავაცოლებ, იქნებ“... და ასე უპასუხოდ რჩებოდა კითხვები, რომელზედაც პასუხი ჰქონდა და არც ჰქონდა.

გათენდა... ინგა დროზე ადგა. ყავა დალია, კარები გააღო და იმ ოფისისკენ გაუდგა გზას, სადაც მისი შვილი - ნიტა მუშაობდა. გადაწყვიტა ქალიშვილისთვის ეთხოვა დახმარება.

-ბატონი გეგა მობრძანდება, გაატარეთ, - გაისმა ახალგაზრდა ქალბატონის ხმა. ინგა ოფისის შესასვლელ კარებთან იდგა და თვალებს აქეთ-იქეთ აცვებდა, ნიტას ეძებდა.

-გამარჯობა! -მიესალმა ახალგაზრდა მამაკაცი იქ მყოფთ და კარები შეაღო. ინგა შემობრუნდა. ხმა, ეს ის ხმაა, ინგა რომ ნატრულობდა, ინგას რომ ჩაესმოდა ყურში. ხმა „ანგელოზისა“, რომელსაც ოცდახუთი წელი ელოდებოდა. „რაღას უცდი, მიდი“ ჩასძახა ვირაცამ. არა, მან ქუდი უნდა მოიხადოს, კეფას უნდა შევხედო, თუ თმა დაულაგებელი ექნება, ე.ი. ის არის, ვისაც ელოდება.

ოი, საოცრებავ, თითქოს კავკასიონმა მხრებიდან თოვლის მთები ჩამოიბერტყაო... ოი, საოცრებავ, თითქოს იგრძნესო ზეცაში ანგელოზებმა... გეგამ ქუდი (ქუდი არა, ინგამ ახლავა შეამჩნია, რომ თავზე სწორედ ის „კეპი“ ეხურა, როგორც ავტობუსის გაჩერებაზე ნანახ მამაკაცს) გადაიძრო. ინგამ კეფას შეხედა. ძალა ეცლებოდა. ნიტა რომ არა, წაიქცეოდა. ხელი შეაშველა თავად გეგა ნამორაძემაც.

-ვინ არის ეს ქალბატონი? ქვეყანა თავზე გვემხობა, ახლა ავადმყოფებთან ურთიერთობის დრო არ მაქვს, - თქვა ცოტა არ იყოს მწყრალოდ, მაგრამ განა ამ ქვეყნის ნაწილი არ იყო ინგა, რომელიც ოცდახუთი წელი ელოდებოდა მასთან პირისპირ შეხვედრას?! საყვედურის კილოთი ნათქვამმა სიტყვებმა, ინგა ცოტა არ იყოს გააღიზიანა. ჯერ ნიტას შეხედა, მერე ირგვლივ მიმოიხედა და როცა დარწმუნდა, საშიშროება აღარ ელოდებოდა, ანუ უხეშად არავინ მოეპყრობოდა, შვილს დაეკითხა:

-ვინ იყო ის უხეში მამაკაცი?

-ბატონი გეგა ნამორაძე... იმ პარტიის ლედერი, სადაც შენი შვილია გაწევრიანებული. ე.ი. სადაც მე ვმუშაობ და მინდა გითხრა, ეს ადამიანი, სულაც არ არის უხეში.

ინგა სიხარულისგან წამოხტა. თავი მოიწესრიგა. შვილს სთხოვა ეშუამდგომლა ბატონ გეგასთან. ნიტა დაეთანხმა. გეგა ნამორაძე, გაეცნო რა ინგას მონაცემებს, ჯერ ბოდიში მოუხადა ინციდენტისთვის და სთხოვა, (რადგან პარტია მხოლოდ მაშინ იქმნებოდა) მეორე დღეს დაეწყო მუშაობა. ასე გახდა ფსიქოლოგი ინგა ბოლქვაძე, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ოფის-მენეჯერი.

ამ დღიდან ინგას ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. უფრო ენერგიული და მხიარული გახდა. როგორც თვითონ ამბობდა, ყველაფერს ასწრებდა. ოჯახსაც უვლიდა და სამსახურშიც ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. თანამშრომლები, დაწყებული პარტიის ლიდერიდან, დამთავრებული დამლაგებლით, ყველა ემადლიერებოდა. ინგას ერთი ღიმილი საჭირო იყო, რომ ოჯახში ყველა კარგ ხასიათზე დგებოდა. „კედლებიც კი იცინის“, იტყოდა ხოლმე „შეფი“! ინგას გარეშე არ წყდებოდა არცერთი წვრილმანი, თუ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც უფროსი გასცემდა. ყველგან და ყველაფერში ინგას ხელი იყო გარეული. „ოქროს ხელება, ოქროს გულა ქალბატონი“, ასე ეძახდნენ ინგა ბოლქვაძეს, რომლისთვისაც ყველაზე დიდი ბედნიერება გეგა ნამორაძესთან ყოველდღიური შეხვედრა იყო. საოცარია, მაგრამ ეს ოცდამეერთე საუკუნის პლატონური სიყვარულია, რომლის არსებობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებით.

ინგა ოცდაერთი წლის ასაკში გათხოვდა და ცოლად გაყვა თემო კავსაძეს, ოცდახუთი წლის შემდეგ შეხვდა საყვარელ მამაკაცს, მფარველ ანგელოზს, როგორც თვითონ ეძახდა. ე.ი. გამოდის, რომ მოვლენები ისე ვითარდება, როგორც სიზმარში. (ხილვებში) თუმცა, მკითხველი რომ შეცდომამი

არ შევიდეს, ავტორი ხაზს უსვამს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეს ნამდვილი ამბავია, ეს ნამდვილად მოხდა....

2009 წლის მობრძანებას ზეიმობდა პატარა საქართველო. ომის შემდგომ ნამდვილად სჭირდებოდა ქვეყანას სიხარული და წარმატებები. რაოდენ ტრაფარეტული არ უნდა იყოს ავტორის გადახვევა, არის ქართველში პატარა თესლი, რომელიც მყარ ნიადაგს ელოდება, რომ გაღვივდეს და ნაყოფი აღმოცენდეს. სწორედ ამ ნაყოფის მომკას ელოდება ქართველი ერი, ყველა მართლმადიდებელი, რათა უფლის წინაშე წარსდგომა შესძლოს. ამ ნაყოფს სიყვარული ჰქვია. სიყვარული ბედნიერებასთან ასოცირდება... ბედნიერება კი სიცოცხლეა... სიცოცხლე უფალია, უფალი კი თავად სიყვარულია... იყავით „ღმერთები“ სიყვარულში და არასოდეს თქვათ უარი მასზე...

ოცდათერთმეტ დეკემბერს, საღამოს ათ საათზე, ...ქუჩაზე ...სახლის კარებზე, ზარის ხმა გაისმა. კარები თემომ გააღო. ახალგაზრდა ყმაწვილმა, რომელსაც იმხელა თაიგული ეჭირა, რომ სახე არ უჩანდა, იკითხა: - ინგა ბოლქვაძე აქ ცხოვრობს?

-დიახ! უპასუხა თემომ.

-გადავციტ თაიგული, გილოცავთ ახალ წელს!

ყმაწვილმა ყვავილები თემოს შეაჩერა და კიბეებზე დაეშვა. თაიგული იმდენად დიდი იყო, რომ ცოლ-ქმარს მისი ორ ნაწილად გაყოფა დასჭირდათ. გაანაწილეს ლარნაკებში ყვავილები და მხოლოდ ამის შემდეგ იკითხეს „ვისგან არის“? მოიკითხეს ბარათი, რომელიც სავარაუდოდ თაიგულში უნდა ყოფილიყო, ან იატაკზე, რადგან გახსნის დროს შეიძლებოდა ძირს დავარდნილიყო. მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ, ბარათი არსად ჩანდა. თემოს მოაგონდა, რომ ყმაწვილმა ინგა იკითხა და ეჭვი არ იყო, თაიგული მას ეკუთვნოდა, მაგრამ ვისგან? და თემოს ოცდახუთი წლის მანძილზე პირველად შეეპარა ეჭვი ინგას ერთგულებაში, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რადგან ეს მხოლოდ ეჭვი იყო, ეჭვი კი ცუდი მეგობარია და ფაქტის გარეშე ადამიანის დადანაშაულება უდიდესი ცოდვაა, თანაც თემო კამათს და აყალმაყალს შვილების თანდასწრებით არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

მან, გამოუგზავნა თაიგული. აბა, სხვა ვინ იქნებოდა? ბარათიც იმიტომ არ ჩაღო თაიგულში, რომ თემო არ დაეჭვებულყო. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო ინგა. „კუკარაჩა“ კარგი ქმარი იყო, მაგრამ ვერასოდეს მოიფიქრებდა ოცდათერთმეტ დეკემბერს, ახალი წლის ღამეს, (შუა ზამთარში) ქალისთვის ასი ცალი ვარდი გაეგზავნა. აი, „მურტალომ“ კი შეძლო.

დიახ, ის ინგას მურტალო იყო. პერსონაჟი თავად შეაჩერა იმ წუთში და კმაყოფილი იყო. გონებაში გაიმართლა კიდევ თავი.

სამ იანვარს სამსახურისკენ მიიჩქაროდა. ერთი სული ჰქონდა გაეგო ვინ მიართვა ეს ძვირადღირებული ვარდები. არა, ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ... ოფისის კარები ღია დახვდა.

-აქ ვინ არის?-იკითხა. ხანშიშესულმა დამლაგებელმა გამოიხედა. ინგას ახალი წელი მიულოცა,

-ბატონი გეგა დღეს არ იქნება. შვილი ჰყავს ავად და...

-რომელი, გოგო თუ ბიჭი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს.

-ბიჭი, შვილო, დემეტრე!

-დემეტრე?!

-დიახ, დემეტრე!

-არა, ქალბატონო ოლიკო, ბატონ გეგას შვილს კი არა, ჩემს შვილს ჰქვია დემეტრე.

-რას ამბობ, გენაცვალე, ოცდახუთი წელია ამ ოჯახს ვიცნობ და შენ მასწავლი რა ჰქვიათ ბავშვებს?

ინგას თვალები გაუფართოვდა. საკუთარი სისხლის მიმოქცევას გრძნობდა და რა ქნას ახლა? დაიწყო, თუ დამთავრდა მისი სიყვარულის ისტორია? რა როლი აკისრია მას? როგორ უთხრას დამლაგებელს, რომ ის ცდება? ინგამ გონება დაძაბა და შეეცადა მოხუცის გონებაში „შეჭრილიყო“, წუთიერად დაპატრონებოდა მის აზრებს და მერე დაესვა კითხვები. რამდენიმე წამი გაშტერებული მისჩერებოდა ოლიკოს, მერე მზერა სხვა საგანზე გადაიტანა.

-ქალბატონო ინგა, შემიძლია ბინის ტელეფონის ნომერი მოგცეთ. იქნებ დარეკოთ და თავად გაიკოთ ყველაფერი, თუმცა ქალბატონი ინგა თბილისში არ გახლავთ, ხვალ ჩამოდის.

-რას ამბობს ეს ქალი,- გაიფიქრა ინგამ და სახელი..... მიტინგზე რომ ქალს დაუძახა, მაშინ ხომ ეგონა, რომ მას ეძახდა?! არა, ასეთი დამთხვევა არ შეიძლება. გამოდის, რომ გეგას მეურლესაც ინგა ჰქვია, შვილს დემეტრე. ე.ი. ბატონი გეგა ნამდვილად ის მამაკაცია, რომელსაც ოცდახუთი წელიწადია ხილვებში ხედავს!

გაოგნებული იდგა ინგა და ელოდებოდა, როდის გაარვიძებდა მის გონებას „პრინცი“, რომელიც საკუთარი ნებით დაიმეზობლა... როდის შეეხებოდა მისი ჩამოთლილი თითები ტვინის უჯრედს და როდის გამოფხიზლდებოდა ინგა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ბატონ გეგა ნამორაძის სამუშაო ოთახში (კაბინეტში) ყველა ქალზე ეჭვიანობდა.

-ქალბატონო ოლიკო, ქალიშვილს, ინგას და გეგას ქალიშვილს, ნიტა ჰქვია, არა? როგორ არის, დაამთავრა სასწავლებელი?

-გენაცვალე, ნიტამ სასწავლებელი დაამთავრა და გათხოვდა კიდეც. ბატონი გეგა ბაბუაა. საიდუმლოდ გეტყვი, მალე ჩვენი „შეფი“ იუბილარი იქნება. მეგობრებმა გადაწყვიტეს გამოფენა მოწყონ მისი ნამუსევრების. იცით ალბათ, რომ ბატონი გეგა შესანიშნავი ფერმწერი და ფოტომოყვარულია.

-დიახ, დიახ! რა თქმა უნდა, - დაბნეულად უპასუხა ინგამ და გასასვლელი კარებისკენ გაემართა. სახეზე ფერი არ ედო. გეგას ქალიშვილის სახელი ინგამ საერთოდ არ იცოდა, არც არასოდეს უკითხავს ვინმესთვის. სახლში უნდა წავიდეს, თუ „ის“ არ მოვა, მაშინ რა ჯანდაბას აკეთებს აქ? გაუბრაბდა ინგა თავის თავს. დამლაგებელს დაემშვიდობა და წავიდა.

იუბილარი ხდება... ეს როგორ დაავიწყდა? არასოდეს დაინტერესებულა მისი საყვარელი ადამიანი როდის დაიბადა. არ დაინტერესებულა, თორემ არც ეგ იყო პრობლემა. რამდენიმე წამში ინგამ უკვე იცოდა საიუბილეო დღე და რიცხვი.

იმ დღიდან მოყოლებული ინგა საგრძნობლად შეიცვალა. არ არსებობს ბუნებაში ასეთი რამ, იცნობ ადამიანს და თან არ იცნობ, გიყვარს და თან უფლება არ გაქვს მისი სიყვარულის. ოცდახუთი წელიწადი ელოდები, გამოჩნდება და მის ცოლსაც ინგა ჰქვია, შვილებსაც იგივე სახელი, როგორც ინგას შვილებს. რა ჰქვია ამას? ბედის ირონია, თუ „მობრუნებული“ ადამიანის სიცოცხლის გაგრძელება? კადრი წყდება, მერე წვალე-წვალეებით აღადგენ, შეაკოწიწებ და ისტორია მისდაუნებლიედ გრძელდება.

სწორედ ამ დღის ეშინოდა ლამარას, რადგან გრძნობდა, დადგებოდა დრო, როცა ინგას მოუწევდა, თავისი ნიჭის აღიარება. ეს კი ძალიან საფრთხილო და ფაქიზი სამუშაოა, რადგან ადამიანებთან გიწევს ურთიერთობა. ადამიანებთან ურთიერთობა კი, დამეთანხმებით, თავადა უფალსაც გაუჭირდა....

დღეა გაახსენდა, რომელიც სთხოვდა, ექიმთან მისულიყო... როგორ ამტკიცებდა ინგა, რომ ის ავად არ არის, უბრალოდ შეყვარებულია. ახლა კი, როცა სულ ახლოს ჰყავს... ინგა შიშმა აიტანა. დაიბნა,... როგორ ჭირდება დედა... რა ქნას, როგორ მოიქცეს? გააგრძელოს მუშაობა თუ მიატოვოს, რაზედაც მთელი ცხოვრება ინანებს. მაშ, როგორ მოიქცეს? „არა!“ მკაცრად გადაწყვიტა ინგამ. ის რჩება და აგრძელებს მუშაობას. ბოლოს და ბოლოს ეს მისი ცხოვრება და საინტერესოა, როგორი დასასრული ექნება მას....

ქალბატონ ოლიკოს სიტყვებმა ჩააფიქრა ინგა.-

ზამთრის სუსხი იგრძნობოდა თბილისში. 2009 წელი ახალი შემობრძანებული იყო. გეგა ნამორაძის მეგობრები გამოფენისთვის ემზადებოდნენ. მარტამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა, მაგრამ ყველაფრის თადარიგი ჰქონდათ დაჭერილი, ყველაფერი უმაღლეს დონეზე უნდა ჩატარებულიყო.

ინგა დაეხმარება, ყველა პირობას შეუქმნის, რომ დღემ წარმატებულად ჩაიაროს, რადგან პირველი დღე ყველაზე შთამბეჭდავი და საპასუხისმგებელია. ამისთვის აუცილებელია გავარკვიო, ვინ იქნებიან მოწვეული სტუმრები - რამდენი მოსაწვევი უნდა დაიბეჭდოს, რომელი ტელევიზიები გააშუქებენ რეპორტაჟს, რა კომენტარებს გააკეთებენ და ა.შ. სად ერთი ყური მოისმენს და სად ორი, ხუმრობდა ინგა ხოლმე თავისთავზე.

ერთადერთი, რაც დასაწყისში გაურკვეველი იყო, ეს იყო გამოფენის ზუსტი თარიღი, მაგრამ ინგა იმედოვნებდა, რომ ყველაფერს გაიგებდა და მოუთმენლად ელოდა საოცნებო გამოფენის დათვალიერებას....

გაზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. ინგა ტახტზე იწვა და ისვენებდა. უცბად რაღაცამ შეაკრთო. წამოჯდა. პულსი შეიმოწმა. არა წნევა არ ჰქონდა. აბა, რამ აუჩქარა გული? ტელევიზორი ჩართო. რუსთავი 2 ის არხზე გაისმა დიქტორის-წამყავანის ხმა. „დღეს, 18 მარტს, ქარვასლაში გაიხსნა

გეგა ნამორადის პერსონალური გამოფენა, სადაც მიწვეული სტუმრები იყვნენ ცნობილი მხატვრები, მსახიობები, პოლიტიკოსები, სპორცმენები და უახლოესი მეგობრები... ხვალიდან, ორი კვირის განმავლობაში, ხელოვნების მოყვარულთ, ყველას, ვისაც სურვილი გააჩნია, შეუძლია მობრძანდეს გამოფენაზე...

ინგამ ტელევიზორი გამორთო. თვრამეტი მარტი... ეს დღე არასოდეს დაავიწყდება ინგას, მაგრამ თანამშრომლები?! ოფისის არც ერთ წევრს არ გახსენებია, „ოქროს გულა“ ქალბატონი, განსაკუთრებით კი შეფს, რომელმაც თვითონ უთხრა გამოფენამდე ერთი კვირით ადრე, მოსაწვევების დარიგება არ დაგავიწყდესო. ისე მოხდა, რომ ინგა ავადმყოფობის გამო ერთი კვირა სამსახურში არ წასულა. აქედან გამომდინარე, ვერც გამოფენის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ სად იყო მისი „პრინცი?“ თვითონ რატომ არ მოიკითხა, თუ კი მისი იქ ყოფნის სურვილი ჰქონდა?

გათენდა. სიცხიანი წამოდგა ინგა საწოლიდან. გადაწყვიტა, გამოფენაზე წასულიყო. დარბაზში კაცისშვილის ჭაჭანება არ იყო. კედელზე დაკიდული სურათები თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავდა... რაღაც განსაკუთრებულს ეძებდა. იპოვა. ტაჯ-მაჰალის საოცარი სურათი, რომელზედაც სულ ოცნებობდა, ჩასულიყო ინდოეთში და ხელით შეხებოდა ამ საოცრებას. ინგას თავბრუ ესხმოდა... როგორც იქნა მოახერხა, საკუთარი ტელეფონით „სელფი“ გადაიღო და სასწრაფოდ დატოვა დარბაზი.

გავიდა რამდენიმე დღე... ინგა გამოჯანმრთელდა. სიცხე აღარ ჰქონდა და გადაწყვიტა სამსახურში წასულიყო. ჩვეულ რიტმში შეუდგა მუშაობას. არცერთი თანამშრომელი არ დაინტერესებულა იმ გარემოებით, თუ რატომ არ იყო ინგა ბოლქვამდე გამოფენაზე. არც ინგას გაუმახვილებია ყურადღება, მაგრამ, როცა ოფისში ჟურნალისტები მოვიდნენ ინტერვიუს ჩასაწერად, „შეფმა“ ინგა მოიკითხა. ჩვენი „პრინცესა“ თავიდანვე გაერკვა საქმის ვითარებაში, სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და ოფისიდან გაუჩინარდა.

გეგა ნამორადე ოთახში ბოლთას სცემდა. რამდენჯერმე დაურეკა ინგას მობილურზე. ინგა არ პასუხობდა. ინტერვიუ ჩაწერეს... საღამოს რადიომსმენელები გეგა ნამორადის შეხედულებებს ისმენდნენ... როგორ მოუწყვეს მეგობრებმა სიურპრიზი, როგორი სიამოვნება მიანიჭეს, როგორ ბედნიერია და ა.შ.

იმ დღეს, როცა ინგა სამსახურიდან წავიდა, მეტიჩარა თანამშრომლების ჯგუფმა (კოლეგებმა) გადაწყვიტა „შეფის“ რესტორანში დაპატიჟება-პატივისცემის ნიშნად. გეგამ ჯერ უარი განაცხადა წასვლაზე, მერე დიდი ხვეწნისა და თხოვნის შემდეგ, როგორც იქნა დაითანხმეს.

ისე მოხდა, რომ გეგა ნამორადე დათქმულ დროს რესტორანში თანამშრომლებთან შესახვედრად ვერ მივიდა. სახლში მისულმა თავი ცუდად იგრძნო.

-ეს რა ხდება? დღეს ისე კარგად ვგრძნობდი თავს, რა დამემართა, ხომ არ გავცივიდი?-უთხრა თავისთავს. მერე მეუღლეს სთხოვა, ასპირინი მომიტანეო და საწოლზე უღონოდა დაეცა.

გეგას ძალიან გაუკვირდა ინგას საქციელი, მაგრამ საყვედური არ დასცდენია. რა უნდა ეთქვა „შეფს“, რომელმაც თავისი „მარჯვენა ხელი“ საკუთარ გამოფენაზე არ დაპატიჟა, უფრო მეტიც, ვერ შეამჩნია მისი არყოფნა.

გადიოდა დღეები... იმდენად მოსაწყენი და უღიმრამო იყო ინგას ღიმილის და იუმორის გარეშე ყოველდღე ოფისში მისვლა, გეგონებოდათ, პანაშვიდზე მიდიანო. სევდა და ტრაგიზმი ინგამ თითქმის ყველა თანამშრომელს გადასდო.

ყველამ დაივიწყა სამსახურეობრივი მოვალეობა და ახლა მთელი ყურადღება ინგასკენ ჰქონდათ მიპყრობილი.. მოიწყინა თავად გეგამაც, რადგან ინგასავით ყავას ვერავინ ადუღებდა, ინგასავით ვერავინ მოიპოვებდა იმ მასალებს, რომელიც პარტიის სასარგებლოდ იქნებოდა საჭირო... ინგასავით ვერავინ აწყობდა ღონისძიებებს, შეხვედრებს და ბოლოს, ინგასავით უნადაშაქრული, გაწონასწორებული, მოზომილი სიტყვა-პასუხი, იუმორით სავსე, განათლებული და რაც მთავარია, უერთგულესი თანამშრომელი, არავინ იყო პარტიის რიგებში.

თითქოს ოფისი დაცარიელდა. გეგა ნამორაძე ასსორმოცდაათ თანამშრომელთან ერთად მართო დარბაზი. მათი დამაკავშირებელი უხილავი ძაფი გაწყდა. მისი აღდგენა ვერავინ შეძლო. მთავარი საბრუნავი ახლა ინგას შემორიგება იყო. გაახსენდა, რომ ინგას ძალიან უყვარდა ყვავილები. თხუთმეტი აპრილი, სიყვარულის დღე ახლოვდებოდა. გეგა ნამორაძემ ერთი დღით სამსახურიდან გაანთავისუფლა ყველა თანამშრომელი ქალი. გადაწყვიტა, სრულიად გულწრფელად, ყოველგვარი „ფამილიარობის“ გარეშე, ნიშნად შერიგებისა, წითელი ვარდები გაეგზავნა და პატიება ეთხოვა. მძღოლს დაუძახა. სთხოვა, ოფისის ყველა თანამშრომელი ქალბატონისთვის ვარდების თაიგული მიეტანათ. აქაც წინდახედულობა და სიფრთხილე გამოიჩინა გეგა ნამორაძემ. თუ ჭორიკანა თანამშრომლები რამეს იტყოდნენ „შეფის“ მიერ გაგზავნილ ვარდებზე, ვერავინ იეჭვებდა, რომ ეს ოფისის სახელით არ იყო გაკეთებული.

ვარდების მიღებამ, ინგას გული ვერ მოუღბო, თუმცა განწყობა ოდნავ შეეცვალა. სასურველი ქალის მოსახიბლად შარმს, გასაოცარ ღიმილს არ იშურებს, ყურადღებას იჩენს. გალანტური თაყვანისმცემელი და ტკბილად მოუბარია. უყვარს ლექსების მიძღვნა, ლამაზი საჩუქრების გაკეთება და პატარა-პატარა დღესასწაულების მოწყობა. იმისთვის, რომ ქალი მოხიბლოს, არ იყენებს ნასესხებ მანერებს. მას სულაც არ ჭირდება სერენადები იმღეროს, ან მსგავსი სისულელე ჩაიდინოს. იგი მორიდებული და თავშეკავებული მიჯნურია. არ სჩვევია ღალატი და ორპირობა. ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს „საყვარელი ქალის“ (ზოგადად ადამიანის) კეთილგანწყობის მოპოვებას. ანებივრებს მას პრაქტიკული საჩუქრებით, ყურადღებით და ზრუნვით....

ინგამ გონებაში კიდევ ერთხელ დაახასიათა, დახატა მისი პორტრეტი და კმაყოფილი დარჩა, რომ კაცი, რომელზეც ოცდახუთი წელიწადია ფიქრობს, ან დიპლომატია ან უბრალოდ მექაღთანე.

გათუნდა ორშაბათი დღე, ჩვიდმეტი აპრილი. ყველა თანამშრომელი უკლებლივ შეიკრიბა ოფისში. ყველა ქალბატონმა მადლობა გადაუხადა გეგა ნამორაძეს ყურადღებისთვის. მხოლოდ ერთი ქალბატონი იდგა ფანჯარასთან ახლოს და გაბჭურაზე შემოდგმულ პატარა ჩაიდანს დარაჯობდა. გეგა ელოდებოდა, როდის შევიდოდა კაბინეტში, ყავით ხელში მისი მენეჯერი და მადლობას გადაუხადებდა მირთმეული ვარდებისთვის. ასეც მოხდა. ინგამ ლანგარზე ჭიქა ყავა დადგა... შევიდა... მიესალმა... ლანგარი მაგიდაზე დადო. „მიირთვიტ“, უთხრა დე ნელი ნაბიჯით კარისკენ წავიდა.

-მადლობთ, ინგა! - უთხრა გეგამ და ფარული მზერა შეაპარა.

-თქვენც მადლობას გიხდით ვარდებისთვის, უკვე მეორედ. ისე ჩუმიად წარმოსთქვა ეს სიტყვები ინგამ, თითქოს კარებზე ყურები ჩამოკიდეს და უსმენენო.

იმ დღიდან მოყოლებული, ყველაფერი ჩვეულ რითმში ჩადგა. პარტია ვითარდებოდა და დიდი წარმატებებსაც აღწევდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

მოვიდა „საძაგელი“ ცხელი ზაფხული. გეგას უყვარდა ზაფხული, რადგან ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებოდა „რომაული არდადეგები“. მართო უყვარდა გეგას დასვენება, ყველა და ყველაფრისგან სურდა განტვირთვა. ჯერ მთაში უნდა ასულიყო. მთები, მწვერვალები, ცის კიდებზე აზიდული სვანური კოშკები, შხარა და უმგული, სვანი ხალხის სტუმართმოყვარეობა და ბავშვური გულუბრყვილობა იზიდავდა. მერე აუცილებლად ზღვაზე უნდა წასულიყო და გარუჯულიყო.

იმ ზაფხულს ინგას ოჯახი ქალაქიდან არ გასულა. ნიტა საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას, სწავლის გასაგრძელებლად. დემეტრე სახელმწიფო გამოცდებისთვის ემზადებოდა. თემოს „არდადეგები“ უკვე გამოყენებული ჰქონდა. შრომის ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი.

დამთავრდა „რომაული არდადეგები“... ბარაქიანი შემოდგომა მობრძანდა მხრებზე გოდრებითა და მძივებად ასხმული ყურძნის მტევნებით. ინგას უყვარდა შემოდგომა, მისი სურნელი ჰაერში რომ იგრძნობოდა ძალას მატებდა, ამშვიდებდა. მოსავლით დატვირთული ურმები განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა. გრძნობდა, მისი სამშობლოსთვის ეს წელიწადი დოვლათითა და ბარაქით სავსე იქნებოდა. რა ლამაზად ჟღერს ეს სიტყვები „ჩემი სამშობლო“, მაგრამ რამდენი სევდა და დარღია ჩადებული ამ ორ სიტყვაში... და რა ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც სამშობლო გააჩნია.

ღმერთო, ნუ მოუშლი ჩემს ქვეყანას ბარაქიან შემოდგომას, აყვავებულ გაზაფხულს, ზამთარში თოვლსა და ზაფხულში შხაპუნა წვიმას. ააჟრიამულე ქართველი ერი! ღვითისმშობელო, შენი მადლიანი კალთა გადააფარე წილხვედრ საქართველოს“....

ეს იყო ინგას სალოცავი სიტყვები, რომლის წარმოთქმა არასოდეს ავიწყდებოდა, არასოდეს ენანებოდა თავისი საყვარელი, სათაყვანებელი საქართველოსთვის...

ინგა, როგორც ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა. ის პირველი მივიდა სამსახურში. ოფისში გეგა ნამორაძის გარდა არავინ იყო. ინგამ კაბინეტის კარი ბოდიშის მოხდით შეაღო და უფროსს მიესალმა. პასუხი დაუბრუნეს. ოდნავ მოჭუტულ თვალებში, ინგამ ცრემლი შენიშნა. შემობრუნდა.

-ბატონო გეგა, მოხდა რამე?!

-სანამ ვინმე მოსულა, უნდა გითხრა!

ინგას მიწისფერი დაედო. რა უნდა უთხრას? მას ხომ საბაბი არ მიუცია. არც ის უთქვამს, ვინ იყო მისთვის და რა როლს ასრულებდა მის ცხოვრებაში. ინგას ოჯახი აქვს. მასაც ცოლ-შვილი ჰყავს. ღირს კი ახალი ურთიერთობების წამოწყება? თუ უთხრას, რომ მათი სიყვარული ისეთივე ხელშეუხებელი და მიუკარებელი უნდა იყოს, როგორც მზის სხივია... რა ქნას, როგორ მოიქცეს? გაიფიქრა ინგამ და სირცხვილისგან პირველად მის ცხოვრებაში, თვალი ვერ გაუსწორა ადამიანს, რომელიც უყვარდა, რომელიც მის გვერდით იდგა ჭირსა თუ ლხიმში. ადამიანი, რომელსაც ოცდახუთი წელიწადი რუდუნებით ელოდებოდა.

-ქალბატონო ინგა, (ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გეგა ნამორაძემ ოფიციალურად მიმართა) ჩვენი დამლაგებელი, ქალბატონი ოლიკო ავად ყოფილა... თუ შეიძლება, თანამშრომლებს გაესაუბრეთ, ვალდებულები ვართ, დავეხმაროთ.

-რა თქმა უნდა, ბატონო გეგა, მე თავად ვიბრუნებ, რომ გარკვეული თანხა შეგროვდეს.

-მადლობთ, შეგიძლიათ წახვიდეთ!

ვინმეს, რომ ცალი თვალით შეეხედა გეგა ნამორაძისთვის, ქალს, ბავშვს, კაცს, ისინი აუცილებლად შეიყვარებდნენ მას. ყველაზე კეთილი, ყველაზე მართალი ადამიანი იდგა ინგას წინაშე და არ შეეძლო ეთქვა, რომ ძალიან, ძალიან უყვარდა. უყვარდა მთელი მისი შეგნებული ცხოვრება. უყვარდა სიზმარში. უყვარდა ცხადშიც და სიცოცხლის ბოლომდე უყვარებოდა...

სამუშაო საათები დამთავრდა... გეგა ნამორაძის კაბინეტში მაგიდაზე საქაღალდეში, იდო გარკვეული თანხა, რომელიც ქალბატონი ოლიკოს ოპერაციისთვის იყო განკუთვნილი.

ერთი კვირის განმავლობაში ოფისში თითქმის არ საუბრობდნენ, თითქოს საქმე არ ჰქონდათ... ეს მოხუცი ქალბატონი, მარტო დამლაგებელი კი არა, ყველას ბებია, ყველას ბიცოლა და მამიდა იყო... ენატკბილი და ენამოსწრებული. ახალგაზრდობაში მედ. კლინიკის ქირურგიული განყოფილების პროფესიონალი მედიცინის და. ჰყავდა ორი შვილი და ხუთი შვილისშვილი. სამოცდაათს გადაცილებული...

გეგა ნამორადის კაბინეტში ტელეფონმა დარეკა.... რატომრაც ყველამ ოთახისკენ გაიხედა. არაფერი ესმოდათ.... ბატონი გეგას სახის გამომეტყველებით მიხვდნენ, რომ რაღაც კარგი ხდებოდა. გეგამ ყურმილი დაკიდა. დერეფანში გამოვიდა. თანამშრომლებს ღიმილით გადახედა და ომახიანად შესძახა: „სიკვდილი დამარცხებულია, ქალბატონი ოლიკო თავს კარგად გრძნობს“. მთელმა განყოფილებამ, შვებით ამოისუნთქა. ინგას სახეზე სიხარულმა გადაუჭროლა.... ოფისის კედლებმაც გაიციინეს.

ოცდაერთი ოქტომბრის დღია თენდება. ოფისში ჟრიაშული იყო.

-რა ხდება? - იკითხა შესვლისთანავე ინგამ.

-ბატონი გეგას დაბადების დღისთვის ვემზადებით..... მიკვირს შენგან.... ოფისს მენეჯერს არ უნდა სჭირდებოდეს „შეფის“ დაბადების დღის შეხსენება. ეს შენი მოვალეობაა, ჩემო კარგო.... ასეთ მნიშვნელოვან საკითხს მე არ უნდა გახსენებდე, უთხრა მატრაკვეცა სალომემ (თითქმის შვილის ტოლმა) ინგას და გავის ქნევა-ქნევით „შეფის კაბინეტისკენ წავიდა.

-აი, სიზმარიც ამიხდა“, ჩაილაპარაკა ინგამ და თავის სამუშაო ოთახისკენ წავიდა. დაჯდა. გონება მოიკრიბა. ყველაფერი გაიხსენა. სიზმარში ნანახი გოგონა სალომე იყო.... ინგას თანამდებობაზე, რომ ოცნებობდა.... ვინც ინგას მოსაწვევი დამალა. „ვერ ეღირსები, ასე ადვილად ართმობენ საყვარელ ადამიანებს“, გაიფიქრა ინგამ და გადაწყვიტა ყველა მოწინააღმდეგე დიპლომატიური მეთოდით მოეშორებინა. საწერ მაგიდაზე რაღაც დადო.... ოთახიდან გავიდა. „შეფისთვის“ ყავის მოდუღებას აპირებდა. უკან არ მოუხედავს, მაგრამ დაინახა, როგორ შევიდა მატრაკვეცა სალომე მის ოთახში. ინგამ ჩაიდანი გაბჭურაზე შემოდგა, მატრაკვეცა მიუახლოვდა.

-სად გადაიღე ეს სურათი? - ჰკითხა ისე ხმამაღლა, თითქმის ყველა თანამშრომელმა გაიგო. სიმართლე გითხრათ, ინგასაც ეს უნდოდა.

-რომელი სურათი?

-აი, ეს სურათი... რატომ გვიმაღავდი, შენ ხომ ავად იყავი, ჩვენ კი თავს დამნაშავედ ვგრძნობდით შენს წინაშე.... საყვედურის კილოთი შეუტიეს ქალებმა, ინგამ კრუხებივით აკაკანებულ ქალებს უსიამოვნოდ გადახედა.... ცხვრის ფარას მწყემსი სჭირდება, ტაჯ-მაჰალს - „სიყვარული“ ...ჩაილაპარაკა თავისთვის და ოთახისკენ წავიდა. ქალების კისკისზე გეგამაც გამოიხედა.

-შეიძლება, ვნახო?-იკითხა და ინგას ხელი გაუწოდა. „შეფი“ სურათს დაცქერდა.

-ამ სურათზე ტაჯ-მაჰალია. ის არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. მისი არქიტექტორი იყო იტალიელი ჯერონიმო ვერონი. ვერანაირი ფოტო ვერ გადმოსცემს იმ აღფრთოვანებას, სიხარულსა და სიყვარულის გაორმაგებულ ჟინს, რომელიც ადამიანს ეუფლება. ეს ის ადგილია, საიდანაც დაწყვილებულები ბრუნდებიან. ტაჯ-მაჰალი სიზმარივით ლამაზია, (საუბრობდა ბატონი გეგა ტაჯ-მაჰალზე და აღარც ახსოვს, როგორ შევიდნენ კაბინეტში, ინგა ყავით, „შეფი“ სურათით ხელში) ზეცაში გამოკიდებული თეთრი გედვიტ ბრწყინვალეა. ეს არის სასწაულების სასწაული. ტაჯ-მაჰალი

აგებულია მონგოლთა იმპერატორის შაჰ-ჯაჰანის შეკვეთით. ტაჯ-მაჰალი უნდა გამხდარიყო მისი საყვარელი მეუღლის არჯუმან ბანო - ბეგუმის სახელზე აგებული მარმარილოს მავზოლეუმი... შენ იქ აუცილებლად უნდა წახვიდე ინგა... ეს საოცრება უნდა ნახო....

გეგამ შეისვენა. სურათს დახვდა.

-კი, მაგრამ ეს ხომ შენ ხარ?

ინგამ თავი ჩაქინდრა.

-ბატონო გეგა, მიირთვით ყავა... თქვენ კარგი გიდი იქნებოდით... გილოცავთ დაბადების დღეს!

გეგას ნამდვილად არ სურდა ვინმე შეწუხებულიყო და ამიტომ ინგას სთხოვა, არავისთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ რა იცოდა მატონმა გეგამ, რომ ინგასაც შეახსენეს ეს თარიღი.

-ინგა შენ აქ როგორ მოხვდი? შენ ხომ ავად იყავი?

-ბატონო გეგა, ეს დიდი ისტორიაა, რომელსაც ასე ადვილად ვერ გიამბობთ. რაც შეეხება სურათს, ის ცხრამეტ მარტს არის გადაღებული. მე გამოფენაზე მიწვეული არ ვყოფილვარ, დაგავიწყდით, მაგრამ ხელოვნების სიყვარულმა საწოლიდან წამომიხატუნა. მეტყობა კიდევ, სიცხიანი რომ ვარ. სიცხიანი კი ძალიან ცუდად გამოვიყურები. ბატონო გეგა, გთხოვთ სიტყვა არ გამაწყვეტინოთ. ხვალ თქვენს სამუშაო ოთახში, მაგიდაზე დაიდება განცხადება, რომელსაც თქვენ აუცილებლად უნდა მოაწეროთ ხელი. ეს არის განცხადება ჩემი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ....

თქვენთან გატარებული მუშაობის ორი წელიწადი, იყო მთელი ჩემი ცხოვრება....

მადლობთ იმ სიყვარულისთვის, რომელიც თქვენ მომანიჭეთ... მე თქვენ მთელი ცხოვრება გემებდით... გიპოვეთ... თქვენ კი არასოდეს გიძებნივართ, შესაბამისად ვერც მიპოვნიდით, ...მაგრამ თქვენ მაინც ჩემი მფარველი ანგელოზი ხართ....

გაოგნებული მისჩერებოდა გეგა ნამორაძე ქალს, რომელიც ორი წელიწადი გვერდით ჰყავდა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ....

თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან, 6 საათსა და 50 წუთზე ინდოეთის მიმართულებით გაფრინდა თვითმფრინავი.... პირველი კლასის სალონის მგზავრი გახლდათ ქალბატონი, რომელმაც საქართველოში ვალად დატოვა თავისი სიყვარული.....

ინგა გოგიბერიძე



დავიბადე ულამაზეს ქალაქში, 1964 წლის 19 აპრილს, იმ თვეში, როცა ბუნება ყველაზე ლამაზია ალბად, სითბო იღვრება ყველა მხრიდან. მზემ გადაწყვიტა ჩემს გულში ჩასახლებულიყო და მზის-ფერი გავმხდარიყავი. ოქროს მედალზე დავამთავრე ქ. ბათუმის ვ.ი. ლენინის სახელობის №1 საშუალო სკოლა. სწავლა ჩვენი ქალაქის, მაშინ ერთ-ერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში გავაგრძელე (ნუცას სკოლას რომ ეძახდნენ თბილისელები). გავაგრძელე და წითელ დიპლომზე დავამთავრე კიდევაც, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით. რამდენი ქართველი

გადაიარა ჩვენმა ქვეყანამ, სწორედ ის დრო იდგა რუსული ენა მჭიდროდ რომ იკიდებდა ფეხს სახელმწიფო დაწესებულებებში, ამიტომ სიხარულით ამიყვანეს აჭარის კულტურის სამინისტროში კადრების განყოფილების უფროსად. მხოლოდ ესლა ვხდები, რომ იქ გატარებული წლები იყო ჩემი ლიტერატურული ბიოგრაფიის დასაწყისი. თეატრალური ფესტივალები, ბათუმური მუსიკალური შემოდგომა, შეხვედრები მწერლებთან, მხატვრებთან, ცნობილ მუსიკოსებთან, თეატრალურებთან ქმნიდა ჩემს მენსიარებაში ყოველივე იმას, რაც მხოლოდ სამი წელია გადმოვიტანე ფურცელზე. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბათუმის ბიბლიოთეკაში მუშაობამ კი, მომცა ის უნაპირო შესაძლებლობა, რასაც საყვარელ ადამიანებთან, მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრებმა მაგრძნობინეს.

სოციალურ გვერდზე შევქმენი ლიტერატურული-ფორუმის სახით ჯგუფი „ინგას უბანი“ სადაც ძალიან ბევრი შემოქმედი ადამიანია გაერთიანებული. პოეტ ხათუნა შავგულიძის სიტყვებით, თუ ვიტყვი მათი ნიჭიერების ძებნაში, ჩემი მუზაც მოფრინდა და გამოვეცი შემდეგი წიგნები:

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები - (იმედის დირიჟაბლი)-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-“შენც წაიკითხე“- პუბლიცისტური წერილები-2014 წელი

ლი

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები და მინიატურული შტრიხები თქვენი პორტრეტებისათვის-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-ინტერვიუების კრებული-, „...ერთი ტონა ბლის მურაბა ჯილდოდ“-2015 წელი.

-ინგა გოგიბერიძე -„ამბავი ერთი ქალისა“.

ვარ ხუთი კრებულის რედაქტორ-შემდგენელი, „ჩანაწერები ინგას უბნიდან“.

მონაწილეობა მივიღე ლიტერატურულ ფესტივალში „ზე კართან“ და ვარ ლიტერატურული კონკურსის „ოდეონის“ ერთ ერთი გამარჯვებული.

არაფერი...
არაფერი არ არის დღეს.
დილის მოსვლა და ღამის გაქრობა.
თვალეებში შუქის ჩადგომა და მარტოობა.
არაფერი. გარდა მიწის სურნელისა.
ყველაფერი გარდა არაფრისა.
სიყვარულისა მოსული მღვიმე გამოქვაბულიდან
ამოზრდილი ტბაში ლერწმად
და ამოსული სულში ხნულად გაზაფხულისა.
არაფერი. არაფერი არ არის დღეს.
გარდა ოქროს მონეტებად დაღვრილი აუხდენელი ოცნებებისა.
ვერცხლის ფულად გადაქცეული ტყუილისა,
დაუნახავი სიკეთისა,
უმაღური სიყვარულისა.
არაფერი გარდა ყველაფრისა.
ყველაფერი გარდა არაფრისა.
მოსული ტყიდან დევის კაცად
დიდ უზარმაზარ თავად ცნობისა,
ამ თავზე დიდი უგრძნობი ტანისა,
უფეხო მკლავისა და უხელო მაჯისა.
არაფერი გარდა ყველაფრისა
ყველაფერი გარდა არაფრისა.
არაფერი არ არის დღეს
გარდა უსაშველო წვიმისა.

....ბერავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა,
რომ მომეყოლა ის ისტორია როგორ დამჩაგრეს,
როგორ გამთელეს და ხელები გადამიმტვრიეს საკუთარ
ფარზე.
როგორ მოვიდა დევი უსულო და წამიყვანა საკუთარ სახლში,
ჩამსვა მის რქაში, მარცხანა მხარეს ამოზრდილში და
გამაჩერა დიდხანს, დიდხანს დაღამებამდე..
ვარსკვლავების აღმორენამდე.
....ბერავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა,

რომ მომეყოლა ის ისტორია როგორ მომაჭრეს სხეულიდან ის
ნაწილები, შენთვის რომ მინდოდა, შენთვის რომ მომქონდა.
როგორ მატკინეს უვნებელი ჩემი სხეული.
...ბერავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა,
რომ მომეყოლა ეს ისტორია ან არ მომეყოლა რადგან ბერავი
ქალი არავის უყვარს.
მე კი მიყვარს ბერავი ქალი და ამიტომაც მინდოდა ბერავი
ქალი ვყოფილიყავი.
როგორ მინდოდა დაგეჯერათ ჩემი სიმართლის,
ჩემი ტყეების სიმშვენიერის,
მდინარეთა ცისფერი წყლების.
ჩემი ტბების უძირობის,
ჩემი კლდეების მწვერვალების,
ჩემი ვარსკვლავების,
ჩემი სიხარულის,
ჩემი ხშირი წვიმების და გადაუღებელი თავსხმა წინწკლების
სიყვარულის.
მაგრამ მე მართლა ერთი ბერავი ქალი ვარ,
რომელსაც საგმირო ისტორიის მოყოლა უნდოდა თქვენთვის!
...ბერავი ქალი ვყოფილიყავი როგორ მინდოდა.

ბინა გამოვიცვალე და ქარი გამოდგა შლეგი.
ჩამიმტვრია დარაბები.
ჩამომიხია შპალერი, ავეჯიც მიღეწ-მოღეწა და წავიდა.
სახელი გამოვიცვალე და ისიც შლეგი იყო.
დაჰქროდა აღმა - დაღამა, ყველა მასზე ამბობდა,
ისაა, მაგან მოკლა, დასაჯა... გადაასახლა...
მაგან დაბადა, საკუთარი მუსკლიდან ამოუშვა,
მერე ჩვენთან გამოუშვა ...
ის არის..
დედ-მამა გამოვიცვალე და ატყდა აურზაური
აირია შვილები ერთმანეთში,
და ძმას ვეღარ ცნობდა ძმა დას.
გადავცვალე მარჯვენა ხელი მარცხენაში,
რომ გული გადამეადგილებინა.

დაიწყო ფეთქვა სისხლმა ყველა აორტიდან,
ვერ გაოგნო გზა და გახეთქა ეს საწყალი უადგილო გული.
სხეული გამოვიცვალე მთლიანად და
გადავცვალე ჭრელი მინდვრები ვულკანის ცხელ ლავაზე.
ჩანჩქერები ტორნადოებს შევუფარდე.....
კლდეები ზვრებს..
მხოლოდ სამშობლო ვერ გავიმეტე გამოსაცვლელად.
მზე, მთვარე და ვარსკვლავებიც დავტოვე.
იქნებ ჩამდაგარიყო ქარი.
იქნებ მქონოდა ბინა და იქნებ მქონოდა
ეს ჩემი მართალი გული .

წარსულიდან მომიტანე წყალი.
ეგებ, მოვიკლა წყურვილი შენი მონატრების.
გამომიგზავნე სითბო და სისველე,
დამშრალი ხელების სინოტვისთვის,
გამხმარი ყელის დასალბობად,
პურის მარცვლების აღმოსაცენებლად.
წარსულიდან გამომიგზავნე ფოტო,
სიკვდილ-სიცოცხლის რაელური სახე.
ბებოს თბილი ღიმილი,
ბაბუს ერთგულება და მუდმივად მომგებიანი
ლოტოს ბილეთები.
მამის სევდა და მონატრება.
კეთილშობილება.
გამომიგზავნე არ-არსებული მზიანი მთვარე.
კიდევ გამომიგზავნე ომი
მშვიდობის დასამყარებლად,
ერთგულების მისაღწევად,
მონობის აღმოსაფხვრელად,
ზავის დასადებად
და ქაოსის შესაჩერებლად.
წარსულიდან გამომიგზავნე ფატა
ჩემი ქორწილის რეალური სახე.

სინდის- ნამუსის დასათესად,
სიყვარულის მოსაპოვებლად
და შვილების გასაჩენად.
წარსულიდან გამომიგზავნე ყველაფერი, რაც მბაბდია
სამშობლოს სიყვარული,
ქართველი ქალის სათნოება. მზე და მთვარე
და კიდევ ოცნების ვარდისფერი სათვალეები.
გამომიგზავნე... გამომიგზავნე ყველაფერი
ოღონდაც არ წაიღო წყალი.
ოღონდაც არ წაიღო მზე.
ოღონდაც დამიტოვე ჩემი ნატვრის ვარსკვლავები
და ჩემი პატარა ანდრიას ტყე.
ტყე, სადაც ვიცხოვრებთ ერთად,
ტყე, სადაც ვიქნებით ერთად.
ტყე, სადაც გავაჩენთ შვილებს და
აღარ დაგვჭირდება წარსულის მზე.
...და მაინც წარსულიდან მომიტანე
ყველაფერი რაც გთხოვე....
ოღონდაც არ წაიღო ჩემი გული...
დამიტოვე, გთხოვ....
რომ აღარ დამჭირდეს არასდროს
...ეს წარსულის მზე.

ეპიტაფია გლეხი ქალის საფლავზე

მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ
დგევართ.

მე დავიბადე ბედნიერი, თან უბედურიც .

ბედნიერი იმით, რომ ამ სოფელში, მიწაზე ერთნაირად დავა-
ბიჯებდით მთელი სიცოცხლე მეც და ჩემი შვილებიც.

ჩემი ბებია და ბაბუა,

ჩემი დიდი წინაპრები,

და ჩვენთან ერთად პატარა გოჭებიც .

დიდი ღორები დინგით მიწას თხრიდნენ,

ძროხები ძოვდნენ ბალახს,

ცხენები დათარეშობდნენ,

მე კი მუდმივად ამ მიწაზე წყლით სავსე ტოლჩებს ვეზიდებოდი
სახლისაკენ.

იმ სახლისაკენ, სადაც მე დავიბადე ბედნიერი, თან უბედურიც .
ბედნიერი იმით, რომ ჩემი სახლის გვერდით უზარმაზარი
მდინარე ჩუხჩუხებდა.
უბედური იმით, რომ ჩემი სახლის ონკანში წყალი არ მოდიდოდა.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ
დგევართ.
დავდიოდი ოღრო-ჩოღრო გზებზე და არ ვიცოდი, რომ ქვეყნად
არსებობდა ლამაზი და სწორი გზები.
თუმცა რა.
ყოველ დილით, განსაკუთრებულ მზის ამოსვლას ვხედავდი,
თეთრ ფუმფულა ნისლებში და ახალმოწველილ რძის სურნელში
ვიძირებოდი და დაისთან ერთად ტკბილად ვიძინებდი.
ღამე კი როცა თვალს გავახედდი, ისეთი ვარსკვლავებით
მოჭედდილ ცას ვხედავდი, რომელიც მხოლოდ ამ სოფელში იყო.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგევართ
მე დავიბადე ბედნიერი, თან უბედურიც .
ბედნიერი იმით, რომ
ჩემმა შვილებმა შრომა ისწავლეს.
ჩემმა შვილებმა მოკითხვა ისწავლეს.
ჩემმა შვილებმა სხვისი პატივისცემა ისწავლეს.
და დავდიოდი ბედნიერიც და უბედურიც იმით, რომ არ ვიცოდი რა
მელოდა აქ.
ახლა კი ვხვდები, რომ ვიყავი უსაზღვროდ ბედნიერი ჩემი მიწის
და მთის მოსიყვარულე,
მაგრამ უბედური.
თავად განსაჯეთ, რით ვიყავი ბედნიერი და რით უბედური.
მე დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგევართ
ავაშენე პატარა სახლი უაგუროდ, უწყლოდ, მხოლოდ ქვიშით და
სიყვარულით, რომელსაც ვაზავებდი მარილით, რომელიც
მოჰყვებოდა ჩემს ოფლს და მტვერით, რომელიც მოყვებოდა
მერცხლის ბუდეს.
ამიტომაც დამეტყო სახეზე ნაოჭი, ხელებზე მკვეთრი ხაზები და
მოვიხარე რკალივით.
თავად განსაჯეთ, რით ვიყავი ბედნიერი და რით უბედური. მე
დავიბადე ამ სოფელში, იმ მიწაზე, სადაც ახლა თქვენ დგევართ .

ეპიტაფია ყასაბი

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახსლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსული და მოლაპარაკე.

დანა, რომლიც სულ თან დამქონდა, ერთნაირად კლავდა პატარა გოჭუნას, ხბოს, ძროხას, ცხვარს და ადამიანის გულს.

დანა, რომლითაც ძვალსა და ხორცს ვაცლიდი ერთმანეთს, ვაშორებდი და ვაცალკავებდი ისეთივე მწარე იყო, როგორიც ადამიანის ტკივილი.

ეს დანა არასოდეს ბლაგვდებოდა, იმიტომ რომ მე ყოველდღე ვლესავდი, ვლესავდი და ვლესავდი მას, რათა კვლავ მომეკლა გამეტყავებინა, დამეჭრა და დამენაკუწებინა სინამდვილე, არსაიდან მოსული.

დანა, რომლითაც მე ვმუშაობდი თან ჩამატანეს, რათა არ დამვიწყებოდა, რომ დაბადებას გარდაცვალება მოსდევს, სიხარულს ტკივილი, ბედნიერებას უბედურება, დღეს ღამე და მზეს მთვარე.

დანა? დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახსლდათ, როგორიც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსული და მოლაპარაკე.

...მაგრამ დანა ეს, საჭრეთელი იყო ჩემი, ჩემი სიყვარულის ჩუქურთმა, ჩემი სიხარულის ნაქარგი, ჩემი ხეხილის დამყნობი, ჩემი ვაზის ყლორტის წამალი და ჩემი ბედნიერების საძირკველი.





შორენა გაბელაშვილი



მე ვარ შორენა გაბელაშვილი. დაბადებული 1983 წლის 2 ნოემბერს ქუთაისში.. აქვე დავამთავრე ქუთაისის N38 საჯარო სკოლა. პროფესიით ისტორიკოსი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი გახლავართ. სერთიფიცირებული პედაგოგი. მყავს ერთი შვილი. შორენა გაბელაშვილი არის „ჩანაწერები ინგას უბნიდან „პირველი და მეორე კრებულების ერთ-ერთი წარმატებული ავტორი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს თბილისში.

ძალიან მიხარია, რომ შორენა ამ კრებულშიც იბეჭდება. მისი ლექსები ხომ განსაკუთრებით ღრმა, სევდიანი, ტკივილიანი და ლამაზია.

ღამის ფიქრები

მიმოვიარე კიდით -კიდემდე სამყარო თითქოს,
სადაც მზის სხივებს დაუბზარავთ სიბნელე ღამის
როცა გონება ამაოზე თავისით ფიქრობს
მინდა გულიდან ამოვიღო ბუნება ქალის.
რადგან თვალები ვერ აღწევენ ამ ზეცის მიღმა
მინდა ბავშვობას დავუბრუნდე, ფრთხილად და მერე,
ისევ ხალისით დამასველებს მტირალა წვიმა
ის წლებიც სადაც გაქრებიან, რაც დღემდე ვთელე,
ისევ ისეთი სიყვარულით ვუხმობდე ხვალეს
და სავსე მთვარეს მოვტაცებდი სხივების კონას,
მერე კი მიზნად ავკინძავდი იმ ბავშვურ ლტოლვას
ვიდრე სიბერის მოლოდინი ბოლომდე ამრევს...
მე, მოგზაური, შევეჩვიე ამ მიწის სითბოს
ჩემი ნაჭუჭი ერთხელაც ხომ დარჩება თიხად
გაივლის სული გაორებულ სამშობლოს ფრთხილად
როცა უფალი სხვების მსგავსად თავისთან მიხმობს..
კიდით-კიდემდე ვიარები, მე ჩემს თავს ვეძებ
ყველა იარა დაიარა ცრემლების გროვამ,
როდესაც ვფიქრობ ჩვენთვის გვემულ, დიდებულ ღმერთზე
მგონია სიზმრად დამიყვავებს და ჩემთან მოვა..
მინდა დავკარგო ემოციის სიყალბით თრობა
და იმპულსების სიხშირეზე არ ვაგო აზრი
გჯეროდეთ, გრძნობა ბუნებრივად და ჩუმად მოვა
ოღონდ არავის დაგვეკარგოს ნამდვილის ფასი.

უფალო, მჭირდები

მგონია ვიშლები
გამიშრა სიტყვები
და ჩემი ფიქრები ლაბირინთს გადაცდა,
უფალო, მჭირდები,
დღითიდღე მჭირდები
სულ ნუ დამცილდები, სადა ხარ, სადა ხარ..
ბავშვობა შორია,

ვით შენი სახება
ფოთლებში რომ ქრება ფერები სიმწვანის
და სულიც
მთრთოლვარე ფოთოლი მგონია
შიშით რომ კანკალებს
და ვერ შევიცანი...
ხილულ და უხილავ სამყარომ გამხლიჩა
და ველარ გავიგე, სადა ვარ ნამდვილი
და თუ კი სიცოცხემ გრძნობები დანისლა
რად მინდა სიცოცხლე, ან ქალის მანდილი.
როდესაც იმიერ მხარეში გადავალ
სიმშვიდე ცრემლების ფერებით დამათოვს
ამიტომ, ტკივილო ამ ქვეყნად გნებდები
რადგანაც ოდესღაც არ გნახავ არასდროს.

მონათესავე სულები

მონათესავე სულები ერთმანეთისკენ ილტვიან
და მათი გრძნობა უბრალო გრძნობებზე უფრო დიდია.
ისე მეცლება საწურთნო, ვით გლუხს ბალახი ყანაში
ისე მჭირდება სიმშვიდე, როგორც წყლის წვეთი გვალვაში.
მონათესავე სულები უერთმანეთოდ ქრებიან
და სუნთქვის მძიმე პულსები გულის კარიბჭეს დარაჯობს.
გრძნობის და ფიქრის ნაზავი, ჩემზე ძლიერი, შლეგია
და თუკი გიყვარს, გგონია არ დაბერდები არასდროს...
ხეებს დაპენტა ფიფქებად, მეც სულში მიზის აპრილი,
გაიმაისოს იქნება, სევდის გამორჩედეს ნაპირი
გულის დაკემსილ იარებს რომც გადაასხან მდუღარე,
მაინც იქნება სიცოცხლე ჩემთვის მეხვიით მქუხარე.
ძალა არსობის, საწყისის, სიკეთის არის შეგრძნება
მინდა მანამდე ვსუნთქავდე, ვიდრე ამის მაქვს შეგნება
ჩემო, შენამდე მოვილტვი, სხეული ვიდრე გამიძლებს
მერე კი ალბათ ნელ-ნელა ჩუმად შემიხსნი საკინძეს...
ზოგჯერ, როდესაც დავემებო, თავად ჩვენშივე ბინადრობს,
რომ მაცოცხლებელ წვიმაში ცისარტყელებად ინათოს,
თვალეები ვერ იბრწყინებენ თუ სულში გიზის ნაღველი

გული ეს დიდი სახლია, გრძნობების, დარდის მნახველი,
მონათესავე სულები მაინც ხომ ერთად იქნება
დავსვი მძიმე და გავჩერდი, წერტილი დასვან ფიქრებმა!

სხვა სამყაროში გადავსახლდები

ადამიანი, მისი ბუნება
არის სამყაროს ამობრუნება,
ხან დალაგება ზუსტი სისწორით
არა აქვს აზრი, რამდენს იწონით.
ხან აღმართულა ალვის ხესავით
და შეუმჩნეველად დადის ჩემსავით
ხანაც შმაგია და მოჩანს ათად
თან არაფერი არ ხიბლავს სადა.
მისი ბუნება სიყვარულს ითხოვს
თავად კი გარეთ არ უშვებს სითბოს
რასაცა გასცემ ის რომ შენია,
შოთას სულ ტყუილად დაუწერია?!
ჩვენ რეალობას ვხედავთ, აღვიქვამთ,
სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ტემპით
ვისთვის იქნებ ხარ მთელი სამყარო,
ვისთვის კი მხოლოდ უბრალო ნეკნი...
მზემ უშურველად ყველა გაათბო
თავად კი მისთვის სითბო ინატრა,
არ დაგტოვებო მარტო არასდროს
უთხრა და ცაზე მთვარემ ინათა.
სულ ერთი წვეთი უმანკო ცრემლი
ადამიანში დაადნობს ყინვას
და გაცოცხლდება ყველა სიკეთე
რასაც კი მასში ფარულად სძინავს.
და იტყვის, ღმერთო, ვიცხოვრე რისთვის
ვიწყები იმით, რითაც ვმთავრდები..
თუ ვერ ვიპოვე სულის სიმშვიდე
სხვა სამყაროში გადავსახლდები.

მასწავლე ფიქრი

როგორც პიროსი, იმარჯვებ
როცა მარცხდები ალბათ
აღარ გაღელვებს სიმაღლე
და არც სიმიდაბლით დაღლა..
დასასრულს უმზერ, თუმცა გრძნობ
რომ დასაწყისი მოსჩანს
ფიქრობ და ამბობ იმავეს
თუ არაფერი გბოჭავს...
ღამე.. ქარია.. გაზაფხულს
შემოეფანტა ფიფქი
ნეტავ, რამდენი ხანია
დღეებს უმიზნოდ ვითვლი..
სულო, სულ შენი ბრალია
მზერა რომ გასცდა ღრუბლებს,
ბილიკი მართლაც ვიწროა
და ნუთუ გავყვე ქუჩებს...
თითქოს, ნიჟარას გადმოვცდი
გარეთ იგივე დამხვდა
გულმა კი ლამის გაგლიჯოს,
გააპოს რკინის ფარდა..
შეცვალე ჩემი სამყარო
შენს გულისცემას შევცვლი
იყავი მზე და ვიქნები
მაგ შენი გულის თერძი.
ღამეა და სიჩუმეში
ჩემს გულისცემას ვითვლი..
ღმერთო, მიხსენი თავისგან
ანდა მასწავლე ფიქრი.

ჩემო სამშობლოვ

ჩემო სამშობლოვ, შენი თვალები
სულ მოლოდინით ღამენათევი
ტბაში ტაბათით ბორგავს აკვანი
გადაუხდია ჩვილსაც საბანი.
შენი სხეული, გვერდმოხეული
ღმერთთან მყოფი და მაინც ეული
ისე აკუწეს, ვით ქრისტეს კვართი,
გადაუჭირე მრავალჯერ ლახტი
ოშკი და ბანა, ბედია, ტაო
იქაც ჩვენი ხარ, ქართულო ცაო...
შენ კი ქართველო, გულის სარქველი
ნუთუ არ გიცემს და არ გაქვს ცხელი?!
შენში შეზრდილა თვლემაც და ბრძოლაც..
დაგძლია, მაგრამ გამოგრწონო ომმაც
როდესაც გვფარავს ღმერთის მშობელი,
ნულა ვიქნებით უფლის მგმობელი
ნუ დავივიწყებთ პირველ მისიას
და ნუთუ ჩვენი, ყველა სხვისია?
გიცემდეთ გული და ჩვენი სისხლი
მარად იყივლებს, დადნება ნისლი
თუ ერთმანეთში გაქრება დავა
მაშინ სხვა მტერიც თავისით წავა
ყველგან ისეთი გვქონდეს სახელი
ამაყად გვეთქვას: მე ვარ ქართველი!!!

გაიღიმეთ

გაიღიმეთ და მორჩა
დგება განწყობა მწყობრში
ცხოვრება არის სცენა
და ჩვენც შევდივართ როლში...
ხნულში დათესილ მარცვლებს
ზოგჯერ ერევა ბელტი
ნეტავ, რად ვფიქრობ ამდენს
ხომ არ მსურს რამე მეტი?!

სიმშვიდე მინდა მხოლოდ
და მოლიანობა ერთში
აქილევსივით ომობს
ვიღაც მეორე ჩემში
ისე წამართმევს საჭეს
თვით ქარიშხლებსაც უსწრებს
რაკეტასავით აფრენს
ეტყობა კიდევ ფურცლებს!

მე,
მე არც სხვებზე ჭკვიანი
და არც სხვებზე სულელი
ნუთუ სევდამ წაიღო
ამ ცხოვრების სურნელი
და მეტყველი ფიქრები
გრძნობებამდე განცდილი
ჰო, სიმშვიდეც, შენამდე
დიდი არის მანძილი?
შემოდგომის ბრაღია
გაფრენილან ფოთლები
მე კი მაინც მგონია
არასოდეს მოვკვდები.
და მანძილი შენამდე
სიყვარულო, ახლოა?
ჩემი გული, იცოდე
შენი სამოსახლოა.

ვენი, ვიდი, ვიცი

"ვენი, ვიდი, ვიცი" მგონი
ერთი მთელი არის ორი
მზემ დაიფსო ცალი თვალი
როცა გრძნობას არ აქვს კარი
მე ზღაპრებში ვიარები
არ მაშინებს იარები
"ვენი, ვიდი, ვიცი" ალბათ
როცა თავი არ მაქვს დარდად
როცა ვარჩევ რაა სწორი
მაგრამ ქრება თეთრი თოვლი
შეერევა ფერი რუხი
ცხოვრება ხომ არის "უხვი"
"ვენი, ვიდი" მაგრამ "ვიცი"
გეფიცებით არც კი ვიცი
ცხოვრებაში თამაშებში
ხან იმარჯვებ, ხან მარცხდები
არ გავტყდები, რადგან მჯერა
რომ უფალი ძალას მმატებს
რწმენით ყველა გადარჩება
ამიტომაც ვფიქრობ ამდენს..
ათას ერთი ტყუილის წინ
ერთი თუ დგას სწორი, სანდო
ციმ-ციმ, კარიც დაიკეტა
და ზღაპარში დავრჩი მარტო:

თამარი

საუკუნეებს არ აქვს საზღვარი
ყოველთვის ასე სდუმდა მთა-ბარი
ზღვის სილამაზით სტკბებოდა ზეცა
და დადიოდა ქვეყნად თამარი..
შემოასალტეს წელზე ქამარი..
უწოდეს მეფე, იყოს ალალი
არადა, სულში მზე ედგა თბილი
და წრფელი იყო მისი მანდილი..

დაადგეს მხრებზე უღელი ხარის
თუმც შედლო მოხდა პირნათლად ვალის...
სამშობლო მისი გახდა ვრცელი
და განაცვიფრა თვით შოთა ბრძენი...
მზეს სილამაზით ჰყავდა ბადალი
და ამშვენებდა მიწას თამარი...
ძლიერი ქალის სუსტი ხელებით
შემოაქარგა მთა-ბარს ჯავშანი
მერე კი გაქრა , როგორც ფოთოლი
დავრჩით ქართველნი, ასე ობოლნი.

სიტყვები

მუდამ სიტყვები არავის არ დანებდებიან
რადგან სათქმელიც დასრულდება სადღაც, ოდესმე
მწერლის კალმებიც მოხუცივით დადუმდებიან
და განმარტებაც არ შერჩება სიტვას ბოლომდე...
განმეორდება ის, რაც იყო ერთხელ და ასჯერ
რადგან მოვლენებს აღარ ახლავს სიახლის განცდა
ყველა კუთხიდან დაიხატა ცუდი თუ კარგი
და სურვილებიც შესაძლებელს რამდენჯერ გასცდა...
რითმამ გართმა ის, რაც უკვე გვიამბეს სხვებმაც
თვით სიყვარულზეც აბა რაღა ითქმის ახალი
თუმც დიაგნოზი ვერ დაწერა ვერცერთმა ბრძენმა
და ამიტომაც აერია ყველას გზა-კვალი.

9 აპრილი

9 აპრილია, განთიადის ჩამოწვა ბინდი
თვალეში თრთიან მომავალი ტანკების ჯარი.
არ გვაქვს უფლება არ გვახსოვდეს ცრემლები მშვიდი
და ის, რომ ამ დღეს გაგარღვიეთ მონობის რკალი...
და ასე არის, როგორც მუდამ, იცავდნენ მამულს
სიტყვა მართალი როცა ჭრიდა მხოლოდ ფიქრებში,
როგორ წააგავს ყველაფერი კვლავ ისევ წარსულს
ვიბრძოდით ცხადში და ასევე ლამის სიზმრებში...

ცხრა აპრილია, განთიადის ჩამოწვა ბინდი
თვალეში თრთიან მომავალი ტანკების ჯარი
ღელავს ეს მტკვარი და ვერ არის დღეს ისე მშვიდი...
ქართლის დედასაც შეუმართავს საომრად ხმალი.

კვირები

დაუბერიათ ხეებს კვირები
როგორც გრძნობები, უხმო ბალიშებს
თუმცა გაბაფხული ჩემგანაც მიდის
და ეს ზაფხულიც წასვლას აპირებს...
ორი ნაპირი შორია თითქოს
მაგრამ წუთია მათ შორის გზები
გავუბრით და თან დავეძებთ სიტბოს
და ასე ჩუმად გადიან წლები...
ეს ხმები მაინც წააგავს ექვს
როგორც ვნებები სიყვარულს ნამდვილს.
და ამდენ რჩევა, ჩვევა, რივილში
დრო და ცხოვრება მდუმარედ გადის...
დაუბერიათ ხეებს კვირები
როგორც გაბუტულ ტურის ბალიშებს
ამ დროს კი ისევ რაღაც შიგნიდან
ნუ თამამობო- ჩუმად მანიშნებს.

ლამაზი ქალი

რა სიმშვიდეა.
სადღაც გაჩნდება ლამაზი ქალი
ისიც იქნება ერთ დროს ნამდვილად
გრძნობებით მთვრალი..
რა სიმშვიდეა.
იტყვის და ფრთხილად შეარხვეს თითებს,
მერე ფიქრებით, როგორც ნიაგი
უფრთებოდ იფრენს.
რა სიმშვიდეა.
როდესაც ღელავს ძალუმად მკერდი.
თითქოს, ჰანგები მისთვის იღვრება

შენ ხარო ერთი.
სისავსის განცდა
თუ არ გასცდება დარაბებს დარდად
ბედნიერებით მხოლოდ ლამაზად
იტირებს ალბათ.
რა სიმშვიდეა.
ისევ გაჩნდება ლამაზი ქალი
ვიდრე იდინებს და არ დაშრება
რიონი, მტკვარი.

ჩემი ოცნება ნოსლისფერია

მე ვერ გიწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
მაგრამ, არცა ხარ წვეთები წვიმის
ეს, რამოდენა ფიქრები ლეწე
და მაინც ელი მოსვლას მეწყერის.
წვიმის წვეთები ცად გაფანტულნი
დაგროვილ ფიქრის ბურუსში სხედან
და როს გააღლობს მზე მონატრებას
წვიმის წვეთებს იქცევა მეწყერად
და მაშინ ვიტყვი: „აჰა, მოვედი“..
მაგრამ ვაი, რომ იყვეს გვიანი
უკვე დაქანცულს, ძალაგამოცლილს,
აღარ შემეძლოს ქვეყნად ტრიალი..
მაგრამ იმედი ცას გამინათებს
და თეთრ ბურუსში ავალ წვეთებთან
და თუ ინება ღმერთმა ღიმილით
მეც ბედნიერი მივალ მეწყერთან
და როს ნამქერი დაფარავს მიწას,
ციდან სიცოცხლის წამოვა წვიმა
ისევ აღდგება სული ტიალი
მონატრებული მოვა ფიქრებად
და ეს ფიქრები ვინმეს სევდიანს
თუ ანუგეშებს თავად მტირალი,
თუ სასომიხდილს, არ იმედიანს,

კვლავ დაუბრუნებს რწმენას სიმართლის.
მაშინ ვიხარებ, როგორც არასდროს,
დილა ფუჭად არ მითენებია
და ვით აპრილის თეთრი ყვავილი
ჩემი ოცნებაც ნისლიფერია!

სიკეთე ვთხოვ, უფრო მაღლია

როს გავუყვები ფიქრებს დარდიანს,
ვფიქრობ, რა მელის ცხოვრების ბოლოს.
სიკეთე ვთხოვ, უფრო მაღლია,
სიავე ავს თუ მომიტანს მხოლოდ
მჯერა, რომ ავდარს მოყვება დარი
წვიმის წვეთები მე არ მაშინებს
და როგორც ღრუბელს მძვინვარე ქარი
ბედი გათელავს სიზმრებს საშინელს
სიტყვა სიუხვით არ ფასობს ბევრი
სიტყვის სიცოცხლე დროს თუ გაუძლებს
მაშინ ჩათვალე: ხარ ბედნიერი
მაშინ ჩათვალე -შენ ბედს გაუძელ
მუდამ ასეა, მოვთქვამთ უკბილოდ,
უფალს კი ესმის ფიქრები ჩვენი
გგონია ცხოვრობ? თუ ხარ უმიზნო
მცირედს რომ გასცემ და ბევრს კი ელი?!
დროის ჩარჩოში ჩასმულ ცხოვრებას
მაშინ შერჩება ხასხასა ფერი
თუ გულწრფელია შენი სიკეთე
და მის საფასურს არასდროს ელი.
როს გავუყვები ფიქრებს დარდიანს
ვფიქრობ, რა მელის ცხოვრების ბოლოს,
ღმერთმა მიბოძოს სული მყარია
და ჩემს სურვილსაც ნათელი ბოლო.

ფოთლებში ყვავილს ჩამალულს

ფოთლებში ყვავილს ჩამალულს
თვალეებში უდგას ლალები
მის ირგვლივ ჩამწკრივებულან
მუხები, ნამეხარები..
მზეც ჩამალულა ღრუბლებში
არ უჩანს ბროლი, ლალები
როგორა შვენის ყაყაჩოს
მისი ბრიალა ხალები..
მაგრამ რად უნდა სიტურფე
როგორ წაუვა სხვებსაო
მოსწყვეტს უეცრად გამვლელი
და გააყოლებს ხელსაო..
მისი მზე ვისთვის ჩაქრება
ვისთვის გაიღებს ბევრსაო
დააფასებენ ნეტავი
ამ სილამაზის ძღვენსაო?!
ფოთლებში ყვავილს ჩამალულს
თვალეებში უდგას ლალები
დღეები მიდის თან მიაქვს
წლები.. წუთები.. წამები.

შეჩერდი წამო!

შეჩერდი წამო! მინდოდა მეთქვა.
საიდან საით მიდიხარ ნეტა?
ულმობელო და დროის მარწუხო
თან გაიყოლე რამდენის სევდა.
შენთან ჭიდილში გავლიე ყრმობა
ეს შერამდენედ მოვიდა თოვლი
აქამდე რაც კი მინდოდა მეთქვა,
ბოლომდე მაინც ვერა ვთქვი მგონი..
გაზაფხულდება ასჯერ, ათასჯერ
თვალს გაუცვდება სხივი და ელვა
მაინც შეგძახებ: „შეჩერდი წამო!“
და მზისკენ ბილიკს გავყვები ნელა.

შავი და თეთრი

არეულია შავი და თეთრი
თითქოს ფოთლებიც არაა მწვანე
ველარ გაარჩევ ავსა და კეთილს
მზეც მთვარესავით იქცევა მალე.
საცოდავად სჩანს უენო, სათნო.
და დასცინიან არ მჩაგვრელთ სხვათა,
ვერ გაუგიათ, რა არის კარგო
გულით ყვაოდე, არ გავდე ბრმათა.
ზრუნავენ თავზე, ცხოვრობენ თვისთვის
უცხოა გულის ნამდვილი ფეთქვა
არ შეუძლიათ გაიღონ სხვისთვის
ეს არის მხოლოდ რაც უნდა მეთქვა..

რა შეედრება

რა შეედრება მთის თავზე
მზეს, ამობურცულს დილითა
სხივების ოქროს ნათებას
ნაფერებს ვაჟას პირითა
წყაროს წანწყარას, ჩუხჩუხას
წყურვილს რომ გვიკლავს ფერებით,
ფუტკრის გარჯას და ბასრ ნექტარს
მოხუცის ნათქვამს ხველებით.
მადლიანია ეს მიწა,
ქართულიაო-იმიტომ
უნდა გვახსოვდეს: ძნელია
მისი შვილობა იტვირთო.
იტვირთო, თანაც მადლია
კაცური გედვას ფერია
გიყვარდეს მიწის ნაფლეთიც
მთელი ქართული გენია..
სიკეთე ასმაგს მოგიზღავს
სიავე არის მტერია
მუდამ გვახსოვდეს რუსთველის:
„რასაცა გასცემ, შენია“..

და „მერანივით“ ეკვეთო
ტატოს გაჰყარო ჯავრები
ბედს წინ გაუსწროს მერანმა
ყორანს დაუდგეს თვალები.
ცას ფირუზს შენც ადარებდე
ღრუბელს მოსწმინდო სვატია
აკაკის „გამზრდელს“ ბაძავდე
თუ ვერ მოისხი მადლია..
და „განდეგილი“ გახსოვდეს
ხსნას რომ ეძებდა მწვერვალზე,
ილიას სიტყვა ნათქვამი
ბასრია ხანჯლის ცემაზე,
„დავითიანის“ მადლითა
სწავლამ მოისხა ფრთანია
ქართლის ტკივილი მოგვიყვა
და აგვიხილა თვალია,
შორენას „ზღვისა ფერიტა“
ზღვა გადმოსცურა უტამა
და გამოკვება ფიქრები
ვით აბრეშუმი თუთამა..
„ღამეს“ უძღერდა სხვაგვარად
მერის ეძებდა თვალებით
გალაკტიონის „თიბათვე“
სულში ჩამწვდომი ქარები,
„ყივჩალი“ ისევ დაეძებს,
ხოხობობას ელის ხმალითა
ათას წელს მაინც მოიცდის,
გოგლას ნაფიქრი თავითა,
რა შეედრება მთის თავზე,
მზეს, ამობურცულს დილითა
სხივების ოქროს ნათებას
ნაქებს, ვაჟაის პირითა!

კაცი რომ ვიყვე

კაცი რომ ვიყვე, გავყვები ფიქრებს
სავსეს სიცოცხლით, ფერების სევდის.
კაცი რომ ვიყვე, ვახსენებ გრძნობებს
მე ხომ ქალი ვარ და რაღა მეტქმის..
ხმას უხერხული ხავერდი მოსავს
და მოხვევია ბორკილი ქალის..
სად დავინახო რუსთველის ღომი
ძუმ ხვადად ყოფნა ვინატრო ლამის.
სად გაუვლია შემოქმედს ზღვარი
გაღმა სხვაგვარი ნაპირი მოსჩანს
შენ თითქოს ღმერთი თავად ხარ თავის
მე კი ორმაგი აჩრდილი მშოსავს.
მე მხვევალი ვარ, შენ უფლის მონა
შენი ნეკნიდან ჩამბერეს სული
და საკუთარი, რაც რამ კი მქონდა
ისიც შენია.. სადღა მაქვს გული..
ვერ ვეგუები, შენი ხატება
ბატონობს გრძნობის ძლიერ თარეშით,
ვებლაუჭები ღომის ბოკვერებს
და ვრჩები ფიქრთან წყვილიად ღამეში..

დავით

დავით..
მუხის მუმილი გილეწია მკლავით..
თავით..
მართლა თავით გიომია მუდამ
ძალით..
მხრების ძალით აშენებდი გელათს
წამით..
არასოდეს გიცხოვრია ფუჭად..
საით
გაფრენილა სიდიადე ქვეყნის
ქარით..
აწეწილა დარუბანდის კარი

ფართო..
გამოიხსენ შენ თბილის ძველი
გვამით
გადაფარე დიდგორი და ბარი..
მადლით
წაგიკითხავს ბიბლია და ლოცვა
სარით
დაგისჯია მოლაღატე, ურჩი
კარით
გიწვევია შენ პეტრიწი, როცა
ჯვარით
დაგილოცავს ის გელათი ბურჯი..

სიბერე

სიბერე შორი მგონია
ახლო აბია ძაფები
არცა სიკვდილი მდომია
და არც მოხუცის აფრები
აბა, სხვა გზა რა არსებობს
როგორ არ შევსვა ფიალა
გაჩენის დღიდან თუ ყველამ
სულ ერთი გზებით იარა..
არცა სიკვდილი მდომია
და არც მოხუცის ცრემლები..
მთელი ამ „ფილოსოფიით“
უფლის განაჩენს ვნებდები“

მე შენ მიყვარხარ

ვერ გამოვიგია,
ეს რა რიგია
დღეთა, თვეთა და წელთა წამები
სიდან მოდიან
საით მიდიან
სად ჩერდებიან განაწამები.
არის სიმართლის

ორი გაგება?
ან ვერ გაგება
მწარე სიცრუის?
ანდა რა მოგვდის,
რა გვემართება
როცა დადგება ის დღე შეცნობის?!
არის სიკეთის
არის სიმკვეთრის
არის სინერგის ძებნა, ძიება,
და მე, უფალო
ჩემო უფალო
შენი ძებნა ხომ მეპატიება.
მეპატიება ფიქრები ბევრი,
ან პასუხების ვერ მოძიება?
მე შენ მიყვარხარ,
მე შენ მჭირდები
და ნუთუ ეს არ მეპატიება?

ნავედი

წავედი, ღამეა, მთვარეც კი წავიდა
თვალეები ვერ ძლებენ ხელი კი წერას მთხოვს
ხან ასე გვიან და ხან ასე ადრიან
პწკარები, აზრები, მარცვლები თეთრად თოვს..
არ ვიცი რა დროა, საათიც გაჩერდა
გაჭედა გულმაც და სამყარო გაიყო
და თითქმის მოყვასიც ვერასდროს ამჩნევდა
რომ ნდობა დუმილმა და სევდამ წაიღო..
თეთრად თოვს, აპრილის ყვავილებს ვუმზერ.. და
სიცოცხლე ძალაა.. მომავლის ღუბები
ვით მეფე, ჯარების სიმრავლეს უმზერდა
ისევე მოჯარდნენ მშფოთვარე მუზები.

შეშლილი მუზა

შემოიპარა შეშლილი მუზა
თუმც სიყვარულის არა აქვს ნიჭი
ვით ახალბედა, პატარა გოგოს
არ მოუცვლია არცერთი კიჭი...
შემოიპარა შეშლილი მუზა
თავს მომახვია გრძნობები ნაზი
მაგრამ, რა მძიმედ ჩაეშვა ღუზა
გულის ჰორიზონტს არა აქვს ხაზი...
ვიბორიალეთ ნებით, ძალუმად
წარსულისა და მომავლის ზღვარზე
ისე მაცინა, რომ მგონი ახლაც
გაღიმებული დამტოვა ასე...

გრიგოლ რობაქიძის

შენს შეუვალ სულს
ეულად შთენილს სამშობლოს მსგავსად
არ ღირსებია მოსვენება,
სიმშვიდე გულის
ისე გიყვარდა, ვინც გიყვარდა,
სწირავდი თავსაც
თან წაიყოლე სამარეში
ტკივილი სულის..
თავისუფალი, ლალი, სავსე
სამშობლოს რწმენა
ჩაგსახლებია, ვით პერანგში
ძველი წერილი..
აქ, შენს მამულში არ დაგცალდა
ცხოვრება, ლხენა
და რაც გიყვარდა, სწორედ მისთვის
გახდი დევნილი..
ძვირფასო ჩემო,
სიამაყევ, ქართველკთა შვილო
შენი ფიქრები რომ არღვევენ
ღამეებს ბრძოლით..
თუმც, გველის სიბრძნით განდევნოლო,
დევნილო ჩვენგან
შენ იყავ სატოფო შენი ქვეყნის
დამდნარი შორით ...



ნანი გულბანი



ნანი მურზას ასული გულბანი, დაბადებული 1973 წლის 6 დეკემბერს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხე სვანეთში. უკიდევანოდ შეყვარებული საქართველოზე და ქართველებზე, მყავს, მეუღლე და სამი შვილი. „მდიდარი ვარ და ვივსები ლაღებით, როცა მიცქერენ ქმარ-შვილის თვალები.“

1990 წელს დავამთავრე მესტიის რაიონის, სოფელ იფარის საშუალო სკოლის სრული კურსი. მიღებული მაქვს უმაღლესი განათლება: პედაგოგიკა, მეთოდოლოგია და ფსიქოლოგიის სპეციალობით. დასაქმებული ვარ განათლების სფეროში. სადაც მუშაობის 23 წლიანი უწყვეტი სტაჟი მაქვს. ამჟამად გახლავართ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის დირექტორი.

ჩემი ცხოვრების წლებს ალამაზებს, დედ-მამიშვილების, ახლობლების, მეგობრების და კეთილის მსურველი ადამიანების სიმრავლე.

ამ კრებულში კი ქალბატონი ნანის კიდევ ერთი ნიჭის, მისი პოეზიისადმი სიყვარულის, საოცარი გულის და ლექსების შესახებ მოგიყვებით.

გზა დავულოცოთ პოეზიაში ნანი გულბანს!

**მადლობა უფალს ყველაფრისათვის.
მადლობა უფალს!**

შენით მომიშენებია, რაც კი მომიჩემებია,
რა შრილა ტყეებია, რა ნათელი ფერებია,
უფლისაგან კურთხეული უამრავი ერებია,
მადლობა ღმერთს! რომ, ბედისგან ქართველობა მბოდებია.
საცალფეხო ბეწვის ხიდი, ცხოვრებაში სავალია,
„საზვერეში“ წინ დაგვხვდება ყველა ცოდვა და მადლია.
უძღვნათ ერთურთს სიყვარული, თუგინდ იყოს სულ პაწია,
ათი მცნების უკვდავყოფა, ყველა ჩვენგანის ვალია.
არ განკითხვა მოყვასისა აგვამაღლებს მორალია,
მუხლი ვყაროთ, უფალს ვმადლოთ სანამ არაა გვიანია,
მადლი ქენი ქვას დაადე, წინ დაგვხვდება მართალია,
სამოთხე თუ ჯოჯოხეთი ჩვენი ნება-სურვილია.
თუკი სხვისი სიხარული, მწუხარება რა დარია,
უფლის თხოვნა, დასანახად სასოება რა მადლია?
ყველა გულით მორწმუნესთვის, მფარველობა ალალია,
არ მოგვაკლოს მოწყალება „ჯგრაგმა“ და „ლამარიამ“.
„ჯგრაგი“-წმინდა გიორგი
„ლამარია“-წმინდა მარიამი

მხარე რჩეული

მამულით ხარობს მუდამ ქართველი,
ღმერთების ენა, რწმენაა უცვლელი,
წმინდა ნინოსთვის მხარე რჩეული,
და უფლის დედის ამორჩეული.
მტრებისგან მუდამ შეწუხებული,
ისტორიაც გვაქვს საკმაოდ ვრცელი,
ვერას დაგვაკლებს სატანა მკვლელი,
რადგან ზეცით გვყავს მარადუამს მცველი.
ვართ მიამიტი და უშურველი,
ნატვრა, ოცნება, სურვილი წრფელი,
სურნელი ტკბილი, ვარდი წითელი,
სულის მალამო და გულის მწველი.

შორით ციალი, კლდით ამოსული,
ნაზი გვირილა მიუწვდომელი,
ბარი ლამაზი, მთა კი ზღაპრული.
ერთურთს არიან შეხამებული.
სულ ერთი რაღაც თუ არის თქმული,
„გენაცვალე“-ა სიტყვა ღვთიური,
ნათქვამი არის, მანდ აზრი სრული,
ფილოსოფიაა იქ ჩადებული.
პური-მარილი, გული და სული,
ლხინი და ჭირი მუდამ დროული,
აწ და მარადის, სულ გუგუნებდეს,
მრავალაღაპამიერ, ხმები ქართული.

სულის სიმშვიდე

უშბა, თეთნულდი, მხარა და მხელდა,
ნეტავ რა ძალამ შეყარა ერთად,
სამყაროს შრეთა ასწიეს ფარდა,
ცის თაღს ხატავენ რთულ ჩუქურთმებად.
ხართ ღირსეული მთამსვლელთა ხვედრი,
ჟამიდან ჟამზე გადაძახილით...
თქვენ უკვე ის ხართ რაც უნდა იყოთ,
ხილვით, სიმაღლით, ფიქრით და აზრით.
შორს მყოობადზე ნატრულ ოცნებით,
დილა მზიანი იბინდებოდა,
ნისლს ეხვეოდა ყრუ მწვერვალები,
სული თვალეში ირეკლებოდა.
კალთებს ანათებს თეთრი თოვლი და,
გრძნობაც ფრთებსა შლის, როგორც თოლია,
თქვენმა ზღაპრულმა სიმამაცემ და,
ამ ცის ლაჟვარდმა ამიყოლია.
ვიცი ცივი ხართ, მიუწვდომელი,
შეუვალი და თან სასურველი,
ყველაფერს ვშიფრავ განმკითხველ ფიქრით,
და ყოველივე ივსება განსჯით.
შევნატრი მუდამ მე მთის სიმშვიდეს,
ვეტრფი მარადჟამ მის სილამაზეს,
ჩემი ცხოვრების სულს აფოლადებს,
თქვენი ხილვა და თქვენი სიმყარე.

ჩემ ულამაზეს მხარეს

თუკი არ ნახავ სვანეთს,
მყინვარის არ სუნთქავ ჰაერს,
ნუ იტყვი იცნობ სამშობლოს,
და ულამაზეს მხარეს.
თუ არ გიგრძენია დაღლილს,
მზის ქვეშ სამყარო სრული,
მთისა და ტყის ნაჟურის,
წყარო ლეგენდად თქმული.
სული ნატვრითაა სავსე,
ჩაწვდეს სამყაროს არსსა,
ქვეყნის იდუმალ სიზმარს,
ცნობდეს ცოდოს და ბრალსა.
გახსნილი გულის კარით,
მთის თბილი სული სვანი,
არნახულ სიყვარულით,
გიხმობს მთის შვილი სვანი.
ლოცვის როს დგება ჟამნი...
ტაძარს დარეკავს ზარი,
გერქვას მთის შვილი სვანი,
ამაყი ხარ და მყარი.
ჩქევს ძარღვში სისხლი ქართული,
პულსია მშობლიური,
ეს ნიშნავს გქონდეს გული,
მტკიცე და ვაჟკაცური.

ღვთისმშობელი

ღვთისმშობელი მარიამო,
საყვარელო დედავ ღვთისა,
ხალხისათვის თავდადებულ,
იესო ნაზარეტელისა.
სამბუნებოვან ღვთისა და,
განკაცებულ ძე მამისა,
სიკვდილზე მაღლა მდგომი,

ზენა ჭეშმარიტებისა.
რამეთუ, იცის მამამ ჩვენმან,
რაი გვწადინ, რაი გვიხმსა,
ზეცით არის ნეტარება,
მიწას, დიდი ცოდვა გვიქმსა.
თვისსა სულის პოეზიით,
თვისსა კეთილ მისწრაფებით,
თვისსა კეთილ მოქმედებით,
გვედრით სასუფეველს ცისა.
ღვთის მშობელო მეოხ გვეყავ,
მოგვაგანე მაღლი ცისა,
მორჩილებით ზიარი გვეყავ,
ედემის და სამოთხისა.
შეგვეწიე ღვთისმშობელო!
ნუ მოგვაკლებ ლოცვას ღვთისა,
ღირსეულად რომ ვატაროთ,
ჯვარი წმინდა მაცხოვრისა.

სასოება ერთი ღმერთია

ჩვენი სამშობლო დიდი რწმენა სული ქართული,
ვარ მის მშვენებით ამაყი და მხრებგამართული,
უფლის ნაკურთხი, დალოცვილი მიწა ქართული,
მის დასაცავად თავგანწირვით ვიყოთ ჩართული.
ავაფრიალოთ ქრისტეს ხატით ნაქარგი დროშა,
ზენას ვავედროთ რომ, სამშობლოს ვუცქიროთ, მთლიანს,
მუხლი ვიყაროთ და სანთლების მდუმარე ალში,
ქედის მოდრეკით თაყვანი ვცეთ მიწას მაღლიანს.
გაგანდოთ უფალს გულის დარდი, სულის ძახილი,
ჩვენი ტკივილი სამარაბლო და აფხაზეთია,
შედგეს მშვიდობა, თანადგომა ტკბილსასურველი,
რადგან საერთო სასოება ერთი ღმერთია.
სადიდებელი შევლაღადოთ ზენას წამიერ,
ვავედროთ გამჩენს საქართველო რაც ძვირფასია,
რომ, გვმფარველობდეს აწ და მარადის, მრავალჯამიერ,
რწმენა, იმედი, სალოცავი ჩვენი „მესია“.

ჩემი მხარე

ცასთან ახლოს საჯიხვეში,
ლაღად დაქრის ცელქი სიო,
ოქროსფერი მზის სხივები,
სითბოს უძღვნის კაცკასიონს.
ესალმება თეთრ მწვერვალებს,
ჭითხარს, თეთრულდს, შხარას, შხელდას,
როს ვიხილავ მათ მშვენებას,
გულიც გრძნობით იწყებს ფეთქვას.
ამაყად და გულზვიადად,
ზეცას წვდება უშბა სალი,
მხილველი კი იგრძნობს ცხადად,
მუდამ არის შეუვალი.
ვეტრფი შორით თეთრ მწვერვალებს,
მშობლიურებს, ახოვანებს,
სილამაზე მხიბლავს, მავსებს,
სიმტკიცე კი მაფრთიანებს.
შესადარი ჩემი ქვეყნის,
ანალოგი არსად არის,
ძალას მმატებს და შვებას მგვრის,
სიყვარული ჩემი მხარის.

ოქრო სიმდიდრე

მყარი ოჯახი სიცოცხლის რწმენა,
სხივი ნათელი ანგელოზია,
სულის სიმშვიდე და აღმაფრენა,
უფლის წყალობა ეს შვილებია.
და-ძმით სიმდიდრე, დედა და მამა,
სიყვარულს მსგავსი სიტყვა არ უთქვამს,
სითბო, ხალისი და თანადგომა,
ეს სიდიადე რწმენიდან მოგვდგამს.
ჩემი დიდება პირველთაგანი,
სულის სიმტკიცე უტყუარია,
შვილით მდიდარი ადამიანი,
მზისა და მთვარის შესადარია.

ტკბილი ოცნება, თბილი ჰანგები,
მშობლის ამაგი, მშობლის ღირსება,
მომავლის რწმენა მზე ჩაუვალი,
შვილით ცხოვრების აზრი ვლინდება.
ბედნიერების ზე ბანეტია,
შვილი ოჯახის შარავანდია,
სიცოცხლეს ძალა მოუფენია,
ნაზად გულ-მკერდზე შემომხვევია.
შვილი გყავს უკვე ამოხსნილია,
ჩვენი სიცოცხლის ნამდვილი აზრიც,
ტკბილსაოცრება სიზმარშიც, ცხადშიც,
მაყარიცაა და ჭირისუფალიც.
ჩემი სიმდიდრე, ჩემი საუნჯე,
ოქრო ქონებად რაც მათადია,
არსთა განმრიგეს დიდი წყალობა,
შემორაგული და შვილებია.

ეს ვარსკვლავები ღამის ეთერი,
ეს ცა გახსნილი მეცხრე ზეცამდი,
აისის დილა, მზე, განთიადი,
დაისის მწუხრი, ბინდი, წყვიადი,
რომ მიმეტანა სული უფლამდი
რომ მივსულვიყავ საკუთარ გზამდი,
ცხოვრების რებუსს ვშლიდი და ვკრავდი,
აწმყო, წარსულო, გხატავდი მწამდი,
ვხედავ შორდება ცას ნისლის ლანდი,
...ვარდი, გვირილა, ეკალი, ბარდი...
დიდი ველია მიწიდან ცამდი,
და მითუმეტეს, შობიდან... ხსნამდი...

X ამოცანა

ისევ მომეცა მე გუნება სახეტილო,
ისევ მომინდა გული გულობდეს,
ზარი მომინდა სამრეკლოსი რომ, ვაწკრიალო,
სიყვარულის და მეგობრობის მუდამ რომ მწამდეს.
შორს ჰორიზონტზე გაფრენილ მზერას,
ხატავს ლაჟვარდის ნაზი ფერები,
და გული სისხლად დამიწყებს დენას,
სალოცავისკენ წავეხეტები.
ერთხელ ავაგე ტრფობის ტაძარი,
დამენგრა გულში დამრჩა ლოდებად,
მე სიყვარული ერთხელ წავაგე,
და ღმერთმა ნუ ქნას განმეორება.
როგორ დავმალო სევდა ფარული,
გულის-გულში რომ იკეთებს ბუდეს,
ეს გატაცებაა და სიყვარული,
არ გაცილდება ღირსების ზღუდეს.
მთვარე მიმქრალი და შერუჯული,
ბნელში ანათებს გზას და ბილიკებს,
ნაზი ფიქრების კორიანტელით,
მშვიდად ავყვები ცხოვრების კიბეს.
დავძლევ აღმართებს ტაძრის კარამდე,
უკან დარჩება მწუხრი წკვარამი,
რწმენით, იმედით, მზის ამოსვლამდე,
მაცხოვარს ვანდო დარდი, ვარამი.
როგორ მომინდა ჩემი გესმოდეს,
წვდებოდე ტკივილს გულის ძირამდე,
ვხსნიდე ცხოვრების რთულ ამოცანას,
მომომავლის ფურცლებს შუქით რომ ვშლიდე.

ს ვ ა ნ ე თ ი

ჩემი ლამაზი სვანეთი,
შემოსილია მწვანეთი,
პლანეტის არის მშვენება,
აღუწერელი სახეთი.
თავბრუდამხვევი ბუნებით,
ცად აზიდული კომპებით,
წინაპრის დიდი ამაგიით,
მოღწეულია ჩვენამდის.
დავფრინავ კი არ დავდივარ,
სიო უბერავს ხალისის,
ერის და ბერის ჰანგების,
როცა მამულში ხმა ისმის.
კანონი მთის და ბუნების,
ულევი წყარო რითმების,
ხატული ნაირ ფერებით,
მიყვარს და ვეთაყვანები.
კარგია, კარგი სვანეთი,
უშბა, თვეთნულდის ხედებით,
ზღაპარია და ზმანება,
თვალუწვდენელი ქედებით.
კლდეზე ამაყი ჯიხვებით,
ულამაზესი არჩევებით,
ხილვა და აღქმა მშვენების,
მადლია უზენაესის.

ამომივარდა ფიქრის ქარბუქი,
ამიტაცა ხელში როგორც ციდა,
გარდასული წლები გამახსენა,
სინამდვილე დამანახა ციდან.
ჩამიქრა ანთებული კელაპტარი,
დამეცა სიყვარულის ელდა,
უგულო სიცოცხლე არ მინდა,
გული კი შეკუმშა სევდამ.

სიცოცხლე შემამულა გრძნობამ,
გრძნობამ ლამაზმა, წრფელმა,
მოყვარეს გული დაწყდა ჩემზე,
სიხარულით ჭიქა აწია მტერმა.
ბევრი ლოდინის და ტანჯვის მერე,
მე ვთქვი მივაღწიე მწვერვალს,
გაუვალი ტყე შარაგზად ვაქციე,
და ბოლოს ბილიკიც არ ჩანს.
მაგრამ რა ვუყოთ ღმერთს ასე სურდა,
მეველო ნახევარი გულით,
მე ერთი შეცდომის წინაშე ვდგევარ,
ვეღარ ამოვხსენი ამოცანა რთული.

სიყვარული შობს სიყვარულს

სიყვარული ბავშვობას გავს,
წყენა მალე გავიწყდება,
დრო წლებისგან ვეღარ გვიცავს,
თმას ჭაღარა ეპარება.
სიყვარული წმინდა ვიცი,
ვით მთის წყარო ანკარა,
არ მაწუხებს ფიქრი ანცი,
ბედმა ამ გზით მატარა.
მამა-პაპით მაქვს ნაჟური,
სული, გული ქართული,
უემშაკო და თან მყარი,
გონებიდან მართული.
გამჭვირვალე ვით კლდის ბროლი
ოქროს სიმად ხლართული,
როცა მეფობს სიყვარული,
ხარობს ვარდი დარგული.
ყოველი დღე სიყვარულის,
სიყვარულად იღვრება,
სიყვარულით სიყვარული,
გულს მალამოდ ედება.

მამაო ჩვენო

ეს დალოცვილი ჩემი სამშობლო,
ამ დიდ რუკაზე თითქმის არა ჩანს,
არ დაელია მაინც სამტერო,
მიწას მადლიანს, ცას მერცხლებიანს.
სულ ერთი თითის არის დადება,
და ვარსკვლავებზე ხელის შევლება,
სამი ხატება გვაქვს საოცრებად,
ენა, მამული, სარწმუნოება.
ღვთაებაგ ჩემო, სანთელიო ჩემო,
სულის უნაბეს ლოცვად მებარე,
დიდო საუნჯეგ, სამშობლოვ თვალო,
შენს უკვდავებას ღმერთს მივაბარებ.
დამშვენებული სრულ საოცრებით,
შენი დიდება ზენამ ინებოს,
ხან ცას შეცქერი რწმენით, იმედით,
ხან მზეს ვუგალობ „მამაო ჩვენო“-ს.
უფლისგან ნაკურთხს, ვუმზერ მშვენებას,
და მოკრძალებით ვდგები ხატებთან,
ჩემი სამშობლოს მაღალ ღირსბას,
მივიტან ქვეყნის საკურთხველთან.
გმირთა სამეფო, გაჟკაცთ საუფლო,
ერის სიმდიდრედ რაც გვაბადია,
დიდო საუნჯეგ, ბლანეტის თვალო,
შენ ხომ „სამყაროს დიდება“ გქვია.

რეალობა

მთა, ზღვა, ბარი სინამდვილედ, ქონებად რაც გვაბადია,
მზის საუფლო საქართველო ღვთის მშობელის წილხვედრია,
ის ადგილი წმინდა არის სადაც კეთილ კაცს უვლია,
და ეს წმინდა ადგილები სიყვარულით გაუვლია.
საქართველოს საზღვრებს ითვლის, დრო, ჟამი და ისტორია,
სათავეში დარუბანდი, ბოლოში კი ნიკოფსია,
ენა, რწმენა და მამული, ღვთისმშობელის წილხვედრია,
ცუდას მტერი რაღად უნდა, ერთობით კი ვერვინ გვძლია.

წვეთ-წვეთ სისხლით მონახაზი, საქართველოს საზღვრებია,
სამოთხე და ნეტარება გმირ წინაპრით გვაბარია,
არ მოვაკლოთ შემორაგულს, მიწა თუგინდ მტკაველია,
უფლის მიწის მითვისება, ზენაარით დასჯადია.
იოანე, მათე, მარკოზ და ლუკასი; გვაქვს სახარება ჩვენ წმინდა,
ჩავწვდე დიდ არსს! შეგონებას! რა ხანია გულით მინდა,
„მცირესა ზედა ერთგულსა, დავადგინო დიდსა ზედა“,
ეს სიტყვები უფლისაა და ჩვენ გაფრთხილება გვინდა.
ღალატი და ორპირობა, ბოროტ სატანის წესია,
აღსარებით, მარხვა-ლოცვით, ზიარება გვაქვს გენშია,
მადლით, სიკეთით დაგვიცავს, ანგელოზთა ლაშქარია,
მფარველობას არ მოგვაკლებს ღვთისმშობელი „ლამარია“.

მწყემსი კითხილი

თუ სიყვარულის სულ პაწიას დავთესავთ მარცვალს,
გაიდგამს ფესვებს, გაჯეჯილდება მოვიმკით ასმაცს,
მაშ სიყვარულის სადიდებლად დავანთებ სანთელს,
უფალი ღმერთი მიგვიხვდება უთქმელს თუ სათქმელს.
მწამს სიყვარულის, როგორც ცაში მაღალი ღმერთის,
ამ ფაქიზ გრძნობის, მთელი ცხოვრება ვიქნები მწყემსი,
უფლის წყალობა ვერ იქნება სულერთი ჩემთვის,
მის სადიდებლად ვერ შეყოფა ეს მწირი ლექსი.
ერთი დანახვით, უკითხავად გრძნობა რომ მოდის,
თან უხილავი ოქროს სიმით ბადეს ქსოვს დარდის,
რაა ცხოვრება? ჩავფიქრდები ხანდახან ჩემთვის,
და ეს ფიქრები უნებურად ოცნებებს ერთვის.
უკიდევგანო, უნაპირო გრძნობაა, განძი,
მის სადიდებლად იწრიტება ბოლომდე ყანწი,
და ჩაგიდგება გულში ნელა მწყაზარი დარდი,
გიყვარს? მეფე ხარ! ღვთაება კი... თუ შეუყვარდი.

ნოსტალგია

მე სხვა მშვენება არსად მინახავს,
მთებშია სრული თავისუფლება,
სადაც ვერ ასწრებს ყინული დნობას...
სადაც ფასი აქვს კაცობას, ძმობას.
სადაც არწივთა მართვე იბრდება,
სადაც ჯიხვები ქარაფს ევლება,
დასჭექს, იელვებს და გაწვიმდება,
თვალწინ იშლება ჭეშმარიტება.
სად ერთგულების ფერი არ ხუნდება,
სადაც სიყვარულს ახსნა არ ჭირდება,
სადაც გრძნობები ქცევებით ვლინდება,
სიღარბაისლით ყოველი მშვენდება.

ჩემო საქართველო

დედამიწის ბაღნარო და
ლეგენდების სფერო,
მიწიერი სამოთხე ხარ,
ჩემო საქართველო.
უამრავი გმირის დედა,
უღალატო ერო,
მრავალ ჭირ-ვარამ ნახულო,
ჩემო საქართველო.
უკაცრავად... მამბატივით...
მოწიწებით მთქმელო,
აწმყო-წარსულ, მყოობაადით,
ვაჟკაცთ სამფლობელო.
მზის სადარო, მშვენიერო,
სიყვარულის ფერო,
ანგელოზთა წილნაყარო,
ღვთისმშობელის ხვედრო.
უფროს-უმცროსობის კულტი,
და „მახშის“ გვაქვს რიდი,
რატომღაც თავს დაგვახვიეს,
დღეს აზრები ფლიდი.

ვინაიდან სხვა გვაქვს ოდით,
ლერწი, ფესვი, ღერო,
მშობლიური ადათ-წესით,
გავიტანოთ ლელო!
მეშინია საკადრისად,
რომ, ვერ მოგეფერო,
სათაყვანო, საოცნებო,
ტკბილო საქართველო.

მთის ნადიში

კავკასიონის ქედებს, მწვერვალებს,
ახურავს ნისლი ბინდის მომცველი,
მარტო ის იტევს ფიქრთა ქარიშხლებს,
თავბრუდამხვევი, მიუწვდომელი.
ის იტევს ფიქრთა იდუმალებას,
არის ცხოვრების მრავალწერტილი.
თითქოს დროებით ართმევს დროებას,
სულის ნაწილი შეუმჩნეველი.
როცა ჩადგება საღამოს მწუხრი,
ღამე გადაშლის ვარსკვლავთ ხალიჩას,
მთვარის ნათება ეგზოტიკური,
ხატავს ბუნების ლამაზ პეიზაჟს.
სულ სხვა ნათელი ადგას საუფლოს,
ხელთუქმნელსა და საოცნებოს,
იფერებს ფერთა იდუმალებას.
დილის თილისმით ხატავს სამყაროს.
უშბა, თვეთნულდის მაღალ მწვერვალზე,
ორბი რომ ზომავს კლდეთა კიდე-განს,
მრავალჯამიერ! მტარვალთ ჯინაზე,
მზის სადიდებლით შევხვდეთ განთიადს.

მეგობრობა

დროის ტვირთი დამღლელია,
მწვერვალს თანადგომით ახვალ,
„უმეგობროდ ფონს ვერ გახვალ,
თუ გახვედი შორს ვერ წახვალ“.
მეგობრობის წმინდა მცნება,
უკვდავია არ ბერდება,
ვინც ამ მცნებას ეურჩება,
ჩაქრება და მოდუნდება.
თუ დაჭირდა ჩვენ, მეგობარს,
ბეწვის ხიდი არის ფსონი,
ნდობით, ძმობით და ერთობით,
მეგობრობის განვლოთ ფონი.
მადლი გამჩენს და ბუნებას,
მადლი მეგობრულ სახატეს,
მადლი ყველას, ვინც მეგობრის,
სიტყვასა და ფიცს არ გატეხს.
იყოს მისთვის ტვირთი მძიმე,
მაღლა ცა და დაბლა მიწა,
მეგობრობის წმინდა გრძნობა,
ფიქრით, საქმით ვინც წაბილწა.
დროის ტვირთი დამღლელია,
მწვერვალს თანადგომით ახვალ,
„უმეგობროდ ფონს ვერ გახვალ,

ალეგორია

მთის სათიბებში ტირიფი,
ეჩურჩულება იფანს,
გახსოვს? ის გრძნობა ნატიფი,
როგორ მიყვარდი ერთხანს.
როგორ ვეტრფოდით ორივე,
ალერსით სავსე ნიავს,
და ამ დიდ გრძნობას ხომ იცი...
„სულის დიდება“ ჰქვია.
როგორ ამკობდა დიდ გრძნობას,
ციდან წანწკარა წვიმა,

როგორ ამშვენებს ბუნებას,
ნატურით ფერის ხილვა.
ჩამოსხდებოდნენ ჩიტები,
ჭორებიანო სადღაც,
და კეკლუცობდნენ ვერხვები...
სიყვარულია მართლაც.
შემოდგომით კი სამოსი...
მწვანე ლამაზი ფარჩა,
წავიდა თვალს მიეფარა...
აღარფერი დარჩა.
მე კი უშენოდ შრიალი,
არ მიხაროდა რაღაც,
ეს უკიდევანო ტრფიალი,
წაიღო ჟამთა ტალღამ.
სალამოს ნიავს გაყვება,
აუხდენელი ნატვრა,
დაისის შუქში ჩერდება,
ოცნების დიდი აფრა.

სხივი ნათელი

ზოგს მოკრძალება აშუქებს,
ზოგს ვაჟკაცური მხარ-მკლავი,
კავკასიონის მწვერვალებს,
ამომავალი ვარსკვლავი.
მინდა ავანთო სანთელი წყვილი,
გავვიძლიეროს ჩვენ რწმენა მწირი,
რომ არ სიზმარი არის ყოველი,
იესო ქრისტეა ჩვენი მლოცველი.
რომელი არ ვთქვა, რომელი გითხრათ,
სიმართლუე როგორ უნდა დავმალო,
ტკბილი სალამი ერთმანეთს უძღვნათ,
უსაყვედურო და უანგარო.
ადვილად სავალ ბილიკს ნუ ელი,
მე შთამაგონეს ერის მამებმა,
თუ სიყვარულთან არ გვაქვს დუელი,

მაშინ ბოლომდე გველის წამება.
დრო წონის ჩვენი ფიქრსა და საქმეს,
ჩვენ ბავშვობას და სიჭარმაგეს,
არ გამორჩება არც ერთი ბჭკარი,
ისტორიას და ცხოვრების შედეგს.
მართლა წუთსა გავს წუთისოფელი,
წადილით ავსებს ნამიან თვალებს,
დრო, ჟამი, წლები გრძნობით გვაშორებს,
მზეს, ცისარტყელას, მთვარეს, ვარსკვლავებს.

დედა

არ ამოსულა მზე ისე დილით,
როგორც შენ მავსებ ალერსით თბილით,
მზე არ ჩასულა მწვერვალებს იქით,
შენთან არ ვიყო საქმით და ფიქრით.
დედა შენა ხარ მზის სხივის დარი,
დაუღალავი და ამაგდარი,
სიკეთის მინდა დავრეკო ზარი,
შენ გულს რომ, აღარ გაუჩნდეს ბზარი.
შენი ფერების აჩრდილი დამდეგს,
უსათუთესი გრძნობებით სავსე,
შენი სიცოცხლე მათბობს და მავსებს,
მადლიერი ვარ, რწმენით აღსავსე.
დედა-შვილობის ფილოსოფია,
რამდენ ოცნებას,რამდენ ფიქრს იტევს,
დედისთვის შვილი მზის სხივებია,
სიყვარულისთვის ღვთისმშობელს იწვევს.
როს შვილებისთვის დააფრქვიე ულავი სითბო,
მაშინ მე წუთი საუკუნოდ მიღირდა თითო,
გალობასავით ჩამესმის ყურში: „-კიი დედა, შვილო“
შენა ხარ ჩემი გულის სუნთქვა და სულის სიტკბო.
სანამდე ხელებს გულზე დავიკრეფ,
სანამ დღისით მზე, ღამე მთვარე ჩანს,
მანამდე ხშირად გეტყვი ფერებით,
რამდენი კარგი სიტყვაც არ მითქვამს.

* * *

სიყვარულით-ღვთიურ მადლის გზით გვივლია,
სიყვარულით-გვიშრომია, გვიომია,
სიყვარულით-გვიწაღდია, გვიზარდია,
სიყვარულზე-ისტორია მიკრულია.
სიყვარულზე-ლეგენდები ხომ გვსმენია,
სიყვარულთან-სიძულვილი უძღურია.
სიყვარული-გადაგვარჩენს ხომ ცხადია.
სიყვარულის-სიყვარული მყვარებია.
სიყვარული-არასოდეს მინანია.
სიყვარულით-ტკივილამდე მყვარებია.
სიყვარულის-დასაცავად მიომია.
სიყვარული-ნაძალადეგ არ მსმენია.
სიყვარული-სიკეთეში მორაღია.
სიყვარულზე-სიმღერები უღევია.
სიყვარულზე-უამრავი ლექსებია,
სიყვარულის-სიყვარული მწყურებია.
სიყვარულზე-ცაშირეკავს ზარებია,
სიყვარული-ანგელოზთა დარებია,
სიყვარულის-გზები ყველგან გახსნილია,
სიყვარული-ამაყ სულთა დუელია.

მირაჟი

იყო ზამთარი, ათოვდა ხმელეთს,
გრძნობას ათოვდა, სულსაც ათოვდა,
შორს ჭიუხვებში ღამეულ ფერებს,
კავკასიონის სუნთქვა მოჰქონდა.
იყო სიწყნარე დაისის ბინდში,
ფიფქებს მახვევდა საღამო მშვიდი,
მივდევდი ფიქრებს ლანდთა აჩრდილში,
უსამართლობის ნაკვალევს ვშლიდი.
სადღაც უკუნში დაქროდა ქარი,
სადღაც მამალი ბნელს უყიოდა,
სადღაც შორს მთებში ძრწოდა ნადირი,

და უბედობას არ უჩიოდა.
ღმერთის განგებით წყალობა მოვა,
როგორც მწვერვალებს, მეც დამათოვა,
მადლობა უფალს! არ მიმატოვა.
ცისკრის ვარსკვლავი ისევ ამოვა.
სული იმ ღამის ფერებს იძენდა,
ის დღე, რომელიც, იყო და მოკვდა!
განკითხვის მქსელავ მაქოდ ვიქეცი,
და ისიც მახსოვს შემდეგ რაც მოხდა.
მაგრამ წარვიდნენ მრავალნი წელნი,
ქართველებით, ბრძოლით ნავალნი,
ალბათ სხვა იყო წილხვედრი ჩვენი,
და მომავალში სავალნი დღენი.
ჩემს ხსოვნას შერჩა ვით სახსოვარი,
როგორც სიბეცე გარდასულ ფერთა,
ღამე მთოვარი, იღბლიანი, და თანაც მკაცრი,
ღამე მშობელი, მომდინარე უმანკო ცრემლთა.

* * *

ხელთ მაქვს ძალი უხილავი,
ფიქრთა ჩემთა ფურცლებს ვმარგლი,
სურვილების დავდგი ხვალი,
ღამაზი და შეუვალი.
ოცნებებით გაშლილ აფრებს,
სიყვარულმა ფერი ცვალა,
ვით საყვარლად ნამყენ ვაზებს,
სურვილებსაც უნდა გასხვლა.
გასხვლა უნდა ნატვრას, წადილს,
გამოხშირვა სათქმელს, ნაფიქრს,
რომ, სიწმინდე შერჩეს მანდილს,
სინდისს, ნამუსს და ჩანაფიქრს.

* * *

მთვარიან ღამეში იწვოდა სანთელი,
სიმშვიდით ავსებდა ოთახს,
ფიქრები გარდასულ დღეებს მიჰყვებოდა,
ბაგე ჩურჩულებდა ლოცვას.
მაშინაც ჩუმად იწვოდა სანთელი,
სადღაც იჩქაროდა მთვარეც,
სიმშვიდეს ვეღარ მგვრიდა სანთელი,
ვეღარ ლოცულობდა ბაგეც-
ასეა მუდამ სანთელ-საკმეველი,
უკვალოდ რომ არ ქრება,
რასაც დათესავ იმას მოიმკვი,
ოდითგან ასე ხდება.

სულის სიმშვიდე

მე შემეძლია ვუცქირო დიდხანს,
უწმინდესს ჩემი სულის სიმშვიდეს,
ყოველი მისი ხმა დარხეული,
ძალას რომ მატებს ქართველთ სიცოცხლეს.
მე შემეძლია ვუცქირო ამ ცას,
ღამის დუმილში, მზის ამოსვლამდე,
ვუცქირო ამ მთებს სადაც წინაპრის,
დიდი გმირობა მოდის ჩვენამდე.
თავდავიწყებით ვეტრფოდე თბილისს,
ჩვენი მშვენიერის აღსავსე კერას,
სიონს, სამებას, მეტეხს და ქაშვეთს,
შევთხოვ სამშობლო მიცოცხლოს დიდხანს.
სინათლის საწყისს, სამების კავშირს,
მორწმუნე ხალხის უფლისკენ ლტოლვას,
მადლობა ყველას და ყოველივეს,
ბოროტებას ჩვენ ვუცხადებთ ბრძოლას.



კელოშვილი ზაირა

დავიბადე სამცხე - ჯავახეთის უმშვენიერეს - სოფელ - ხიზაბავრაში, ოჯახით ვცხოვრობ თბილისში. მაგრამ ამჟამად ვიმყოფები ემიგრაციაში კერძოდ საბერძნეთში - ათენში.

ვარ ქალთა ორგანიზაციის „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირის“ წევრი.

-ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ რედაქტორის მოადგილე.

- ვარ ორი პოეტური კრებულის ავტორი.

-“საქართველოს მწერალთა

შემოქმედებითი კავშირის“ წევრი.

-და ბოლოს „ინგას უბნელი“.

...დაახ, მიხარია, რომ ჩვენს კრებულს ერთი საუკეთესი ავტორი კიდევ შეემატა, წარმატებები ქალბატონ ზაირას!

ისევ ისე ნაცნობია ჩემი სკოლის ზარი,
თოვლის ზვინი და ნოემბრის სუსხიანი ქარი,
არა მჯერა რაც გადამხდა, საქმე სულსხვაგვარი,
შორეული უტოპია და სიზმარი არი.
ნაცნობია ჩემი ქვეყნის მიწა, მთა და ბარი,
მიყვარს მისი სილამაზე რაც ჩემს ირგვლივ არი,
ვესტუმრები ჩემ ბავშვობას განთიადის დარი,
ვესტუმრები მაგრამ მაინც ვერ ვიქნები მყარი.
წელს წავალ და იქ დარჩება, მთებში ყველაფერი,
ისევ ისე იქ დამხვდება, რაც იყო და არი,
წავალ მაგრამ თან წამყვება წყენა ჩემი ხალხის,
მაგრამ მაინც უფალს შევთხოვ შენდობას ცოდო-ბრალის.

ზღვის ღელვას ჰგავდა
მე როცა გრიგალმა გამაღვიძა, შენ სად იყავი მზეო მაშინ,
სიცოცხლე ჩემი წარსულში, მახსოვს, შენ მოგიძღვენი, მას შემდეგ
ბევრმა წყალმა ჩაიარა, ხან იყო მღვრიე ხან ანკარა, ვით ბავშვის
ცრემლი, ცხოვრება, რომელიც მე გავიარე, ზღვის ღელვას ჰგავდა, მე
კი თოჯინას, ბავშვმა რომ მიუგდო ტალღებს.

მადლობას ვუხდი თავს დატეხილ გრიგალს, რომელმაც ჩემი
გამოღვიძება შესძლო, ამიყოლია, როგორც სიმფონია დირიჟორის
ხელით სამართავი. უთვალავია მადლი შენი, წვლილი დიდია იმაში,
გრიგალო ჩემო, მე თუკი არ დავრჩი ტალღებს მინდობილი, ბავშ-
ვისგან მიტოვებულ თოჯინასავით.

აქაც, უკვე შენც, მზეო, მომისწარი ნაშუადღევს, დარჩენილ
წუთისოფლის აღმართს რუდუნებით მივუყვები, თანდათან
გიახლოვდები. გიღიმი. შენც მაიმედებ, მათობ, გულში მიხუტებ...
მიყვარხარ, მზეო!

ააბრიალეთ ფული კოცონზე!

მდიდარ-ღარიბად დაქსაქსულა მთელი სამყარო,
და მეზობლება ფული ჩვენი ტანჯვის სათავე,
ჩამოაცალეთ „ხელის ჭუჭყი“ კაცობრიობას,
და ერთმანეთი ეყვარებათ ადამიანებს.
აღარ მოკვეთენ სხვის კოცონზე მიშვერილ ხელებს,
ამაყად ივლის მათხოვარი, ვინც ურნაში ეძებდა საკვებს,
თანასწორობა დაიმკვიდრებს, დაიგანებს შინა თუ გარეთ,
ო, დაწვით ფული, ყველა ურვის, ტანჯვის სათავე!
ჩამოაცალეთ ხელის ჭუჭყი კაცობრიობას
და ერთმანეთი ეყვარებათ ადამიანებს!

რუსთაველი და კაცობრიობა

ბატის ფრთას კალმად შემოხვია თლილი თითები,
მერე ნელ-ნელა ჩამოწურა მუჭში შარბათი,
გაბაცდა, გაცვდა წუთისოფლის ამოება,
სიტყვა ქართული ამობრწყინდა როგორც ბადახში.
„ვეფხისტყაოსნით“ მიჯნურობის ფილოსოფიას
კაცობრიობა აზიარა და რაღაც ბედად,
საუკუნეებს გამოსტაცა სათქმელ-განცდილი,
მეგობრობის და მიჯნურობის იქცა ლეგენდად.
თავად მიჯნური განეფინა ფუძე-საფუძვლად,
თავად პირველმა გააოცა ხალხი მიღეთის,
თავად პირველი მიეახლა წმინდა საუფლოს
და რუდინებით აიარა გზები გოლგოთის.
კაცობრიობავ, ვერ აღსდგები მკვდრეთით, იცოდე,
არ წაიძლოლე თუ მეგზურად სული ქართული,
თუ არ გშვა სიტყვამ ჭემშარიტმა,
თუკი არ გახდი თავად მიჯნური,
თავად გმირი,
თავად ჯვარცმული.

სეკუნდანთის განაჩენი

ახლა საათი გდია ქვიშაზე,
თვალი ჰორიზონტს მიჰყვება სადღაც,
დრო უჩვეულოდ მიიზღაზნება,
აღარ მჭირდება ძოწი და ფარია.
ახლა ქარიშხალს ავყვები ცამდე
ის დამასახლებს ღრუბლებზე მაღლა,
პლანეტებს უნდა ჩავუჯდე ნავში,
რაც არი არი ცოტა დრო დამრჩა.
ვნახო თუ როგორ გრგვინავენ ცაზე,
მრავალტანჯული ჩვენი სულები,
ანდა, თუ, ადგათ მწველი მზის სხივი,
თუ ამოქარეს გრძნობით გულები.
ერთი ვარ, გინდათ? !, ასი ათასი,
ან უთვალავი როგორც ზღვის ქვიშა,
მაგრამ ერთია წუთისოფელი,
ჩემთვის უძირო აკლდამად იქცა.
გაფანტულ ფიქრებს თავს ერთად ვუყრი,
თუმცა გვიანი როდია ახლა,
ეს სიმარტოვე ოხერ-ტიალი,
ყველა საწადელს თავისით გასცდა.
ომი წავაგე საკუთარ თავთან
და ბრძოლის ველზე დავრჩი მარტოკა,
ახლა დუელი თუ, გადამარჩენს,
თუ არ იქნება ისიც გართობა.
ახლა საათი გდია ქვიშაზე,
სეკუნდანტს აქაც დაავგვიანდა,
ცა, დედამიწა, დრო და მანძილი,
სუყველა ერთად დადარდიანდა.
ახლა დროს უნდა ჩავუჯდე ნავში,
გზადაგზა იქნებ შტორმიც ვიგემო,
რომ აღარასდროს, რომ აღარასდროს
ამ მუხანათ დროს აღარ მივენდო.
ვრჩები მეწილე ცა დედამიწის,
ლოდინად მიღირს ახლა წამება,
მხოლოდ თქვენს გამო აღარ ვინანებ,
საკუთარ თავთან ომის წაგებას.

იმ მამლუქივით

რა ჰქვია იმას, რასაც დღეს ვხედავ,
ანდა რა განცდა ამყვა წლების წინ,
ან რა სიშორე, უცხოობა ამოვიჩემე,
წინამორბედი ან ვინ მყავდა გუშინ, გუშინწინ?!
ან ხომ არ მშურდა...
ეგვიპტის სფინქსზე მამლუქის კვალი,
წარწერა, დამლა... ან იქნებ ბედმა,
ან იქნებ თავად გავინაწილე მამლუქის განცდა.
დედა მარიამ, შეგვიფარე, გადაგვეფარე, ქართველი ერი,
ოღონდ დარჩეს, ოღონდ გადარჩეს, მე კი, მე მზად ვარ
მარჯვენეთ სად და იმ მამლუქივით
ხელს მოვაწერ ბედის განაჩენს.

გამოითხოვა ნათელმა ღამე

ახლა ქარებმა აწეწეს ფიქრი,
და დრო შლეგივით ისევ მახელებს,
მერე თავადვე მომატიანებს,
ვით, ხელისგულზე დამდნარ ფანტელებს.
მოვდივარ შენთან, უნდა, ჩამოვჯდე,
ჩ ა მ ო ვ ა ს გ ე ნ ო მუხლი დაღლილი,
უნდა გიამბო თუ რამ მტანჯავდა
რით მოვიტოვე ყველა გზაწვრილი.
მიმერეკება დღე, დაფიონთან,
დგას და მომელის ჩემი მარხილი,
ახლა მიაბზე, უნდა მიაბო!
რითი სუნთქავდა ჩვენი წარსული.
გამოითხოვა ნათელმა ღამე,
ქარებისაგან დაწნულ-ვარცხნილი,
დაჯდა, მიაბო დღევანდელამდე
რით გახდი ჩემი სულის ნაწილი.
გამოითხოვა ნათელმა ღამე,
ქარებისაგან დაწნულ-ვარცხნილი,
მოვდივარ შენთან, უნდა ჩამოვჯდე,
ჩ ა მ ო ვ ა ს გ ე ნ ო მუხლი დაღლილი.

რაც იყო, იყო ...

ამ ბედაურით დროთა თარეშს გავუსწრო მინდა...
უკან დავტოვო ნაკვალები სუფთა და წმინდა,
რაც იყო, იყო, მზე და ქარი თუ იყო წვიმა,
არ მენაღვლება ეს ცხოვრება ტკივილად ღირდა.

მოჭრილი მარჯვენა

დგახარ საქართველო ცრემლების მდელოზე,
დედათა გოდება კაწრავს ცის კაბადონს,
ვაი, რომ გაბნეულ აღმასის თვლებივით,
ბრწყინავენ ცრემლები ბალახის ღეროზე.
და ჰა, ჩაცურდა მიწაზე ცვარ-ნამი
ნაცრემლი, ნაწვიმი დედათა გოდება,
დაფლეთილ მამულში გუგუნებს სამრეკლო...
მეც ვყვირი - ჩემია და აღარ მეთმობა!
ტადარი, რომელიც გუშინწინ წამართვი,
მოგძახი, ჩემია! ვგოდებ და მადარდებს,
არა ვთმობ, თქვენც იცით, ჩემია, რადგანაც
ხვალ ვიცი, ჩავლენავ ჩაკეტილ დარაბებს.
საძირკველს ახლა ჭრი ჩემ ფუძე-კერაზე,
სახლს ანგრევ, აშენებ თავლას და ნალიას,
შენ ახლა დაიწყე ათვლა ისტორიის,
მე ჩემი გადავწერე უკვე რახანია.
ცას კიბე მივადგი სუფთა გზა-სავალი,
ავყვები სამართალს, ვიპოვი უცილოდ,
ოღონდაც შეაშრეს ჩემს მამულს ცრემლები -
დედათა ნაწვიმი სუფთა და უბიწო.
მოჭრილი მარჯვენა ქართველთა ხვედრია,
დიდების საშენად ქმნილ-გამოძერწილი,
ეგ წართმეული მიწები ჩემია,
მეც ჩემი მარჯვენა მაქვს შესაწირავი.

შენეცოდები

მტკვართან არაგვის გზაშესაყარზე დაგელოდები,
შენი ტალღები დამახვევს თაბრუს,
ტკბილ რძეს გამოვწოვ დედამიწის სავსე ცურიდან
და ავამღერებ პაპანემის გამოთლილ ფანდურს.
უცნაურია. შენ ცოცხალიც შემეცოდები
და მივეცემი უძირო სევდას
და მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის ამეცრემლება,
ღრუბლის ქარავანს შევახებ ხელსაც.
გახსენი მთვარევ თეთრი საკინძე,
ზამთრის სითეთრემ მოთოვოს იქნებ
და თეთრი თოვლი წაუბილწავი
დარჩეს სამიზნედ.
ამ გაზახულზე ავიყრი ხუნდებს.
მტკვარი წამიღებს მოთქმა- გოდებით.
უცნაურია.
შენ კი უჩემოდ შემეცოდები.

და ახლა, ისე ჩქარია წამი
როგორც, წამმზომი სამარის კართან,
მიჭირისუფლე და შენი ცრემლით,
შემიმსუბუქე სიკვდილის განცდა.

თუ

სამრეკლო ბარი ქუდზე კაცს უხმობს,
თუმც შეჰპარვია ხმაში ბზარები,
ერი და ბერი განაჩენს ელის,
მომძე ერისგან ნაიარევი.
ჩვენ ახლა გვმართებს გამოფხიზლება,
მტერს ჩავუმწართ მადა ჭამაში,
მაშ საქართველო რაღა ყოფილა,
თუ ჩაუჟანგდა ხმალი ქარქაშში.
თუ ასე დავრჩით, როგორც დღესა ვართ,
თუ ვახარხარეთ ჩვენზე მავანი,

თუ მოსათხოვი არ მოვითხოვეთ,
თუ ვერ მივიღეთ ჩვენი სალამი...
თუ მომხვედურს კვალში არ ჩავუდექით,
თუ ვერ გავიგეთ კვნესა მამულის,
თუ მიტოვებულ ეზო-ბანიდან,
ვერ გადმოვფინეთ დროშა ქართული..
თუ არ გვექნება რაც გუშინ გვექონდა,
თუ დღევანდელ დღეს გასვლია ყავლი,
ხვალის სავალი თუ მოისილა,
გადაუხდელი თუ დაგვრჩა ვალი.
თუ არ იჭექა რა საჭიროა,
მითხარით,მაშინ სცენაზე თოფი, ან რეჟისორი,
ვინც სულ ამოდ დაღვარა ალბათ სპექტაკლზე ოფლი.
თუ უკეთესი ვერ დამანახე,
რის მაქნისი ხარ თვალის სინათლეც,
ხელის ცეცებით,თვალახვეული,
მოვა გოდებით სახლის კარამდე.
შენ, საქართველოც,შენ როგორ მოხველ
აბელის ძიდან წამებით,დაფნით...
ღმერთო,წყალობა კვლავ გაიმეტე
და საქართველო კურთხეულ ჰყავი.

სული კამკამა

მწამს მობრძანება მთაში ზაფხულის,
მთის წვერს თოვლი და მზის ელვარება,
თვალ-ალმას-ლალი, კლდეზე ჩანჩქერი,
მწვანე ხალიჩა ფეხუკარება.
აქ როცა ბინდი ჩამოგორდება,
მგლისფერ თვალებით ივლის კარდაკარ,
მთვარე, მნათობი თვალებს მოკვეთავს,
ბნელს გაეყრება სული კამკამა.
იხეტიალებს, იცახცახებს თვალი ციკლოპი,
მთა ჯანღს გარიყავს ქაფის გუნდებად,
მიწით, მზით, მთვარი, მზის ელვარებით
უსასრულობას შეერწყმება დედა -ბუნება.

მწამს მობრძანება მთაში ზაფხულის,
მთის წვერს თოვლი და მზის ელვარება,
თვალ- ალმას- ლალი, კლდეზე ჩანჩქერი,
მწვანე ხალიჩა ფეხუკარება.

სანუთრო

საწუთრო ბრუნავს, ჩარხი ყველას დაგვატრიალებს,
კარგ დარებს მზიანს, ხშირად მოსდევს დიდი ავდარი,
ვის რა ახარებს, ვისთვის რაა ბედნიერება,
ვინ იტანჯება, ვის მიეცა ბედი სხვაგვარი.
მწყერმა ყანაში დაიპურა თავი ტაატით...
ცად ასაფრენად გამზადებულს წასწვდა მწვეარი,
და ასე ლუკმა გაჩხერილმა ამოიხავლა,
წამომეწია უიღბლობა, ჩემი მდეგარი.
ყოფნა-არყოფნის განაჩენი ეწყო პინაზე,
ბედმა მდეგარმა ხელით ხელში გადაინაცვლა,
მწვეარის პირით მირთმეული ნანადირევი
იმ მონადირემ წელზე სარტყლად გადაიტანა.
მწყერმა ყანაში დაიპურა თავი ტაატით...
საწუთრო ბრუნავს, ჩარხი ყველას დაგვატრიალებს,
კარგ დარებს მზიანს, ხშირად მოსდევს დიდი ავდარი.

მამა

ტრიალ მინდორში შემოჭრილი დოღი ფიქრების...
სულ თან დამყვება, უსასრულო ჩუმი წუხილი,
მეხი და სეტყვა ერთდროულად თავს დატეხილი
და სამარესთან ვაჟკაცების მწველი ქვითინი.
სათქმელ-განცდილი ყელში მიჭერს ჩავლილ დღეების
მტკივა და მიჭირს გასამხელი და გასანდობი,
გაფერმკრთალება ბოლო სხივის მესხურ ოდაში
და უნებლიე დადუმება გულზე წამმზომის.

წიგნის და სიტყვის თანამგზავრო, თანაზიარო,
სახლი უშენოდ დარჩა, დაგვიავადდა
და შენ, შუქურას ჩემი გზების, ჩემი ცხოვრების
მიკვირს, თავად შენ ეს რარიგად შემოგალამდა.
დავალ, დავემებ შენეული სინათლის სხივებს,
მეგზურად დამდევს განუყრელად ნამგალა მთვარე,
ცხადშიც შენ იყავ და სიზმარშიც ისევ შენ გხედავ,
ჩემი მომავლის და სიკეთის გულმართალ მაცნედ.

ქართან ჭიდილში დაღლილი ღამე,
ნათელ ბილიკებს ტკეპნის და ქელავს,
მოდის, მოიბრძვის ლეგა ღრუბელი,
ორგვლივ ჰაერი სისხლისფრად ღელავს.
დასეტყვავს ველებს აყვავილებულს,
გაემიჯნება ცა დედამიწას,
ლერწები ხიდან ჩამოტეხილი
დაეფინება თოვლისფერ მიწას.
მაწვალებს ყელში გაჩრილი ბურთი,
ცა მოქუფრული დასცქერის ქალაქს,
სადღაც ხარხარებს ალბათ ეშმაკი,
ცრის ვღელავ როგორც გზაგასაყართან.





მაია მახარაშვილი



მაია ფარნაოზის ასული მახარაშვილი - დაიბადა 1961 წლის 16 მაისს ქ. თბილისში, მეცნიერ-ფიზიკოსის ოჯახში. 1978 წ. დაამთავრა ქ. თბილისის ვ.მ.კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის საშ. სკოლა. განათლებით მათემატიკოს-პროგრამისტი (1983 წ. დაამთავრა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი), იურისტ-ეკონომისტი (2003წ.

დაამთავრა თბილისის ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკურ მართვის უნივერსიტეტი). შრომითი საქმიანობა დაიწყო 1983 წ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანში“, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში პასუხისმგებელ და ხელმძღვანელ თანამდებობებზე და დღემდე ერთგულად ემსახურება ქართულ სახელმწიფოს. ლექსებს წერს 1978 წლიდან. მაია ჩვენი კრებულების წარმატებული ავტორი გახლავთ მოკრძალებული პიროვნება და საუკეთესო ადამიანი და ზუსტად ასეთივე მწერალიც.

მიხარია, რომ ის ჩვენი უბნელია და ამ კრებულით კიდევ ერთხელ დიდ წარმატებას ვუსურვებ მას!

იშვიათად წამიკითხავს ნოველა, რომელიც
ავტობიოგრაფიული არ გახლავთ და ცრემლებამდე მიჰყავხარ იმ
განცდას, იმ ტკივილს, იმ შინაგან მსგავსებას მწერალსა და ნოველის
გმირს შორის, რომელიც ამ ნოველაშია....

ნ ის ლ ს შ ე ფ ა რ ე ბ უ ლ ი =ში თითქოს შენ თვალწინ ორი
ისტორია იშლება ნამდვილიც და მოგონილიც და ვერ ხვდები, რომ
ასეთი ტკივილი შენს გვერდითაცაა. ვინც არ იცნობს მათ
მახარებდა როგორც პიროვნებას, ვურჩევდი, ჯერ ეს საოცარი
ნოველა წაიკითხო, ნოველა, რომელშიც ავტორი და გმირი სავსეა
ღრმა განცდებით, სევდით, სიყვარულით, ულამაზესი ეპიტეტებით და
თავისუფლად მიხვდება როგორია მისი ავტორიც!
სულში ნათელი ჩამეღვარა. მადლობთ მათა ამისათვის!
ინგა გოგიბერიძე-კრებულის რედაქტორი-შემდგენელი.

მაია მახარაშვილი

ნისლს შეფარებული

(ნოველა)

კეთილი და უწყინარი ბავშვი იყო სპეტაკი ზრახვებითა და
თვინიერი ზნით.

ბავშვური მიაძინება და უშუალობა გიჟმაჟი სიყმაწვილის
ჟამსაც შეინარჩუნა, რადგან ვირტუალურ ვარდისფერ ნისლში
ნებივრობა უყვარდა.

მიუხედავად ცხოვრების იკლიკანტურ ლაბირინთებში ხეტია-
ლისას გზად შემხვედრი, ტალახით მოთხვრილი ბილიკებისა და
ვარდისფერი ნისლით შემოსვის ჩვევისა, ზრდასრულ ასაკშიც არ
დაუკარგავს გულწრფელობა, კეთილშობილება, სიკეთის ქმნისა და
ვარდისფერ ნისლში ლივლივის დაუოკებელი სურვილი.

თავმდაბალი იყო და ადამიანები უყვარდა. პატივს სცემდა მათ
პიროვნულ თვისებებს, ღირსებებსა და სისუსტეებს. არავის საქმეში
არ ერეოდა და არავის განსჯიდა. ყველას მიმართ კეთილგან-
წყობილი იყო და წვრილმანი კონფლიქტებიც კი თრგუნავდა, ამიტომ
ღვარძლიან და ავყია ადამიანებს უკანმოუხედავად გაუბოდა. ეს

სისუსტის ნიშანი არ იყო, მას სიამაყე, შეუპოვრობა და სიჯიუტე არ აკლდა და „ხურდის დაბრუნება“ ხელეწიფებოდა, - უბრალოდ კაემნის მოძალებისას ვარდისფერ ნისლში ცურვა ახალისებდა და შვებას ჰგვრიდა.

ზოგიერთი მას არაპრაქტიკულ და უცნაურ ადამიანად თვლიდა და ზურგს უკან დასცინოდა, რადგან ყველახვდებოდა, რომ უპრეტენზიო იყო და არავის არაფერს მოსთხოვდა და დაუშავებდა. და მაინც, მის პიროვნულ ხიბლს ბევრი ამჩნევდა და ბევრსაც შურდა, განგების მიერ მისთვის გამომეტებული ნიჭიერება და მცირეოდენი წარმატებაც კი ენანებოდათ, რადგან თვლიდნენ, რომ ეს არსაიდან მოსული, „ბევ რაუნდის“ არ მქონე, მარტოსული და უთვისტომო „არსება“ ზენისაგანდასარუქებას არ იმსახურებდა. თუმცა, მიუხედავად სხარტი აზროვნებისა და საკითხის არსში ღრმად წვდომის უნარისა, ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ჰქონდა შესაშური, რადგან ვარდისფერი ნისლის გავლენითა და რჩევით, სულიერ ფასეულობებს მატერიალურ კეთილდღეობაზე აღმატებულად მიიჩნევდა და ამდენად, თვითონ არავისი არაფერი შურდა, მცირედიტაც კმაყოფილდებოდა, შურიანობა კი საკუთარი თავის უპატივცემულობად და ღირსების შელახვად მიაჩნდა.

ცხოვრების გზაზე ბევრი ტკივილი და უსამართლობა შეხვდა, ობლობაში გაიზარდა და არსებობისათვის ბრძოლა ბავშვობიდანვე მოუწია, მაგრამ გადარჩა, რადგან საკუთარი თავის ფასი იცოდა და თავდაცვის მიზნით, ადამიანურ ურთიერთობებს მის წარმოსახვაში არსებული ვარდისფერი ნისლით გულმოდგინედ ფილტრავდა.

მამა-პაპური ზნეობრივი ფასეულობების ერთგულს, სიბერის ემინოდა დასურდა ეკლესიური ცხოვრების წესით ეცხოვრა, მაგრამ საკუთარ თავში სიზარმაცე ვერ დაეთრგუნა და ბოროტის ხრიკებს ვერ მორეოდა. არაეკლესიურობის გამო თავს დამნაშავედ გრძნობდა, მონასტერში მორჩილად ცხოვრებაც ბევრჯერ უნატრია, თუმცა მონაზვნობაზე ოცნებას ვერ ბედავდა, თავს ღირსად არ თვლიდა და ბეციური მადლის დაუშსახურებლად მიღების სურვილი დიდ მკრეხელობად მიაჩნდა. საკუთარ თავთან საკუთარი სისუსტის რცხვენოდა და უფლის მოწყალებისა და პატიების იმედად იყო.

უფლის იმედი და საკუთარი ძალების რწმენა ყოველთვის ჰქონდა, და ალბათ უფალიც სწყალობდა, რადგან ყველა განსაცდელს უდტრვინველად გაუძლო, სიკვდილსაც მედგრად შეებრძოლა და წარ-

მატებული ქალის მოვალეობებიც ღირსეულად შეიფერა და აღასრულა. გულწრფელად სწამდა, რომ ვარდისფერ ნისლთან მოთათბირების ჩვევა შემოქმედებით უნარს უღვივებდა, შინაგან წონასწორობას უნარჩუნებდა და უცაბედი თვალბედითი რყევებისაგან მტკიცედ იცავდა.

ცნობიერებით შემოქმედი იყო და ხელოვნების გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. არსებობის დედააზრადხელოვნების მეშვეობით ხილული და გრძნობითი სივრცეების ჭვრეტა-შემეცნება, ხოლო შემეცნების საშუალებად მოვლენებისა და საგნების ფილოსოფიურ ჭრილში განხილვა მიაჩნდა, თუმცა ვერ გაეგო რაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ვარდისფერ ნისლს ხატოს ვერ უტევდა, მის მოსაზრებებს განუხრელად იზიარებდა და მის მითითებებს უპირობოდ მისდევდა, რადგან ის საკუთარ სულიერ ნავსაყუდელად და საუკეთესო მრჩევლად მიაჩნდა. იცოდა, რომ ხასიათის ეს თანდაყოლილი და არც თუ პრაგმატული თვისება - მიმნდობლობა და მორჩილება - ბევრ გაუგებრობას უქადდა, მაგრამ შინაგანი სულიერი წყობასაკუთარ პიროვნებაში რადიკალური ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ბუნება სულიერ სიმშვიდეს ჰგვრიდა და ტყიან მთაში საკუთარი ხის ქოხის ფლობა მისი აუხდენელი ოცნება იყო. მოწიწებით შენატროდა და დიდ პატივს სცემდა მთიანეთის ნასოფლარების ადგილის დედის მცველ გმირებს, გუმანით გრძნობდა სულიერ სიახლოვეს იმ გამორჩეულად მამაც და მხნე ადამიანებთან, ვინც დაცარიელებულ სოფლებში წინაპართა გამომშრალ ძვლებსა და ნასახლარების მტვერს მედგრად დარაჯობენ და მარტოდმარტო ცხოვრებას ბედავენ. მიაჩნდა, რომ მთიელებს იმდენად სწყურიათ ბუნების წიაღში ვარდისფერ ნისლთან ერთად ყოფნა, რომ სხვა ადგილზე თავსბედნიერად ვერციგრძნობენ.

მარტოობისას ვარდისფერ ნისლს ეჩურჩულებოდა და ამ ქვეყნად ადამიანად მოვლინებისა და მომადლებული ნიჭიერების გამო, განგებას მმადლობდა. მთელი ცხოვრება დედა-სამყაროს შემეცნებას ლამობდა და მას ვარდისფერი ნისლის ფთილებთან ერთად, ხალისიანი და „ფრთაშეწყობილი“ ნავარდით გარს დაუღლე-ლად უვლიდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ვარდისფერი ფთილებით გარშემორტყმულმა, მომღიმარი სახითა და დიდი სისწრაფით

უდარდელად ქროლვისას, მოულოდნელად იგრძნო, რომ ყრუ და საღ კლდეს მტკივნეულად შეეჯახა.

მას სახე დაუსისხლიანდა და სული შეეხუთა. გაოგნდა. ვერ მიხვდა რა ხდებოდა. მოფარფატე ფოთლებს განცვიფრებული თვალებით უაზროდ უმზერდა და ძლივსღა შეამჩნია, რომ ვარდისფერი ნისლის ნაგლეჯებს ფერი მის დაუკითხავად უკვე დიდი ხანია ეცვალოთ და მოიასამნისფრო-რუხი შეფერილობა მიელოთ. გააცნობიერა, რომ მის ცხოვრებაში ახალი, მოლიბუღი და სირთულეებით აღსავსე ხანა დაიწყო და უფლის გარდა, აღარავისი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. წამიერად შეეშინდა და მთელი არსებით შედრკა, თუმცა ვარდისფერ ნისლზე განაწყენება და ფარხმალის დაყრა არც უფიქრია.

დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად მიღებული დაუნდობელი დარტყმის მიზეზების გარკვევა და საკუთარი ნებსით თუ უნებლიე შეცდომების გააზრება გადაწყვიტა. ეგონა, სვანეთის სილამაზე გამოაცოცხლებდა და უკაცრიელ მთებში ვარდისფერ ნისლთან შეხვედრა-საუბარში ხელს ვერავინ შეუშლიდა. იმავე დღეს თვითმფრინავში ჩაჯდა და დედაქალაქიდან მესტიაში გადაფრინდა.

ფრენისას თვალწარმტაც ხედების თვალღერებით ტკბებოდა და გულში ერთი და იმავე ფრაზას იმეორებდა: „სატახტოდან ცათმფრენით სვანეთს ჩავფრინდები!“ როგორც კი მიწაზე ფეხი დადგა, მიხვდა, რომ შეეძლო მთელი ცხოვრება მიუვალ მთებში გაეტარებინა. გაიფაქრა: „ამ სიდიადის შემხედვარე, ადგილობრივები აქაურ მშვენიერებას როგორ დათმობენ და ქალაქში როგორ იცხოვრებენ?“

კოშკების სიახლოვეს, მყუდრო ოჯახურ სასტუმროში დაბინავდა. დიდი ხანია არაფერი შეეთხზა და იმედოვნებდა ვარდისფერი ნისლი დაეხმარებოდა და ახალ ლექსებს დააწერინებდა. გონება სრულ დატვირთვას, ხოლო გული კი ხალას შემოქმედებას (ანუ შეუჩერებელი წერას) დაბეჯითებით მოითხოვდნენ. შეშლილივით აიკვიატა: „ეს მოაზროვნე თავი ამ ღვთაებრივ სილამაზეში უნდა გაისარჯოს და უსაქმურად არ უნდა გაჩერდეს“.

აივნიდან ფათერაკების მხილველ, გულზვიად და უხვნაკადულიან თეთნულდს უმზერდა და პარნასის მთა ახსენებოდა: „თეთნულდსაც და პარნასსაც უსპეტაკესი თოვლის ქულაჯები მო-

სავთ, მაგრამ სამწუხაროდ, თეთრულდზე ცქრიალა მუზები არ სახლობენ“.

ხვდებოდა, რომ თვითონპლანეტაზე მყარად მდგარი თეთრულდის „მკვიდრი მოსახლე“ არ იყო, თუმცა სათაყვანებელი ნისლის კალთაზედაც მყუდროდ ვერ დაეგანებინა და ვერ გაეგო, ღირდა თუ არა გაეგრძელებინა „მწიგნობრობის“ ციცაბო ბილიკებით პარნასის ტყითა და თოვლით დახუნძლულ ქედზე აღმასვლა და ჭირვეულ მუზებთან კაზმული სიტყვებით ჭიდილი.

თავს ლიტერატორად და მით უმეტეს, პოეტად არ მიიჩნევდა - ხედავდა, რომ მისი ნაწერით თვისობრივად განსხვავდებოდა მისთვის მისაბამ და ძვირფას მგოსანთა პოეზიისაგან, თუმცა მაინც წერდა, რადგან ფიქრობდა, რომ ყველა ხელოვანს თავისი მსხნელი ნისლი ჰყავს, ისინი მწერლობის უკიდევანო ლაბირინთებში გზას ერთად იკვლევენ, შთაგონებასაც ერთად მიეახლებიან ხოლმედა ეს ტანდემი მარადიულად განუყოფელია.

- ასეთი მშვენიერი ქალბატონი მოწყენილი რატომ ხართ? - სასტუმროს ხანშიშესული დიასახლისის თბილი და მზრუნველი ხმა ექოსავით ჩაესმა.

ცრემლები წამოსცივდა, - დედა გაახსენდა. თავისდა უნებურად ალაპარაკდა და მისთვის სრულიად უცხო სვან ქალს თავისი ცხოვრების შესახებ ყველაფერი მოუთხრო, ვარდისფერი ნისლიც არ დავიწყნია.

ყვებოდა როგორ ეხუთებოდა სული, ეჭიმებოდა ხერხემლიდან გამომავალი ნერვები, ეწვებოდა ხერხემალი და სტკიოდა ზურგი, როდესაც გაიგო, რომ დედა უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი და ვერაფერს უშველიდა. დედამისი დიდი ხანია ცოცხალთათვის უხილავ განზომილებაში გარდასახულიყო, მაგრამ საკუთარი უძლურობის აღქმის თანმდევი, მძაფრი ფიზიკური შეგრძნებები დღემდე მუდმივად თან სდევდა.

გაიხსენაათი წლის უნახავი,ყოფილი მეუღლე, ქალაქის კოლორიტი, გამჭრიახი და ღირსებით აღსავსე კაცი, რომელიც აღმერთებდა დათავისუფლება ამიტომაც მიანჭა, რადგან მიხვდა, რომ ხელოვნებაზე შეყვარებული ქალისათვის ზოზინა ყოველდღიურობითა დაობობას ქსელის ძაფებზე მძივებივით ასხმული ყოფითი პრობლემებით შემოქმედებითი წვადა თვითრეალიზება არ უნდა შეეზღუდა.

ბოლოს დანანებით აღიარა, რომ შემოქმედებით კრიზისს განიცდის, ახალს ვერაფერს ქმნის, რადგან ვარდისფერი ნისლი სადღაც უგზოუკვლოდ გაურინარებულიყო და მისი დაბრუნების იმედიც დიდი ხანია გადაწუროდა.

- მაპატიეთ, ზედმეტი მომივიდა, -უხერხულობა იგრძნო და თხრობა შეწყვიტა, სველი წამწამები ხელსახოცით შეიმშრალა და სვედიანი თვალები დიასახლისს მიაპყრო, - ვიცი, რომ თავი შეგაწყინეთ, მაგრამ ვინმესთან დალაპარაკება ძალიან მინდოდა, თქვენი გულისხმიერებითა და სიდინჯით დედაჩემს მაგონებთ და თავი ვეღარ შევიკავე.

- არაფერია, შვილო, - ღიმილით დაუყვავა დიასახლისმა, - თქვი რაც გინდა, მოვისმენ, დრო მაქვს.

- რჩევა მჭირდება... რა ვქნა, ნისლის რჩევებსა და მითითებებს მივეჩვიე და დამოუკიდებლად აზროვნება მიჭირს, არ ვიცი როგორ მოვიქცე, - დაირცხვინა, - იქნებ ზღვის ტალღებმა დამაკვლიანონ, მათთან მოსათათბირებლად ბათუმში ხომ არ წავსულიყავი?

- ნუ დარდობ, შვილო, არსად წასვლა არ გინდა. ყველაფერი გაივლის და შთაგონება თავად მოვა შენთან, ეგ შენი ნისლი კი პირიქით, - აღმაფრენისაგან საგულდაგულოდ გმაღავს. გაუშვი, წავიდეს... რა იცი, იქნებ მისი დახმარება სხვა ნისლს შეფარებულს შენზე მეტად სჭირდება!

- მართლა?! ეს თავში აზრადაც არ მომსვლია! ესე იგი, მე ნისლთან შეკედლებულ-შეფარებული ვარ, არა? - შეწუხდა.

დიასახლისს საპასუხოდ არაფერი უთქვამს, თუმცა ამ ცხოვრებისეული სიბრძნით დამძიმებული, დარბაისელი მანდილოსნის ყინულოვანი ოკეანის სუნთქვასავით მოვარდნილმა, სუსხიანმა სიტყვებმა „ნისლსშეფარებული“ ქალი გამოაფხიზლა. იგი მიხვდა, რომ წარმოსახვითი ვარდისფერი ნისლი ქალის არაამქვეყნიური ცხოვრებისეული კრედოთი, გემოვნებითა და პრინციპების ნაზავით იყო გაჯერებული და ამიტომაც იყო „ნისლი“ და თანაც „ვარდისფერი“.

„რა სულელი ვარ, ვირტუალურ სამყაროში ვცხოვრობ და ქვეცნობიერმა პროტესტის ნიშნად, ახალი გზავნილების მოწოდებაზე უარი ამიტომაც გამომიცხადა,“ - საკუთარ თავს უბრაზდებოდა საკუთარივე არასერიოზულობითა და არაკეთილგონიერებით უკმაყოფილო.

მტანჯველი ფიქრებისაგან გათავისუფლებულსა და ემოციებით დაღლილს, მალე ჩაეძინა. ერთი საათი გაუნძრევლად ეძინა. ესიზმრა, რომ ყოველთვის მკაცრი და პირქუში თეთრული კეფით ცის თაღს სწვდებოდა და სინარულისაგან სახეგაბადრული როკავდა, მის მძლავრ ქედზე და მკერდზე მოკალათებული ბებერი ნარგავები სინარულით ხალისობდნენ და ფესვებიანად დახტოდნენ, ხოლო კუშტი ლოდები ერთმანეთს ჯირითში ეჯიბრებოდნენ.

მას სიზმრების არ სწამდა, მაგრამ ამჯერად მართლა გულწრფელად შეშოთდა, რადგან ამომავალი მზის ქვეყნის 2011 წლის ტრავგედია გაახსენდა. „რა მშრომელი, მამაცი და გაწონასწორებული ხალხია ეს იაპონელები, სინათლისა და სილამაზის განსაკუთრებული ხედვა და მეტად საინტერესო, თვითმყობადი მსოფლმხედველობა აქვთ. იმენით აუწერელ საშინელებასაც, დამანგრეველი მიწისძვრის სახით, როგორი სიმშვიდითა და ღირსებით შეხვდნენ... იმედია, უფალი საქართველოს შეიწყალებს და აქ ცუდი არაფერი მოხდება“, - ფიქრობდა დაზაფრული.

აბეზარი მწერებივით მწარედ მკბენარე ფიქრებისაგან თავდასაღწევად, რიკულებიან აივანზე გადმოდგა და თეთრულის კალთებზე ფერადი ნაჭდეგების თვალიერებას მოჰყვა. ნანახმა აღაფრთოვანა: „ეს ამაყი და მადლიანი მთა ხელთუქმნელი დიდებულებითაა აღვსილი, მის ძირში ალბათ, ვაზი ხარობს. ისტორიულად, შემოსევებისას მტრისაგან დასაცავად ერისათვის ყოველივე ძვირფასსა და სანუკვარს ჩვენი წინაპრები სვანეთს გადამაღავდნენ ხოლმე. ვაზის ჯიშებიც ხომ ეროვნული საუნჯე და საქართველოს სიმბოლოა“. შემდეგ, თავისდა უნებურად, ფიქრმა ამომავალი მზის ქვეყნისაკენ წაიყვანა: „იაპონიის სიმბოლოები კი მთა ფუძიამა და ერის პოეტური შთავგონების წყარო საკურაა“.

უცრად შინაგანად აფორიაქდა და სავსებით ნათლად შეიგრძნო, თუ რა დიდი სისწრაფით მოილტვოდნენ მისკენ ჯერ არგაჟღერებული ლექსის „გაუშალაშინებელი“ და მყიფე სტროფები. მიხვდა, რომ ქვეყნობიერი გონებას შეურიგდა, „ნისლსშეფარებული“ ქალის სურვილი გაითვალისწინა, ქმედითი დახმარება მოიწადინა და მასნაფიქრალის გააზრებასა და შეჯერებაში შეეხიდა. სწორედ ამ ხმაშეწყობილი თანამშრომლობის შედეგად მისსავე თვალწინ იძერწებოდა ახალი ნაწარმოები. ქალი თეთრულის საუკუნოვანი თოვლის გვირგვინით განსპეტაკებული მწვერვალისაგან გამოლ-

ყორცნილ ბგერებს გაფაციცებით აყურადებდა და ჩამოქნილი სტროფების ქალღმრთელად გამოტანას ჩქარობდა.

- ორი ლექსი დავწერე, - ხალისიანად აცნობა დიასახლისს, - ვიცი, რომ გაგიხარდებათ და იმიტომ გეუბნებით.

- ჩემო კარგო, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შენ ამას შესძლებდი.

- ერთ მათგანი თეთნულდს მივუძღვენი, მეორე კი - იაპონიას.

- იაპონიას?! - განცვიფრდა დიასახლისი.

- ჰო, იაპონიას... თემა საიდან მოვიტანე, არა? - გაეღიმა, - ფიქრებმა თვითონ მიმიყვანეს მასთან.

- იაპონია მშვენიერი ქვეყანაა და ლექსიც საინტერესო იქნება. აბა, წამიკითხე!

- ჯერ თეთნულდზე წაგიკითხავთ.

- როგორც გენებოს!

„ნისლშეფარებულმა“ ხელნაწერი აკანკალებულ თითებში მოიქცია და დაბზარული ხმით ამოღერღა:

- თეთნულდს!

ნეკერჩხლის ტოტი მარჯნის დალალით
წითელ თოვლს აფრქვევს გულზვიად თეთნულდს,

ცაცხვის სურნელით დამთვრალა ქარი,

მუხა და რცხილა ცეკვავენ ფერხულს,

მთის მწვერვალიდან გზავნილი ლექსი

გულს ცისარტყელად მომეფინება, -

აზრთა და გზათა გადაძახილებს

ვეროდეს შეცვლის დროთა დინება.

მზე მიხმობს თვისკენ, ფიქრთა თარეში

მაბნევს და მხიბლავს, ბილიკებს მითმობს.

გადმოვხვეწილვარ უცხო მხარეში, -

აქ ცა არც ისე ლურჯია თითქოს...

მაგრამ ეს ცაა, შლეგსა და ეულს

მამულს რომ ჩამწნავს სულით და ფესვით!

სტროფთა მდინარე განმკურნავს სნეულს,

თუ წვეთ-წვეთ შევსვავ სტრიქონებს პეშვით...

გავინაპირე, დავძლიე შიში!

ველარ შემაკრთობს ეკალთა სუსხი...

იქნებ წარგტაცე მძვინვარე თეთნულდს

სიბრძნის ტალღა და ჰანგები უხვი?!

- შვილო, აქ ცა ყველასადმი კეთილია და ამიტომაც ყოველთვის კვასკვასა ლურჯია!

- ალბათ!... იცით, თეთნულდი დამეხმარა! მისი დიდად მადლობელი ვარ.

- მიხარია, რომ საკუთარ თავს ამ ცის ქვეშ და ჩვენი თეთნულდის დახმარებით სძლიე, - ფართოდ გაიღიმა სვანმა ქალბატონმა.

- მეორეღეფს ჰქვია „კვლავ აყვავდება მარჯნის საკურა“, - საპასუხოდ გაუღიმა და დინჯად განაგრძო ქალმა, -

ფუძიამასთან ყვავის საკურა,

ნიაგზე ტოტებს კეკლუსად არხევს,

იეროგლიფად ყლორტი ჩაწნულა

და ღიმილს უძღვნის ნაზ კვირტთა ნამქერს.

ზღვა შეუმოსავს ნისლის კიშონოს,

გრიგალის ფრთებს შლის ავი დრაკონი,

მზის კუნძულებზე ზვირთად იღვრება

შლეგი ცუნამის შმაგი ამბორი.

პლანეტა შედრკა, ქვესკნელის ბიძგებს

ერთვის ქარიშხლის ძალუმი სუთქვა,

მიწის და ზეცის ტანჯვა და რისხვა

ყოველივეს ბრმად შთანთქავს და თუთქავს...

მადლით და ლოცვით აღვსილი ზენა

ღვთის რჩეულ ერებს განსაცდელს უვლენს, -

გრიგალი დაძრწის, ცას ფერფლად აფრქვევს

ნანგრევთა მტვერს და ზღვის ძლაშე სურნელს.

ფერფლმა განბანა იაპონია...

ბრმად ჩაძირულა წარსულის ტბაში,

ქარს გაუფანტავს, ნისლს გაჰყოლია,

ცეცხლმა განწმინდა ცოდვათა ხავსი...

ვაჟკაცურად და დინჯი ღირსებით

ერი ქარიშხალს ტკივილით უსმენს,

გამქრალ ქალაქებს დასტირის და თან

ფესვებს საკურის იმედით უმზერს.

დაიყვავილებს მარჯნის საკურა,

შეეხილება ჯებირთა ნანგრევს,

ჩაეხუტება მინდვრის სამყურას
და ეშს შეჰმატებს გეიშის ნამღერს,
ფუძიამას და კაბუკის ნიღბებს
გაახალისებს ცისკრის ფერებად,
დაცანის კედელს დაეყრდნობა და
ამომავალ მზეს შეეგებება...

- შესანიშნავი ლექსებია და ამიერიდან კიდევ უკეთესებსაც
შეთხზავ, - გაამხნევა მოხუცმა, -იქნებ სვანეთზეც დაგეწერა, ვიცი -
გამოგივა.

-დიახ, სვანეთს გულმარღვიანი ლექსი მოუხდება და აუცი-
ლებლად დავწერ! მადლობა უფალს და თქვენ, ჩემო ტკბილმოუბარო
ქალბატონო, მხსნელად მომევილინეთ. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ
ჭეშმარიტ ხელოვანს არავისი და მით უმეტეს, ვარდისფერი ნისლის
დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს. ბათუმში წასვლა და ზღვასთან
მოთათბირებაც გადავიფიქრე! ვერტმფრენს დაველოდები და უკან,
სატახტოში, ჩემს სახლში დავბრუნდები.

-ნება შენია, - კეთილად იღიმებოდა დიასახლისი.

-მაგრამ არასოდეს დამავიწყდებით და მუდამ თქვენი მად-
ლობელი ვიქნები, -ხელგაშლილმა მოხუცისაკენ მორიდებით გაიწია.

- გაიხარე, შვილო, - გულში ჩაიკრა დიასახლისმა.

მესტიაში კიდევ ორი დღით დარჩა, საგანგებოდ ნაყიდი
რგვეული ახალი ლექსებითა და მოთხრობებით ააჭრელა, დიასახლისს
თბილად დაემშვიდობა, თბილისში სტუმრად დაპატიჟა და ნისლთან
განშორების მტკიცე გადაწყვეტილებით, ქალაქს გამოემშურა.

ვერტმფრენი ცად აიჭრა, მზის სხივებით აელვარებულმა, არწი-
ვისებრი ირაო მოხაზა და გეზი დედაქალაქისაკენ აიღო. მოულოდ-
ნელად, შხარაზე დავანებულმა შავმა ნისლმაცსწორედ იმავე დროს
მოინდომა ცაში ჭეჭა-ქუხილიან ელვასთან ერთად თავაწყვეტილი
სრბოლა და „საფრენი აპარატის“ თავხედობამ გააბრაზა. მან
ვერტმფრენს გზა ჯიქურ გადაუღობა და ხილვადი სივრცე
კუპრისფერი უკუნეთით დაუხშო. უმწეო ცათმფრენმა ვარდნა
დაიწყო...

ქალმა დაინახა როგორ მიფრინდა მასთან ვარდისფერი
ნისლი, ხელში აიტაცა და კავკასიონის მთებზე ციმ-ციმ გადაატარა.
ბოლო ჩურჩულით ნათქვამისიტყვები, რომლებიც მას მკაფიოდ
ჩაესმა იყო: „ნუ გეშინია, მე შენთან ვარ, კიდევ უამრავ ულამაზეს

ლექსს შეთხზავ!". გაეღიმა, მისთვის ძვირფას და სანუკვარ თეთრულდს დანისლული და ბედნიერებით აღვსილი მზერა უკანასკნელად მიაპყრო, და ძილმოწყურებულმა, ნისლის ფაფუკ კალთაზე ტკბილად და სამუდამოდ მიიძინა.

**ობოლი გოგონას მამა -- კაცი,
რომელის ყველას უყვარდა**
(მ ო თ ხ რ ო ბ ა)

2015 წელი

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ვუძღვნი მამაჩემის - მეცნიერ-ფიზიკოსის ფარნაოზ მახარაშვილის - უსპეტაკესი, უკეთილშობილესი და უნიჭიერესი

ადამიანის ნათელ ხსოვნას

-რა კარგია, ამაღამ ჩვენთან რომ რჩები, -თბილად ეუბნებოდნენ თმახუჭუჭა და დიდთვალება მოზარდ გოგონას რამდენიმე წლით მასზე უმცროსი ბიძაშვილები, ნაბოლარა თმაქოჩორა ბიჭი და ორი ჰაეროვანი აღნაგობის უმცროსკლასელი გოგონა. -იცე, სკოლაში რამდენი სასაცილო ამბავი მოხდა?! აუცილებლად უნდა მოგიყვეთ, ბევრს ვიცინებთ!

-მეც ძალიან გამიხარდა, როცა დედამ თქვენთან გამომიშვა, - მისალმების ნიშნად, სამივეს სათითაოდ გულში კეთილი ღიმილით იკრავდა დიდთვალება, -მეც მაგარ „ხოხმებს“ გიამბობთ. რამდენი ხანია, ერთად არ „ჩაგჭორავებულვართ“!

დედისერთა მოზარდს და მის უმცროს ბიძაშვილებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ნათესაურის გარდა, ბავშვებს მეგობრობა, ურთიერთნდობა და საერთო ინტერესები აკავშირებდა, ერთად ყოფნით ყოველთვის უდარდელად ხალისობდნენ და მხიარულადაც ერთობოდნენ.

-შენი მამიკო ისევ ავადაა? - თანაგრძნობით ჰკითხა პატარა ბიჭმა.

-ჰო, -დასვედიანდა დიდთვალება, - ბიძაჩემმა დასაძინებლად თქვენთან ამიტომაც წამომიყვანა, დედა მამასთანაა საავადმყოფოში.

-მამიკო ძალიან გიყვარს არაა? - ჩაეკითხა ბიჭი.

-ჰო, -თავი ჩაქინდრა დიდთვალებამ.

-შენი მამიკო მე და ჩემს დებსაც ძალიან გვიყვარს, კარგი ბიძიაა და იმიტომ, სულ გვეთამაშება ხოლმე და არასოდეს გვტუქსავს.

-არ იდარდო, მამიდა მალე გამოაჯანმრთელებს, -გაამხნევებს გოგონებმა, - მოდი, ჯერ ვივარაუდოთ, მერე კი მამიკოს ნაყიდ ახალ დიაფილმებს გირვენებთ! ჩავუსხდეთ და თან ნუგებიტა და შოკოლადებით პირი ჩავიტკბარუნოთ.

ძილის წინ დიაფილმების ნახვისა და ტკბილეულით ყელის ჩაკოკლოზინების უჩვეულო შეთავაზებამ გოგონა განაცვიფრა და მიახვედრა, რომ ბიძაშვილები მის გამხარულებას ცდილობდნენ.

-არ მშია და დიაფილმების ყურებას არ მინდა, - ამოიღულულა, -მალე ძილის დროც მოვა. თანაც ხომ იცით, რომ ტკბილეულის ღამე ჭამა არ შეიძლება, კბილებს გვატკენს.

-ოოო, კარგი რაა, წამოდი! ჩვენც არაფერი გვიჭამია, შენ გელოდებოდით!

-მართლა?! -მხრები აიჩერა და ბიჭს ხელი ჩასჭიდა დიდთვალებამ. -- მოვდივართ!

თავადაც ბავშვი, დიდთვალება ბიძაშვილების მიმართ, რატომღაც, ასაკით მათზე ბევრად უფროსი ადამიანის პასუხისმგებლობას გრძნობდა და ყოველთვის უთმობდა.

-- მე და შენ ერთმანეთს ვგავართ, ნახე ორივეს როგორი ქეჩქეჩა თმები გვაქვს, არა? -შუბლზე ჩამოშლილი თმა თავისუფალი ხელით გადაიწია ბიჭმა.

-საიდან მოიტანე? -გაეცინა დიდთვალებას.

-მამიდამ მითხრა, -სერიოზულად უპასუხა თმაქონორა ბიჭუნამ, -ორივეს ხშირი თმა გვაქვს, ოღონდ მე - სწორი, შენ კიდეც - ხუჭუჭა. ხო კარგია, არა?

-რა ვიცი, აბა... ალბათ.

-იცე რაა? დიდი რო გავიზრდები მალე არ გავმელოტდები და შეიძლება საერთოდაც არ გავმელოტდე. შენც ნუ გეშინია - ქალები არ მელოტდებიან და ყოველთვის ასეთი ჩახუჭუჭებული კულულები გექნება - ვითომ სალონში დაიხვიე რაა. თანაც თვალებ ბრიალა გოგო ხარ და სულ ასეთი ლამაზი იქნები.

-ჩემი ჭკვიანი და საყვარელი, -ბიჭს თავზე ხელი ალერსით გადაუსვა დიდთვალებამ, -თვალების ბრიალზე და თმის დახვევაზე დებმა გითხრეს?

-ხოლო! და შენ საიდან იცი? - გაუკვირდა ბავშვს.

-კაცი ხარ და გოგოების სალაპარაკო თემებს ყურადღება არ უნდა მიაქციო.

-მამიკომაც ასე მითხრა, -ჩაფიქრდა პატარა და თავის მართლებით დაამატა, -აბა რა ვქნა, ძამიკო არა მყავს და სახლში დების გარდა, ვის ვეთამაშო ხოლმე? რა, გოგოებთან საერთოდ არ უნდა ვითამაშო?

- როგორ არა, -იღიმებოდა „თვალე ბრიალა“, -ყველა კარგ ბავშვთან უნდა იამხანაგო.

-ჰო, დედიკომაც მითხრა, უბრდელ ბავშვებთან არ იამხანაგო.

-მოდი, ხელები დავიბანოთ, -ბიჭს სააბაზანოს კარები გამოუღო დიდთვალებამ, -ვახშმის დროა და ყველა ჩვენ გველოდება.

იმ საღამოს ბავშვებმა გულიანად იმხიარულეს, ერთმანეთს მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბები გაუზიარეს, ხალხური ზღაპრების მიხედვით შექმნილი რამდენიმე მოკლე დიაფილმიც ნახეს და საყვარელი ტკბილეულიც გემრიელად მიირთვეს.

- ცელქებო, არ გეძინებათ? -ხელიდან მოხსნილი მაჯის საათი სამაჯურით დაიკავა და ჰაერში ასწია ოთახში შემოსულმა დიდთვალებას ბიძამ, -შეხედეთ რომელი საათია!

* * *

გოგონას დედის ძმის ოჯახს ტკბილად ეძინა. ძილი მხოლოდ დიდთვალებას არ ეკარებოდა, რადგან წუხილის, შიშის, შფოთვისა და ფორიაქის ნაზავი, გაურკვეველი და მანამდე განუცდელი გრძნობა, გაუცნობიერებლად დაუფლებოდა და ვერაფრით დამშვიდებულყო.

უცრად, იატაკზე მოძრავი შავი ლანდები ცხადად შენიშნა და ჩურჩულის მსგავსი, თითქოს შორით მჟღერი მოგუდული ხმების მაგვარი, უცხო და უცნობი ადამიანების წყნარი საუბარი მკაფიოდ ჩაესმა. ვილაცები დიდთვალებას მამას ახსენებდნენ: ერთნი თბილად ესალმებოდნენ, მეორენი ემშვიდობებოდნენ, ზოგი კი მის დახმარებას ლამობდა.

გოგონამ თვალეები ფართოდ გაახილა, რათა მტკიცედ დარწმუნებულიყო, რომ არ ეძინა. ნანახმა და მოსმენილმა განაც-

ვიფრა, თუმცა არ შეშინებია, მხოლოდ გაირინდა და ცდილობდა ჩუმად და გაუნძრევლად წოლილიყო, რათა „ღანდები“ და „ხმები“ არ დამფრთხალიყვნენ და კარგად მოესმინა რას იტყოდნენ ისინი მის საყვარელ მამიკოზე, რომელიც ავად გამხდარიყო და საავადმყოფოში იწვა. დიდთვალება ვერ მიმხვდარიყო, რატომ გახდა ავად ასე უეცრად მამა, იგი ხომ ყოველთვის ჯანმრთელი იყო და არასოდეს უავადმყოფია? „მე ხომ არ გავაბრაზე? იქნებ გული ვატკინე და ავად ამიტომაც გახდა?! პატარაობისას რომ ვცვლქობდი, ხომ მეუბნებოდა, გულს მტკენ, როცა ჯიუტობ და კარგად არ იქცევით!“ - თუმცა ვერ გაეხსენებინა რა დააშავა, თავს მაინც დამნაშავედ გრძნობდა და როგორც არაერთხელ ბავშვობაში, ბრიალა თვალები ახლაც სინანულის ცრემლით აევსო. „რა საძაგელი ვარ, ჩემს მამიკოს ვაწყენინე და გული ვატკინე!“ - დიდთვალება ურჩი ცრემლის შეჩერებას გულმოდგინედ ცდილობდა და თან იმ ურინარ და იდუმალ „ვილაცხვებს“ გაფაცხვებით აყურადებდა. ისევე მოულოდნელად, როგორცადამოინდნენ, „ღანდები“ და „ხმები“ ასევე უეცრად გაქრნენ და დაძაბულობისაგან გადაღლილ გოგონასაც მალე ჩაეძინა.

ძილში შფოთავდა, რადგან უცნაური და შემზარავი, ფერდი სიზმარი ნახა. ესიზმრა, თითქოს ძაძით თავით-ფეხებამდე მოსილ, დამწუხრებულ დედასთან ერთად, გოდებით მიუყვებოდნენ სასაფლაოს მეწამული ფერის, შავ ზოლებიანი ხალიჩით დაფარულ, ვიწრო და უკაცრიელ ბილიკს, რომლის ბოლოშიც ყვავილებით აჭრელებული მამის საფლავი ეუღლად და გარიყულად მოჩანდა.

ცრემლითა და სიმწრის ოფლით დაცვარულ გოგონას შიშისაგან გამოეღვიძა. თენდებოდა. თავი მოიმძინარა, -ბავშვების შეწუხებას მოერიდა. „რა საშინელი სიზმარი ვნახე!!! გაიღვიძებენ თუ არა, ბიძიას ვეტყვი სასწრაფოდ მამიკოსთან წამიყვანოს!“ - ფიქრობდა დაბაფრული.

დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, მალე საბავშვო ოთახში გოგნას ბიძა შემოვიდა და გოგონას საწოლს მიუახლოვდა.

-არ მძინავს, - ჩუმად შეეხმინა დიდთვალება.

-იცი, შენი ბიძაშვილი, მამაშენის ძმისშვილია მოსული, უნდა ისაუბრო და ერთად წახვალთ, - შეწუხებულმა ჩურჩულით უთხრა.

-სად უნდა წამიყვანოს? - გულმა რეჩხი უყო გოგონას.

-არ ვიცი... ჰკითხე და გეტყვის.

-კარგი, ბიძია, ახლავე მოვალ.

გოგონას მამა ოჯახში ნაბოლარა და თავის ორ ძმაზე ოციოდე წლით უმცროსი იყო, ამდენად, დიდთვალება თავის დაფრთიანებულ ბიძაშვილებს პატარა ბავშვად მიაჩნდათ და სიყვარულით „ჩვენს პატარა მერცხალს“ ეძახდნენ. თავის მხრივ, გოგონას ნათესავები ძალიან უყვარდა და უფროს ბიძაშვილებთან მოწიწებითა და რიდიით იქცეოდა.

-რატომ სტირი?! რა მოხდა? -თვალცრემლიანი ბიძაშვილის დანახვაზე თავადაც ცრემლი მოადგა, -ვინმემ ხომ არ გაწყენინა?! ახალგაზრდა ქალმა გოგონა ჩაიხუტა და ხმადაბლა უთხრა: -არა, ვინ მაწყენინებდა?! უბრალოდ თვალში რაღაც ჩამივარდა... მოემზადე, სახლში უნდა წავიდეთ!
-იცი, მე მამას სანახავად მინდოდა წასვლა... მოდი, ჯერ საავადმყოფოში წავიდეთ რაა, გთხოვ!
-მამას?!.. მამიკოს მალე სახლში მიიყვანენ, - მზერა აარიდა გოგონას ქალმა.
-რა კარგია, -სახე გაებადრა ბავშვს, -ესე იგი, მამიკო გამოჯანმრთელდა, ხომ?! ასეც ვიცოდი!
-გელოდები, -ცრემლების ყლაპვით გაუღიმა ქალმა.

* * *

ბიძის ოჯახთან თბილად გამომშვიდობებისა და ქურაში გამოსვლის შემდგომ, გახარებულმა გოგონამ ბიძაშვილს ხელი ჩასჭიდა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

-შენ რა, ისევ სტირი? რატოლომ?!

-ოჰჰ, ღმერთო, მიშველე! -გოგონას ბურგი შეაქცია და თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა ქალმა. -აქეთ მოდი, იმ თეთრი „ჰიგულით“ მივდივართ.

ბიძაშვილები ავტომანქანაში ერთად ჩასხდნენ. გოგონა-სათვის უცნობმა მძღოლმა მანქანა უსიტყვოდ დაძრა.

-- რატომ სტირი?! მიპასუხე! -წყენის ნიშნად ტურები მოპრუწა დიდთვალებაში.

-- ბიძაჩემი, ჩემი საყვარელი ბიძა, ისევ ავად არის... ავად არის და ვერაფერი ვუშველეთ, -აქვითინდა ახალგაზრდა ქალი.

დიდთვალელებს მამა ძმისშვილებსაც ძალიან უყვარდათ და ამავდარ ბიძიას მზრუნველობასა და თანადგომას არ აკლებდნენ.

ბიძაშვილის მოულოდნელმა სიტყვებმა გოგონა გააოგნა, მას ლაპარაკის უნარი წაერთვა, მხოლოდ სახე მოედუნა და ასლუკუნდა. „აკი სახლში მიიყვანენო?“ -დამწუხრებული მთელი გზა გულში მხოლოდ ამასლა იმეორებდა.

ბიძაშვილს არ დაელოდა და კიბეებზე სულმოუთქმელად აფრინდა, - მამიკოს ნახვა ერქარებოდა. ბინის კარი, რატომღაც, ფართოდ გაღებული დახვდა. განცვიფრდა: „დედას კარების დახურვა დაავიწყდა?!“. ოთახიდან მეზობელი ქალების ხმები შემოესმა და ზღურბლს გაუბედავად გადააბიჯა. მისაღებ ოთახში ფეხაკრებით შევიდა, -არავის შეუნიშნავს. იქაურობა მოათვალიერა და ოთახის ცენტრში, ირგვლივ სკამებშემოწყობილი ცარიელი ტახტი შენიშნა, რომელზედაც სწორედ ის, სიზმარში ნანახი, მეწამული ფერის, შავ ზოლებიანი, საშინელი და ავბედითი ხალიჩა გადაეფარებინათ! უეცრად ბავშვი ყველაფერს მიხვდა, დიდრონი თვალებიდან მდულარე დეღგმა წარმოსდინდა, თავზარდაცემული შეტორტმანდა, წონასწორობის შესანარჩუნებლად კედელს მიეყრდნო, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა, „სად არის ჩემი მამიკო?“-ო ყრუდ ამოიხავლა და გულწასული იქვე ჩაიკეცა.

„შვილოო, შვილოო!“ -დედის კივილმა გამოაფხიზლა. „დეედააა!“ -ისევე, როგორც პატარაობაში, კისერზე ჩამოეკიდა დედას. „გთხოვთ, მიიშველეეთ!“ -კაბის კალთებზე და ხელებზე რიგ-რიგობით ებლაუჭებოდა აცრემლებულ მეზობლის ქალებს. „დამშვიდდი, გენაცვალე!“ -ეხვეწებოდა ტირილისაგან თვალებდასიებული ბიძაშვილი...

დიდთვალელებს მეორე ოთახში გაიყვანეს. იგი სკამზე მორჩილად დაჯდა, სახეზე ხელები აიფარა და ჩაფიქრდა. მიხვდა, რომ მალე მამის ცხედარს საავადმყოფოდან სახლში გადმოასვენებდნენ და შეძრწუნდა. შიშმა შეიპყრო -შესძლებდა კი საყვარელ მამიკოსთან მიახლოვებას და სათანადო პატივის მიგებას, გოგონას ხომ მიცვალებულების ყოველთვის ძალიან ეშინოდა! არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და ვერ ხვდებოდა, ვისთვის რა ეთქვა. „რატომ?“ - ფიქრობდა გულდათუთქული, -„რატომ მოკვდა მამაჩემი?! ის ხომ კეთილი და სამართლიანი იყო! იგი ხომ ყველას უყვარდა და მასზე

ხომ ყველა მხოლოდ კარგს ამბობდა!... მაგრამ მაინც სიზმარში რომ ვნახე, ყველაფერი ისე მოხდა!"

წლების შემდეგ ობოლი გოგონა მიხვდება, რომ მისი იკლი-კანტური ზმანება და ავ-ფერადი სიზმარი სინამდვილეში იყო იდუმალი ხილვა, - დიდი პატივი, ღვთის საჩუქარი და სამომავლო გაფრთხილება - მოწოდება ღმრთის მიერ გაკვალული, ნათელი გზით სიარულის აუცილებლობისა...

მომავალში ობოლს ბედმა ბევრი ბედნიერი და წარმატებული საღამო არგუნა, მაგრამ იმ ხალისიან, ბიძაშვილებთან უდარდელად გატარებულ, ბავშვური მიამიტობით აღვსილ და წრფელი სიყვარულით გამთბარ, გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთ ჩვეულებრივ საღამოს, თავის ცხოვრებაში უბედნიერეს საღამოდ თვლიდა, რადგან მაშინ სიხარულთან ერთად, მწუხარებისა და მით უმეტეს - სიკვდილის ქვეყნად არსებობის შესაძლებლობას ვერც კი აცნობიერებდა, იმიტომ რომ მისთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანები იმჟამად ცოცხლები, ჯანმრთელები, ბედნიერები, ახალგაზრდები და ამდენად - „უკვდავები“ იყვნენ...

დამწუხრებული და პასუხგაუცემელი კითხვების ნიაღვარში უღონოდ ჩაძირული დიდთვალება ერთ ხანს მდუმარედ იჯდა - აზროვნება და მეტყველება უჭირდა. ნელ-ნელა გონს მოეგო, სლუკური შეწყვიტა და შექმნილ ვითარებას ჩაუფიქრდა. გაახსენდა ორი დღის წინანდელი, ხანმოკლე საუბარი მამასთან მოსაწყენი საავადმყოფოს თეთრ კედლებიან პალატაში...

* * *

-როგორ მომენატრე, „მამიო!“ -- წამოიძახა ბავშვმა და საწოლთან მიცქრიალდა.

-ახლოს ნუ მოდიხარ, „შვილიკური“, ხომ ხედავ -ავად ვარ!

მონატრებული მამა-შვილი ერთმანეთს მოფერებითი სახელებით მიმართავდა.

-რა მოხდააა, არ შეიძლება?! -ეწყინა გოგონას.

-მიდი, იმ სკამზე ჩამოჯექი და მიაბე როგორ ხარ, -თბილად იღიმებოდა ბალიშებზე დასვენებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სიმპათიური, ავადმყოფობისაგან სახეგატანჯული მამაკაცი. -დედა ხომ არ გაბრაზებს?

ორივეს გაეცინა.

-ზოგადად და თეორიულად არა, მაგრამ კონკრეტულად და პრაქტიკულად შენთან მთელი თვე არ მოგყავდი, -ხუმრობაში აჰყვა მამას გოგონა, -და როგორც იქნა, დღეს ძლივს წამომიყვანა!

-დედა არაფერ შუაშია, უბრალოდ ადრე მე არ მეცალა, მხოლოდ დღეს მოვიცალე.

-აქ წერდი მონოგრაფიას? - განცვიფრდა და გაუხარდა დიდთვალებას. -ესე იგი უკვე კარგად ხარ! სახლში ხომ მალე გამოგწერენ?

-კი, მალე, ალბათ, ორ-სამ დღეში.

-მამიო, იცი, ვაჟა-ფშაველას თხზულებები, შენ რომ პატარაობისას მიკითხავდი, სულ თავიდან ბოლომდე გადავიკითხე, -მამის გახარებას ცდილობდა გოგონა, -და სკოლაშიც სულ წარჩინებული ნიშნები მივიღე! ბევრი ვიმეცადინე და ახლა მხოლოდ „მხეცი“ კი არა, უკვე მაგარი „დასაბმელი მხეცი“ ვარ!

მამა-შვილის ენაზე სიტყვები „მხეცი“ და „დასაბმელი მხეცი“ ფიზიკასა და მათემატიკაში სასკოლო პროგრამის ცოდნის დონის შეფასების აღმნიშვნელ „ტერმინებს“ წარმოადგენდა. გოგონა ყოველთვის ძალიან ამაცობდა, როდესაც მამა შეაქებდა და ჯილდოდ ზემოხსენებულ „ტიტულებს“ „უბოძებდა“ ხოლმე.

-ძალიან გამახარე, შვილიკური, -გაფითრებულ სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაეფინა მამაკაცს, -ჭკვიანი და საზრიანი გოგო ხარ! იმედი მაქვს, ყოველთვის კარგად ისწავლი, დედას დაუჯერებ და განათლებული და სამაყო ქალი გაიზრდები!

-აბა რაა, მამიო, კარგად ვისწავლი და მეც შენსავით მეცნიერი გამოვალ, მერე ექსპედიციებში ერთად ვივლით ხოლმე და ხალხისათვის დიდ სამეცნიერო აღმოჩენებს გავაკეთებთ!

კაცს ყელში ბურთი მოაწვა და თვალები დახუჭა.

-რა იყო, მამიკო?! წყალი ხომ არ გინდა მოგიტანო?

-არაფერია შვილო, -ქუთუთოები უთრთოდა მამას.

-აბა, თვალები რატომ დახუჭე? -წუხდა ბავშვი.

დითვალებას მამამ ნებისყოფა დამაბა, თვალები გაახილა და თავის ერთადერთ პირმშოს სიყვარულითა და სევდით აღვსილი, ხანგრძლივი მზერა მიაპყრო. გოგონა დამუნჯდა -არასოდეს ენახა ადამიანის თვლებიდან ერთდროულად გამოტყორცნილი: მზის კაშკაშა სხივებით, მთვარის მშვიდი ნათებითა და ვარსკვლავების თბილი ციალით დამუხტული სულის სიდიადე, სიკეთე და უბრალოება! ბავშვმა მამას თვალი გაუსწორა და გაუცნობიერებლად ატირდა,

თვითონაც არ იცოდა რატომ ტიროდა, ალბათ უჩვეულო მდგომარეობაში მყოფი მამა ებრალებოდა და გუმანით ხვდებოდა, რომ მას ცოცხალს ვეღარასოდეს იხილვდა. მამასთან ამ უკანასკნელი შეხვედრის მოგონება, მის უკვე საიმეფეყნოდ დანისლულ, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე და მტკიცე თვალთაგან გამოსხივებული, მშობლიური სიყვარულით აღვსილი, კეთილი და თბილი შუქი, გოგონას მთელი ცხოვრების მანძილზე ამხნევებდა და ამ გამოსათხოვარი წამების გახსენებისას გული ყოველთვის მტკივნეულად ეკუმშებოდა, რადგან მამიოზე კეთილშობილ, ჭკვიან, განათლებულ, მზრუნველ, უანგარო და სპეტაკ ადამიანად მსოფლიოში სხვა ვერავინ წარმოედგინა და ვერაფრით მიმხვდარიყო, თუ რატომ უნდა გარდაცვლილიყო ასე მოულოდნელად მისი ახალგაზრდა და ჯანმრთელი მამა -კაცი, რომელიც ყველგან მხოლოდ სიკეთეს თესდა და ამიტომ ყველას გულწრფელად უყვარდა???!!!

-ნუ სტირი, შვილიკური, მე ყოველთვის შენთან ვიქნები! - ნაძალადევად იღიმებოდა მამიო. -ახლა კი დედასთან წადი, გელოდება!

დიდთვალეზამ ცრემლები უსიტყვოდ მოიწმინდა, უხალისოდ წამოდგა და პალატის კარს ფეხათრევით მიაშურა -წასვლა არ უნდოდა.

-ნახვამდის მამიკო, სახლში დაგელოდები, მალე დაბრუნდი, - დიდრონი თვალეზი ცრემლითა და დარდით ჰქონდა სავსე გოგონას.

-ჰო შვილო, მალე დაგბრუნდები, -დამშვიდობების ნიშნად დაუძლურებული ხელი გაჭირვებით დაუქნია მამამ.

„დალოცვილი იყავი, ჩემო გონიერო, თვალეზბრიალა, თმხუჭუჭა და კუდრაჭა პატარა!“ - შვილს დანისლული და სიყვარულით აღსავსე მზერით უკანასკნელად ემშვიდობებოდა და ღონემიხდილი ჩურჩულებდა დიდთვალეზას მომაკვდავი მამა...

* * *

გოგონამ ვერ გააცნობიერა, მაგრამ მამამისი გრძნობდა, რომ საამეფეყნოს აღარ იყო და წინა დღეს მეუღლეს შვილის საავადმყოფოში მიყვანა სთხოვა.

-ბავშვი მომიყვანე. აქამდე არ მინდოდა ამ მდგომარეობაში ვენახე და მის მეხსიერებაში ავადმყოფად დავრჩენილიყავი, მაგრამ ძალიან მომენატრა. როგორ მინდა იმ ხუჭუჭა თავზე ერთხელ კიდევ

გადავუსვა ხელი... არ მინდა დაუძღვრებული მნახოს, ამიტომ მომიყვანე, სანამ ნორმალურად გამოვიყურები და კონტაქტური ვარ. სანამ დავმძიმდები, უკანასკნელად უნდა ვნახო. მაგრამ ჩემთან ახლოს არ მოუშვა, რამე გადამდები დაავადება არ მქონდეს.

-რას ამბობ, სერიოზული არაფერი გჭირს, - სიტყვა გააწყვეტინა სასოწარკვეთილმა თანამეცხედრემ, - მთელი მეცნიერებათა აკადემია და შენი უცხოელი მეგობრები ფეხზე დგანან, საუკეთესო ექიმები თავს დაგტრიალებენ, ნუ გეშინია, მალე გამოჯანმრთელდები!

-რიღასი უნდა მეშინოდეს, 4 წელი ფრონტის წინა ხაზზე ვიბრძოდი, - გაეღიმა დიდთვალებას მამას, - მაგრამ თავის მოტყუება არ ღირს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ვგრძნობ, რომ მალე წავალ და ეს შენც კარგად უნდა გესმოდეს.

-კარგი რაა!!! - თვალები ცრემლით ავესო მეუღლეს.

-გამხნევედი, ბუნების კანონებს წინ ვერავინ აღუდგება და ყველა ადამიანს თავისი გზა აქვს გასავლელი... მინდა ჩემს მერეც შენ და ჩვენი შვილი ბედნიერები იყოთ! მარტო არ დარჩებით, ნათესაობა არ მიგატოვებს. ძლიერი პიროვნება ხარ და ტვირთის ზიდვას შეძლებ. ჯერ ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ხარ და შენი ცხოვრება ისე წარმართე, როგორაც საჭიროდ ჩათვლი... გამაგრდი, გენაცვალე, არ იტირო, ბავშვი არ დადარდიანდეს!

-შენისთანა კეთილშობილი, დიდსულოვანი და მაღალი სულის კაცი ცხოვრებაში არ შემხვედრია და არც არასოდეს შემხვდება, - ტირილისაგან ჩაწითლებულ თვალებს გაქათქათებული ცხვირსახოციტ სიმწრით იწმენდდა ქალი, - ექიმები იმედს მამლევენ და ყველაფერი კარგად იქნება!

-ექიმები სიმართლეს არ გეუბნებიან, გამშვიდებენ. ამ დილას შემოვლაზე იყვნენ შემოსულები და მათი საუბარი მოვისმინე, სამედიცინო ტერმინოლოგიას იყენებდნენ და ინგლისურად სპეციალურად ლაპარაკობდნენ, მე რომ ვერაფერს მივმხვდარიყავი. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ რაღაცეებში მეც ვერკვევი და ყველაფერი მშვენივრად გავიგონე.

-კი მაგრამ ისეთი რა თქვეს, ასე რომ განეწყვე?!

-კარგი და დამამიძებელი არაფერი უთქვამთ, - პირიქით... ისინი „სიბუტომატურად მაკვირდებიან“, მე კი დღითი დღე თავს უარესად ვგრძნობ.

- სხვა ექიმებს მოგიყვან! შენი მეგობრები და კოლეგები დაგვეხმარებიან.

-აზრი არა აქვს... მთავარი ახლა ბავშვი და მისი მომავალია. ხომ იცი, ბავშვებს მამაზე მეტად დედა უფრო სჭირდებათ! ჩვენი შვილი მოზარდი გოგონაა და შენთან მეგობრული სიახლოვე სჭირდება... გონებაგახსნილი ბავშვია, ანალიტიკური აზროვნება და საკუთარი ხედვა აქვს, ანუ ყველა იმ თვისებას ფლობს, რომ ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოს. მინდოდა ფიზიკოსი გამოსულიყო და ღრუბლების ფიზიკაში ჩემი კვლევები გაეგრძელებინა... კარგად კი სწავლობს, მაგრამ ვხედავ, რომ ფიზიკა მაინც და მაინც დიდად არ უყვარს. შენ შვიდი წელი მუსიკაზე დაგყავდა და მის პიანისტობაზე ოცნებობდი, მაგრამ როგორც ვატყობ, მისგან არც პიანისტი გამოვა... მიუშვი, პროფესია თავად აირჩიოს. შენ ყოველთვის საუკეთესო დედა იყავი და ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენს შვილს ღირსეულ ქალად და პატივსაცემ პიროვნებად ჩამოაყალიბებ.

-ის შენი შვილი უფროა, ვიდრე ჩემი! ყველაფერში შენ გგავს, - ნიჭიერებით, ხასიათით, გარეგნობით. აზროვნების სტილი და გემოვნებაც კი ერთნაირი გაქვთ.

-სამაგიეროდ იერთ შენსავით მშვენიერი და დახვეწილია, მასაც შენსავით ლამაზი, მეტყველი და დიდრონი თვალები აქვს, - ღიმილით აღნიშნა მამიძე.

-გახსოვს, რომ შეგვძინა, ყველას ეგონა გოგოს დაბადება გეწყინებოდა... მახარობელი რომ გულუხვად დაასაჩუქრე და უთხარი: „რა მოხდა ბიჭი რომ არ არის, ჩემი პაწაწა გოგო მსოფლიოს ყველა ბიჭს მირჩევნია!“-ო, როგორ გაუკვირდათ?

-მაგას რა დამავიწყებს! ეგ დღე ხომ ყველაზე ბედნიერი იყო ჩვენს ცხოვრებაში, - თვალებიდან სითბო და სიყვარული ეღვრებოდა დიდთვალებას მამას.

-ჰო, -სევდიანად იღიმებოდა დიდთვალებას დედაც.

ორივე რამდენიმე წუთით დადუმდა, -ერთად განვლილ ბედნიერ და ნათელ დღებს უსიტყვოდ იხსენებდნენ.

-ახლა სახლში წადი, რამდენი დღეა აქ ხარ, დასვენება შენც გჭირდება, -მეუღლეს ალერსიანად მიმართა ავადმყოფმა, -ხვალ კი ბავშვი აუცილებლად მომიყვანე!

-კარგი, მოგიყვან, -ცრემლებს მალავდა ქალი.

-გთხოვ, განსაცდელს მედგრად დახვდი და ბავშვთან მხიარულად იყავი! შენ რომ დამწუხრებულს დაგინახავს, გული დაეჩაგრება.

-შენ გამოჯანმრთელდები და... - ხმა ჩაეხლიჩა ქალს.

-ხვალამდე, გენაცვალე! -თბილი და კეთილი ღიმილი დაადევნა კაცმა...

* * *

გოგონა მიხვდა, -მამიკომ იცოდა, რომ დღეები დათვლილი ჰქონდა და ამ შეხვედრით ის უკანასკნელად და სამუდამოდ გამოემშვიდობა შვილს.

სიბრაღულით, უმწეობითა და უიმედობით გულდამძიმებულმა, მგრძობიარე ბავშვმა მოულოდნელად და სავსებით ცხადად შეიგრძნო, თუ როგორი გააფთრებით ეხეთქებოდა მისი თავის ქალის კედლებს მამის გამოსათხოვარი სიტყვების ყრუ ექო: „იმედი მაქვს, სამაყო ქალი გაიზრდები!“. უდროოდ გარდაცვლილი მამის ნათელ ხსოვნასა და სახელს, უკვე დაქალებული გოგონა, ყოველთვის სა-თუთად უფრთხილდებოდა და უღირსი საქციელიც არასოდეს ჩაუდენია, რადგან ექოს მოზეიმე გუგუნი მუდამ თან სდევდა...

ასლა კი, მამის ცხედრის ხილვის მოლოდინით დამწუხრებული და შეშინებული, საკუთარი თავის გამხრევებას ლამობდა. წარმოსახვა ბავშვობის მოგონებათა კალეიდოსკოპს სთავაზობდა. გაახსენდა მშობლებთან ერთად გატარებული, ბედნიერი და სახალისო მოვლენებით დაფერილი, უზრუნველი და ლაღი ბავშვობა - მას ხომ სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით, უჩვეულოდ საინტერესო და გამორჩეულად შინაარსიანი ბავშვობა ჰქონდა, რადგან ფიზიკოსი მამა ჰყავდა, ცნობილ მეცნიერთა გარემოში იზრდებოდა და მშობლებთან ერთად, სამეცნიერო ექსპედიციებში ისიც „მონაწილეობდა“.

დიდთვალეობას მამა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, ღრუბლების ფიზიკის დარგში მოღვაწეობდა და სამეცნიერო ექსპერიმენტებს, გარდა მიწისზედა ლაბორატორიისა, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ზებგერითი თვითმფრინავისა და ვერტმფრენის ბორტებზეც ატარებდა ხოლმე.

გოგონას კარგად ახსოვდა, თუ როგორი სიხარულით ელოდნენ და სიყვარულით ხვდებოდნენ ის და დედა ზაფხულობით სახიფათო

ფრენებიდან დაბრუნებულ, დიდი ფიზიკური დატვირთვებისაგან დაქანცულ, მაგრამ მაინც მხნედ და თბილად მომღიმარ მამას თელავის აეროპორტში, თუ როგორ წვებოდა განმუხტვის მიზნით, ბალახით გადამწვანებულ მიწაზე ატმოსფერული დასხივებისაგან ღონემისდილი მამა...

ახსენდებოდა, ჯერ კიდევ პატარა ბავშვს, როგორ უხაროდა „წყნარად მდგომი“ ვერტიფრენის სალონის თვალიერება და როგორ ეშინოდა მისი „ბზრიალა ფრთების“ გრუსუნის, როგორ უნდოდა საფრენი აპარატებით „დიდი ჩიტივით და მამიკოსავით ზეცაში გაფრენა“. ერთხელ, თვითმფრინავის სალონში „გასეირნების“ შემდგომ, მამიკოსთან და სხვა „კარგ ბიძიებთან“ ერთად „ლამაზ ვარსკვლავებთან მიფრენა“ და იქიდან დედიკოსთვის „პრიალა ვარსკვლავის“ საჩუქრად ჩამოტანა გადაწყვიტა, რადგან ახსოვდა, რომ დედიკოს ძალიან უხაროდა გაზაფხულზე, მამიკოსთან ერთად მთაში დაკრეფილი, „პაწაწუნა ია-ენძელების“ გოგონას ხელიდან მიღება და ბავშვური გულწრფელობით სჯეროდა, რომ დედიკოს „პრიალა ვარსკვლავიც“ უსათუოდ მოეწონებოდა. პატარამ ბორტიდან ჩამოსვლაზე მტკიცე უარი განაცხადა და „ვარსკვლავებთან გაფრენა“ დაბეჯითებით მოითხოვა. გაჯიუტებულ ბავშვს მკაცრმა „პილოტი-ბიძიებმა“ სხვა ვერაფერი მოუხერხეს და მის დასაშოშმინებლად თვითმფრინავის მძლავრი ხმოვანი სიგნალი ჩართეს. პატარასთვის ეს ხმოვანება იმდენად აუტანლად მტკიცეული აღმოჩნდა, რომ სმენა დროებით დაეხშო. ბავშვმა ყურებზე მუშტები აიფარა და სალონის ღიობთან მშვიდად მდგომი მამიკოსაკენ ტირილით გაიქცა. მამამ ხელში აიტაცა, კუნწულა ცრემლები შეუმშრალა, ტრაპთან მომლოდინე დედასთან ჩაიყვანა და ჩვეული კეთილი ღიმილით გაამხნევა: „ნუ გეშინია, შვილიკური! უკვე დიდი გოგო ხარ და უნდა გესმოდეს, რომ დღეს ამ თვითმფრინავმა ძალიან ბევრი იფრინა, დაღლილია და დასვენება მასაც ხომ უნდა?! სხვა დროს მოვიდეთ და აღარ გაგვიბრაზდება, კარგი?“ განცვიფრებულმა ბავშვმა თანხმობის ნიშნად გაიღიმა და საკუთარი „ცუდი საქციელით“ დარცხვენილი დედას ჩაეხუტა...

დიდთვალეებს საკუთარი ბავშვური ცელქობების გახსენებაზე მწარედ ეღიმიებოდა და გულმოკლული ფიქრობდა, რომ მისი საყვარელი და გულჩვილი მამიკო არასოდეს უბრაზდებოდა და ყველაფერს დიდსულოვნად პატიობდა.

წლების შემდეგ, უკვე დაქალაქებული დიდთვალება მიხვდება, რომ მამის აღზრდის მეთოდი მხოლოდ პირად მაგალითს, რჩევებსა და შეგონებებს ეფუძნებოდა და მისი აღმზრდელობითი ხერხებიც მეტად ეფექტური და ფასეული იყო, - „ჯადოსნური“ სიტყვები: „შენ მე დღეს გული მატკინე“ თავმოყვარე, ამაყ, მაგრამ ზნეკეთილ და მოაზროვნე ბავშვზე ყოველთვის დიდსა და დამმორჩილებელ ზეგავლენას ახდენდა, ხოლო იგივე შედეგი სიმკაცრითა და დატუქსვით ვერასოდეს მიიღწეოდა.

მიხვდება იმასაც, რომ ტექნიკისა და ზუსტი მეცნიერებების სიყვარული მის გულში ადრეულ ასაკშივე ჩანერგილიყო, რომ ბავშვის მცდე და ფაქიზ ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილმა მამის სიტყვებმა: „შვილიკური, მათემატიკა ყველა მეცნიერებათა მეფედ იმიტომ მოიაზრება, რომ მათემატიკური აპარატის გამოყენების გარეშე მწყობრი მეცნიერული ჯაჭვის აგება, ან მეცნიერულად გამართული და დასაბუთებული ჰიპოთეზის ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგალითად, ფიზიკა არაფერია ფორმულების გარეშე, ჰუმანიტარული მეცნიერებები კი - ლოგიკის გარეშე!“ გამომახილი მოგვიანებით, ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებისას ჰპოვა...

დიდთვალება წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებისა და არასტანდარტული აზროვნების უნარის გაღვივება-ჩამოყალიბებასაც მამას უმადლოდა, რადგან ბავშვობაში, მეცადინეობისას წამოჭრილი სიძნელების დაძლევა-გადალახვის სურვილით, მშობლებთან შეკითხვებითა და დახმარების თხოვნით მისულს, მამა პირდაპირ პასუხს არასოდეს სცემდა, მხოლოდ ურჩევდა -საოჯახო ბიბლიოთეკის რომელ წიგნსა და ენციკლოპედიაში, უთითებდა -რომელ ტომსა და გვერდზე შეიძებოდა გოგონასათვის საინტერესო საკითხების მოძიება, გააზრება, დამუშავება და გამოყენება. მამა ხომ უგანათლებულესი ადამიანი იყო! ცნობისმოყვარე ბავშვმა იცოდა, რომ მამა „ხალხისათვის სასარგებლო დისერტაციაზე“ მუშაობდა და თვითონაც გულუბრყვილოდ ოცნებობდა, როდესაც გაიზრდებოდა „მთელი კაცობრიობის გაბედნიერებისათვის საჭირო მანქანები გამოგონებინა“, რათა „მსოფლიოში ადამიანებს ერთმანეთთან აღარ ეომათ“ და მისი მამიკოსავით „სამართლიანები, კეთილები და ჭკვიანები გამხდარიყვნენ“...

ბავშვს თვალწინ წარმოუდგა, თუ როგორ უღებდა მამა კინოსა და ფოტოსურათებს იმ დროისათვის საუკეთესო საოჯახო ტექნიკით – კინოკამერით „კვარც-2“ და ფოტოაპარატით „ზენიტი“, როგორ ამჟღავნებდნენ ერთად სურათებს მოწინავე სამეცნიერო ტექნიკით აღჭურვილ ლაბორატორიაში და როგორ აწყობდნენ დედასთან ერთად მხიარულ საოჯახო კინორჩვენებებს. დიდთვალეებს ჩვილობის ასაკიდან დაწყებული, უამრავი სურათი ჰქონდა და მათი თვალღერება ძალიან უყვარდა...

თვლცრემლიანი გოგონა იხსენებდა, როგორ ეთამაშებოდა ხოლმე „მამიო“ ჭადრაკს, უკითხავდა წიგნებს, როგორ მიიჩქაროდნენ გაზაფხულობით სახლთან ახლოს მდებარე ბორცვზე (რომელიც უშველებელ, ცად აზიდულ მთად ერგებებოდა) ენძელების, იებისა და სატაცურის საკრეფად, როგორ გუნდაობდნენ იქვე ზამთრობით. ბავშვს ზოოპარკში გართობაზე და საცირკო სანახაობაზე მეტად „მთაში გასეირნება“, იქ დედიკოსთან ერთად მინდვრის ყვავილების კრეფა, ლამაზად აფერადებული გვირგვინების დაწვნა და მამიკოს მიერ მოყოლილი საინტერესო ამბების მოსმენა მოსწონდა, ამიტომ საყვარელ გორაზე წაყვანას მშობლებს ხშირად სთხოვდა ხოლმე...

გაიხსენა, როგორ დაინახა პირველად ზღვა ხუთი წლის ასაკში, კივისსაკენ მიმავალი მატარებლის ფანჯრებიდან. ამოდენა წყალსატევი მანამდე არასოდეს ენახა, აზვირთებული ტალღების „ცქირალა ცეკვით“ მოიხიბლა და მათთან მიახლოვება მოინდომა. „ზღვაში მხოლოდ თითს ჩაყვებ და მაშინვე უკან გამოვიქცევი, დედიკო, რაა!“ – თვალზე გაბრწყინებული სთხოვდა დედას. უარის მიღების შემდეგ ახლა მამას შეეხვეწა: „მამიო, ძალიან გთხოვ, მატარებელი ხომ გაჩერდა და ზღვასთან მიმიყვანე, რაა!“ დედის გასაოცრად მამა დაეთანხმა: „დაიმახსოვრე, შვილიკური! ამ ზღვას აზოვის ზღვას უწოდებენ. წავიდეთ და ახლოდან ვნახოთ! იქნებ თითიც ჩაყვოთ.“ „ბავშვს რა ეუბნები?“ – გაფითრდა ქალი. – „ეს ხომ სახიფათოა, თანაც გარეთ საკმაოდ ცივა!“ „ნუ გეშინია“, – გაეცინა მამიოს, – „არაფერი მოხდება!“ მამა-შვილი, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ზღვას, იგი მით უფრო ხმაურიანი, კუშტი და ბრაზიანი ხდებოდა და ბავშვს მასთან მიახლოვების სურვილი მალე გაუქრა, თუმცა არ შეშინებია, რადგან მამასთან ერთად ყოფნისას არასოდეს არაფრის ეშინოდა. „რატომ გაგჩერდით? მიდი შვილი, მოასწარი, გაიქეცი და თითი ჩაყავი, თორემ მატარებელი მალე წავა!“ – შეაგულიანა. „აღარ მინდა“, –

მოიწყინა პატარამ. „ხედავ, შვილიკური? სანამ რამის გაკეთებას დააპირებ, კარგად უნდა დაფიქრდე, რამდენად შესაძლებელია ეს, და როდესაც გადაწყვეტილებას მიიღებ, არც უნდა შეშინდე და უკანაც აღარ უნდა დაიხიო“, - იღიმებოდა მამიო, - „აქ მოსვლით დროს ტყუილად ხომ არ დაგკარგავთ? მოდი, სუფთა ჰაერი ჩავყლაპოთ, თან ლამაზი კენჭები შევაგროვოთ და დედას წავუღოთ!“. ბავშვმა გვიანი შემოდგომის მოქუფრულ ცასთან შეზრდილ ზღვის უკაცრიელ ნაპირზე სირბილით გული იჯერა და ჭრელ-ფერადი კენჭების რჩევა-სროლით იხალისა. შორიახლოს მდგარი მამიო პირველქმნილ ბუნებაში შვილის ლალ ნავარდს თვალყურს ღიმილით ადევნებდა და პატარას ზღვებისა და ოკეანეების საოცარ ბინადათა შესახებ ბავშვისათვის გასაგები, მხიარული და მარტივი ენით ხატოვნად უამბობდა...

სადარბაზოდან შემოსულმა ხმაურმა დიდთვალემა გამოაფხიზლა. ქვითინი შეწყვიტა, ძალები მოიკრიბა და საკუთარ თავს შეუძახა: „ალებათ მამიკო მოჰყავთ! აქ ხომ არ უნდა ვიჯდე?! მეც დედასთან ერთად უნდა დავხვდე!“

სადარბაზოში გავიდა, მღელვარებისაგან სუნთქვა ეკვროდა და კანკალებდა, ეგონა წაიქცეოდა და ფეხზე ვერასოდეს წამოდგებოდა. ავარვარებული სახე და საფეთქლები ეწვოდა და იანვრის მსუსხავ სიცივეს ვერ გრძნობდა. ხედავდა, რომ დედა და ნათესავი ქალები ხმამაღლა მოსთქვამდნენ, ოჯახის ახლობელ მამაკაცებს კი გოგონას მამიო - მისი თვალთ სხივჩამქრალი, გულხელდაკრებილი და სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც მსოფლიოში ყველაზე სიმპათიური, ღიმილიანი, თბილი, მშვიდი, მზრუნველი და ტკივილამდე საყვარელი მამიკო - კიბებებზე ფრთხილად ამოჰყავდათ. გოგონამ იგრძნო, რომ სიკვდილი თვითონაც უნდოდა, რადგან გულწრფელად ეგონა, რომ მისთვის მზე აღარასოდეს ამობრწყინდებოდა და ცხოვრებაში აღარაფერი გაუხარდებოდა.

დიდი ხნის შემდეგ სახლში დაბრუნებული მამიო გოგონასათვის საძულველი ხალიჩით დაფარულ ტახტზე დაასვენეს...

* * *

დიდთვალელებას მამა მეორე მსოფლიო ომში 1942 წელს 17 წლისა მოხალისედ წავიდა და ომის დამთავრებამდე, მთელი 4 წლის განმავლობაში უკრაინის ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ, ოფიცრების კადრების დეფიციტის გამო, არმიაში კიდევ 5 წლით მოუწია დარჩენა და სამსახური... სახლში დაბრუნებულს დარდისაგან განადგურებული მშობლები ცოცხლები აღარ დახვდა...

ფრონტზე გადახდენილი ამბების თაობაზე გოგონას მამის სანათესაო მამაც კი არაფერი იცოდა, რადგან მას ომის უმძიმესი წლების გახსენება არ სიამოვნებდა და ცოლ-შვილთან და ახლობლებთან მსგავს თემებზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებდა. როდესაც ეკითხებოდნენ, მოკლედ პასუხობდა: „ომი სასტიკი და უგუნური სასაკლაოა. ჩემს ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა, იწვოდა და ნადგურდებოდა, ადამიანები იხოცებოდნენ, ბევრი თანამებრძოლი ხელში ჩამაკვდა... მრცხვენოდა, ცოცხალი რომ ვრჩებოდი, მაგრამ ალბათ ღვთისმშობელი-დედა მფარველობდა... რა უნდა მოგიყვეთ?! მშვიდობიანობა დააფასეთ და სიცოცხლის მშვენიერებით დატკბით!“

დაკრძალვის წინა დღეს, ოჯახს უცნობი, თმაში ჭაღარა შერეული მამაკაცი ეწვია.

-თქვენ მე არ მიცნობთ, აქაური არ ვარ... მიცვალებულის ბავშვობის მეგობარი და ფრონტელი თანამებრძოლი გახლავართ. მისი უდროოდ გარდაცვალების ამბავი გავიგე და არ შემეძლო უკანასკნელ გზაზე არ გამეცილებინა. ძალიან ვწუხვარ, -დაობლებული გოგონას ბიძებსა და ბიძაშვილებს სადარბაზოში მიუსამძიმრა ახალმოსულმა.

-იცოცხლეთ, დიდი მადლობა! -მამიოს ძმებმა უცნობს ხელი ჩამოართვეს და მიცვალებულთან ოთახში შეიპატიჟეს. -გთხოვთ აქეთ მობრძანდეთ!

-თქვენი მეუღლე დიდი ადამიანი იყო, ქალბატონო, - გარდაცვლილი მეგობრის ცხედრისათვის პატივის მიგების შემდეგ, მოწიწებით მიმართა დიდთვალელებას დედას მამაკაცმა, -ჩვიდმეტი წლის ბიჭი რადისტის მოვალეობას ასრულებდა და ყოველთვის წინა ხაზზე იმყოფებოდა. ბრძოლების დროს სატელეფონო „მავთული“ აფეთქებისაგან ბევრჯერ გაწყვეტილა და ამ პატარა ბიჭს ბოლოები საკუთარი კბილებით ეჭირა, რათა საჯარისო დანაყოფებს შორის

კომუნიკაცია არ შეფერხებულიყო. ჩემი მეგობარი გონდაკარგული და ცოცხლად დამარხულიც რამდენჯერმე ყოფილა და თანამებრძოლებს ჩართული რაციის ხმოვანებამ აპოვნინა. სიკვდილს არ გაურბოდა, მაგრამ ეტყობა ანგელოზები მფარველობდნენ და ტყვია ამიტომაც არ ეკარებოდა...

ფრონტის ხაზზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს, საპასუხისმგებლო და სახიფათო დაზვერვაზე წასვლა ბიჭებს ყოველთვის თქვენს მეუღლესთან ერთად უნდოდათ, რადგან იგი უყვარდათ, დიდ პატივს სცემდნენ და ენდობოდნენ მისი პიროვნული თვისებების -ადამიანურობის, ერთგულების, გამბედაობისა და ცოდნის გამო.

დიდ სამამულო ომად წოდებულ ამ სისხლისმღვრელ საშინელებაში, სწორედ სამშობლოსათვის თავდადებისა და სიმამაცისათვის მიენიჭა ამ ადამიანს ოფიცრის წოდება და მიღებული ჰქონდა სტალინის პირადი მადლობები და მედლები.

ერთ ამბავს გაიმბობთ და თავადაც მიხვდებით, როგორი სპეტაკი და დიდბუნებოვანი ვაჟკაცი დაგკარგეთ!

ერთხელ, ჩვენი სამხედრო შენაერთი ფაშისტებმა ალყაში მოიქციეს, მთელი 20 დღე-ღამე სრულიად მშვირები ვიყავით, მაგრამ მაინც არ დავნებდით და მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეთ. შემდეგ ჩვენს დასახმარებლად წითელი არმიის სხვა დანაყოფი მოვიდა და ალყიდან გამოგვიხსნეს. საკვები ყველასათვის სამყოფი არ გვქონდა, ამიტომ ვიმსჯელებთ და გადავწყვიტეთ, რომ პურს გაანაწილებდა ჩვენს შორის ყველაზე წესიერი, პატიოსანი, სინდისიერი, სამართლიანი და კეთილშობილი კაცი -თქვენი სულმნათი მეუღლე. მან დავალება მართლაც პირნათლად შეასრულა და საკვები ყველას თანაბრად გადაგვინაწილა.

ჩვენს შორის მხოლოდ ერთს, სხებივით 20 დღის ნაშიმშილარ ადამიანს არ შეხვდა საკვები, იგი თავისთვის ბნელ კუთხეში წყნარად დაჯდა და იქიდან თვალს კეთილი ღიმილით გვადევნებდა.

ეს კაცური კაცი და ღირსეული, თავმდაბალი, უანგარო, მხნე და მოყვასი ადამიანი იყო ჩემი ძვირფასი მეგობარი! თანამებრძოლებმა მისი ეს საჩუქრელი მოგვიანებით შენიშნეს და მას ყველამ თითო ლუკმა ვუწილადეთ...

-აბა ამას მის ადგილას სხვა ვინ იზამდა?! -ქვითინებდნენ ქალები.

-გმადლობთ თანადგომისა და შეწუხებისათვის ბატონო, - გაჭირვებით თქვა დიდთვალებას დედამ, -ჩემი მეუღლის ეს დიდსულოვანი საქციელი სულაც არ გამკვირვებია, დიდი ხანია ვიცი, რომ ის გამორჩეულად კეთილშობილი ადამიანი გახლდათ.

-ჩებარკულიდან ჩვენი საერთო ფრონტელი თანამებრძოლის წერილი ჩამოვიტანე, თქვენი მეუღლისთვისაა განკუთვნილი. ამდენი ხნის უნახავი მეგობრები თანამებრძოლთა შეკრებაზე კიევში ეპატიუებიან, გამარჯვების 30 წლისთავს ულოცავენ და გულთბილ მოკითხვას უთვლიან. მინდა წერილი თქვენს გოგონას გადავცე, უნდა იცოდეს როგორი კაცის შვილია და მამით იამაყოს.

-მე აქ ვარ, -ოთახში მკვირცხლად შემოაბიჯა დიდთვალებამ, - გამარჯობა, პატივცემულო! მამიკოთი ყოველთვის ვამაყობდი.

-აი ეს წერილი შენ, შვილო, -მამიოს მეგობარმა გოგონას მარკებით აჭრელეებული კონვერტი მიაწოდა, -მისამართი ზედ აწერია და პასუხს თუ მისწერ, ჩებარკულელ ბიძიას და მამამენის ძველ მეგობრებს ძალიან გაუხარდებათ, თუმცა გული ეტკინებათ, როცა გაიგებენ, რომ ცოცხალს ვერ მოუსწრეს.

-დიახ, -წერილი მოკრძალებით გამოართვა ბავშვმა, -აუცილებლად მივწერ!

შემდგომში დიდთვალებამ პირობა შეასრულა და „ჩებარკულელ ბიძიასთან“ მიმოწერით სამამულო ომის საბრძოლო ადგი-ლების, მამისა და მის თანამებრძოლთა ფრონტებზე თავს გადახდენილის თაობაზე ბევრი საინტერესო და გამოგნებელი ამბავი შეიტყო და მიხვდა, რომ ამ გმირული სულისკვეთებით აღვსილი, მედგარი, მხნე და უტეხი თაობისადმი მადლიერი უნდა ყოფილიყო და მამულისადმი შეწირული ადამიანების ისტორიული დამსახურება და ხსოვნა ჯეროვნად უნდა დაეფასებინა.

გოგონას დედა და ნათესავები მამიოს ფრონტელ მეგობართან კიდევ დიდ ხანს საუბრობდნენ, დიდთვალება კი ფიქრებმა გაიტაცეს: „ალბათ მამიოს სამშობლო ძალიან უყვარდა და ომში მის დასაცავად წავიდა!“. ფიქრმა შარშანწინდელი ბაფხული გაახსენა.

მცხეთაში, სვეტიცხოველთან ახლოს, შედარებით მოფარებულ ადგილას, მამიომ ფეხზე გაიხადა და მობიბინე ბალახზე ფეხშიშველი დადგა. დიდთვალებას მამის უცნაური საქციელი ეხამუშა და გვერდით მდგარ დედას გაკვირვებით გადახედა.

-აქ მოდი, შვილიკური! -შეეხმიანა მამა, -ხედავ, აქედან სვეტიცხოველი და ჯვარი რა კარგად მოჩანს? რა ამაყად გადმოჰყურებენ მცხეთას არა?

-ვხედავ! ძალიან ლამაზია!

-აი, აქ არის „საქართველოს ცხელი გული“, ეს მიწაა ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით ჩვენამდე მოტანილი!

ზოგჯერ მამა მოულოდნელი „ჩამჭრელი“ შეკითხვებითა და მინიშნებებით ცოდნას უმოწმებდა დიდთვალეზას.

-გამოვიცანი! ლადო ასათიანის ლექსიდანაა, სვეტიცხოველის ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენიაო, მან თქვა!

-ყოჩაღ, გცოდნია! მაშ კარგი, აბა მითხარი, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მამული“ თუ გაქვს წაკითხული?

-არა, - უხერხულოდ შეიშმუშნა „უცოდინრობაში გამოჭერილი“ ბავშვი.

-როცა წაიკითხავ მიხვდები, ფეხზე რატომაც გავიხადე!

-რაა? -დაიბნა გოგონა.

-ეს ლექსი დიდი ხნის წინ, 1915 წელსაა დაწერილი და სამშობლოს ეძღვნება. პოეტი ამბობს: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული?!“

-ააა, მივხვდი, -გაუხარდა ბავშვს.

-რას მიხვდი?

-რას და სამშობლო, ანუ მამული თუ გიყვარს, პატივი ფეხშიშველმა უნდა სცე!

-გარდა ამისა, -გაეღიმა მამიოს, -ამ მეტაფორით დიდი გალაკტიონი სამშობლოს მთელი არსებით განცდისა და მამულის სულიერად და ფიზიკურად შეგრძნობის ერთიანობაზეც საუბრობს.

-მამამ რა თქვა გაიგე? -ჩუმად ჩაეკითხა დედა.

-ჰო, -სერიოზული სახით უპასუხა დიდთვალეზამ, -სამშობლო და მისი მიწა ძალიან უნდა გიყვარდეს!

-კარგი გოგო ხარ, -ჩახუჭუჭებული თმები ხელით გაუსწორა დედამ...

პანაშვიდი დაიწყო, სამძიმარზე უამრავი ხალხი მოდიოდა და საუბარი შეუძლებელი გახდა. დიდთვალეზას მამის ფრონტული მეგობარი ჭირისუფალს მეორე დილამდე გამოეთხოვა და წავიდა.

მოულოდნელად მკაფიოდ და უსიამოვნოდ გაისმა მამიოს თანამშრომელი ქალების აღშფოთებული ჩურჩული:

„ეს უსინდისოები აქ რა ნამუსით მოვიდნენ?! თავხედები!“

„ერთი ამ არაკაცს შეხედეთ! რაები იკადრა?!“

„უმაღური ნაძირალა, დაავიწყდა სიკვდილს ვინ გადაარჩინა! ტიფი რომ ჰქონდა, საავადმყოფოში მარტოდ მარტო რომ ეგდო, დედა და ეგ კეკელკა ცოლიც კი არ ეკარებოდნენ და მხოლოდ ეს ღვთისნიერი პატრონობდა!“

„უნიჭო და უცოდინარია ეს გაიძვერა. მხოლოდ ამ საწყალის დახმარებით დაამთავრა უნუვერსიტეტი და მეცნიერებაში ფეხი შედგა. სტუდენტობიდან ერთად მოდიან და მთელი ცხოვრება ძმაკაცს იყენებდა, კარიერას ამის შრომებით იკეთებდა! თვითონ რამის დამწერია?! მით უმეტეს დისერტაციის!“

„და ძმაკაცს ხომ არ უნდა ეჯობნა?! შურისა და ბოღმის გამო, კაცს როგორ უმტრო, ინტრიგები რა დონეზე ხლართა, იმდენი ქნა, რომ კაცს გამზადებული დისერტაცია დაუბლოკა და ამდენი წლის ნაშრომი წყალში ჩაუყარა!“

„უბედურმა რამდენი ინერვიულა! ამიტომაც მოკვდა!“

„ამ ოჯახში მოსვლა როგორ გაბედეს?! ახლავე აქედან წავიდნენ!“ – გოგონამ მიიხედა-მოიხედა და განცვიფრებულმა აღმოაჩინა, რომ ეს ზიზღნარევი და აგრესიული შეძახილები მამიოს თანამშრომლისა და ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრის და მისი მეუღლისაკენ იყო მიპყრობილი.

ქალმა რაღაცის თქმა დაპირა, მაგრამ მამაკაცმა თვალით ანიშნა და ცოლ-ქმარი ოთახიდან პირუჩუმრად გაიძურწა.

„მე და მამიოს ეს ოჯახი როგორ ძალიან გვიყვარდა, მათ კი...! ისე, დედა ყოველთვის აფრთხილებდა მამას, ესენი კარგი ხალხი არ არიან და მაგათთან ახლობლობა არ გვინდაო, მაგრამ ალბათ მამას ძველი მეგობარი თუ ასე მოექცეოდა, ვერ წარმოედგინა“ – ფიქრობდა მწუხარებისაგან დამუნჯებული მამამკვდარი დიდთვალება.

* * *

გლოვის დღეებში გოგონა გულამოსკვნით ტიროდა და მთელი არსებით სიკვდილს ნატრობდა – ბავშვს თავისი კეთილი მამიო ძალიან ეცოდებოდა, მისი უდროოდ გარდაცვალება დიდ უსამართლობად მიაჩნდა და მშობელთან სამუდამოდ განშორების აზრს ვერაფრით ეგუებოდა.

ოჯახს უამრავი ადამიანი უსამძიმრებდა და „ქვრივ-ობოლს“ თანადგომას ჰპირდებოდა, რათა მამის დაკრძალვის შემდეგ „საცო-დავი ობოლი ბავშვი უყურადღებოდ არ დარჩენილიყო“ და გარდატეხის ასაკში „ისედაც დარჩაგრული ქვრივისათვის“ „ზედმეტი პრობლემები არ შეექმნა“.

უაზრო შეგონებებით (მას ხომ ჯერ ცუდი არაფერი ჩაედინა) გულდათუთქულმა მოზარდმა მამის სასახლესთან ყველასაგან უნუმრად დაიფიცა, რომ არასოდეს მოიქცეოდა ისე, რომ გარდაცვლილი მამის სული გაენაწყენებინა: „მამიკო, ახლა ზეცაში ხარ, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი ფიქრები გესმის! შენს სულს გეფიცები, გულს აღარასოდეს გატკენ და შენს სახელს არასოდეს შევარცხვენ! ვერასოდეს იტყვიან, რომ კაცს, რომელიც ყველას უყვარდა, რა ცუდი შვილი ჰყოლიაო!“

დიდთვალეობა გუმანით გრძნობდა, რომ „ობლის დამდა“ სამუ-დამოდ უნდა ეტარებინა, „ობლის სტატუსი“ კი მის სამომავლო გეგ-მებს ძირფესვიანად შეცვლიდა და შემდგომ ცხოვრებასაც წარუშლელ კვალს დაამჩნევდა. იმასაც მიხვდა, რომ რამდენიმე წელიწადში სკოლის დამთავრების შემდეგ, საზღვარგარეთ სწავლაზე საკუთარი თავისათვის უარი უნდა განეცხადებინა და ცალუღელა დედას მხარში ამოსდგომოდა.

გოგონა არასოდეს იმჩნევდა, მაგრამ გულში ძალიანაც სწყინდა და თავს ყოველთვის დამცირებულად გრძნობდა, როდესაც გარშემომყოფნი მის „ობლობას“ საგანგებოდ აღნიშნავდნენ, ეცოდე-ბოდათ და თანაგრძნობას ვაი-ვიშით გამოხატავდნენ. ასეთ დროს, ამაცხა და თავმოყვარეობა შელახულს, სურდა ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ ღირსეული მამის ღირსეული შვილი და ძლიერი პიროვნება იყო, არავის შესაცოდი და შესახვეწი არაფერი სჭირდა და დასამადღებელიც არავისი არაფერი უნდოდა.

შემდგომში, ობოლი გოგონა დედ-მამასთან „ფილოსოფიურ“ საუბრებს დრო და დრო იხსენებდა ხოლმე და ხვდებოდა, რომ სამყაროს აღქმის, ცხოვრებისეული სიტუაციების შეფასების, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების გათავისებისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულების მშობლებისეულ ხედვას თვითონაც სავსებით იზიარებდა, თუმცა ხასიათით მამას უფრო ჰგავდა, ვიდრე დედას. გოგონა გულისტკივილითა და სინანულით აცნობიერებდა, რომ მზრუნველი მამა, ბრძენი მასწავლებელი და

ერთგული მეგობარი ერთდროულად დაუკარგავს... ასეთ წუთებში იგი გულში ამოუვსებელ სიცარიელეს გრძნობდა და აუნაზღაურებელ დანაკლისს მძაფრად განიცდიდა.

„შვილო, პატარა აღარ ხარ, იმედია რასაც ახლა გეტყვი გაგებით მოეკიდები და კარგად დაიმახსოვრებ“, -მამის დაკრძალვის შემდეგ უთხრა გოგონას დედამ. -„მამიკო აღარ გვყავს და საკუთარ გასაჭირს საკუთარი ძალებით უნდა გავუმკლავდეთ. მე და შენ ტვირთად ვერავის დავაწვებით, იმიტომ რომ ყველას საკუთარი ოჯახი და პრობლემები აქვს. ასევე საჭირო არ არის ვინმეს შეწუხება, მერე ხომ მისი მოვალე გავხდებით?! საკმაოდ ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხარ, სხვისი დახმარება არც გჭირდება და მომავალში გზის გაკაფვა არ უნდა გაგიჭირდეს. მიზანსწრაფული და მებრძოლი უნდა იყო, შენს ირგვლივ შექმნილი ვითარება ყოველთვის სათანადოდ უნდა გაიაზრო და თავი არავის უნდა დააჩაგვინო. ადამიანების შეცნობა იცოდე, შენს ირგვლივ ყველა არ იქნება „წმინდანი“ და შენდამი გულწრფელად „კეთილმოსურნე“, ბევრი შენს გამოყენებას, მოტყუებას და შეცდომაში შეყვანას შეეცდება. ამიტომ ნაცნობ-მეგობრების წრე მათთან სულიერი სიახლოვისა და მსოფლმხედველობრივი თანამოაზროების გათვალისწინებით უნდა შეარჩიო. უზნეო, ყალბ, ცრუ და ანგარებიან ადამიანებს ნუ დაუახლოვდები, მათი უკეთესობისაკენ შეცვლის, ანუ „გამოსწორების“ იმედი ნუ გექნება, რადგან ფუჭი ილუზიების ტყვეობაში მოქცევას კარგი შედეგი არასოდეს მოაქვს. ცხოვრებაში მხოლოდ უფლისა და საკუთარი თავის იმედი უნდა გექონდეს, პატიოსნად უნდა ვიმშრომო, მცირედით უნდა დავკმაყოფილდეთ და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ოჯახის უმწიკვლო სახელი და მამის ნათელი ხსოვნა არ შევარცხვინოთ“, - შაოსანი დედის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეგონება გოგონას გულსა და გონებას ყოველთვის აფხიზლებდა და მოდუნების საშუალებას არ აძლევდა.

„ცხოვრება რთული გზებით გატარებს, შვილო, -არიგებდა დიდთვალელებს მამა, -მაგრამ უნდა გესმოდეს, რომ მიზნის მისაღწევად უზნეო ხერხების გამოყენება, სინდისისა და საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვა არ შეიძლება. შენს საქციელს ანგარება არ უნდა ედოს საფუძვლად, რადგან უშრომველად და უკანონოდ მიღწეული წარმატება დროებითია და ზედაპირული. ეცადე კონფლიქტებს აერიდო და ყველასთან კარგი ურთიერთობა გქონდეს,

ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი იყავი, მიტევება და პატიებაც უნდა შეგეძლოს. მართალია, წრფელი და უანგარო ურთიერთობები დღეს დიდი იშვიათობაა, მაგრამ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს და პატიოსან სიტყვასაც ძალა ჯერ კიდევ აქვს.

მერწმუნე, ჩემო შვილო, ცხოვრებაში კეთილი და კარგი ადამიანი ბევრად უფრო მეტი შეგხვდება, ვიდრე ბოროტი და ცუდი. ამიტომ პატივი ეცი და გიყვარდეს ადამიანები ისეთები, როგორებიც არიან, თავიანთი ძლიერი თუ სუსტი მხარეებით, მათი შენდამი კეთილგანწყობა და მეგობრობა დააფასე. ანბანური ჭეშმარიტებაა, ყველას უნდა მოექცე ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ.

გახსოვდეს, რომ კაცობრიობა წარსულიდან დღემდე ზნეობრივმა, მშრომელმა, უანგარო, კეთილმა და გულწრფელმა ადამიანებმა მოგვიტანეს, აწმყოშიც ასეთ ადამიანებს ეყრდნობა და ადამიანთა საზოგადოებისადმი ამ უდიდესი პასუხისმგებლობის ეს უმძიმესი ტვირთი მომავალშიც მხრებით ასეთმა ადამიანებმა უნდა ზიდონ. ეს კაცობრიობის ყველა ერისა და თაობის ზნეკეთილ და მოაზროვნე ინდივიდთა მოვალეობაა, რათა ადამის მოდგმამ წინსვლა განაგრძოს და არ გადაშენდეს. იმედია, ასეთ ხალხს შენც ღირსეულად შეეხიდე.

შეიძლება ჩემი სიტყვები მაღალფარდოვნად ჟღერდეს და რეალური ცხოვრება ბევრად უფრო მარტივად, დაუნდობლად და უსამართლოდ მოგერვენოს, მაგრამ ამ ცოდვილ მიწაზე ზნეობრივი მაგალითის მიმცემი ადამიანებიც ხომ უნდა არსებობდნენ?! ჩემი და დედას სურვილია, რომ შენ იყო ასეთი. შესაძლოა დაცინვისა და გაღიზიანების ობიექტიც ბევრჯერ გახდე, მაგრამ ამან არ უნდა შეგაფერხოს და შეგაშინოს, რადგან უზენაესისაგან სიცოცხლეში ყველას საკუთარი უნიკალური მისია გვაკისრია და ყველამ საკუთარი ჯვარი ერთგულად და პირნათლად უნდა ვზიდოთ“.

დიდთვალეობას დედ-მამის პირადი მაგალითი ადრეული ასაკიდანვე თვალწინ ჰქონდა, მშობლების რჩევა-დარიგება კარგად ახსოვდა და მათ ზნეობრივ მოთხოვნებსაც ყოცველთვის ითვალისწინებდა, გარდაცვლილი მამისათვის მიცემული პირობაც არასოდეს დაურღვევია და და ცდილობდა ცხოვრებაში წარმატებისათვის დამოუკიდებლად, საკუთარი თავდაუზოგავი შრომით, დამსახურებულად მიეღწია და ამას ახერხებდა კიდევ - სხვისი ხელისშემეხურე არასოდეს ყოფილა, რადგან სასიცოცხლო

ძალებსა და უკეთესი მომავლის რწმენას ქვრივი დედისაგან გაგონილი სევდიანი, მაგრამ დამაიმედებელი ანდაზა ანიჭებდა: „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა!“.

საკუთარი მშობლების ჭეშმარიტი პირმშო, არამიწიერად მეოცნებე დიდთვალეა გულწრფელად ირწმუნებს, რომ პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და სიკეთის ქმნა მართალია გვიან, მაგრამ ტკბილ ნაყოფს ყოველთვის გამოიღებს და „ობლის კვერის გამოცხობას“ მოთმინებით დაელოდება, თუმცა წლებთან ერთად შეძენილი და ყურადღებით გააზრებული ცხოვრებისეული გამოცდილება და მოვლენებსა და ადამიანებზე მრავალწლიანი დაკვირვება ცხადად დაანახვებს, რომ უსინდისო ადამიანების უმეტესობა კეთილდღეობით ტკბება, ხოლო ზნეობრივი ფასეულობების დამცველთ ხშირად ლუკმა პურიც კი ენატრებათ.

უსამართლობისა და ხელმოკლეობის გამო, იმედგაცრუებულ დიდთვალეებს გული ბევრჯერ დასწყდება და საკუთარ თავს უარს ბევრ რამეზე ეტყვის, რაც მიახვედრებს, რომ „ცხობის“ უსასრულო ლოდნს აზრი არა აქვს, მთავარია კვერის გამოცხობისათვის საჭირო „ფქვილი“ სწორად შეარჩიო, ღირსება და სინდისი არ შეიბღალო და თუ იღბალიც ხელს შეგიწყობს, საჭირო დროს, ერთ მშვენიერ დღეს, ზუსტად იმ საჭირო ადგილას აღმოჩნდები.

* * *

მამის გარდაცვალებიდან საკმაო დრო გავიდა, ობოლი გოგონა უკვე საშუალო სკოლას ამთავრებდა, მაგრამ მტანჯველი ფიქრებისათვის თავი ვერაფრით დაეღწია. მისთვის სულ უფრო გაუგებარი ხდებოდა მამის მოულოდნელი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი. „მას ხომ არასოდეს უავადმყოფია,“ -ფიქრობდა განცვიფრებული გოგონა, -„დედა ამბობდა, ათლეტივით დაკუნთულიაო. მეც ხომ კარგად მახსოვს, მამა რომ დილაობით განტელებით ვარჯიშობდა და ცივ შხაპს ღებულობდა ხოლმე?! ავად რამ გახდა? დედამ ისიც კი მითხრა, მამაშენი ახალგაზრდობაში იალბუზის მთაზე მოქმედ ექსპედიციაში მონაწილეობდა და პროფესიონალ მთასვლელებთან ძმაცაცობდაო. ესე იგი, სავსებით ჯანმრთელი ადამიანი ყოფილა, ხო?! მამ ასე უცებ რატომ მოკვდა?“

რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი მამიოს სიკვდილის მიზეზი აუცილებლად უნდა გავრკვევიო!“.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად და გასაკვირად, ობოლმა გოგონამ იურისტის პროფესიის დაუფლება მოიწადინა, რადგან სურდა მამიოს გარდაცვალების მიზეზი დაედგინა და დამნაშავეთათვის სათანადოდ მიეზღო. „თუ გაირკვა, რომ მოწამლეს, ან რადიაციით მოკლეს, ყველაზე შურს მწარედ ვიძიებ!“ -დაიქადნა გულში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას გააცნობიერა, თუ რამდენად მარტივადაა შესაძლებელი ბანალური შურისძიების დიდ დანაშაულად გადაქცვა. „ეკლესიურად შურისძიება დიდ ცოდვად ითვლება და კანონიც ამ ქმედებას უარყოფითად აფასებს, თან არანაირ მტკიცებულებაზე წვდომა არა მაქვს და თვითონ ფაქტიც ხომ ხანდაზმულია,“ - მსჯელობით თავის გადარწმუნებას ცდილობდა სტუდენტი გოგონა, - „თუ მამაჩემს, ამ უწყინარ და ზნეკეთილ კაცს, ვიღაც ვიგინდარებმა რამე დაუშავეს, უფლის წინაშე მაინც ყველას მოეკითხებათ და მათ სინდისზე იყოს!“.

დიდთვალეობამ განზრახვის აღსრულება გადაიფიქრა და ასე თუ ისე დამშვიდდა. ასპირანტურის წარჩინებით დასრულების შემდეგ, სამუშაოდ კათედრაზე დატოვეს და იურისპუდენციის დარგში სამეცნიერო საქმიანობას შეუდგა. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გულში ჩამარხული ჭრილობა თავს კვლავ მწვავედ შეახსენებს -არ დავიწყებია, არც ის, რომ წლების წინ, მის მამიოს თეორიულად გამართული და ექსპერიმენტულად დასაბუთებული, სამეცნიერო საბჭოზე წარსადგენად გამზადებული დისერტაციის დაცვა საეჭვო მიზეზით ჩაუშალეს, და არც ის, რომ დამცირება და უსამართლობა მამიომ ძალიან განიცადა და მალევე გარდაიცვალა. დიდთვალეობამ თავი დამნაშავედ იგრძნო: „იმის მაგივრად, ფიზიკოსი გამოვსულიყავი და მამიოს დისერტაცია მე დამეცვა, სულ სხვა გზით წავედი... მამიოს რაღაც განსაკუთრებულად აქტუალურ თემებზე უმუშავია, მისი სამეცნიერო დასკვნების სისწორეს დავამტკიცებდი და მის მტრებს სახალხოდ შევარცხვენდი! ეს უფრო კარგი შურისძიება არ იქნებოდა?!“

მამის დაკრძალვამდე მომხდარი კიდევ ერთი არასასიამოვნო ამბავი გაახსენდა, რომელსაც პირადად შეესწრო,

მაგრამ ინციდენტის შინაარსს მხოლოდ ახლა, ზრდასრულ ასაკში ჩასწვდა.

მგლოვიარე დედასთან მამის თანამშრომელი, მაღალი რანგის თანამდებობის პირი მივიდა და ყოველგვარი მიკიბგ-მოკიბვის გარეშე განუცხადა: „მეცნიერებათა აკადემია ნეკროლოგს ამზადებს და დაბუსტებულ ინფორმაციას გვთხოვს. მე კი არ ვიცი რა პასუხი გავცე, თქვენს მეუღლეს მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურება არ ჰქონია!“ დიდთვალებას დედა ბუნებით თავმოყვარე, სამართლიანი, პრინციპული და გაბედული მანდილოსანი გახლდათ, პროფესიით ლექტორი იყო და ამდენად, მჭერვმეტყველებაშიც არ მოიკოჭლებდა:

„როდესაც მის სამეცნიერო შრომებს ითვისებდით და ავტორობას იჩემებდით, ან როდესაც მისი ომის დროინდელი მადლობები მიითვისეთ, მაშინ ხომ იყო ჩემი მეუღლე „დამსახურებული“?! მას ხომ თქვენ მეგობრად მიაჩნდით და უანგაროდ გეხმარებოდით! ახლა კი, როდესაც იგი ცოცხალი აღარ არის და პირადად ვეღარ გამოიყენებთ, ამიტომ რა, „დაუმსახურებელი“ გახდა?!“ -უსამართლობა ვერ მოითმინა და საპასუხო პირდაპირობით მიახალა „სტუმარს“.

„როგორ გეკადრებათ, ქალბატონო?“ -აღშფოთდა „მეცნიერ-ჩინოვნიკი“.

„მე კი არა, თქვენ როგორ იკადრეთ ეს ყველაფერი?! ამდენი წლის ნაწვალები, გამზადებული დისერტაცია როგორ დაუბლოკეთ! თქვენ ხომ ომში საერთოდ არ ყოფილხართ და სტალინის საბრძოლო მადლობები 20 წლის შემდეგ უეცრად საიდან აღმოგაჩნდათ?! იქიდან, რომ ჩემმა ქმარმა ისინი სამსახურში წამოიღო, თქვენ გარვენათ, შემდეგ საკუთარი მაგიდის უჯრაში შეინახა და მერე ვეღარ იპოვა, დაკარგა!“

„მოსული“ გაფითრდა და კბილებში გამოსცრა: „თქვენც არ იცით, რას ამბობთ! განა ვინ იყო ასეთი თქვენი ქმარი და რას წარმოადგენდა?! ერთი წიგნებში თავჩარგული კაცი იყო, მეტი არაფერი!“

„თქვენ მის პიროვნულ სიდიადეს ვერასოდეს მიხვდებით და მის მეცნიერულ წიაღსვლებს ვერასოდეს ჩასწვდებით, ეს რომ შესძლოთ, მისი დონის მაინც უნდა იყოთ, თქვენ კი მანამდე ვერასოდეს მიაღწევთ... ჩემი მეუღლე ჭეშმარიტი მეცნიერი,

მშრომელი, სპეტაკი და თავმდაბალი ადამიანი იყო, ზედმეტად არავის აწუხებდა, თქვენ კი მის ადგილას ყველას თავს გადასჭამდით. გაიხარეთ და მისი ნიჭის ნულარ შეგშურდებოთ, თქვენნაირებმა თქვენსას ხომ მიაღწიეთ და კაცი დარდისაგან მოკალით! თქვენთვის ხომ მეცნიერება მეორეხარისხოვანია, მთავარი ფულია!”

„გაარუმეთ ეს ქალი!“ –დაბნეულ და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხელქვეითებს დაავალა გაათრებულმა და „შეურაცხყოფილმა“ „ჩინოვნიკმა“.

„როგორ მიბედავთ?! – ისტერიულად დაიკვილა დიდთვალეებს დედამ. –რა, სიმართლე არ მოგეწონათ?! ყველანი ახლავე გადით ჩემი სახლიდან!”

ხმაურზე მამიოს ძმები შემოცვივდნენ და „მომხდურები“ ოთახიდან გაიყვანეს...

დიდთვალეებამ კვლევით ინსტიტუტში მისვლა და მამის სამეცნიერო ნაშრომების მოძიება გადაწყვიტა. „საინტერესოა, რა პრობლემატიკაზე მუშაობდა მამა? ეჰ, ფიზიკა სკოლის დონეზე თუ მემახსოვრება და ნეტა მის ნაშრომებს რამეს გავუგებ?“, –ფიქრობდა გულდაწყვეტილი.

ინსტიტუტში მისულს გული აურუყდა, როდესაც თავისი ვინაობის დასახელების შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომელმა ხანშიშესულმა, სანდომიანმა ქალბატონმა გულში ჩაიკრა და თბილად უთხრა:

– შენ ისეთი ძვირფასი მამის შვილი ხარ, თხოვნაზე უარს როგორ გეტყვი, შვილო! ჩემი მეუღლეც ფიზიკოსია და მამაშენის ძველი კოლეგები ვართ. ცხონებული, ნამდვილი ჯენტლმენი იყო, ქალებს დიდ პატივს გვცემდა, ექსპერიმენტის ჩასატარებლად წვიმაში არ გვიშვებდა, – დასველებით და ავად გახდებით, მე მაინც უნდა გავიდე და თქვენს გასაკეთებელსაც მივხედავო, – გვეუბნებოდა. ყველას ძალიან გვიყვარდა, – თანამშრომლებს, თავის ასპირანტებს, პრაქტიკანტ სტუდენტებს, ექსპედიციის ხალხს, უცხოელებსაც კი – ყველას! ისეთი ადამიანი იყო, მასზე ძვირი კაცი-შვილისაგან არ გამიგია, ყველას რაც შეეძლო ეხმარებოდა და პატივს სცემდა.

–გმადლობთ, ქალბატონო, –ბედნიერი სახით იღიმებოდა დიდთვალეება.

-შენც მამასავით ჭკვიანი გოგო ჩანხარ, შვილო, მაგრამ დასანანია, ფიზიკოსობას იურისტობა რომ ამჯობინე, -საყვედურით უთხრა დიდთვალებას ქალმა, -მამაშენი ამაზე ოცნებობდა, „რანაირი ჩემი შვილია, ფიზიკა არ უყვარსო“, ამბობდა... იცი, მამაშენი სამ უცხო ენას ფლობდა და დიდად განსწავლული კაცი იყო, „მოსიარულე ენციკლოპედიას“ ვეძახდით!

-როგორ არ ვიცი! ისიც კი მახსოვს, მამას რომ ეთიოპიელი ასპირანტი ჰყავდა, -ქალის გულის მოგების მიზნით, ბავშვობის დროინდელი ამბავი გაიხსენა დიდთვალებამ, -ერთი ლამაზი ქართველი ქალი მოსწონდა და შეხვედრისას მისალმების შემდეგ „მაი მუნ“-ო ეუბნებოდა. სამოციან წლებში ინგლისური ენა ცოტამ თუ იცოდა. ქალს ეგონა, „მაიმუნს“ მეძახისო, სწყინდა და გაკვირვებულ თაყვანისმცემელს უბღვერდა და ზედ არ უყურებდა. ექვსიოდე წლის ვიქნებოდი, მამა ბავშვობაში ენებს მასწავლიდა, ეთიოპიელის „მისალმების“ „შინაარსი“ გავიგე და იმ ქალს მოვახსენე, ეს ბიძია ცუდ რამეს კი არა, „ჩემო მთვარეს“ გეუბნებათ-მეთქი. მერე ვერ ვხვდებოდი, უფროსები ჩემს დანახვაზე სიცილით რატომ კვდებოდნენ და მეფერებოდნენ.

-მართლაა? -კისკისებდა ქალი. -და შორტებიანი კანადელი მეცნიერი გახსოვს? იმ დროს საქართველოში მოკლე შორტის ჩაცმა და ბანჯგვლიანი ფეხების გამოფენა აზრად რომელ მამაკაცს მოუვიდოდა? ბიჭებმა მამაშენს სთხოვეს ამ კაცს უთხარი, მეცნიერებას და მამაკაცის შარვალს ნუ არცხვენს და ნორმალურად ჩაიცვასო. მამაშენი დელიკატური კაცი იყო და იმ კანადელს უთხრა, დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენში შორტებით სიარული მიღებული არ არის და იქნებ თქვენც გაითვალისწინოთო. იმანაც გაითვალისწინა!

-- კი, მახსოვს! მაშინ სკოლაშიც კი არ დავდიოდი, იმდენად პატარა ვიყავი. ერთხელ ამ „ბიძიამ“ ბავშვებს საღეჭი რეზინები, ე.წ. „ჟუჯარკები“ დაგვირიგა, ყველა დაესია და მე ახლოსაც არ მივდი. მაშინვე მამაჩემს ამბავი მიუტანეს და საღამოს სახლში რომ მოვიდა, მკითხა, ბიძიას „კევი“ რატომ არ გამოართვიო. ვუპასუხე, მათხოვარი კი არა ვარ, მაგის კევი რად მინდოდა, ჩემი მამიკო ისეადაც ყველაფერს მიყიდის-მეთქი. მამამ მაშინ ბევრი იხალისა!

-უყურე შენ, როგორი ამაყი ყოფილხარ, შვილო!

-ჰო, თავისებური ბავშვი ვიყავი, მაგრამ მშვიდი და უპრობლემო, -იცინოდა დიდთვალება.

-ვეჰ, კარგი დრო იყო, -თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა ქალმა, -მოდით ახლა ჩემს მეუღლეს დავუძახებ, მამაშენის ძველ თანამშრომლებთან კაბინეტში წაგიყვანს და მის სამუშაო მაგიდას გირვენებს. შენი ნახვა გაუხარდებათ, ცოტა ხანს საუბრით გაერთეთ და ამასობაში შენთვის საინტერესო მასალებსაც მოგიძებნით.

-დიდი მადლობა, -თავაზიანად უთხრა დიდთვალებამ.

ქალი გავიდა და რამდენიმე წუთში ოთახში კლასიკურ პიჯაკში გამოწყობილ, ხანშიშესულ მამაკაცთან ერთად დაბრუნდა.

-ოოო, ეს თქვენ ხართ ჩვენი „ენციკლოპედიის“ საყვარელი ქალიშვილი? ფრიად მოხარული ვარ! -საზეიმო გამომეტყველებით გამოემართა მამაკაცი.

-მოგესალმებით, ჩემო ბატონო, -ხელი მოწიწებით ჩამოართვა დიდთვალებამ.

-წავიდეთ, მამათქვენის კოლეგები მოვინახულოთ, მოუთმენლად გელიან!

-ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნოა და ცოტათი ვღელავ კიდევ.

-ყველაფერი კარგად იქნება, დამშვიდდით, შვილო, -გაამხნევა მამაკაცმა.

-ვეცდები, -გაყინულ თითებს იფშენებდა დიდთვალება.

დიდთვალებას სიხარულის გამომხატველი შეძახილებით შეხვდნენ და უამრავი შეკითხვა დააყრეს მისი პირადი ცხოვრების, საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ისიც გულწრფელად პასუხობდა. მამის ძველმა მეგობრებმა მისი წლების განმავლობაში ხელუხლებლად შენახული და მოვლილი მაგიდა და ნივთები დაათვალიერებინეს და განუმარტეს, რომ ყველასათვის კეთილად მოსაგონარი კოლეგის ხსოვნას პატივს სცემდნენ და ამიტომაც მის მაგიდასთან დაჯდომა არავინ მოისურვა. მამიოსთან ერთად მუშაობისას თავს გადახდენილი სევდიანი, თუ მხიარული ამბები გაიხსენეს და უკვე გაზრდილ გოგონას ბავშვობის დროინდელი ცელქობებიც შეახსენეს. დიდთვალება თავისდა უნებურად წამოსული ცრემლების დამალვას ცდილობდა და მადლიერებას ღიმილით გამოხატავდა.

შეხვედრამ თბილად ჩაიარა, მოკითხვასა და საუბარში დრო მალე გავიდა.

-გამიხარდა თქვენი ნახვა, -წასასვლელად მოემზადა დიდთვალება, -მასალებს უკვე მოძებნიდნენ და თავს აღარ შეგაწყენთ. დიდი

მადლობა, მამაჩემის ნივთებს რომ პატრონობთ და მის ხსოვნას ასე რომ უფროთხილდებით. კარგად ბრძანდებოდეთ!

-კარგად იყავი, შვილო, ბედნიერებას და წარმატებებს გისურვებთ! სამადლობელი არაფერია, ეს ნივთები შენს მამიკოს გვახსენებს, ის ხომ ჩვენც გვიყვარდა! -მშობლიური სითბო და სიყვარული თავს დაეფრქვია დიდთვალებას.

-კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა! -მამიოს ძველ მეგობრებს გამოემშვიდობა და ოთახის ზღურბლს გადააბიჯა სიხარულით ფრთა-შესხმულმა გოგონამ.

* * *

-შვილო, ერთი წუთით მოიცადე, რაღაც მინდა გითხრა, - ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათებიდან კარგად ნაცნობმა „ბიძიამ“ გვერდზე გაიხმო და დერეფნის ბოლოს, მყუდრო ადგილას განთავსებული სავარძლებისაკენ წარუძღვა, -აქ დავსხდეთ, მშვიდად ვისაუბრებთ.

-კი ბატონო, -ყურადღება დაძაბა დიდთვალებამ.

-შვილო, არ მინდოდა ამ თემაზე საჯაროდ მელაპარაკა და... შენ ბევრი რამ არ იცი, რაც აუცილებლად უნდა იცოდე.

-სახელდობრ რა? -ვერ მიუხვდა დიდთვალება.

-თუნდაც იმ ადამიანების ვინაობა, ვინც მამაშენს აგნეს.

-არ მაინტერესებს, შურისმაძიებელი ადამიანი არა ვარ.

-ეს არაფერ შუაშია! არ უნდა იცოდე ვინაა მამაშენის და მამა-სადამე, შენი მტერიც?! სიფხიზლე გმართებს!

-რაც შეეხება მამაჩემის მტრებს. მე ფიზიკისაგან სრულიად განსხვავებულ სფეროში ვსაქმიანობ, ამიტომ არც მათი და არც მათი შვილების კონკურენტი უბრალოდ ვერ ვიქნები და ჩემთან რა პრეტენზია უნდა ჰქონდეთ?! პირადად მე კი მტრები არა მყავს. არავისთვის არაფერი დამიშავებია!

-ასე გგონია? მტერი ყველას ჰყავს, თუნდაც შურის გამო! მამაშენმა ვის რა დაუშავა? მასზე უფრო კეთილშობილი და სპეტაკი ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია, მაგრამ ხომ ნახე რა უქნეს?! სხვაზე ნიჭიერი იყო, ავტორიტეტი ჰქონდა, ყველას უყვარდა და - შურდათ. უპრეტენზიო და თავმდაბალი იყო, ადამიანებს ენდობოდა და -ადვილად დარჩაგრეს.

-მამაჩემი თავის შინაგანი ბუნებით მკვლევარი იყო, მისი გონება სამყაროს შემეცნებაზე იყო ორიენტირებული, ექსპერიმენტებით იყო დაკავებული და ცხოვრებისეულ წვრილმანებზე ნაკლებად რეაგირებდა. ამდენად, მამა როგორც ყველა ჭეშმარიტი მეცნიერი, პიროვნულად რბილი ხასიათისა და გარკვეულწილად დაუცველი იყო. მე კი იურისტი ვარ და მერწმუნეთ, ადვილად ვერც ვერავინ დამჩაგრავს! გარდა ამისა, მართო მამაჩემის ხო არა, დედაჩემის შვილიც ხომ ვარ?!

-გასაგებია, მაგრამ მაინც ქალი ხარ და...

-დედაჩემიც ქალია, მაგრამ ჭკუით ბევრ მამაკაცს აჯობებს.

-ვიცი, დედაშენი განათლებული და სულიერად ძლიერი ქალია, ნამდვილი ქართველი მანდილოსანი.

-რამდენი წელია მამა ცოცხალი აღარ არის, მაგრამ დედა დღემდე სამგლოვიარო ტანსაცმელს ატარებს, ვერაფრით გავახდევიანე.

-არც გაიხდის! ისეთი ქმარი დაკარგა... დედაშენს შენს მეტი დამცველი არავინ ჰყავს, უკაცო ოჯახი ხართ. კარგად დაფიქრდი, შვილო!

-კარგით, -უსიამოვნო და უსაგნო ლაპარაკი მოხეზრდა დიდთვალებას, -ვთქვათ, გავიგე ვინც არიან... მერე? რა, მოგკლა?

-არა, არა შვილო, რას ამბობ?! ეგ არც მიგულისხმია!

-მაშინ ვერ გავიგე რაზე ვსაუბრობთ?

-უბრალოდ მინდოდა გცოდნოდა, ვინ არიან მამაშენის მტრები! ხომ შეიძლება მათ სადმე გადაეყარო და ხელი რატომ უნდა ჩამოართვა? თუ გგონია სინდისი შეაწუხებთ? არა, გენაცვალე! ისე შეგხვდებიან და დემაგოგიით ისე გაგაბრუებენ, იფიქრებ -მამაჩემს მაგათზე ახლო და კარგი მეგობრები არასოდეს ჰყოლიაო! მერე შენც რამეს გიხიმანდრებენ!

-კი მაგრამ, რატომ? მე რაღას მერჩიან? თავისი ხომ გაინაღდეს -მამაჩემი მოინელეს! თანაც ამდენად მიამიტი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, რომ ვიღაცეების ცბიერი ღიმილითა და უაზრო ქათინაურებით მოვიხიბლო? ბავშვობაში დავობლდი, დღემდე არავის გავხსენებდვარ და ახლა უკვე ფეხზე დამდგარს, არავის ყალბი თანაგრძნობა და ლამაზი სადღეგრძელოები მართლა არ მჭირდება!

-გიმტრობენ, იმიტომ, რომ მათ შვილებზე უკეთესი და წარმატებული არავინ უნდა იყოს! მით უმეტეს შენ -მამაშენის შვილი!

-მამაჩემი ასე ძალიან რატომ სძულდათ?!! რამდენადაც ვიცი, მამას მათთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია!

-ეჰ, შვილო, ჯერ ახალგაზრდა ხარ და ცხოვრებას არ იცნობ! ისინი მამაშენის კეთილშობილებით ბოროტად სარგებლობდნენ, მის ინტელექტს და ერუდიციას ყოველთვის სათავისოდ იყენებდნენ, თან ზემოდან უყურებდნენ, „უშანსო“ და „უფხო“ კაცად მიიჩნევდნენ და ზურგს უკან დასცინდნენ, იმიტომ რომ «по жизни» მათსავით მტაცებელი, ფულზე გაგიჟებული და უსინდისო არ იყო... მამაშენის მსგავსი ადამიანი ცხოვრებაში ბევრი შეგხვედრია?

-არა, ასეთი ზეკეთილშობილი ადამიანი მართლაც არასოდეს შემხვედრია და ალბათ, არც შემხვდება. და თქვენ გგონიათ, რომ მამა ვერაფერს ხვდებოდა? ის ხომ ნათელი გონების კაცი იყო, სალი და ანალიტიკური აზროვნებით! ალბათ ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა, საკუთარი თავის ფასიც ეცოდინებოდა, ალბათ იმასაც აცნობიერებდა, რომ თავისნაირი ზნეობრივი სიმაღლის ადამიანებს ვერსად შეხვდებოდა და ყველას ყველაფერს დიდსულოვნად პატიობდა! კაცთმოყვარე და მხნე სული იყო და იმიტომ, ადამიანებში მხოლოდ კარგის დანახვას ცდილობდა. მისი თვალსაწიერი ყოველდღიურობას სცილდებოდა და ზენას სწვდებოდა, ის ყოფით წვრილმანებს არად აგდებდა, რადგან მისთვის მომხვეჭელობა და ინტრიგები უცხო ხილი იყო -ამაოება ამაოებათა!

-რა გითხრა, შეიძლება ასეცაა!

-ძალიან მწყდება გული, რომ მამა ცოცხალი აღარ არის, - ჩვენ თანამოაზრეები და დიდი მეგობრები ვიქნებოდით!

-რას იზამ შვილო!... მაშ კარგი, რადგან მათი ვინაობის ცოდნა არ გინდა, -ხელი ჩაიქნია „ბიძიაშ“, -იმას მაინც გეტყვი, რომ ის ადამიანები, ვინც მამაშენს მთელი ცხოვრების ნაშრომი ჩაუწიხლეს და წყალში გადაუყარეს, საკადრისად დაისაჯნენ, განგებამ დასაჯა.

-არც მიკვირს, -მხრები აიჩეჩა დიდთვალებამ, -საბედნიეროდ, ამ ცოდვილ სამყაროში ბუმერანგის პრინციპი ჯერ კიდევ მოქმედებს, -სიკეთესა და ბოროტებას უკან ასე თუ ისე, გიბრუნდება!

-ჰო, ასეა... შვილების მეშვეობით დაისაჯნენ -ზოგის ვაჟი განარკომანდა, ზოგის ქალიშვილი გზას ასცდა, ვილაცებმა

მშობლების ნაშოვნი ქონება კაზინოში დაანიაგეს, ზოგმაც ციხე ხეხა... ამიტომ მეშინია, შენ არაფერი გავნონ!

- უფალს მივენდობი და მერწმუნეთ, ვერაფერს დამაკლებენ!

-კარგია, თუ ასეა, -გაიღიმა „ბიძიამ“, -ისე, შეგიძლია გული დაიწყნარო, ყველას თავისი მიეზლო!

-ადამიანმა ცხოვრებაში სიაგკაცე არ უნდა ჩაიდინო, - ფიქრია-ნად თქვა და თავი ჩაქინდრა დიდთვალებაში. -რა არის იცით? ადრე მეგონა, რომ მამაჩემის მოძულე ადამიანებზე შურს თუ ვიძიებდი, სიხარულით გავგიჟებოდი, მხრებიდან სიმძიმის შეგრძნება მომეხსენებოდა და დავწყნარდებოდი... ახლა კი, მას შემდეგ, რაც თქვენგან მოვისმინე, ისეთი უცნაური გრძნობა დამეუფლა, რომ მეც ვერ გავრკვეულვარ. მხოლოდ ერთი რამე ვიცი ნამდვილად -არც გამხარებია და ვერც შვება ვიგრძენი! სხვისი ცუდი არ უნდა გაგიხარდეს, თუნდაც მოსისხლე მტრის... მამა მასწავლიდა, ადამიანები გიყვარდეს და მიმტვევებელი იყავიო, ალბათ მართალი იყო, -სხვანაირად ვერ იცხოვრებ, ბოლმა შეგჭამს.

-ჩემო გოგონა, ვხედავ, რომ მართლა მამაშენის შვილი ხარ, -ენის ბოროტობით დაიწყო „ბიძიამ“, - ამიტომ გადავწყვიტე ყველაფერი ბოლომდე გითხრა... საქმე ისაა, რომ არსებობს კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი, რის გამოც მამაშენს პრობლემები შეექმნა.

-ოოო, მოვლენათა თანმიმდევრობა რაღაც მართლა სერიოზულ ზიგზაგს გვიხაზავს და იურისტისათვის დამინტრიგებელი ხდება -თვალი გაუსწორა „ბიძიას“ დიდთვალებაში.

-არ ვიცი, შვილო, რამდენადაა იურიდიულად საინტერესო, გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო!

-ცხადია!

-გეცოდინება, რომ მამაშენი ღრუბლების ფიზიკის დარგში მუშაობდა.

-კი, როგორ არა, ვიცი!

-ის არ გეცოდინება, რომ კვლევებს როგორც ცოცხალ ღრუბლებზე და სეტყვაზე, ასევე ლაბორატორიულ პირობებშიც აწარმოებდა.

-მსმენია, მაგრამ კონკრეტულად რას საქმიანობდა არ ვიცი, ბავშვი ვიყავი და მაგდენი არ მესმოდა.

-მამაშენი ჭექა-ქუხილიან ღრუბლებში სეტყვის წარმოქმნის მექანიზმს სწავლობდა და სურდა დაედგინა, თუ რა შეიძლებოდა

მოემოქმედა ადამიანს სეტყვის პოტენციური საფრთხის გასანეიტრალებლად. მამაშენის სადისერტაციო ნაშრომიც ამ პრობლემას ეხებოდა. ეს თემა ყოველთვის აქტუალური იყო და ასეთად დარჩება, რადგან მოსავლის დასეტყვისაგან გადარჩენა ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში საჭიროა.

-რა, მამამ რამე ისე ვერ შეძლო, როგორც საჭირო იყო?

-პირიქით, ყველაფერი შეძლო, ოღონდ არა ისე, როგორც მავანთ აწყობდათ!

-ეს როგორ, ვერ გავიგე?

-მამაშენმა ექსპერიმენტალურად დაამტკიცა, რომ სეტყვასთან ბრძოლის ის ხერხები და მეთოდები, რომლებიც იმხანად პრაქტიკაში გამოიყენებოდა, არათუ სასურველ შედეგს ვერ იძლეოდნენ, არამედ პირიქით, გარემოს ვნებდნენ და ეკოლოგიურად აბინძურებდნენ.

-რა გამოდის, მამა ვილაცების ინტერესებს დაუპირისპირდა?

-ჰო, ზუსტად ასეა. უნებურად, მაგრამ მაინც დაუპირისპირდა! თანაც მეტად გავლენიან ხალხს! საპასუხოდ მათ სამეცნიერო ნაშრომის შეცვლა და ისეთი დასკვნის დაწერა მოსთხოვეს, როგორიც თვითონ აწყობდათ. მამაშენმა კატეგორიული უარი განაცხადა: „მე მეცნიერი ვარ და არა შარლატანი, კვლევების შედეგების გაყალბებას და დასკვნის შეცვლას არ ვაპირებ, რადგან დასკვნა ექსპერიმენტების მონაცემებზე დაყრდნობით დავწერე! სეტყვასთან ბრძოლის საქმეში დღეს გამოყენებადი მეთოდოლოგიის არაფეექტურობა ექსპერიმენტალურად თუ დამტკიცდა, ჩემი ბრალი ხომ არ არის?! ვისაც ეს ეხება, იმათ გაითვალისწინონ და ქიმიური ნივთიერებებით ხალხს ტყუილად ნუ სწამლავენ!“-ო.

-ჰო, მიუხედავად კეთილი და რბილი ხასიათისა, მამა მეტად პრინციპული და ზნეობის საკითხებში შეუვალი კაცი იყო, უზნეობას და უკანონობას არასოდეს ჩაიდენდა და სინდისთანაც კომპრომისზეც არასოდეს წავიდოდა.

-ზუსტად ამიტომაც შეექმნა პრობლემები! მათ ხელი ყველგან მიუწვდებოდათ, -სამეცნიერო საბჭოზეც კი! მოახერხეს და მამაშენისათვის სადისერტაციო თემა შეაცვლევინეს. საცოდავს, ამდენი წლის ნაშრომ-ნაწვალები დისერტაციის საფუძვლიანი გადაკეთება მოუწია. ბევრი არბენინეს, მაგრამ ფაქტიურად მეორედ მომზადებული დისერტაციაც მაინც ჩაუგდეს! ცხონებულმა ძალიან

ინერვიულა, -მთელი ცხოვრების ნაშრომი გაუცამტვერეს. ასეთი დარტყმა ვერ გადაიტანა, დაავადდა და მოკვდა. დასანანი და გულსატკენი კი ისიცაა, რომ რაც მაშინ მამაშენმა თეორიულად და ექსპერიმენტებით დაამტკიცა და იმათ უგულებელჰყვეს, განვლილმა წლებმა და სამეცნიერო პრაქტიკამ დაადასტურა. ცხონებული ყველაფერში სავსებით მართალი აღმოჩნდა, მაგრამ რად გინდა, კაცი ცოცხალი აღარ არის... და ამ ისტორიაში ყველაზე ამაზრბენი რა არის იცი, შვილო? „გავლენიანმა ხალხმა“ მამაშენს სწორედ საკუთარი „ძმაცაცების“ მეშვეობით გაუსწორეს ანგარიში, იმათი ხელით, ვისთვისაც ცხონებულს უთვალავი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული...

-იმათ ხომ არა, პანაშვიდიდან ხალხმა რომ გამოავდო და დედაჩემიც რომ ეჩხუბა?

-ჰო, შვილო, იმათ. ერთ-ერთი მათგანი იძულებული გახდა აქედან წასულიყო -თანამშრომლები აღარ ესალმებოდნენ და სრული იგნორირებას უკეთებდნენ. განა რამდენი გადაუხადეს და რა იშოვა ასეთი, კოლეგების ზიზღის და სიძულვილის ფასად რომ უღირდა?

-ამ კატეგორიის ხალხს ჩვენ რას გავუგებთ?! მაგათ სინდისზე იყოს!

-უტიფრები არიან, სინდისი სადა აქვთ?!

-ძალიან გთხოვთ, სიმართლე მითხარით, -მუდარა შერეული მკაცრი ტონით მიმართა „ბიძიას“ დიდთვალვებამ, -სიფრთხილისაკენ ასე დაბეჯითებით რატომ მომიწოდებთ, რა -მამა მოკვლეს?

-მაგას რატომ მეუბნები, შვილო?! გეტყობა იურისტი რომ ხარ, ყველას ეჭვის თვალით უყურებ!

-იურისტი სწორედაც იმიტომ გავხდი, რომ მამაჩემის ასეთი უეცარი სიკვდილის მიზეზი დამედგინა, თორემ იურისპოდენცია ჩემი საქმე სულაც არ არის! ბავშვობაში პროგრამისტობაზე ვოცნებობდი, კიბერნეტიკის ფაკულტეტზე უნდა ჩამებარებინა, მაგრამ ბოლო მომენტში აზრი შევიცვალე და გამომძიებლობა გადავწყვიტე.

-მსგავსი ჭორის დონეზეც კი არაფერი მსმენია, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია.

-თუ როგორც ამბობთ, ისეთ საშიშ ხალხს დაუპირისპირდა, იქნებ ექსპერიმენტების ჩატარების დროს რამე რეაქტივი, ან რაღაც სხვა ქიმიური ნივთიერება შეაპარეს და ისე „კვალიფიციურად“

მოწამლეს, ან დაასხივეს, რომ კვალი არ დარჩენილიყო და მყისიერად არ მომკვდარიყო, ანუ სიკვდილის პროცესი დროში გაწელილიყო და მიზეზი ვერ დაედგინათ?

- არა მგონია! რა გარანტია ჰქონდათ, რომ მხოლოდ მამაშენი დასნებოვნებოდა? ვფიქრობ, ის ცხონებული ნერვიულობის ნიადაგზე დაავადდა მძიმედ. ისიც გაითვალისწინე, რომ ნატანჯი სხეული ჰქონდა: სამამულო ომის მონაწილე იყო, ფრონტზე რამდენჯერ დაიჭრა და ცოცხლად დაიმარხა, შემდეგ კი მშვიდობიანობის პერიოდში, ღრუბლების იკვლევდა და ცდების ჩასატარებლად, წლების განმავლობაში ზებგერითი თვითმფრინავით დაფრინავდა, ლამის სტრატოსფერომდე ადიოდა! იქ ხომ ცოცხალი არსებებისათვის დიდი დოზითაა რადიაციული და ულტრაიისფერი გამოსხივება! და ეს ყველაფერი ხომ ადამიანის ჯანმრთელობაზეც ძალიან ცუდად მოქმედებს. ჩემის აზრით, მამაშენის მძიმედ დაავადებას და შემდგომ მის მოულოდნელ გარდაცვალებას ბიძგი ნერვიულობამ მისცა და რაც ვთქვი, იმ მიზეზთა ერთობლიობამ განაპირობა. არ მეთქნხმები?

-არ ვიცი... შესაძლოა მართალიც ხართ.

-მართალი რომც არ ვიყო, სამწუხაროდ, დღეს უკვე ვეღარაფერს დაამტკიცებ, ამ ამბებიდან საკმაოდ დრო გავიდა.

-რაც არის, არის, -ამოიოხრა დიდთვალებამ, -დროს უკან ვერ დავაბრუნებთ... ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ დავიბენი და აღარ ვიცი, მომავალში რომელი გზით უნდა ვიარო? იქნებ თქვენ მირჩიოთ რამე?

-რას გულისხმობ, შვილო?

-ბოლო დროს აფორიაქებული დავდივარ და მამის ხსოვნის წინაშე დანაშაულის შეგრძნება არ მშორდება. აქაც მამაჩემის ნაშრომების გასაცნობად მოვედი... ერთი გიჟური აზრი თან მსდევს და ვერაფერს ვუხერხებ, -ხელებს ნერვიული მოძრაობით კუმშავდა და შლიდა დიდთვალებს.

-მითხარი, ნუ მოგერიდება, შვილო, -დაუყვავა „ბიძიამ“.

-თანამედროვე მეცნიერებაში მამაჩემის დაუმსახურებლად ამოშლილი სახელი უნდა დაბრუნდეს და სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს!

-მამაშენი თავის დროზე, 60-იან წლებში, როცა კავკასიონზე საერთაშორისო სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობდა და ჯან-

ღონითა და ნოვატორული იდეებით აღსავსე, ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერი იყო, ევროპაში სამუშაოდ წასვლაზე ინგლისელების შემოთავაზებას რომ დათანხმებულიყო, დღეს ცოცხალი იქნებოდა და მსოფლიო დონის მეცნიერად მოგვევლინებოდა.

-ინგლისში? მერე საბჭოთა კავშირიდან გასვლის ნებას აძლევდნენ?!

-აძლევდნენ! ჯერ ხუთწლიან კონტრაქტს უფორმებდნენ კვლევებისთვის საჭირო პირობებით და მაღალი ანაზღაურებით, მერე რა მოხდებოდა, ვინ იცის...

-იცით, რატომ არ წავიდა?!

-იმიტომ, რომ მართლ უნდა გამგზავრებულიყო, ოჯახი აქ უნდა დაეტოვებინა და უარი განაცხადა. „ჩემს ცოლ-შვილს უპატრონოდ ვერ მივატოვებ“-ო.

-უპატრონოდ რატომ ვიქნებოდით, დიდი სანათესაო გვყავს!

-სანათესაო ძალიან კარგია, მაგრამ ოჯახი თავისას ითხოვს... თანაც შენ და დედაშენი ძალიან უყვარდით და ალბათ თქვენთან განშორებაც არ უნდოდა!

-ესე იგი, მამამ ჩვენს გამო, ასეთ საოცნებო წინადადებაზე და წარმატებული კარიერის აწყობის ასპროცენტიან შანსზე უარი თქვა?! -გული სიყვარულითა და სიბრალულით შეეკუმშა და წამწამები დაენამა დიდთვალებას. -ჩემი საყვარელი და უბედური მამიკო! ყველაფერი იმისათვის დათმო, რომ მერე ვიღაც ვიგინდარებს მოეკლათ?!

-ის სხვანაირად ვერ მოიქცეოდა! შინაგანად იყო საოცარი ადამიანი, პირადულზე არასოდეს წუხდა, ყოველთვის სხვაზე ფიქრობდა!

-სწორედ ამიტომ მინდა მამაჩემის სული გავახარო! როგორ გგონიათ, რამდენადაა შესაძლებელი ფიზიკის ფაკულტეტზე რომ ჩავაბარო, ასპირანტურა დავამთავრო, მამაჩემის „დაბლოკილი“ დისერტაცია მეცნიერებათა აკადემიის არქივიდან გამოვითხოვო და მე დავიცვა? ცხადია, თანამედროვე მოცემულობების გათვალისწინებით გადამუშავება და ახალი ექსპერიმენტების ჩატარებაც დასჭირდება, მაგრამ მე ამისათვის მზად ვარ!

-მერე და ამას რამდენი წელი დასჭირდება, ამაზე თუ გიფიქრია, შვილო?

-ნაფიქრი მაქვს! თავს არ დაგზოგავ, ჩემი ახლანდელი პროფესიით ვიმუშავებ, პარალელურად ფიზიკის ფაკულტეტზე ვისწავლი და გამოცდებს ექსტერნად ჩავაბარებ ხოლმე. მერე პროფესის შეცვლასთან ერთად, სამსახურსაც შევიცვლი და ფიზიკის სფეროში გადმოვინაცვლებ... ბიუროკრატიული წინაღობების გადალახვაში მამის ძველი მეგობრები თუ დამეხმარებით, ყველაფერს შევძლებ!

-რა გითხრა შვილო?! ბიუროკრატისაც რომ თავი დავანებოთ, შენი ჩანაფიქრის განხორციელება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ადვილი სულაც არ არის - ვერავინ გათვლის მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ ცდას წინ რა დაუდგება?

- ვცდი, იქნებ ყველაფერი გამომივიდეს!

-ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

-გმადლობთ! ახლა წავალ, ჩემთვის საინტერესო მასალები ალბათ უკვე მოძებნეს და მელოდებიან!

-კარგად იყავი, შვილო, მიზნების ასრულებას გისურვებ და შენს გვერდით გვიგულე!

დიდთვალეა „ბიძიას“ გულთბილად და მადლიერების გრძნობით აღსავსე გამოემშვიდობა და ინსტიტუტის ადმინისტრაციის თანამშრომელი ქალბატონის ოთახისაკენ სწრაფი ნაბიჯით გასწია.

* * *

-შეხვედრით კმაყოფილი ხართ? -ჰკითხა დიდთვალეებს ქალბატონის მეუღლემ.

-დიახ, ბავშვობაში „ვიმოგზაურე“, -გაიღიმა.

-მამათქვენის შრომები ვიპოვნე! აი იმ მაგიდასთან დაბრძანდით, -ფანჯარასთან მდგარ მაგიდაზე თვალით მიანიშნა მამაკაცმა, - იქ კარგი განათებაა.

-გმადლობთ, -მითითებული ადგილისაკენ გაეშურა დიდთვალეა.

-სანამ ნაშრომების გაცნობას შეუდგებოდეთ, ერთი წერილი უნდა გარჩენოთ, ინსტიტუტის სამსახურებრივი მიმოწერის არქივიდან. თქვენთვის განკუთვნილი მასალების ძებნისას შემთხვევით აღმოვაჩინე.

-მე უნდა მარჩენოთ? ინსტიტუტის სამსახურებრივი მიმოწერა?!

-დიახ, თქვენ, -გაიღიმა კაცმა, -მამათქვენს ეხება, დიდი ბრიტანეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიიდან არის.

-რას ბრძანებთ! მართლა?! -გაუკვირდა დიდთვალებას.

-წერილი 3 წლის წინ მივიღეთ. აი, ნახეთ!

ტექსტი ინგლისურ ენაზე, ოფიციალური ატრიბუტიკით შემკულ, ძვირფას ქაღალდზე იყო ნაბეჭდი.

-ამ წერილში ნათქვამია, რომ ბრიტანელი ფიზიკოსები მამაჩემის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს გასცნობიან, დაინტერესებულან და მასთან შეხვედრას ითხოვეს, -წაკითხვის შემდეგ დანებით თქვეს დიდთვალებამ.

-ჰო, მამათქვენის მოღვაწეობას ინგლისელები ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან აკვირდებოდნენ, რამდენადაც ვიცი, სამუშაოდ ევროპაში გადასვლის შეთავაზებაც ჰქონია, მაგრამ რატომღაც უარი უთქვამს.

-ამის შესახებ წელან მამაჩემის კოლეგებმა მეც მითხრეს.

-ეეჰჰ, უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან!

-პასუხად რა მისწერეთ?

-რას მივწერდით?! ვაცნობეთ, რომ გარდაიცვალა და ძალიან შეწუხდნენ. მას შემდეგ აღარ დაგვკონტაქტებიან.

-სამწუხაროა! იცით, მამიო ნამდვილი მეცნიერი იყო -„დიდი ბავშვი“, პატიოსანი და გულღია კაცი. მას ცხოვრების განმავლობაში მატერიალური ქონება არ დაუგროვებია, რადგან მისთვის უმთავრესს მეცნიერება, პროფესიონალიზმი და სულიერ-ზნეობრივი ფასეულობები წარმოადგენდა... მაგრამ სამაგიეროდ, დიდი არამატერიალური სიმდიდრის მოხვეჭა შესძლო -ყველასთან სიკეთე თესა, ამაგი დასდო და შეეხიდა!

-ამიტომაც ყველას მკვდარიც კი უყვარს და მის ხსოვნას პატივს სცემენ.

-თუ იცით, მამას დისერტაცია კონკრეტულად რა თემატიკას მოიცავდა?

-მამათქვენის სადისერტაციო ნაშრომი თემის ღრმა და ხანგრძლივი შესწავლის შედეგი იყო, გამოირჩეოდა პრობლემატიკის ნოვატორული ხედვით, ექსპერიმენტალური კვლევის ხერხებისა და ინსტრუმენტების ფართო დიაპაზონით და ფორმის დახვეწილობით. კარგად იყო ილუსტრირებული და კონკრეტული ღრუბლების განვითარების პროცესისა და წარმოქმნილი სეტყვითი მოვლენების კვლევის საკითხებს ეძღვნებოდა.

-კონვექტური ღრუბლები რას ნიშნავს?

-შევვცდები მარტივად აგიხსნათ. ალბათ შეგიძინევიათ, რომ ცაზე განთავსებული ღრუბლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, არა მხოლოდ ფერით (მაგალითად, რძისფერი, რუხი, ვარდისფერი, იისფერი, შავი), არამედ ფორმით და მოყვანილობითაც (მაგალითად, მატყლივით „ჩახუჭუჭებული“, ფენებად „დალაგებული“, ანდა გრძივად, ბუმბულივით „გაწელილ-გაფრენილი“). ღრუბლები შედგება წყლის წვეთებისა და ყინულის კრისტალების უმცირესი ნაწილაკებისაგან. ზოგი ღრუბელი ასე ვთქვათ, მშვიდობიანი და უწყინარია, ზოგი კი აგრესიული და ზიანის მომტანი. მხადველობაში მაქვს ჭექა-ქუხილისა და ელვის მტყორცნი, ასევე სეტყვის მფრქვევი ღრუბლები.

-დიახ, ეს ყველასათვის თვალნათელია.

-მეცნიერების მიერ მოხდა ღრუბლების კლასიფიკაცია ტიპებისა და სახეობების მიხედვით. კონვექტური ღრუბლების ტიპს განეკუთვნება ე.წ. გროვა-წვიმის სახის ღრუბლებიც, რომლებიც ყველაზე მძლავრ და საშიშ ღრუბლებს წარმოადგენენ, რადგან სწორედ მათში წარმოიქმნება ჭექა-ქუხილი და სეტყვა. მამათქვენი სწორედ ამ ტიპის ღრუბლებში სეტყვის წარმოქმნის პროცესის შესწავლაზე მუშაობდა.

-გასაგებია. მამა ზოგადად ღრუბლების ფიზიკის დარგში მოღვაწეობდა და მისი სხვა შრომებიც, მონოგრაფიებისა და სტატიების სახით, ალბათ, სამეცნიერო ტერმინოლოგია რომ გამოვიყენო, გროვა-წვიმის ღრუბლებსა და სეტყვით მოვლენებს ეხებოდა.

-კი, სწორად მიხვდით.

-გმადლობთ განმარტებისათვის! ახლა, თქვენის ნებართვით, ამ მასალებსაც გადავხედავ.

-კარგი, ჩემო გოგონა, -თავი თავაზიანად დაუკრა დიდთვალებას მამაკაცმა, -რამდენი ხანიც საჭირო იქნება, იმდენი იმუშავეთ. თუ რამე დაგჭირდათ, მე და ჩემი მეუღლე გვერდით ოთახში ვიქნებით...

* * *

წლების შემდეგ, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად და კეთილი ადამიანების ხელშეწყობითა და დახმარებით, დიდთვალება ჩანაფიქრს აისრულებს, -მამიოს მიერ დაწერილ დისერტაციას

საფუძვლად გამოიყენებს, ახლებურად გადაამუშავებს, ძველ სახელწოდებას – „სეტყვითი მოვლენების გამოკვლევა კახეთის უბანზე დაკვირვების მონაცემებით“ – შეუნარჩუნებს და მამამისისა და თავისი ავტორობით წარმატებით დაიცავს.

დაცვის მეორე დღეს, წითელი ვარდებით ხელდამშვენებული მამის საფლაგზე მივა და გახარებული ჩასძახებს: „გამარჯობა, ჩემო მამიო! შენი შვილიკური მოვედი! მტრების ჯავრი არ შევირჩინე, შენი დისერტაცია ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანე და შენივე სახელით დავიცავი! დიდი მოწონება დაიმსახურა, ყველა შენ გიხსენებდა, გაქებდა და უხაროდათ, რომ მეცნიერებაში ისევ დაბრუნდი!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მამიო! ბავშვი ვიყავი, როდესაც ზეცაში ახვედი, მაგრამ დღემდე ნათლად მახსოვს შენი ბრძნული დარიგება, შენი შრომისმოყვარეობა, შენი სიღრმისეული აზროვნება, შენი პროგრესული მიზნები და საქმიანობის სტილი, შენი მამულიშვილობა, სიკეთით და სითბოთი აღსავსე გული, მაღალზნეობრივი ფასეულობები და პრინციპულობა. ძალიან მიყვარხარ, ჩემო მამიკო და მეამაყება, რომ ჩემს ძარღვებში შენი მამულისათვის და მეცნიერებისათვის დაღვრილი სისხლის წვეთებიც მოსჩქეფს!“

ჩანაფიქრის აღსრულებისაგან მიღებული მორალური კმაყოფილება ობოლ გოგონას უფლისადმი მოწიწებითა და მადლიერების გრძნობით აღავსებს, ნანატრ სიმშვიდეს მოჰგვრის, ენერჯის მოზღვავენებას აგრძნობინებს და წარმატებული მომავლისაკენ განაწყობს.

დიდთვალეობა პროფესიას შეიცვლის, ცნობილი ფიზიკოსი გახდება, უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე დაინიშნება და სამეცნიერო მოღვაწეობას გააგრძელებს, მაგრამ მამის უდროო გარდაცვალების მიზეზს, მხოლოდ სიჭარმაგეში მიხვდება:

„მამიო არაამქვეყნიურად სპეტაკი ადამიანი იყო და უსასრულობაშიც ადრე იმიტომ გარდაისახა, რომ მისმა ნათელმა სულმა, კრიალა გულმა, ნატანჯმა სხეულმა და არაორდინალურად მოაზროვნე გონებამ ვერ გაუძლო ცხოვრებისეულ ჭუჭყს, თვალნათლივ დაინახა რა ნიღაბჩამოგლეჯილი კაცუნების მხრიდან ღალატი, შური, ბოღმა და სიცრუე, –მათ ხომ მამიო ენდობოდა, უახლოეს ადამიანებად თვლიდა, უყვარდა და ეხმარებოდა! ისინი ხომ მამიოს სიკეთესა და სიწრფელეს გულუბრყვილობად და პიროვნულ სისუსტედ მიიჩნევდნენ და თავის სასარგებლოდ იყენებდნენ!

მამიო ამ ქვეყნად სიცოცხლეს სიკეთისა და ჰარმონიის კუთხით უმზერდა, რადგან როგორც ნოვატორი მეცნიერი, ბუნების სიდიადესა და მშვენიერებას ჩვეულებრივი ადამიანების თვალსაწიერისაგან განსხვავებულად აღიქვამდა, ზოგადად ადამიანები უყვარდა და ამიტომ არ სურდა მათ სულსა და გულში ჩაბუდებული ბოროტების დანახვა!

მამიოს ხომ საყოველთაოდ მიღებულისაგან განსხვავებული მსოფლმხედველობა, ცნობიერება, ზნეობა და სულიერება გააჩნდა და ამ ადამიანის პიროვნული უნიკალურობა ხომ მის დაუჯერებლად კეთილშობილურ უანგარობაში ცხადად გამოსჭვიოდა!

მამიო თავისი თვისებებითა და ხასიათით იმ იშვიათი ადამიანების რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებიც დროს უსწრებენ, იგი მომავლის ადამიანი იყო და აწმყომ სწორედ ამიტომაც ვერ იგუა და გარიყა!

დიდთვალეებს მამის მიერ დედისათვის ნათქვამი ფრაზა გაახსენდება: „ცხოვრების კანონებს ვერავინ შეცვლის, დროის მოტყუება შეუძლებელია, იგი კუთვნილ ადგილს ყველას პირუთვნელად მიუჩენს და დანიშნულების ადგილამდეც ყველას თავის დროზე მიიყვანს!“

„რა მართალი იყო მამაჩემი“, -დიდთვალეებამ ჭაღარა შერეულ თმაზე და მხნედ გაშლილ მხრებზე საკუთარი ხელით, ნაირფერი ძაფებისაგან ყაისნადით ნაქსოვი, ფორებიანი თავშალი მჭიდროდ შემოიხვია და მონატრებული მშობლების სულებთან საბაასოდ შესახვედრად, „ბავშვობის გორისაკენ“ მიმავალ ნაცნობ ბილიკს ნელი ნაბიჯით შეუყვა...



მეტრეველი თამრიკო



დავობადე ქართლის
გულში, ქალაქ გორში 1974
წლის სამი ივნისის სისხამ
დილას-როცა მერცხლები
ჯერ კიდევ ისწორებდნენ
ფრთებს გასაფრენად...
დავამთავრე სოფელ
ფხვენისის საშუალო სკოლა
და მეც მერცხალივით ადრე
ავფრინდი ბუდიდან და
სიყვარულის ბუდის აშენება
დავიწყე თამაზ მეტრე-
ველთან ერთად...

გვყავს სამი შვილი:
ოლა, ლაშა და ნიკოლოზი
და ერთი შვილიშვილი-
ოთიკო მარაბელი.

მიყვარს პოეზია,
სილამაზე, ყვავილები და

ჩემი საქართველო...

ეს თამარ მეტრეველია და მეც მინდა ბედნიერება ვუსურვო
ულამაზესი ლექსების ავტორს.. და, ეს კრებული შენი დიდი
წარმატების საწინდარი იყვეს!

**ინტერვიუ პოეტ ქალბატონთან, რომელიც ისე ახლოს
ცხოვრობს საზღვართან, რომ მისი სახლიდან მეორე ნაპირზე
მდგომი სახლების გაღებულ ფანჯრები და მათი გაფენილი
სარეცხიც კი მოსჩანს!!!!!!!**

=მოგესალმები თამარ! უგემრიელესი იყო ვაშლები, რომელიც ასე შორიდან, სასაზღვრო ზონიდან, ჩამოიტანე მზიურ აჭარაში... რა არის შენთვის სამშობლოს მიწა-წყალი?

=ჩემთვის სამშობლოს მიწა-წყალი ყველაფერია: დედაა, შვილია, სილამაზეა, სიყვარულია, ერთგულებაა, სინდისია, სალოცავია ჩემი.

=რამდენი კილომეტრითაა დაშორებული შენი სახლი სასაზღვრო ზოლთან და რა ხდება შენს „სემირამიდას ვაშლის ბაღებში“ დღეს?

=ჩემი სახლიდან საზღვარი იმდენად ახლოსაა, რომ ჩანს გაღებული ფანჯრები, მათი გაფენილი სარეცხი, ისმის ბავშვების ჟივილი-ხივილი და ხშირად ოსური ქორწილის მსმენელი ვხდები.

=რა უცნაურია არა? უნებლეთ სხვისი ცხოვრების მონაწილედ ხდები... როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე და ოჯახურ ტრადიციაზეც გვიამბე?

=დამღლეღია, მაგრამ არ ვიღლები. სიცოცხლე მიყვარს და მიხარია, სოფელში ბევრი საქმეა. დარჩენილ საქმეს სამსახურის მერე ღამით ვაკეთებ. მყავს სამი შვილი. 23 წლის ოლიკო, 21 წლის ლაშა და სიბერის საჩხაკუნო 8 წლის ნიკოლოზი. უფროსი შვილები ცალკე ცხოვრობენ. დიდი ჟრიამულია როცა ერთად ვიკრიბებით. დიდი ვენახი გვაქვს. ახლახანს რთველი გვქონდა. შევესიეთ სიმე-პატარძლიანად ვენახს. ასეთი ტრადიცია გვაქვს. ყურძნის კრეფას რომ მოვრჩებით ყველაზე დიდი და მსუქანი ვინც გვყავს ის უნდა წავაქციოთ ვენახში, რათა გაისათ დიდი მტევნები მოისხას. მერე სუფრას მივუსხდებით და იწყება ღზინი. ისმის სიმღერები და ლექსები.

=აი, ახლა კი მივხვდით როგორია შენი სიყვარული ასე თბილად, რომ იღვრება შენს ლექსებში?

=სიყვარული? სიყვარული ღერძია ყველაფრის.: მშვიდობის, ურთიერთობის, ერთგულების. აუცილებლად უნდა გიყვარდეს. სიყვა-

რული ბედნიერებაა. ტკბილია სიყვარული, ღმერთია სიყვარული, სიყვარულში უფალია...

=შენ ჩვენი უბნის ახლი წევრი ხარ და უკვე მესუთე კრებულის ავტორი, რას ფიქრობ ჩვენს ლიტერატურულ ფორუმზე? მგონი ისიც სიყვარულის ფორუმია..

=თქვენ ბათუმის მარგალიტები ხართ, ბათუმის ყვავილები, ღიღილოები, ვარდები, გვირილები. თაიგული ხართ სხვადასხვა სახით და სხვადასხვა სურნელით. დიდ საქმეს აკეთებთ, საქართველოს საამაყო შვილები ხართ და მიხარია რომ მეც მიმიღეთ თქვენს გუნდში. იქნებ პატარა ფოთლის როლი მეც შევასრულო ოდესმე, რითაც ბედნიერი ვიქნები. წარმატებას და წინსვლას გისურვებთ.

=დიდი მადლობა ,მაგრამ ჩვენც ვწითლდებით ასეთ პასუხებზე..... ისე ,მართლა ? როდის დაიწყე ლექსების წერა?

=ლექსების წერა ბავშვობიდან დავიწყე. ძალიან ცუდი ვიყავი, ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, ვცულებდი. დედამ მომცა ფურცელი და კალამი და მითხრა: -დაჯექი თამრიკო და ლექსი დაწერე ყაყაჩოზე. დაჯექი და იმის მერე ვწერ. რამდენად გამომდის ეს მკითხველმა განსაჯოს.

=ძნელია იყო ქალი პოეტი და კარგი მეოჯახე ერთად? როგორ დედა ხარ მკაცრი თუ ლოიალური? იავნანას შვილებს უმღეროდი?

=პოეტი ქალობა? არაა ადვილი, თვითონ ქალობაა ძნელი. რაც შეეხება კარგ მეოჯახეობას, მე და ჩემი მეუღლე ერთგულად ვწევთ ამ უღელს და ერთმანეთს ვეხმარებით. სულ მიდევს ჯიბეში გატეხილი ფანქარი და ფურცელი. (კალამი ამიდუღდა ერთხელ) როცა ვწერ, მეუღლე კარებს დახურავს და ღიმილით მეტყვის:- მუზები არ გამოგიფრინდესო. ნიკოლოზს აფრთხილებს არ იხმაუროს. შვილებისთვის მკაცრი და მომთხოვნი დედა ვარ. წესრიგი მიყვარს. რაც შეეხება იავნანას, სამივესთვის მიმიღერია, მაგრამ უფრო „მზე შინა და მზე გარეთა“ მიყვარს.

=რას უსურვებდი დღევანდელ ქართველ დედებს და ჩვენს საქართველოს?

=დღევანდელ ქართველ დედებს მინდა გამძლეობისკენ, ამტანობისა და ოჯახის ერთგულებისკენ მოვუწოდო. ხშირად ინგრევა ოჯახები. ძალიან საწყენია და გული მტკივა. ... იყვნენ ბედნიერები და იყოლიონ ბევრი შვილები, რათა გავმრავლდეთ, გადაივსოს ჩვენი

ქვეყანა ბიჭებითა და გოგოებით. ვისწავლოთ სამშობლოსა და ოჯახის ერთგულება, ერთმანეთის სიყვარული. გვიხაროდეს სიცოცხლე, რადგან სიყვარულის გარეშე რაა ადამიანი.... გენაცვალე თამარ. შენ ზღვა სიყვარული მოგვიტანე უბანში... მეც ვიტყვოდი რომ შენისთანა დედებით ეხაროს ჩვენს მიწა-წყალს!!!!

2015 წელი. 29 ოქტომბერი ბათუმი. გორი. მზევა

მაგრამ რაღა დროს...

მე დაგატყვევე და მოგარგე გულზე გალია
და ეს რომ მოხდა, ჩემი არა შენი ბრალია
მე დაგაძინე, და მძინარეს აგართვი ნეკნი,
მერე ვიფიქრე, დროს შევურჩევ და მერე ვეტყვი....
რომ გაიღვიძე, შენმა თვალებმა, წამართვა გონი,
ედემის ბაღში ხილი ვჭამეთ?! არც მახსოვს მგონი....
როგორ არ მახსოვს, მაგრამ შენთვის შევქურე ჭორი
რადგან მენახა ედემის იქეთ რაც იყო შორი,
და მერე იყო.... სირცხვილი და თავის გოდება,
იმ სიძულვილით, ბევრი ცუდი კიდევ მოხდება,
მოვიდა სიძვა, სიცრუე და ტკივილი, სენი.....
აღარ მხიბლავდა ახელილი თვალები შენი,
მაგრამ რაღა დროს, სინანულში დაგკარგეთ დღენი,
შენ ადამი ხარ, მე მოლალატე ნეკნები შენი....

მიჭირს...

მიჭირს უშენოდ, შემომხვიე მაგრად ხელები,
თუ ვერ მოგწვდები, ავიწევი მაღლა ცერებით,
მოგეწებები, მკერდზე როგორც ღამის პეპელა,
და საფლავამდე მიმიყვანე ფერებ-ფერებით.

და სულ არ გჯერა

რაღაც ნაღველი მომრევია, ჭაობისფერი,
გულს და სულს მიღრღნის, უჟამური ფიქრით ივსება,
სულ რად მგონია, სადმე წახვალ დამეკარგები,
და ყველაფერი ძველებურად აღარ იქნება,
ისევ შევხარი მზის სხივივით შენს გამოჩენას,
ისევ მჭირდება შენი სითბო, შენი ხელების,
უნდა იგრძნო რომ, სიყვარული არ მინელდება,
და სულ არ გჯერა, ნატრული ვარ შენი ფერების.

თუ დაბრუნდები....

თუ დაბრუნდები, მთებში წავალ დავიკარგები,
ჯიხვებს მოვძებნი რქებდაგრეხილს, თაფლისთვალთან,
ზურგზე მოვიგდებ თუშის ქალის ნაქარგ ზურგჩანთას,
გულზე მოვიხვევ დარდს და ნაღველს, სევდას ხალიანს,
თუ დაბრუნდები, მზეს მივაწვდენ ჩემს სისხლის წვეთებს,
არტერიიდან გადმოვიყვან დავიბან ხელებს,
ისე მარკოლებს შენი ყოფა ჩემს სამყაროში,
ვერ მიპოვია ალაგი და დავეძებ ხეებს,
შეშინებული ვეხუტები ასწლოვან მუხებს,
დაკოჟრილ ტანზე რომ დაჰკვრიათ ჩემი სხეული,
თუ დაბრუნდები... ამ ქვეყანაზე ვეღარ მიხილავ,
წავალ და მთებში სულს დავღაფავ, როგორც სნეული.....

იქნება სჯობდეს

ქარი აატირებს ტირიფის რტოებს,
და ცრემლებივით მოსწყვიტავს ფოთლებს,
დღეს აღარ მოვალ დათქმულ პაემანზე
მოუსვლელობა იქნება სჯობდეს...

მე შემომწირონ

გულში მარეკებს გავაგზავნი,
რომ შენზე ფიქრი, ჩემგან განდევნონ,
შეგიპყრონ...
აგქნან...
და მეერე როგორც სამსხვერპლოზე ხდება ყოველთვის,
შენი მფეთქავი, ურწმუნო გული, მე შემომწირონ...

მოვალ შენთან

წუხელის წვიმდა, შენზე ფიქრში გავლიე ღამე,
და მიცქეროდნენ ნისლიანი შენი თვალები,
ჩემების რისხვას ვერ აუვალ, გამოვიქცევი
მოვალ შენთან და...
შენს მკლავს ქვეშ, გულთან ახლოს დავიმალები...

სამშობლო

ზამთრის ქარბუქმა შენისლა მთები,
შენისლა ბარი, ქართლის მიდამოც...
მე უნუგეშოდ მთის გაღმა ვკვდები
და შენზე ამბავს, ვერვინ მიაშობს.
თუ გიღალატო შენს თავს ვფიცავარ,
ვაზი მომეჭრას, თუ გიღალატო...

როგორც იმღერა

მწვანე ფოთოლი, ხმელ ფოთლებში ჩამალული,
ელტვოდა ღრუბლებს,
თრთოდა მტვრის ბულისგან დაღალული ჩიტი-ჩიორა,
ნეტავ უეცრად წვიმის წვეთი მოსწყდეს ცის კიდეს
და კვლავ ადიდდეს, ხმა აღიმაღლოს დიდმა რიონმა,
ხმა აღიმაღლოს, ისე როგორც მღერის თბილისი,
როგორც იმღერა „მე და ღამე“ გალაკტიონმა...

შენზე ოცნებებში

შენზე ოცნებებში ბევრჯერ მიტეხია ბნელი ღამეები,
მითვლია ცქრილა ვარსკვლავები,
ჩემს სარკმელთან რომ ჩამომსხდარიყვნენ...
ბევრჯერ მინდოდა, მოსულიყავი, ფრთხილად, უჩუმრად,
და იმ ფანჯრიდან დასაკარგავში გადაგეყვანე...

ოჰ, არ იტირო

სად გაიხიე კალთა, ღრუბელო,
ნუთუ ეკალას მხარი გაჰკარი,
ახლა ტირილი არ მოინდომო,
ბუღბუღი ჩაჯდა ვარდზე ნარნარით...
ოჰ, არ იტირო, ცოტაც ადროვე
ქარი გაკემსავს სიცილ-ხარხარით.

დაგეწვიან ჩემი ფიქრები

მინდორში გათელილ ბილიკებს მივყვები,
პეპლები გზა და გზა ფარფატით მხვდებიან
მეგებებიან, მეაღერსებენ,
გაგებუტაო მეუბნებიან,
მე თუ ვერ შევძელი, რომ დაგაბრუნო,
ჩემი ფიქრები დაგეწვიან...

როდემდე

ადარ სთქვა არასოდეს-ცხოვრებამ დამღალა
და დარდის ბურუსში არასდროს წახვიდე.
ტკივილებს გაუძლებ, ქართველი ქალი ხარ,
ცხოვრების ჯინაზე არასდროს ჩაფიქრდე.
არა სთქვა არასდროს-ცხოვრებამ დამღალა,
არა სთქვა არასდროს-როდემდე; როდემდე.

(თაზოს)

შენი სიყვარული არ გამიფრინდება,
ვიცი, რომ გიყვარვარ.
ერთმანეთისთვის გავჩნდით ამ ქვეყანაზე
და შენც მიპოვე...
ერთად ვიქნებით ისე როგორც: ია და მიწა,
მზე და მთვარე, დღე და ღამე...
და მე იას თუ რამე შემემთხვა,
შენ ჩამიხუტებ, დიად მკერდში, ფესვებს გამითობ,
რათა შენს მკერდზე გავიფურჩქნო,
გავიყვავილო და ვიიაო...
ჭორმა შეაკრთო ცაცხვის ხე და...
ტკივილისაგან ფოთოლცვენა დაეწყო:
ყველას შემოდგომის ბრაღი ეგონა...

ჯვარცმა

გოლგოთა, ჯავრცმა, ეკლის გვირგვინი,
სისხლის კივილი, ვნება მომხდურეთა...
წყურვილით გამშრალ ბაგებე ისევ,
ლოცვა-ვედრებად გამოიკვეთა.
ჯვარს აცვეს ქრისტე სიყვარულისთვის,
და მე ამ ჯვარის ტკივილი მახლავს,
ადამ და ევას შეცდომებისთვის,
ადამის შვილებს სიკვდილი დახრავს.
უკვდავებისთვის გაჩენილ მოდგმას,
ცოდვათა ვნება გააცამტვერებს,
ცოდვებში ჩაფლულ ამ წუთისოფელს,
მეორედ მოსვლა გაასხვაფერებს.
და განირჩევა კეთილ-ბოროტი,
საყვირის ხმაზე მაღალხმიანის,
სიკეთითა და მადლით იძლევა,
სული ცოდვილი ადამიანის...

პირობას ბევრჯერ გადავალ

როცა ფოთოლცვენა დაიწყება, მაშინ გინახულო მინდა,
როცა ატირდება ტირიფები, მოსწყდებათ ცრემლი წმინდა,
მოვალ და გულში ჩაგიკრავ, ფოთლებს კალთაში ჩაგიყრი,
და სურვილს სიყვარულისას, თვალებში ურცხვად გაგიყრი...
ეს როცა-- როდის იქნება, ფიქრები მჭამენ ტიალნი,
ვერც ფოთოლცვენა მიშველის, ვერც სუსხი იანვრისანი.
მოვალ და დაგეწაფები, ანკარა წყარო მგონიხარ,
თითქოს ახლოს ხარ, თითქოს შორს, მაგრამ არც ისე შორი ხარ.
სულმოუთქმელად გამოცვლი, არც ისე დიდი დოქი ხარ
ლექსი ხარ, ლექსი ტიალი და მუზასავით მოდიხარ.
აჭრელდნენ უკვე ფოთლები, პირობას ბევრჯერ გადავალ,
შეგპირდი, აღარ მოვედი, გულდაკოდილი ქალი ვარ.

არ დამელოდო

არ დამელოდო... თუ ოდესმე გულში გყოლივარ,
არ მოიხვიო გულზე შარფად ძველი დარდები,
არ დამელოდო, შენთვის თუ მე მეცხრე ქალი ვარ,
არც გყვარებივარ, არც არასდროს შეგიყვარდები...
არ დამელოდო, ნუ გგონია მართლა გიყვარვარ,
არ მივალ, სადაც ბინადრობენ რუსი სვავები.
მე სილამაზის, სიყვარულის კაემანი მკლავს,
და მოოქროვილ აბლაბუდას არ ვეკარები...
არც დაიჯერებ... გვირილები,
ჩემთვის ჯილდოა-შენთვის ბალახი,
უღევი ქალი, შენთვის გრძნობაა-ჩემთვის ტალახი.
არ დამელოდო, სხვა სამყაროს ვეკუთვნით ვხედავ,
მე მინდა მხოლოდ ფურცელი და გატეხილი შავი ფანქარი.

ქარებად დაჰქრის

ლალი და ატმისფერია შენი სიყმაწვილე,
სულ საამური ჩურჩულები ჩაგესმის ყურში,
იმას ნახულობ, რაც გინდა ნახო-არას ინაღვლი...
და იმას ამბობ რაც სიყვარულით ჩაგიდევს გულში.
იისფერია შენი ოცნება და ქართან დაჰქრის,
გზა სულ ფეხშიშველს ტკრიაციტ და კისკისით მიგაქვს,
ქარებად დაჰქრის სამყაროში შენი სიცილი,
გულს მიკანკალებს, სისხლს მიყინავს და ფიქრად მძირავს.
არას განაღვლებს მთის ბილიკზე სარეველები,
არც უფროთხინარ და აღარც ნაღვლობ განვლილ ბილიკებს,
რა მაცდურია, ახალგაზრდობავ, შენი სურნელი
და არცა დარდობ, სიბერე რომ გაგაქილიკებს.....

შენი სიყვარული მათოვს

გული წამოედო ფიქრებს,
ოცნებამ დარეკა ზარი,
მივადექ შენს სახლის კიბეს,
დარდებმა გამიღეს კარი.

ნაღველმა ღიმილით მთხოვა
ვესტუმრო-დავეკრა თავი,
სევდამ მომიდულა ყავა
იმედმა დამიდგა სკამი.
შენი სიყვარული მათოვს,
ფიფქებს დასდენია ცრემლი.
დაბრუნდი, თორემ უკვე
ძალა აღარ მაქვს ძებნის...

მე ნავალ

თუ ფიქრობ, თუ დარდობ, სად წავალ
გამიშვი... კარებიც გამიღე,
წასვლისას თვალებში ჩამხედო მინდა და...
მითხრა რომ არსად არ წავიდე...
ზურგით მივეყრდნობი დედაბოძს,
ნაწნავის ჩამოშლას დავიწყებ,
აკვანში ამიტირდეს პატარა,
მკერდზე დამისველდეს საკინძე.
მითხარი, მითხარი, ნუ წახვალ,
თვალებში ცრემლები დამიშრე,
თუ წავალ, მე ჩემს გზას ვიპოვი
ნეტავ თუ გამიშვებს საკინძე...

რად გქვია სხვისი ქალაი...

მინდა, ჩაგიხუტო მკერდში და წელზე შემოგხვიო ხელი,
დავშალო შენი ნაწნავი, ჩაკოცნო თეთრი ყელი,
გულამოვარდნილს გემონო, გემო შევიგრძნო მწველი,
თვალს ბინდი გადამეფაროს, დაგეცე როგორც მგელი,
არ ვისმენ ხვეწნა-მუდარას, ჟინი მაწვალებს შენი,
მკერდზე დავიწვენ მიბნედილს და თრთოდე, როგორც შველი,
და მერე თუნდაც გაწვიმდეს, თავს ჩამომექცეს ზეცა,
რად გქვია სხვისი ქალაი, ჩემი რად არ ხარ ნეტა...

მოთოვა ლამაზად

მოთოვა ლამაზად, შენ კი კვლავ არ ჩანხარ,
ტკივილმა გამახსენა თავი,
მკერდზე მომინდა მიგეკრო ძალუმად
ცრემლებმა დამისველონ თვალი.
გითხრა, რომ მიყვარდი და დიდხანს გელოდი,
წავიდა ის წლები და იქნებ აღარც ხარ...
მოთოვა ლამაზად, ფიფქებო უთხარით,
იყავი ცოცხალი, დე, იყავ სადაც ხარ...

ვოცნებობ შენზე

როცა დაღამდება, მთვარე ჩაიმუხლებს,
მაშინ ხშიანობენ ჭრიჭინები,
ისევ სარკმელსა ვარ მიყრდნობილი,
ისევ ვარსკვლავებში ვიჭვრიტები.
და როს გამიტაცებს ფიქრებმა წყვილიდადის,
გულში შენ სიმღერას ჩუმად ვლიღინებდი
და თუ არ გამრიყა, შენმა მოლოდინმა,
იქნებ დამეხმარონ ჩვენი ჭრიჭინები.
მთვარე გატრუნულა ტრფობის მოლოდინში,
სიყვარულს დარდი ჰკლავს და არა ღიმილები
დღეს უკვე ცხრამეტი აგვისტოს ღამეა,
ვარსკვლავებს გავყურებ ფიქრში, ვიღიმები,
არ მინდა, ნუ წახვალ, ცხოვრებას ვისწავლი,
უშენოდ ცხოვრებას სხვა ძალა ჰქონია.
ცეცხლში იწრთობოდა ოქროც და ფოთოლიც,
ცეცხლიდან აღვსდგები, მე ასე მგონია.
ისევ დამეშალა, ჩაწნულ დალაღებში,
შენი დაკრეფილი თეთრი გვირილები,
ისევ სარკმელსა ვარ, ნდობით მიყრდნობილი
შენზე ვოცნებობ და ისევ ვიღიმები...

იმ დროს ვეძებ

ბავშვობაში როცა ერთად დავხტუნავდით,
შავი თუთით ვითხუპნიდით პირს და თითებს,
ბლის კენწეროს ავიკლებდით ჩიტებივით,
და ერთმანეთს ვურვენებდით ჭიან კიჭებს.
როცა ატმებს ვიპარავდით პაპის ბაღში,
ვინ გვიშლიდა, თავს გვეყარა ყველა ხილი,
და სიმინდის უღვაშებიც გვიხდებოდა,
ხან გრძელი და ხანაც უშნოდ გაჩერილი.
ბილიკებზე, ბატებს ვდევდით გიჟებივით,
და ჭინჭრები გვისუსხავდა კნაჭა ფეხებს,
იმ დროს ვეძებ, სად წავიდა, სად გამქრალა,
და დავეძებ თმაქოროა გოგო-ბიჭებს...

სანთელს ავანთებ

მე შენთვის როცა, სანთელს ავანთებ ფიქრით დაღლილი,
მივალ სარკმელთან, ღამეს გავხედავ როგორც ეული,
სულმოუთქმელად გამომეცლება ღვინის ფიალა,
თვალებს დავგზავნი, რომ იპოვონ ძველი რვეული...
მერე, ლექსს ვიტყვი ღვინის ეშხით ათრთოლებული
მერე, ვიტყვებ სიყვარულის გახსენებისას,
სანთელს ავანთებ, თლილ თითებზე აპნისის ღამეს,
და დაცლილ სასმისს ცრემლით ვავსებ გათენებისას.

იმ ჩემი სახლია

ღამის შემოიჭრა და შორს გამიტაცო,
კენჭებზე, გულაღმა დამაგდო ღამის...
შენს ზვირთებთან და ტალღებთან მებრძოლს,
ფიქრი მენატრება და სუსხი ღამის...
ნუ დამემუქრები და ნურც დაიჟინებ,
იმ ჩემი სახლია, გრძნობებით მთვრალი,
ნეტავ, შენ ჩემთან როგორღა შემოხვალ,
მე თუ არ გაგიღე, ამ ქოხის კარი...

მე და უშენობა

მე, უშენობის ნაღველი მომკლავს, დამღევს, დამაქცევს,
და აკაცის ყვავილივით ნაწილ-ნაწილ დავიღვენთები...
მე უშენობა ისე მტანჯავს, ისე მაწამებს
ველარ ვიცოცხლებ... და შენს რითმებში,
უგბოუკვლოდ ჩავიფერდები...

ისევ იქროლებს...

თავბრუ მეხვევა, ისევ მწყური ხარ, წვეთო ნამისა,
მზისგან დამწვარი დაშუშული დაგელოდები,
ჩემს რტოებსა და აკიდობებს საფერავისას,
ისე სწყურიათ ერთი ყლუპი დაგემონებით...
არწივთა გულში შებუდულო სისხლო ქართულო,
რამდენს გაუძელ-წყლის ფერია მტერი ვერანი
ქართულო სისხლო, დაწურულო ყურძნის მტევანო,
არ დაიდარდო,
ისევ იქროლებს შენს გულმკერდზე
თეთრი მერანი...

ზოგჯერ

სინდისთან ჭიდილი მიწევს,
და ფიქრებში მაქვს ვეება ბზარი,
ზოგჯერ მიწამლავს, სისხლს და გონებას,
ემშას დაკრული გრძნეული ქნარი.
ზოგჯერ... ტყუილიც სიმართლედ მაწყობს,
ქვასაც უჩნდება ქვის გულზე ღარი,
ხელი ჩამჭიდვ და არ გამიშვა
თორემ, წამლეკავს წყეული ქარი,
ნუ გავიწყდება... ქალი ვარ ქალი...

გული სიყვარულს წამოედო, დიდხანს იბრძოდა,
თუ უცებ დანებდა,
არავინ იცის...
შემდეგ შეერთნენ გულები და...
გაჩნდა დიდგულა მზესუმზირა - სულ რომ იცინის...

მონატრება

გულისგულში... გაჩრილი მაქვს ტყვია,
აღარც სისხლი, აღარ კვებავს ვენებს,
ისევ მინდა მოგეხვიო ეხლაც,
როგორც ნამი ეხუტება ხეებს...
დავიშრიტე აღარ შემჩრა მგონი,
არც ძალა და აღარც შენი სითბო.....
შენი ხელის ნახელური მტკიცვა
ჩამიხუტე... ტკივილამდე გიგრძნო.
გულის გულში დაჭრილი ვარ ტყვიით
და ჩემს ვენებს დაეშრიტათ სისხლი
ქედს გადაღმა ვიყურები შორეთს
შენს სამყოფელს დაუხურავს ნისლი.

მიყვარხარ ცამდე

„მიყვარხარ ცამდე“, ზღვამდე, მზემდე, მთვარემდე
და ჩემს სიყვარულს არ ჰქონია, შენამდე კიბე
ასე მიყვარხარ.... დაკიდული, მიწიდან ცამდე,
ო, მზეო ჩემო, მთვარე ჩემო, რაღა ვთქვა კიდე...
არც ბეწვის ხიდი მიძებნია, აქამდე, ვიდრე
ვერ გითხარი და... სინანული ხურჯინით ვზიდე.

შენ ის მითხარი

დამწყვიტე გული, იცი როგორ? უსასტიკესად,
მათოვდა შენი სიყვარული მჭარბობდა თითქოს,
მეგონა მხრებზე შარფის მაგივრად მეხურე, მყავდი,
შენი თვალების მზერა დამქონდა, ვმალავდი იმ დროს,
როგორც დაბარდნილ ნაძვის ტოტებს ჩამობერტყავენ,
მაინც ეტყობათ ნათოვარი ტურფა ტოტები,
ისე ავსხლიტე სიყვარული ჩემი გულიდან,
მე შარშანდელი ზამთარივით არ ვმეორდები.
დამწყვიტე გული, ძლივს ავწიე დახრილი თავი,
ჭრილობებს ისევ შევიხორცებ ეს იოლია,
შენ ის მითხარი ამ ქვეყანაზე რისთვის მოხვედი,
თუ სიმართლისთვის სიყვარულით არ გიცხოვრია.....

და მერე.....

მე შენთან, ხელის შეხება მინდა,
და მხარზე ფრთხილად დაგადო თავი,
მოგიახლოვდე არ მითხრა სიტყვა,
ნეკნებს მოვხვიო, ძლიერი მკლავი,
ჩამიხუტო და ვიცეკვოთ ერთად,
მშვიდი და ნაზი მუსიკის ფრთის ქვეშ,
მერე გავხედეთ, ავიჭრათ ცაში,
და ვინაგარდოთ ცხრათვალა მზის ქვეშ,
მე შენთან მინდა ვიცეკვო რუმბა,
და ალიონზე ავუშვათ ნავი,
გათენებამდე გავცდეთ ნაპირებს,
და მერე ერთად მოვიკლათ თავი...





მარიამ ლეილა



დავიბადე 1963 წელს ამბროლაურში, გავიზარდე თბილისში.

დავამთავრე ქალაქ თბილისის №1 საშუალო სკოლა. ვსწავლობდი თბილისის საბანკო საფინანსო ინსტიტუტში (კოლეჯი), ჩემი ნამდვილი სახელი და გვარია ლიკა ოთარის ასული მარიამე, ვმუშაობდი რუსთავის ერთ-ერთი მაღაზიის გამგედ. ახლა ვმოღვაწეობ საზღვარგარეთ, ვხატავ და ვწერ

ბავშვობიდან, ვარ დაოჯახებული და მყავს ორი ბიჭი.

ჩვენს კრებულებში ხშირად ემიგრანტი პოეტები იბეჭდებიან. ძალიან რთულია სამშობლოდან შორს ცხოვრება, მოღვაწეობა და შრომა. ალბათ იქ უფრო ხშირად მიფრინავს მუზა, რომ ცოტათი მაინც გაუთბოს გული პოეტ ქალბატონებს. მინდა ეს კრებული ქალბატონი ლეილასათვის წარმატების და სიხარულის მომტანი იყოს!

თუთა, ლეღვი და ალუბალი

ერთხელ თუთის ფოთოლს რაღაც მო/ენივენაო.
გაბრაზდა და ტკბილ ლეღვს რაღაც მო/ უგონაო.
თითქოს ტკბილი ლეღვი დედოფლობდაო.
და მჟავე ალუბალს ვერაფრით სჯობდაო....
ლეღვი ტკბილი საშინლად გაბრაზდაო.
ალუბალს მჟავეს როგორ მადარაო.
თუთის ფოთოლს მკაცრად შეხედაო.
ჩემი სიტკბოთი ვინ არ დამტკბარაო....
თუთის ფოთოლი ლეღვზე ირევაო.
მაგრამ ჯიუტად ლეღვსა ჭორავდაო.
ლეღვის დედოფლობა კი უხაროდაო.
მჟავე ალუბალს კი სჯობდაო....
თუთის ფოთლისთვის ტკბილი ლეღვიო
ყველა დედოფალს მართლა ერჩიაო.
თან გულში მართლ ამას ფიქრობდაო.
ჩემი ტკბილი ლეღვი ერთადერთიაო...

დრო ყველაფრის მკურნალია!!!

დრო ყველაფრის მკურნალია გამიგია,
დრო მიდის და გულში სევდა ისევ აღწევს,
არ მგონია დრომ წაშალოს ნაკვალევი,
შენზე დიდი ტკივილები, გულს რომ აწევს...
გულის კარი გაგიღე და შენც შიგ დარჩი,
ვერ გიშორებ, რა ვქნა გული დახურულა,
და კუთხეში მიყუჟული სიყვარული,
ისე ძლიერ, ისე ძლიერ, ჩაკარგულა...
ვცდილობდი და ვერ შევძელი მოშორება,
სისხლში, ყველა , ყველა არტერს გაყოლია,
დაივლის და მთელ სხეულს რომ მოედება
ცეცხლს დაანთებს, გულს ფსკერამდე ჩაყოლია...
უშენობა, უშენობა არ მჩვევია,
დრო კი მიდის და ტკივილიც მემატება,
სიყვარული მხოლოდ ჩემთან შენახული,
აქ დარჩება არავისთვის მემეტება!!!

ვიცი არ გჯერა!

ვიცი არ გჯერა, ჩემი სიყვარულის,
ვიცი ვერ იჯერებ, გულს როგორ აკლიხარ,
ვიცი ვერ გარწმუნებ, რა რიგად მიყვარდი,
რა რიგად მიყვარხარ და მაინც გარბიხარ...
შენ ჩემთვის, მზეცა ხარ, მთვარეც და ღრუბელიც,
დილით რომ, ანათებ და მათობ, სხივებით,
საღამოს მთვარე ხარ და ჩემში ბინდები,
და მერე სულ გვიან ღრუბლებად იქცევი...
მე კი ვარ შენი, ვარ შენი ვარსკვლავი,
და ვიცი შენს გულში მზესავით ვინთები,
ხელი არ შემახო, იცოდე ინანებ,
ხელი თუ შემახე, სულ მთლად დაიწვები!

შენ ისევ მოხვალ

შენ ისევ მოხვალ, ისევ გვეწვევი,
მოგვინახულებ ყველას უკლებლივ,
მოხვალ მოიტან, სულ სხვა სიტბოს და
სიყვარულს ჩვენსას, სულს რომ უხდები...
უშენოდ მგონი მთელმა სამყარომ,
დაკარგა ფერიც, ძალაც და სიტბოც,
მხოლოდ შენ იყავ ვისაც შეეძლო,
სულს ჩაეღვარა უღევი სიტკბო...
და სიტკბო მართლაც დღემდე რომ გვყოფნის,
და ვერ გივიწყებთ მართლაც ვერაფრით,
როდემდე უნდა გელოდოთ, გეთქვა,
დაგელოდებით, ყველა ყველაფრით...
უნდა დაბრუნდე, უნდა დაბრუნდე,
ჯერ კიდევ შენი სიტბო ტრიალებს,
შენ თუ არ მოხვალ მე მოვალ მაშინ
ბედის ბორბალი, როგორ ტრიალებს!!!

სულ ერთია

იცი აღარ ვფიქრობ შენზე,
იცი დაგივიწყე კიდევ,
დრომ შეჭამა ფიქრი
და შენს მზერას ვიცდენ...
ნუ მიყურებ ასე,
სულ ერთია ჩემთვის,
სულ სხვა მიყვარს ახლა,
ჩემთვის ერთად-ერთი...
შენ კი წარსულს გაჰყევ,
აღარა ხარ ჩემი,
გულსაც აღარა მტკენს,
ის წარსული დღენი...
გვიხაროდა ერთად,
წლები აღმაფრენის
წარსულში დარჩა,
ის ლამაზი დღენიც...
იცი აღარ ვფიქრობ შენზე,
იცი დაგივიწყე კიდევ,
ნულარ შემახსენებ შენს თავს,
თავსაც ნუ მაყვარებ კიდევ..
წარსულს დარჩა, ყველა,
ფიქრი, ოცნება და კიდევ,
ჩემთვის სულერთია ახლა,
ჩემი ხარ თუ არა ისევ...

სიზმარი

ლამაზი სიზმარი მესიზმრა,
მოხვედი ღიმილად ქცეული,
მეფერე რამდენი მეფერე,
შენ იყავ, ეს ჩემი რჩეული...
სიხარულს მალავდი გატყობდი,
თვალების ციმციმით, ვხვდებოდი,
იმდენი ღიმილი მარუქე,
არ წავა, ვფიქრობდი რჩებოდი...
გავვადით ბუნების წიაღში,

მაღლიდან ვარსკვლავნი გვიცქერდნენ,
არც სიომ დაგვაკლო ფერება,
სიხარულთ გულები ამგერდნენ...
რიჟრაჟმაც მოგვისწრო, გათენდა,
შენ კიდევ გინდოდა დარჩენა
და უცბად გამოველ სიზმრიდან,
დავწყველე ეს ჩემი გაჩენა.!!!

არ მოხვიდეთ არავინ

დავიღალე დავიღალე ძალიან
არც დავხატავ აღარც ლექსებს დავწერ,
წავალ სადმე ტყეში ვიცხოვრებ
და ერთ ბანაკს იქ მინდორზე დავცემ...
იქ მოვუვლი ხეებსა და მწერებს
თავს ვარიდებ შურიანებს მტერებს,
იქ ვიქნები ჩემთვის მარტოდ მარტოდ
არ ეცადოთ ვინმემ რომ გამართოთ...
დილას ჩავალ მდინარეზე ფრთხილად
საღამოზე შევწვავ თევზის ფილას,
საღამოს რომ დაბნელდება კარში
ვარსკვლავებსაც დავითვლი ცაში...
აბა ვის არ შეშურდება ჩემი
აქ ვინ მოვა მოყვარე თუ მტერი,
არ მოხვიდეთ აქ არავინ იცით
გაგეცალეთ დავდე ამის ფიცი...
აქ ვიქნები ჩემთვის მარტოდ მარტოდ
ამ სასახლეს ვერ დავტოვებ მარტოდ.
კარზე შემოვკიდებ ვარდებს
და კედელზე ჩამოვკიდებ კადრებს...
კიბეებზე გადავაბნევ გვირილებს
და მოვისმენ ტყის მცხოვრებთა ყვირილებს.

პიესა

ვიცი რომ გიყვარდი და თანაც ძალიან.
და ჩემზე ფიქრობდი დღეა თუ ღამეა,
ელოდი თბილ სიტყვებს, გულსა ტკბილსა,
ელოდი ჩამოსვლას ჩვენს ქალაქ თბილისსა...
გინდოდა გენახე სულ ერთი წამითა,
ვერ მოვედ ვერ გნახე, გუნება წაგიხდა.
ვერ მითხარ სათქმელი, თბილ გულში რაც გქონდა,
ჩემი სიყვარული სუყველგან დაგქონდა...
ვერ მნახე, ვერ გნახე, რას იზამ ასეა,
ცხოვრება პრობლემით, სიცვიით სავსეა,
და ჩვენი შეხვედრაც აი აქ, დამთავრდა,
ვიცოდი უფალი ნებას არ დამრთავდა...

გოგონი უნიჭიერს შემოქმედს

პოეტს და უაღრესად კეთილშობილ ადამიანს
ჩვენს მეგობარს ბატონ, თამაზ მეტრეველს.!!!

მოკვდა პოეტი დახურა წიგნი
ზვიადან დადო კალამი ღვთისა
და ხალხს ეგონა დამთავრდა მისი
ამ ქვეყნიური ცხოვრების წინსვლა...
არადა არა, იგი აგრძელებს
ლექსების წერას კიდევ და კიდევ.
და ყველამ იცის ის რაც დაწერა
არ არის მხოლოდ მისი და ვიდრე...
ვიდრე არსებობს ეს ქვეყანა და
არსებობს ერი კვლავ წაუშლელი
უყვართ პოეტი და მისი ლექსი
ლეგენდებივით გადმოუშლელი....
მოკვდა პოეტი, მაგრამ ის ცოცხლობს,
ხალხის გულებში დაიდო ბინა.
იმდენად უყვართ მათ არც კი სჯერათ
ასე ფიქრობენ რომ არის შინა...
და კიდევ დაწერს, დაწერს და დაწერს

ლექსებს მიუძღვნის ბევრ ლამაზ ქალებს,
მერე დაღლილი წავა იქ სადაც,
როს სამუდამოდ ხუჭავენ თვალებს...
მოკვდა პოეტი დასვა წერტილი.
და დაასვენა კალამი ღვთისა.
წავიდა, მაგრამ თან გაიყოლა
დარდი ამაო თვისი ქვეყნისა.

ერთი ზღაპარი

მინდოდა ლექსი, რომ დამეწერა
მაგრამ დავწერე ერთი ზღაპარი.
ვითომ გიყვარდი, ჩემთვის კვდებოდი
მერე ჩამკარი გულში, ლახვარი...
გელოდებოდი წვიმაში დარში
შენ მოფრინავდი, არ მოდიოდი.
გელოდებოდი ხელებგაშლილი.
სიხარულისგან მგონი ვტიროდი...
ვხედავდი სიზმრად, როგორ გიყვარდი
მეფერებოდი. ვარდებს მესროდი.
მეხუტებოდი, თმებს მისწორებდი
და ყელზე ლამაზ მძივებს მაბნევდი...
გაშლილ მინდორზე ფეხშიშველები
ფეხებით გულებს როგორ ვხატავდით.
იმ გულში ერთად როგორ ვიდექით
ჩახუტებულნი სივრცეს ვქარგავდით...
მაღლა ზეციდან როგორ გვიცქერდენ
ღრუბლები, მზე თუ ცისარტყელები
გარშემო მწვანე მთელი ბუნება.
და როგორ ძგერდენ ჩვენი გულები...
მაგრამ უეცრად ცაში იჭექა
და გაანათა მინდორ-ველები.
მიმოვიხედე შენ არსად ჩანდი
შემოხვეული დამრჩა ხელები....

მხოლოდ შენ (დ.თ-ს)

სანამ ცოცხალი ხარ აკეთე სიკეთე
სანამ შეგიძლია გიყვარდეს ყოველი,
არასდროს დაკარგო იმედი ცხოვრების
არა ხარ უგონო ერთ ერთი ცხოველი...
ცხოვრება ხომ არის სულ ერთი ნაბიჯი
და უნდა გავზომოთ თუ როგორ მივდივართ,
თუ შეცდი გადადგი ისე რომ არ იცი
იცოდე ვერ გახვალ უფსკრულში მიდიხარ...
დაფიქრდი გითხარი მოზომე ჯერ კიდევ
არარის გვიანი, არ არის გვიანი,
თუ სწორად გაივლი დაკლაკნილ ბილიკებს
ჩათვალე მართლა გაქვს იღბალი ჭკვიანი...
სიცოცხლე რთულია თავისი ცხოვრებით
არ გინდა ნაჭდევი უღირსი ქცევებით,
გიყვარდეს, უყვარდე საზღვარი იცოდე
იცოდე ვერ წაშლი ნაკვალევს ვედრებით...
არც ლოცვა გიშველის არც ცრემლთა ღვარღვარი
გაწმინდე, ბინძური სისხლისგან,
დადექი ფეხზე და იარე პირდაპირ
დაცალე ეგ გული განვლილი სიმწრისგან...

ქალაქი სალონიკი მე და ქოლგა

დღეს მე წვიმამ ხასიათი
გამიფუჭა.
მინდოდა რომ ეს ქალაქიც მენახა.
მაგრამ ამინდს ჩემი ხათრი სულ არ ქონდა
წვიმამ ქარმა სულ მთლიანად გამაწამა
მივუყვებით ქუჩას მე და ჩემი ქოლგა
ვატყაპუნებ მე ბავშვივით ფეხებს,
წვიმამ ისე ძლიერ შემომიტია
ველარ ვხედავ მე გარშემო ფერებს...
ვკეცავ ქოლგას, ვკეცავ წვიმის ჯიბრზე
დამისველდა თმები, სახე,
კაბა,

მაგრამ მაინც არ გავშალე ქოლგა
ვეჯიბრები ვინ აჯობებს აბა...
ვხედავ ქუჩას, მიყურებენ
გაკვირვებით
ქოლგით ხელში, გაუშლელი რომ მაქვს,
იცინიან, იქნებ მთვლიან ვიღაც გიჟად
არა ვდარდობ, რადგან ვიცი ვინ ვარ...
მერე უცებ მეც მომინდა გაგიჟება
მივუბრუნდი და სიცილით
ვამბობ:
წვიმა როგორ შემაშინებს,
რას დამაკლებს,
ქართველი ვარ, ქართველი ვარ, ხალხო!

ფიქრთან ერთად!!

ზღვის ნაპირზე მივუყვები ქუჩას,
რალაც სიო მიბერავს და მაბნევს,
ფიქრიც ახლა, სადღაც შორით, გამექცა,
შენი თბილი, სიყვარული მარბევს...
ნუთუ მართლა შენზე ვფიქრობ ამდენს,
მხოლოდ შენგან ყურადღებას ვითხოვ,
ნეტავ, რატომ, რისთვის ველარ გივიწყებ,
ასე ძლიერ შემეყვარდი ვითომ?...
ვითომ, შეთქი გეკითხები მე შენ და
პასუხი კი ვიცი ჩემო კარგო...
გეფერები, გეფერები მე მართლა,
მეშინია არსად დამეკარგო...
მიყვარხარ და ვიცი მომკლავს ფიქრი,
უშენოდ ხომ ერთი წუთით ვერ ვძლებ,
ვიყო სადმე იცი წუთებს ვითვლი მე
შენთან მინდა, მხოლოდ შენთან მთელ დღეს...
გავუყვები ზღვის ნაპირს და ვფიქრობ,
ნუთუ მართლა არის მაღლა ღმერთი,
მაშინ რატომ, მიმატოვა ასე
და დამტოვა, მხოლოდ ფიქრთან, ერთი....

საქართველო ჩემო..

ძალა მომეცი ღმერთო,
რომ შევებრძოლო ყველას,
არვის დავუთმო ჩემი
სამშობლო მუჭის ხელა...
სამშობლო ასე ტკბილი,
ჩემთვის ნანატრი კერა,
ჩემი ღამაში მხარე
არსად მინახავს ჯერა.
უზომოდ მიყვარს ჩემი,
სამშობლო დანაცრული,
კეთილი, უბოროტო,
ყველასგან დანაგრული.
მიეცი ძალა ღმერთო,
ფეხზე რომ დადგეს კიდეც,
ვერვინ რომ ვეღარ დანაგროს,
მტერსაც რომ თვალებს თხრიდეს...

ჩემი ბავშვობის მეგობარს..

თამარ ხახუთაშვილს!!

მაგონდება მეგობრობა ჩვენი,
ხალასი და უტყუარი მშვიდი,
შეხვედრები, ჭორაობა,ტკბილი,
სიხარული, მოფერება თბილი...
ერთი დღეც რომ არ გვინდოდა ცალკე.
ჩქარი იყო ყველა ჩვენი საქმე
გვაშორებდა მხოლოდ, შავი ღამე,
რა დრო იყო სიყვარულით, საესე...
ახლაც ვნატრობ, იმ გარდასულ დღეებს,
ერთი წუთით, რომ დაბრუნდეს უკან,
მოგეფერო და ჩაგიკრა ისევ,
როგორც მაშინ ბევრი წლების უკან...
მენატრება, მენატრება მართლა,
ის დღეები, ღამაში და მშვიდი,
არასოდეს აღარ მოვა, მაგრამ
მაინც ვნატრობ, ნატვრას ვინღა მიშლის!!

არ იფიქრო

არა, არ იფიქრო რომ არ მომენატრე,
აცვივდა და გულიც გაიყინა,
შენ რომ აქ არა ხარ, მე ვინღა გამათბობს,
შენი ერთი სიტყვა ახლა როგორ მინდა...
შენი მონატრება გულის ტკივილია,
უშენობამ სული, სულ წალეკა,
შენზე ფიქრმა, თავზე როგორ დამათოვა,
სულის ატირებამ, გული მთლად დაკეტა...
შენ იყავი მუდამ ჩემი დიდი დარდი,
ოცნებების, ფიქრის, სიყვარულის დარი...
როგორ მინდა შენთან, შენს მკერდს რომ დავვეყრდნო.
ვიგრძნო, გულის სითბო. ფეთქვა და ალერსი,
ისე მომენატრე, ისე მომენატრე,
ახლაც გეფერები, ახლაც გეფერები ამ ლექსით.

რატომ მამბრებ!!

ვიცი ცდილობდი ჩემს გაბრაზებას
მგონი გიყვარდი კიდევ,
ყოველთვის ისეთ სიტყვებს მიძღვნიდი,
გულს სიყვარული სჭირდეს...
არ ვიცი იქნებ მეც კი მომწონდი,
იქნებ მიყვარდი, კიდევ,
მაშინ ვერ მივხვდი თუ ვინ იყავი,
თუ ჩემს მეგობრად, გთვლიდე...
შენთვის ვიყავი, სიხარული და
სიყვარულს ითხოვდი ჩემგან,
გიბრაზდებოდი, გეჩხუბებოდი,
ბოდიშს, ვითხოვდი შენგან...
გთხოვ მაპატიო, ეს გულცივობა,
რომ არ მიგიღე, გულში,
ასე მგონია, არსად წასულხარ,
ანდა წახვედი, გუშინ...
ჩემს გულში სითბო დაატრიალე
და სულ იქნება ასე.
უკვდავი არის ეს მეგობრობა,
მუდამ დარჩება ასეც..

სულ არ ვეცოდები!!

როგორ შევეჯახე მე ამ დროებას,
იგი არ მინდობს და სულ არ ვეცოდები,
გული ათად გაყო ნაწილ-ნაწილ,
სიკვდილის დღეს როგორ ველოდები...
რატომ გამიმეტა, ნეტავ რისთვის,
მე ხომ ჭიანჭველას ფეხსაც არ ვადგამდი,
ცუდი არასოდეს, ვინმესთვის მდომია,
მხოლოდ სიყვარულს და სიკეთეს ვთესავდი...
ნუთუ ველარ ვნახავ ცისფერ ცაზე,
მზის გამონათებას, ღამე მთვარის ჩასვლას,
ნუთუ მოახლოვდა, დასასრული,
ნუთუ ბოლო დღეებს ვითვლი, ახლა...
როცა კარგად ვიყავ, სულ არ მიფიქრია,
სიკვდილს ჩავხედავდი, იმ უშნოს თვალებში,
როცა ცუდათ გაგხდი როგორ შემეშინდა,
კუთხეს მიმაყენა და მშვიდად დაგნებდი...
მაგრამ ერთ დღეს, ცაზე ვარსკვლავებმა,
ისევ იწყეს ნათება, ციალი,
სიკვდილს შევუძახე, წადი და მომშორდი,
რას გადამეკიდე, ოხერო-ტიალი...
ჩემმა შემართებამ ფრთები გამოისხა,
ფეხზე დამაყენა, თურმე ვარ ძლიერი,
სიკვდილს შეეშინდა მაშინვე გამშორდა,
ყურში მიჩურჩულა „ჯერ არ ხარ ხნიერი“

ვიცი მინატრებ!!

ვიცი მინატრებ, როს დადგება თბილი ზაფხული,
მოგენატრები, ზღვასთან ერთად მოგენატრები,
მოფრინდებიან თოლიები ზღვის ზედაპირზე,
მე კი არ მოვალ შენ იქ, მარტო, მარტო იქნები...
ზღვის სანაპიროც შენი, მხოლოდ შენი იქნება,
მე კი იქ წავალ, სადაც მხოლოდ მე მომელიან,
იქაც იქნება ზღვა და ზღვების თეთრი თოლია,
უშენობა კი მართალია ძნელი იქნება,

გამეყინება გული ვიცი როგორც თოვლია...
ზამთარიც მოვა, კიდეც მოვა თბილი ზაფხული,
ჩვენ მართლობა შეგვაწუხებს ორივეს ალბათ,
მე მართო ვივლი, უშენობით, ვნებააშლილი,
შენ კი არასდროს აღარ მიხმობ, შენ რჩები ზღვასთან...
და თოვლებიც, წივილ-კივილს ასტეხენ ერთად
და შენ მიხვდები უჩემობა თუ რა ძნელია,
მეც უშენობა გამაწამებს მთელი სიცოცხლე,
შენი ცხოვრებაც ჩემს გარეშე არაფერია.

გეძებდი

გეძებდი, ო რამდენს გეძებდი,
გეძახდი კიდევაც ყოველ წამს,
არ სჩანხარ, ნეტავი სადა ხარ,
ყურს ვუგდებ ახლა ყველა ჩქამს...
მინდა რომ გიპოვო, გიშველო,
შენ ხომ უჩემოდ, ვერ სძლებდი,
როგორ ხარ, ის მაინც მითხარი,
დამემსხვრა შიშისგან, ეს ძვლები...
უშენოდ არ მინდა, არც დღე და
არც ღამე, სითბო თუ სიცვივე,
მიყვარხარ, უბოძოდ მიყვარხარ,
მოხვალ თუ გეძებო ისევე...
დაგძებნი დიდხანს რომ დამჭირდეს,
გიპოვი, მთვარეზეც გაფრინდე,
ის სითბო, ჩემში რომ დატოვე,
უფლებას არ მაძლევს დაგცილდე...
გნახავ და მიხვდები თუ როგორ,
სიყვარულს ვინახავ, მე შენთვის,
შენც ვეგარ გაძლებ უჩემოდ,
შენთვისაც ვიქნები, მე ერთი...

ნვიმს

ცას ღრუბლები შერევია შავად,
მაღე ალბათ იწვიმებს და ღამეც,
ღამეც მოვა თავის ბნელი თვალით
და ჩაღეწავს ყველა ღია ფანჯრებს...
აი მართლაც წამოიწყო, წვიმამ
აიშალა ნერვები და ქარი.
მოუბერა ყველა ფანჯრის ფარდას
და დაიწყო ოთახში ტრიალი...
ყველა ფარდას დავედევნე ერთად
და ერთბაშად ვერა ვკიდე ხელი,
ქარმაც ისე ძლიერ დაუბერა
და წვიმამაც დასცხო, ჰერი-ჰერი...

დაღამდა

დაღამდა ვესტუმრე ვარსკვლავებს
ცალცალკე მინდოდა მეკითხა
ამ ცაზე ყოველდღე სტუმრობთ და
ანათებთ ასხივებთ მეტწილათ...
არ გცივათ ღამით რომ კიაფობთ?
ცასაც რომ ნაზათ ჩაკვრიხართ.
ხანდახან სცილდება თითო და
უფსკრულში იქ სადღაც ჩაცვივხართ...
რა ხდება ვერ ვიგებ თუ მართლა
ცვივით და სიკვდილის ტოლია
ასე მსმენია რომ თითქოს
დღეს მოკვდა ერთ-ერთი თოლია...
კიდევ დაგვაკლდა სიცოცხლე
ადამიანის სახითო
ცაზე ვარსკვლავებს რა დალევს
დედამიწისგან ნახვითო...

დამესიზმრები

მე დღეს მივდივარ, შემოდგომის ამ ნაღვლიან დღეს,
ვიცი რომ ბევრჯერ დამესიზმრები სამშობლოვ ჩემო
და მონატრების, მოგონების თბილი დღეების
გახსენებისას მე ავტირდები ძვირფასო ჩემო....
ჩემი მიწა ხარ ჩემი მთა და ჩემი ველები.
და მიყვარს ყველა ყველა კუთხე თავის ფერებით.
რაც მოვიარე და ვინახულე მიმოვაბნიე
მე სიხარულის და სიყვარულის თეთრი ცრემლები...
და მე მივდივარ ამ ნაღვლიან სექტემბრის დილას
ვიცი რომ ბევრჯერ ბევრჯერ დამესიზმრები
და ნაღვლიანი ჩემთვის ჩუმი გულში ვიტყვებ.
ფიქრებით მაინც მუდამ შენთან. შენთან დავრჩები...

მომნატრებია

მომნატრების ხარ ზღვაო ძღვევარე.
შენი ტალღების შხეფებით ვლაღობ.
რატომ მეგონა მე მონატრებით
მხოლოდ ბუნების წიაღში ვხარობ...
თურმე შენც ისე შემყვარების ხარ.
როგორც ბუნება სამშობლოს ჩემი.
არ ვიცი უცხო ქვეყნის ცავ ზღვაო.
შენი ხილვითაც ასევე ვტკბები...
დღეს შენმა ნახვამ მე ამაღელვა
ამ ზღვის ტალღებზე უფრო ძლიერად
შენც მოლივლივებ ჩემსკენ ლამაზად
და მეც ამიტომ თბილად ჩაგეკარ...
დღეს უფრო მეტად ვიგრძენი შენი
რომ მართლა ასე ძლიერ მიყვარხარ
ზღვის ტალღებს ისე შემოვეხვიე
თითქოს არასდროს რომ არ მინახავს!!!

აღარ დაბრუნდე

რატომ გონია, რომ ყველაზე კარგი შენა ხარ,
რატომ გონია, ეს ქვეყანა, მხოლოდ შენია,
ნუ დაიჯერებ ქებას ვინც დღეს გიგზავნის კარგო
და ნუ გონია დღეს შენა ხარ ყველას ფერია...
სარკე არა გაქვს? ჩაიხედე ვის დაინახავ,
არც ფერია ხარ და არც ქალი რომ შენ მიყვარდე,
მე გვირილები ჩაგაწანი თმაში ერთ დილას
და შეგიძლია იმ გვირილებს ახლა პუტავდე...
მიდი და კითხე ჩემს გვირილებს, კიდევ უყვარხარ?
ვ უ ყ ვ ა რ ვ ა რ? არა მგონი აღარ ვ უ ყ ვ ა რ ვ ა რ,
აი, პასუხიც, მაგ გვირილამ გასცა შენს კითხვებს,
აღარ მიყვარხარ, წლებიც უკან აღარ ბრუნდება...
და აღარც მინდა მოიხედონ წლებმა წყევლმა,
დადი დამასვი შენ იმდენად სული მატკინე,
და სიყვარულიც სადღაც გაქრა აღარ არსებობს
და ძალიან გთხოვ არასოდეს აღარ დაბრუნდე.

არ მიღალატო!!

არ მიღალატო, მთხოვა პოეტმა,
და არ გამცვალო სხვაში,
ჩემი ლექსები არ შეიძულო,
არ გადაყარო ზღვაში.
და მეც მას მერე, კი ვუფროთხილდები,
ლექსებს, სიხარულს, მისას,
და რომც მინდოდეს ვერ შევიძულებ,
პირობა მივეც, ღვთისა!!
და გიხარია, ვიცი შენ ახლა,
მიცქერ სიცილით კვდები,
ვიცი დამიწერ შენ კიდევ ლექსებს,
ლექსებს, სიყვარულს, ვნებით..
და ამაღლელებ, როგორც ლურჯი ზღვა,
და შემეყვარებ უფრო,
მეც შენი სიტყვა თუ გამახარებს,
რომ მენატრება უღვთოდ.



რუსუდან სალუქვაძე



დავიბადე 1952 წლის 29 ნოემბერს, სამტრედიის რაიონში. აქვე ვიზრდებოდი დიდი დედასთან. სწავლა დავიწყე ოზურგეთის რაიონის ულამაზეს სოფელ ჭანიეთში.

სამტრედიის რაიონში გურულს მეძახდნენ, ოზურგეთში იმერულს. ვერ გავრცვეულიყავი ვინ ვიყავი სანამ ლექსი, „მე პატარა ქართველი ვარ“ არ ვისწავლე. 1972-1978 წწ ვსწავლობდი თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში.

1978 წლიდან 2004 წლამდე ვმუშაობდი ქ. ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკაში. უბედნიერესი ვიყავი, როცა პატარები ექიმის შიშის ნაცვლად ხელგაშლილები მეგებებოდნენ.

2005 წ. - 2008 წლემდე ვმუშაობდი ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს აჭარის ფილიალში. 2010 წლიდან დღემდე ვარ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის მოადგილე.

ქალბატონი რუსუდანი ჩვენი კრებულის ერთ-ერთი წარმატებული ავტორია.

ისევ

ხელი ჩამკიდე და გემუდარები
აღარ გამიშვა ისევ,
ჩვენ ისევ ისე ერთად ვიქნებით
გულს სიყვარული გვივსებს.
ხელი ჩამკიდე და მომიყევი
ძველი ზღაპრები ისევ,
ზეცას ავხედავთ იდუმალებით
სულს ფანტაზია გვივსებს.
ხელი ჩამკიდე და მომეფერე
ჰო, მომეფერე ისევ,
ყოველისმომცემი მღელვარებით
თვალებს დავხჭავ ისევ.
ხელი ჩამკიდე და ჩემთან დარჩი,
აღარ წახვიდე ისევ,
თორემ უშენოდ მწუხარებით
დავიფერფლები ისევ.
ხელი ჩამკიდე და აღარ დამტოვო
გემუდარები ისევ,
მეც სულ მუდამ შენთან ვიქნები
ისევ და ისევ.

ფიქრები

ფრაზები, სიტყვები, ბგერები, აზრები
დაუნდობლად შემომჯარვია.
ცნობიერების ლაბირინთებში ჩაკარგულები,
გამუდმებით ჩურჩულებენ შველას ელიან.
მთხოვენ ვუპოვო ყველას ადგილი,
გზა გაგუნათო და გავუკვლიო,
ავასხა, ავაწყო, ავაწკრილო,
ვუსმინო და სხვის გულებშიც ცეცხლად ავანთო.
მაგრამ თქვენ ფიქრობთ ეს იოლია?
როგორც მელანი ბურთულიან კალმისტარში,
ამის უნარი, სავალ გზაზე, გამომღევია,
სულ ერთიანად შემომხარჯვია.

თავისუფლება

ვერ დაეტია გული საგულეს,
ბობოქრობს, ფეთქავს გამალებული,
თითქოს რაღაცა მახე დაუგეს,
ის ხომ აქ არის დაბადებული.
ვერ გაეტია სული სასულეს,
თავისუფლება ისურვა ოდეს,
მწუხარება და ტკივილი იყო,
ეხეთქებოდა სხეულს საბურველს.
როგორ გაარღვევს ამდენ ბარიერს,
ამაზე ფიქრი ვერ ხდის თვინიერს,
თავგანწირული გულის ხმაურიც
არ ხდის გონიერს.
„თავისუფლება სულს ისე მოწყურდა“ არც ის აშინებს,
რომ ჩადენილი ცოდვა და მადლი
მოეკითხება ყველა სულიერს,
როცა გაივლის მრავალ საზღვრეს.
სურვილი იყო,
ოცნება იყო,
რომ შეუერთდეს უფლის საუნჯეს
და მის სახიერს.
ვერ დაიტია ჩარჩოებმა სიდიდე სულის,
რღვევა დაიწყო ყველა გარსმა რაც გარს ეხვია.
ამოისუნთქა, ამსუბუქდა გასცდა ეთერს, ატმოსფეროს,
ესეც კოსმოსი და გალაქტიკა. უსასრულობა.
დასრულებული სასოება
ვერავინ უსმენს.
ვინ გაუგებს
და მერე??
დიდი გლოვა და ტირილი იყო
იმათი, ვინც მას სანთლებს დაუნთებს.

აისბერგი

ჩვენი ცხოვრების სავალი გზა
ხან აღმართია, ხან დაღმართია,
ხან ფართოა და ნათელია,
ხანაც ბნელია.
დარდი, ვარამი ვერ მოვიწვლე,
ვერ შევცვალე, ვერ მოვერიე.
სულის სიღრმეში აისბერგად ჩაბუდებულა,
და ამის გამო გული ყინვით გაქვავებულა.
ცაბე ღრუბელი გამუქებულა,
საცალფეხო ბილიკს მივყვები,
შემოდგომა შემოპარულა
დაღამებულა.
დღეს ღამე უთენებიაო თქვენც გაგიგიათ?
ჰოდა, გათენდა გაანათა მზემ არემარე.
მწველი სხივების ათინათმა
გულის სიღრმეშიც შემოანათა,
ლღობა დაიწყო აისბერგმა,
ცრემლის წვეთებად გადმოდინდა,
რუდ გადაიქცა, შემდეგ მდინარედ,
შემდეგ კი მდორე დინებით ზღვას შეუერთდა.

ფიქრები

ფრაზები, სიტყვები, ბგერები, აზრები
დაუნდობლად შემომჯარვია.
ცნობიერების ლაბირინთებში ჩაკარგულები,
გამუდმებით ჩურჩულებენ შველას ელიან.
მთხოვენ ვუპოვო ყველას ადგილი,
გზა გაგუნათო და გავუკვლიო,
ავასხა, ავაწყო, ავაწკრილო,
ვუსმინო და სხვის გულებშიც ცეცხლად ავანთო.
მაგრამ თქვენ ფიქრობთ ეს იოლია?
როგორც მელანი ბურთულიან კალმისტარში,
ამის უნარი, სავალ გზაზე, გამომღეფია,
სულ ერთიანად შემომხარჯია.

ტრაგედია

იმ დღეს მზე იყო თბილისში დილით.
ქალაქი ნელა იღვიძებდა ჩვეული რიტმით,
ხალხი ქუჩებს ეფინებოდა მშვიდი ღიმილით,
უფლის რწმენით, მომავლის ფიქრით.
კეკლუცობდა ჩემი ქალაქი მზის ათინათით,
ყელზე შებმული პატარა ვერეს მძივით,
მტკვარზე ბიჭები ქეიფს აპირებდნენ ტივით,
თბილისი უნდა დაელოცათ ღვინით.
ტარტაროზი გაბოროტდა ამ სილამაზის ცქერით.
ტაროსი უცებ შეიცვალა, მზე წვიმით, თქეშით.
შავი ღრუბელი ჩამოაწვა ქალაქს თაღივით,
მოდოდა ვერე ნიაღვარივით.
ბოროტება ბობოქრობდა იმ ღამით,
ისეთი კაცს რომ არ უნახავს თვალით,
ტრაგედია ტრიალებდა ცოცხალი და გარდაცვლილი გმირებით,
საქართველო ამაყობდა ერთად მდგარი შვილებით.
მეორე დილა გაგვითუნდა გლოვის ზარით,
ქალაქის გული დაიფარა ლოდებით, შლამით.
მთელი ქვეყანა ერთად დადგა ტკივილით, დარდით,
გარინდებული სახეებით, თვალებში ცრემლით, ფიქრით,
კიდევ რამდენი ცოდვა დარჩა გამოსასყიდი
ქართველთა სისხლით.
თავის დახსნა რით შეგვიძლია ყველამ ხომ ვიცით,
თანადგომით, ემპათიით, სოლიდარობით,
მონანიებით, მიტევებით, რწმენით და ლოცვით.

რა დრო გასულა

რა დრო გასულა
დასაბამიდან დღემდე,
თითქოს მანძილი შემცირებულა
დედამიწიდან მზემდე.
როგორ ვხედავდი შენს თვალებში
მე ჩემს ანარეკლს არ მავიწყდება დღემდე,
შენი ვიყავი, ისევ შენი ვარ,

ვერ დაგივიწყებ მენდე.
ნუგეშს დავეძებ შენს ლანდში და
არ მინდა გლოვის ზარს ვცემდე,
რომ იცოდე როგორ მჭირდები,
როგორ მინდა მეფერებოდე და მამშვიდებდე.
მიშველე რამე, ცრემლი შემაშრე,
არ მინდა თავს სველ ბალიშზე ვდებდე,
შენი ვიყავი, შენი ვიქნები მარად მენდე.
შენზე ფიქრები, შენზე სიზმრები
მასულდგმულებენ დღემდე,
თითქოს მანძილი შემცირებულა
დედამიწიდან მზემდე.
რა დრო გასულა, რა დრო გასულა დასაბამიდან დღემდე.

ბათუმი

ულამაზეს აჭარის აჟურული მაქმანი.
ბაღებსა და ფანტანებში ჩაფლული,
ზღვის ალერსით ნაბანი,
ქართულ სიტყვის დიდოსტატთა აკვანი,
მასში ერთიანდება კოშკი და ქართული ანბანი.
მშვენიერი, ლამაზი, მორთული, მოკაზმული,
მრავალს უძღვნია მისთვის ლექსი სიტყვაკაზმული.
ვერასოდეს დაივიწყებს ერთხელაც კი მნახავნი,
ვერაფერს დააკლებენ მტერნი, ავნი, მავანნი.
ჩემი ქალაქი ჩემს გვერდით იყო ყოველი წამით,
მუდამ მიმზერდა თანაგრძნობით და მოწმის თვალით.
შეხვედრების ჩუმად ბაღში შემფარებელი,
ცხოვრებისეულ ნაბიჯების შემფასებელი.
მამშვიდებდა მისი სინაზე,
როს მოკრძალებით მიკრავდა გულში გათანგულს გლოვით.
მოდით, მოდით და ნახეთ ეს სილამაზე,
ბათუმი, როგორ გადაიბენთა სპეტაკი თოვლით.
ცამ დედამიწას ანგელოზნი მოავლინა თოვლის ფიფქებად,
ჩვენს მფარველად, ავი ფიქრების განსაქარვებლად.

თითქოს დაფარა ყველა ხარვეზი,
რაც ქალაქსა და ჩვენს გულში გვიდევს.
რა იქნებოდა, რომ შეგვეძლოს,
ფეხი არ დავდგათ ამ სიწმინდეზე,
არ ვიფიქროთ, მხოლოდ მზეზე ან უფრო მეტზე.

ანბანის კოშკი

არ ვიცი როგორ ვთქვა, რით დავიწყო,
ბევრს კი არ ვითხოვ,
გემუდარები მუშავ უნდა განმაწყო,
დუმილს ვერ შევძლებ, ფიქრი სტრიქონად უნდა ავაწყო.
ენავ ჩემო, ენავ ქართულო, იდუმალო არ წაბილწულო,
ვენახო ჩემო, ტაძრის კედლებზე ნაჩუქურთმეო,
ზღვავ ჩემო და ზეცავ ჩემო უკიდევანოვ,
თეთრი ქათიბით შემოსილო თეთრულდო ჩემო,
იებით იისფრად მოფენილო მინდორ-ველო,
კალმახებით ავსებულო მდინარენო ჩემო,
ლაშქარს დროშით გაძლოლილო დედაო ჩვენო,
მირონცხებულ მიწას ვუმღერ,
ნათელო, ბევრისგან გამეტებით ნათელო, ქვეყანავ ჩემო.
ო დესდაც, ხომ „დიდი ყოფილა საქართველო“,
პატარავდება, ცოტავდება, გესმით? ქართველო.
ჟრუანტელს მგვრის ამაზე ფიქრი
რანი ვიყავით,
სად მივდივართ, რა გვემართება,
ტკივილი მკლავს, ტირილი მინდა.
უფრო მეტი ერთობა გვემართებს,
ფიქრის, აზრის,
ქმედებების ერთობლიობა.
ღვარცოფისაგან უნდა დავიცვათ
ყველამ ერთად ჩვენი ქვეყანა.
შორიდან მზერა არას გვარგებს ვფიქრობ
ჩვენ ახლა,
ცოტაც და

ძალიან გვიან იქნება ალბათ.
წაგვლეკავს უცხო კულტურა, შური და ბოღმა.
ჭირისუფლობა არას გვიშველის, მაგრამ მე მჯერა
ხალხი ბრძენია. კვლავაც გვექნება ხალისი ღხენის,
ჯირითის და ჯომარდობის.
ჰანგად დაღვრილი ლექსების, ქვეყნის შენების, ეს უფრო
გვშვენის.

საქართველო

ზღვა ლურჯი და
ცა კამკამა,
მთა ზვიადი და
უმწიკლო.
მინდორ- ველი
ყვავილებით მოფენილი და
უნაკლო.
გადაშლილი ბაღ-ვენახი და
გალეწილი კალო,
გენი, ნიჭი, ენა, რწმენა და
მზის ათასფრად შუქის ფენა,
ჭირის დარდით გამოგლოვა,
სიხარული უზომო და
კარგი ღხენა.
ეს ხომ ჩვენი ქვეყანაა,
ჩვენი ტკბილი საქართველო.
ვინ მეტყვის. რომ ის არ არის სრულყოფილი და
უნაკლო.
გვევდრები დაიფარე ის უფალო.

გამოიდარება

გაავდრებულა.
ცაბე ღრუბლები გამურულა, გაავებულა,
ფოთლებზე ისმის წვიმის წვეთების
ცეკვა, მარულა.
მთვარე ზღვაში ჩაძირულა,
გემი ნაპირს გარიყულა,
იმედები გაფრენილა,
გულს წუხილი მოფენილა.
ცუდი ხშირად შემთხვევია,
ჭირი ლხენად შემჩვევია,
ბრძოლის ველის დატოვება,
უბრძოლველად არ მჩვევია.
შევჭიდებივარ ავდარს,
გგონიათ ვიყენებ რადარს?
ღვთის იმედით ველოდები
გამოიდარებას, კარგ დარს.
თქვენ, როგორ ფიქრობთ,
გამოიდარებს?
ჰო, გამოიდარებს, ალბათ.

მელანქოლია

ნუ შემპირდები დაფნის გვიგინებს,
და ნურც მიბოძებ შარბათს შხამიანს,
თორემ ეს გული მეხად იგრგვინვებს,
დავენარცხები ბალახს ნამიანს.
გამომეცლება ფეხქვეშ სამყარო,
ვერ ვუმკლავდები ფიქრებს ბოლმიანს,
არც არაფერი მაქვს საამაყო,
მელანქოლია მწვევია მგონი ვით მოდილიანს.
შავი ფერებით დავხატავ მიწას,
მწვანე ფერებით, სახლებს ბანიანს,
ლურჯი ფერებით გამოვყოფ ზეცას,

სერით კი,სახლის რიდესთან, ფისოს ბაფთიანს.
თუ მესტუმრები სუფრას გაგიშლი,
მოგენდობი, გულს გადაგიშლი და ჩუმად გეტყვი
მინდა ვემსგავსო კარგ ადამიანს.
ნუ შემპირდები ბედნიერებას,
და ნურც მიბოძებ შარბათს შხამიანს,
ნუ დამიპირებ გადაბირებას,
თორემ გვიანი იქნება მერე
და შენ მიხილავ ცრემლით ნამიანს.

ცხოვრების სიზოონია

ორი დღეა გადაუღებელი წვიმს.
ზოგჯერ ცრის,
ზოგჯერ ცა, დედამიწის ჭირ-ვარამს
მსხვილ საცერში სცრის.
ქალი ფანჯარასთან ზის,
ნატრულია მზის.
დარდიანი გაჰყურებს აღელვებულ ზღვას
და სანაპირო ქუჩის ლამპიონის რიგს.
თავს ვერ ართმევს ფიქრს,
სრულად ხილვა მოინდომა განვლილი გზის.
ნაღვლიანი ზის
და ქმნის თავის ცხოვრების მითს.
დრო გაჩერდა, სამ დე ფორმატს დაემსგავსა,
ყველაფერი ლაბირინთში ჩაიხლართა.
არ დანებდა,
წარსულს, აწყმოს და მომავალს,
სანთლით ჩუმად დაეძებდა
და დაბერდა.
ნაცრისფერმა, წვიმიანმა დღემ და ღამემ
სული თითქოს გაუყინა,
გონი სულ მთლად დაუბინდა.
სევდიანმა გაიფიქრა, მოკვდებ ბარემ.
ფანჯრის რაფას თავმიდებულს
ძილი ჩუმად მოპარვია,

ძილ ბურანში ჩაესმოდა წვიმის, ზღვის და ქარის
მელოდია, სიმფონიად.
მის ყურებას ვერ გაუძლო მზემ და მთვარემ,
ისევ ზეცას მოეფლინენ, გაბატონდნენ.
ჰოდა უკან დაიხია
წვიმიანმა დღემ და ღამემ.
ქარი ჩადგა, ზღვა ჩაწყნარდა,
ცაზე კიდევ მზე ათასფრად გაცისკარდა.
გაიღვიძა, გაიღიმა, მზის სხივების ათინათი
დამზრალ სხეულ უჩვეულოდ უთრთოლებდა.
სული გათბა, გული გალღვა,
დარდი გატყდა,
სხივის მსგავსად გარდატყდა
და იმედების ცისარტყელად აცისკარდა.

მე ვარ ღიღილო

საოცარია ბუნება ჩვენი,
მოგვართვა ძღვენი,
გაგვილამაზა ყოფა
და უსახური დღენი,
მისი წყალობით გვაკრავს გარშემო,
ეს სილამაზე სახიერი
და ყოვლის მშვენი,
მე სულ შენ გელი.
ვარდი, ლილია, ია კესანე,
გლადიოლუსი, გერბერი თუ შროშანე,
ყველას რა ჩამოთვლის
შენი კვნესა მე.
ზოგს ფერი მისცა გასაოცარი,
ზოგს სიდიდე და სიდიადე, ზოგსაც სურნელი
დაუვიწყარი, შეიყვარებ და შემდეგ სულ ელი.
დაიბენი, დაიგვიანე და ვეღარ ამჩნევ,
ყორივარდას და ფურუსულას

ვარსკვლავებივით, რომ მოუჭედავთ
ეს მინდორ ველი.
რა დავაშავე შენი კვნესა მე,
არ ვარ კესანე და არც სულელი,
მე ვარ ღიღილი, შენ ასეთი უნდა მიმიღო,
და მკერდს საკინძის ღილად მიმიკრო.
როცა შეჰყურებ მშვენიერებას,
მარადისობა და უკვდავება გიპყრობს ანაზდად,
ამაყნი ვხდებით და გვაგიწყდება,
წუთისოფელი წუთია მხოლოდ.
ყვავილებივით ავყვავილდებით,
ავფერადდებით
და მერე ვჭკნებით,
მერე კი ვკვდებით.
მე ვარ ღიღილო
და მაინც მინდა გაზაფხული,
მზის სხივები და ნამის წვეთი,
ერთი წუთით ისევ ვიხილო.

მამული ციდა

სულ ერთი ციდა მიწა გვიბოძა უფალმა ქართველთ,
სულ ერთი ციდა.
გვიმზერდა ციდან ყოველ ჟამს ბედი
თუ როგორ გვცდიდა.
ჩვენი მამული ყველას მოსწონდა,
თუმც ყველა მტრობდა.
ყოველი მხრიდან ცუდი ზრახვებით ბევრი უტევდა.
კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ,
ქართველ ვაჟკაცთა თავდადება მტერს წინ ხვდებოდა,
ეს აკვირვებდა და ყოველთვის უკან იხევდა.
სულ ერთი ციდა მიწა გვიბოძა უფალმა ქართველთ,
სულ ერთი ციდა.
როგორც ჩვენ მაშინ, თქვენც ისევ ისე მოუარეთო
წინაპართ უთქვამთ.
დაიცავითო საზღვრები წმინდა,

ენა და რწმენა.
არ მოშალოთო ბუხარში ცეცხლი,
აკვანში ბაღლი, ბეღელში პური,
ვენახში ვაზი, ქართული ცეკვა,
ქართული სიტყვა, ქართული ჰანგი.
სულ ერთი ციდა მიწა გვიბოძა უფალმა ქართველთ,
სულ ერთი ციდა.
ჩვენ რას ვაპირებთ,
ვუღალატოთ წინაპართ ანდერძს,
მუჭა-მუჭა დავანაწილოთ
ღვთის ბოძებული მამული ციდა?!

გაზაფხულის მოლოდინი

შავი ღამე თეთრად გათენებულაო,
დარდი გულში ჩახვეულა,
ჩაბუდებულაო,
ცისკრის ვარსკვლავს ვეგებები,
უკვე გათენებულაო,
ცაზე ღრუბელს ავხედე და ჩამუქებულაო,
ზღვა კი მართლაც შავი გახდა,
გაავებულაო,
გული თითქოს აღარ მიცემს,
გარინდებულაო.
შემოდგომა მიიწურა.
ეს ხეები ფოთოლცვენას
როგორ შეგუებულაო,
ჭირნახული ბეღელს შეფარებულაო,
ქვევრში მაჭარი დუღდა,
უკვე დაღვინებულაო.
ბამთრის სუსხის მოლოდინში
სუნთქვა გაჩერებულაო,
ჩამქრალ სულში გაზაფხულის მოლოდინის,
სხივი გაბრწყინებულაო.



მარინე ჭყონია



მე მარინე ჭყონია დავიბადე 1955 წლის 20 იანვარს საქართველოში ლანჩხუთის რ-ნი. ს. ჩიბათში. ვცხოვრობ ბათუმში. 1972-77 წლებში ვსწავლობდი ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. პედაგოგიკისა და მეთოდოლოგიის ფაკულტეტზე. შრომითი საქმიანობა დავიწყე 1975 წელს ქ. ბათუმში. ვმუშაობდი სამ განსხვავებულ სისტემაში. (ცეკვაში, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროში) სხვადასხვა თანამდებობებზე.

1972-77 წლებში სტუდენტობის პერიოდში არჩეული ვიყავი ინსტიტუტის სტუდენტთა ამხანაგური სასამართლოს თავრედ. და სახალხო მსაჯულად ბათუმის სახალხო სასამართლოში. ვიყავი ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სამეცნიერო საბჭოს წევრი. მქონდა ორი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წაკითხული იქნა ცხინვალისა და გორის პედაგოგიკაში სტუდენტთა სამეცნიერო კონკურენციაზე. მომენიჭა I ხარისხის დიპლომები. „წარმოსახვა“. დღეისთვის ვმუშაობ ქ. ბათუმის №9 საჯარო სკოლაში პედაგოგად. ვარ აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის დარბაზის წევრი. ქართული ერთობის დარბაზის წევრი. ა(ა)პ მწიგნობრის წევრი. მუშაობის პერიოდში მრავალჯერ დაჯილდოებული ვარ ფასიანი საჩუქრებით, ფულადი პრემიებით. საპატიო სიგელებით. ჩემთვის თითოეული მნიშვნელოვანია. გამოვყოფდი ორს. „პატივების სიგელს“, რომელსაც პატრიარქი აწერს ხელს. და მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ახვლედიანის „საპატიო სიგელს“. მჯერა ასტროლოგიური გათვლებისა და ქირომანტიის. უძველესი ტაროს კალენდრის მიხედვით წარმოვადგენ ძალას რომელსაც ახშობენ ძალით. „სიკვდილი საზღვარ გარეთ“ ესეც ბედის ირონია სხვაგვარად ფათურაკებთან ერთად. რამაც მათქმევინა „ღმერთო მომგვარე კუბოში ჩამდევნი, მიწა მომაყაროს უგონოდ გათიშულს მიწა ქართული და არა სხვა ქვეყნის გულთან რომ დაჰქონდათ ემიგრანტ ქართველებს“ ჟამისა ამისა დადგომამდე წინ გზებია: სიხარულით, იმედით, ტკივილითა და ფათურაკებით სავსე, რომელზედაც ამაყად თავაწეულმა პირნათლად უნდა გავაგრძელო სიარული. ჩემს თანამოაზრეებთან და მეგობრებთან ერთად. მოვიხადო ჩემი ვალი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ვიყო მართალი საკუთარ თავთან და ხალხთან. ყველანი მიყვარხართ. გაიხარეთ და იდღეგრძელებით. ვაკეთოთ კეთილი საქმე. ვთესოთ სიკეთე. ღმერთი გვფარავდეს ჩვენ და ბედკრულ ჩვენს საქართველოსა, მრავალჯამიერ აწ და მარადის უკუნისი უკუნისამდე.

წარმატებები მინდა ვუსურვო კეთილ ქალბატონ მარეინე ჭყონიას!

ამ ქართულ მიწაზე

აქ, ამ მიწაზე, ბატონობდნენ ატლანტელები.
გონით და ნიჭით სივრცეებზე ანაცურები.
ნეტავ რა ენით,
რა სიტყვოსნობით, რა რელიგიით სულმართულები.
სიბრძნის როგორი მარგალიტით მზენაწკურები.
აქ, ამ სამყოფებს პატრონობდნენ ტანმართულები.
ამ ქართულ მიწას, ჭიგოსავით ჩაჰკონებია
რენესანსები იმ ეპოქის, ფერფლადქცეული.
მაგმა-ლავაში, ვულკანებში შენივთებული,
ჟამს შეჰყინვია, მათი სულის ღაღადისებით.
ამოუცნობ, შეუსწავლელ ფასეულობით,
მისტერიურ თუ ფანტასტიკურ სასწაულებით,
ამ ქართულ მიწას განაგებდნენ ატლანტელები.
ამ სამზეოზე...
სანამ ქართველთ ჯიშ-ჯილაგი გამრავლდებოდა,
არ გუგუნებდა დიდი ერის საგალობელი,
დროს აითვლიდა ტაო-კლარჯული ციხეკოშკები
და სანამ...
მცხეთას ბატონობდა ფარნავაზი,
პონტოს, მითრიდატე პონტოელი,
ფრთებს აიკეცდა დიაოხი და ტაო,
წამებს ითვლიდა ეგრისელი თუ სპერი,
იულიეს კეისარი პომპეუსს დაიპყრობდა,
აივტი-ოქრომრავალ კოლხთა მეფე იკოლხებდა
იბერიის მეფე ფარსმან იმეფებდა...
ყოფილა უცხო, ცივილურის ხანა მზიანი.
როცა ატლანტები ძალებს ისინჯავდნენ,
ფლობდნენ ამ სივრცეებს უსასრულოს,
მაშინ არ იყო ათვლის წერტილში,
დროის მერმისში აალებული ჩემი საქართველო.
სიტყვა ქართული, დღეს სამომავლო.
და როცა აინთო ჩაუქრობ ჩირაღდნად,
სამარადისოდ დაიმკვიდრა ჯიში და გენი,
ერმა ძლიერმა, საოცარმა, მზე მადლიანმა,

ანბანიც შექმნა ნუსხურ-ხუცური,
კოსმოსში აფრინდა სიმღერა ქართული,
„დაუსრულებლობის ფრთები აგუგუნა“,
ქართულმა სისხლმა და ქართულმა მოძახილმა.
ზვავთა გუგუნი და მეხთა ტეხა,
ჩანჩქერთა ხმაური, ქუხილი ზღვათა,
გრვინვა მთების და სუნთქვა სიოთა,
დედის ნანა და ვანოს ურმული
ქართულ ანბანში აბრიალა,
ქართული ცის თავანს შეადულაბა,
თვალაღმასა ვარსკვლავებთან ათამაშა
უფლის ნებით დამოდღვრილმა წინაპარმა.
კლარჯულმა სისხლმა, კოლხურმა სულმა,
ნიჭმა და გენმა წმინდა ქართულმა
ჯიშმა ძლიერმა, უძლეველმა,
და მათმა ვაჟკაცურმა მოძახილმა.

შემოვა და განთავსდება

სულში მხოლოდ მაშინ შემოგათოვს,
გულში მხოლოდ მაშინ გაწვიმდება,
როცა თქვენს გვერდით არ ვიქნები,
ამა საწუთროს დასასრულით.
მე კი, თქვენთან მაინც სულ ვიქნები.
მუდამ მიყვარხართ და მეყვარებით.
ჩემო მიწიერო მეგობრებო.
თქვენთან მოვა ჩემი ოცნებები
იდუმალ ვედრებით ნავარდები.
თქვენგან უჩინარად, შეუცნობად
სული ასტრალში განფენილი,
თქვენში შემოვა და განივთდება
ფერთა საოცარი გარდასახვით,
ჩემი ბედისწერის დასასრული.
ლოცვის საოცარი განდიდება,
დიდი იმედები ამაღლების,
სივრცის საოცარი განჩინება,

შეუცნობი ღვთიური სასწაული,
ჩემი იქაური ყოფის ყოფნა,
თქვენთვის, მხოლოდ წამით შეიცნობა.
და წამიერად აფეთქდება
სულში ატეხილი ქარიშხალი,
თოვლის ფიფქებად რომ შემოგათოვთ
წამში ჩემი სულის ორეული.
რასაც ერქმევა ჩემო ღვთაებავ
მარადიულის იდუმალური დასაწყისი.

იყო- რას იქ იყო

იყო წამი,წამიერი
იყო წამიერში- წამიერად
მარადიულად შეცნობილი
ასტრალში უფლის ნება.
იყო ზეციური შარი-შური,
ცათა ზედა და შინა
კოსმიურ გალაქტიკათა
კეკლუცი თავდაყირა.
დროში-ზღრულში და არა ზღრულში,
ყოფნა არყოფნის ზღვართან
მარადიულად უსასრულო
დროის და სივრცის ურთიერთყოფა.
იყო შეცნობილი, ზეხილული,
დროში მარადიულ სულის
განფენა გაასტრალება.
ფერთა საოცარი გამით,
უზომოდ შესაშური,
დიადი პომპეზური.
გმადლობთ უფალი იმ ნებისათვის,
რაიც მიბოძე.
გმადლობთ უფალო ყოვლის შემძლე
განგების ნებით,სასუფეველსა
ცათა შინა განავარდებით,

ზესამყაროში სულის ჩემის
განფენის ხილვით.
სადაც შევიცან თავი ჩემი
თეთრი ციალით და სიკაშკაშით
პატარა წრეში.

აისის დილას

ვარსკვლავებით გადაჭედულ ცაზე
სევდიანად ამღერდება მთვარე.
საკინძესაც გადაუხსნის მზის გულს,
ჩაეკვრება გარიჟრაჟის დილას.
და ჩამოღვრილ მარგალიტის ცრემლებს
შემოაფრქვევს ნაკადულის საწოლს.
იქ, ცრემლებზე ამოსულია,
ეს სიცოცხლის ლურჯი საოცრება,
ოქროს ძაფით ამოქარგულ კაბას,
გადააცმევს მინდორსა და მთაბარს.
ყვავილებით მოწნულ გვირგვინს
გაუგზავნის წყაროს მორაკრაკვს.
ვარდი კოკორს უმცვრევს უთენია,
რომ უსმინოს ბუღბუღს ამღერებულს,
მიჯნურს ტურფას, მისთვის თავდადებულს.
განთიადი თვალს ჩაუკრავს ტატნობს.
ქორბუდა კი ყელს მოიღერს ტევრში.
შეერწყმება მზეს, სიცოცხლის წყაროს.
თვით დაბადებას და აღზევებას
დაავგვირგვინებს აისის დილა.

ადამიანმა

ადამიანმა თანაზიარმა
ცოდვისა და მადლის,
სიკეთისა და ბოროტების,
სიყვარულისა და სიძულვილის,
გონიერებით თუ უგუნურობით,
მზაკვრობით თუ გულგრილობით,
ნებით თუ უნებლიეთ
დაიხშო თვალი,
დაიცო ყური,
თესა თესლი ბოროტების,
სარეველასავით სწრაფმდები.
სიკეთეც თესა,
მაგრამ...
გააფერანა უდაბნოს ქარმა.
გრგვინავს ბოროტება,
ებრძვის სიკეთეს.
ღმერთო-აუხილე თვალი ადამიანებს!
გაუნათე გონი და სული!
გაუთბე გული,
დაანახე სამყარო,
და შეაძლებინე სიყვარული იმისა,
რისი ბატონი-პატრონიც თავათვე არის.
ღმერთო-აზიარე ადამიანი
წმინდას და ამაღლებულს.
დაანახე სიკეთე და სილამაზე.
ემსახუროს თავისთავს და ერს,
ქვეყნისა და მომავლის საკეთილდღეოდ.
შეიცნოს უფალი და თავი მისი.
იცოდეს პატიოსნებისა და ერთგულების ფასი.
იგრძნოს განსაცდელის ჟამს
ერთგული მეგობრის გამოწვდილი
ხელის ძალა.
იყოს კაცთმოყვარე,
არა მოძულე თუისისა მისის.

გაზაფხული საპატარძლოდ მოგროთავს

კუნაპეტი ღამე, იდუმალი მდუმარებით
კლდენაშალი სანაპიროს შემზარავი მზერა,
ზღვა მბორგავი, თავისთავში დაუტევი,
სულ არ შვენიხ ჩვენს პატარა ქალაქს.
ქარბორბალას, სტიქიას და აზვირთებას,
აქუხებას, მეხთატეხას, გრგვინვას,
გაუძელი „წვიმიანო მზიანეთო“
აილაგმა ზამთრის ცივი ვნება.
გაზაფხული გულის გაგითობს გათოშილს,
ყური გიგდე და თვალები ამეცრემლა.
მძინვარე ზღვამ შემახსენა ეპოქები,
ჩაძირული ქალაქების სასაფლაო.
იდუმალი სასოებით ნაზმანევი
გარდასული დროის დროში ცვეთა.
და მე მესმა შემზარავი ღაღადისი
წყალქვეშეთში ჩაფერფლილი ცივილური ერის.

მე ის ვიხილე

....და მე ვიხილე სული ჩემი სხეულს გაყრილი,
ასტრალს ნანატრი გარდაქმნილი, გარდასახული,
თუ როგორ გასცდა ცისფერ პლანეტას სევდიან მზერით,
მამაზეციერმა წამიერი მინიშნებით
წამიერად მისტიერმა მისვე საუფლოში.
და დიდი სულეთის გაბრწყინდა ცისკარი.
ვიხილე სიცოცხლე სხვა განზომილებით.
მიჯაჭვულ ამირანს აპყროდა ბორკილი,
თავზედაც დაედგათ უფლისგან გვირგვინი.
მას ხელში ეჭირა ოქროსი საწმისი.
იქ, თასით ოქროთი, უფალი ღოცავდა
საუფლოს თავისას, ქართველთა მისართმევს.
ზეცას ამკობდა ვერცხლისებრ სიმებით
მადლის ნათელი, წმინდა და უბიწო.
ჩემს საქართველოს, სამოთხეს ღვთისმიერს,

გზა გაუნათე სისხლით მორწყული.
უფალო ჩვენო, შეიწყალე სამყოფი ჩვენი.
ქართული ჯიშო, ქართული სული გადამირჩინე.
ამ ლამაზ წალკოტს ნუ დატოვებ ქართველთ გარეშე,
ამას ღალადებს სული ჩემი, სხეულს გაყრილი.
ქართველზე მეტად ამ ზურმუხტედში
ღაღობს, ზეიმობს უცხო ტომები.
თურქი, ჩინელი, არაბი, სპარსი,
ბედკრული ზოგი და სხვა მრავალნი.
სანაპიროზე საღამოობით, ვეღარ მოისმენ საუბარს ქართულს.
თუგინდ ზღვის იყოს, თუნდ რიონის, თუნდაც მტკვრის.
ტომები უცხო, აქ ეუფლება ყოველგვარ ქართულს,
და გვეცილება მიწა-წყალს ძირძველს
ქვემძრომელობით, ურცხვად და ჯიქურ.
სურთ მიითვისონ ქართული სივრცე,
ისევ მსახვრალი ქართველის ხელით.
გონს მოიყვანე ის რეგენი! ამასვე შეგთხოვ.
სანამ ქვეყანას კიდევ შერჩა თავისი მკვიდრი,
და სანამ, ქართველს გული უძგერს მებრძოლი სულით.

ჩემი გამა და ნოტი

მე ის გამა და ნოტი ვარ,
ის ჯადოსნური ლურჯი ფერია,
შენ რომ ეშხსა და სინაზეს
გრუქნის უნაზეს ფერთა.
ვარ გაელვება ცაზე,
და ნისლი ხელისგულზე,
მთაბარს რომ შვენის შენსას
ლურჯთვალა გაზაფხულო.
ის ჩურჩული ვარ ხეთა,
და სიყვარულის ქროლვა,
ჩუხჩუხა ნაკადულით
შენ რომ გინამავს კალთას.
ის სამოსი ვარ ფარჩა,

და მზის ნატყორცნი სხივი,
გადამწვანებულ მთებში
მყვირალობას რომ მოჰყვია.
ვარ აქუხება ზვავთა,
მეხთათეხა და თქორი,
ხევში ჩაკიდულ მთვარეს
ბუღბუღთა სტვენა მოაქვს.
ვარდი ილიმის მორცხვად
იასამანი გადაეხვია ზამბახს
ამ გაზაფხულზე ამღვრებული
შენია ჩემი საგალობელი.
ანასტასია, ანასტასია
შემოდის ჩემში შენი სურნელი.
იავნანად და ნანატრ ღიმილად.

დაუსრულებელ სიცოცხლედ

სულო განწმენდილო და თავის უფალო,
ზესამყარო ასტრალის, მაცნე შესაცნობარი.
განივთდი და განმანივთე ზეკოსმიურ ძალებთან.
დროში განფენილი უცხო მატრიცაზე
ვჭვრეტდე ამოუცნობს, პრაქსიცელის თვალთ.
მასშენინე ენა ოდესღაც სულდგმული
იდუმალი სივრცის, ფერფლში ჩაკირულის
მაიათა ტომის, ატლანტიდელების,
ტკივილად და სევდათ სულში შემოჭრილს.
აღორძინე ის წარსული დიდება
ღმერთო დიდებულო, შენივ ძალისხმევით,
კრატერების მილიდან, ოკეანის ფსკერიდან,
ბევრი შავი ხვრელიდან.
და ის ყოველივე, შეუსწავლე კულტურის,
თავდაპირველყოფილი
რენესანსულ ეპოქის, ცივილურ სამყაროს,
ხალხითა და ერებით დამანახე გვერდი.
ენა მიბუღბუღე მათი,

და ის საიდუმლო მანდე,
თუ რად შეირისხენ ასე.
იქ, იდუმალი გზა-ბილიკები გამაკვალინე.
ჩასვენებული მზე და მთვარე ამომიბრწყინე.
მითი ამითე, ლეგენდები ამილეგენდე.
მიძინებული სათნოება გამომიფხიზლე.
სული სამშვენად რომ შემორჩეს შთამომავლობას.
ამ ცივილურის კოსმიურ ჭვრეტით,
უმაღლეს გონის მატარებელ კიბორიგებში.
(1000წლამდე, რომ ცოცხლობენ და აქვე არიან).
ამა საწუთროს შემქმნელო და თვალთმხილველო,
გვედრი დაროქილი, შეგთხოვე მოწყალებით,
კიბორიგების გენის ნასხლეტი
ჩამიფესვე და ამიყვავილე სულში.
იგაზაფხულოს, იზაფხულოს, იშემოდგომოს.
იჭირვეულოს, იბობოქროს, ზოგჯერ იზამთროს.
დაუსრულებელ სიცოცხლედ ჰქუხდეს ჩემში,
სრულყოფილების ჭეშმარიტებად იღიმებოდეს შენში.
ღმერთო ძლიერო!
ყოვლისშემძლე, ყოველთ მსაჯულო,
კიბორიგენის გენი ამიყვავილე სულში.

მე მარად (ისობაში)

სული, სხეულს გაყრილი
ცის კაბადონს მზირალი,
დალოცვილი უფალით
ასტრასლს შესატოტარი,
არის მარადიული
დიდი მარადისობა.
დროის უსასრულობით,
სივრცისა და სამყაროს
ნაწილაკად ქცეული.
გვედრები უფალი
მარადიულ სამყაროს
დროის დროში მამყოფო.

რომ შევიცნო იმ სივრცის
უსასრულო მყოფადი.
გონისა და გულის
განივებულ სულის
მოდარაჯე თვალით
მარადისობაში და,
ამოუცნობ სამყაროს
დროში სამოგზაუროდ.

მარადისობაში მარადყოფნობისათვის,
ქართულ ანბანში და დენემის კოდში,
ანში და ჰოეში, ალფა ომეგაში,
რომ შევიცნო თავი ჩემი,
მომე ჩინი უჩინოს
იმ მესამე თვალის.
იმ ჩაკვრების სრულყოფით,
რაიც მოგვცა უფალმა,
თავდაპირველყოფის.
დაბრუნე ჩემში თავდაპირველყოფილი -
ნატვრისთვალად, მზისთვალად.
შეისმინე ეს ვედრება გამჩენელო ყოვლის.
მე მარდ (ისობით) და ჩემი მისნობით,
არ მინდა ვიხილო -
მზე ჩასვენებული, მოკვდავი მთვარე.
მიმქრალი ვარსკვლავეთი, სამყარო წყვედიადში.
მეორედ მოსვლა და ქაოსის ზეიმი.
ნიღბით თუ უნიღბოდ, სული გაძარცვული,
გული განგმირული, არ მინდა ჰქონდეს არავის.
ბორკილ დადებული, ხუნდში მომწყდევულო
სულო იბრძოლე და იქარიშხლე.
შენი უკვდავება დამანახე ჩემში!
ამიხილე უფალო ის მესამე თვალი,
ცოდვისაგან განვბანო ემბრიონი სამყაროს.
დ ა ვ ა შ ო რ ი შ ო რ ო
ყოფნა არყოფნის ზღვარზე ნაბრძოლი

ეს ცა და ეს მიწა, ეს დედაბუნება,
მოწმე ნგრევის და კვლავაც აღდგენის,
განძარცვულისაც, აღზევებულის.
ცისფერი პლანეტა ჩემი,
მისი მზითა და მთვარით
დაე - ჰყვოდეს წალკოტში,
სამარადჟამოდ უკვდავყოფილი.
და ამ სამყაროს მინდა ვიყო მე,
ბუნების ცრემლი უფლის ნაკურთხი.
იოსეს სისხლი, ღვინის ნაჟური.
სიცოცხლის წყარო დაუშრეტელი,
ზვირთების ექოდ მიმომქუხარი.
ა მ ო მ ღ ე რ ე ბ ა ც -
მარადყოფნული შარავანდედით სხივშემოსილი,
აჟღერებული დრო და სივრცეში
შეცნობადიც და შეუცნობადიც,
როგორც სიმბოლო არა კვდომადი
იდუმალური თვითმყოფადობის.
ტრანსცენდენტული ზესამყაროდან
მოვლენილი და მარადიული.

ტკივილის და სიხარულის ერთი სრემლი

დიდი სამამულო ომის მონაწილე დედისა და დეიდას
გენა და თინა ორმოცამეების ხსოვნას

მწუხრი გადაკვროდა, მისთვის ჩუმად ტიროდა
შაოსანი ქალი, ანგელოზის სადარი.
სევდა დატყობოდა მთა-ველსა და ბარს,
წუთით მზესაც დაეკარგა სხივი.
ჭრელი კანი ასკდებოდა გველს.
ტანი მისი გაჩხეროდა ხვრელს,
და ანთხვევდა მაკვდინებელ შხამს.
ის ითვლიდა სააქაო წამს
თვალი მისი, შეჰყინოდა ჟამს.
მთვარე არაკს უამბობდა ქალს.

თალო ობლად აკვნესებდა თარს.
თირმა,ნაზად მოსალტვოდა ტანს,
ქალი უკვე არ იღებდა ხმას.
სიოს სუნთქვა მიმოჰქონდა ქარს,
და ურხევდა დალაღს, ვითარც ქნარს.
ია, მორცხვად მათ უხრიდა თავს.
ღერწი გადახლეჩოდა გადაკვირტულ ვაზს,
ერთი ცრემლი სდიოდათ, ერთნაირი სისხლი
ქალს მშობიარეს,
პურის ყანებს და ზვრებს მსხმოიარეს
ერთი ჰქონდათ დარდი, ვარამი და წყლული,
სიხარულიც ერთი, სადიდებლად ერის.
დიონისე ერთი თასით ერთნაირად ლოცავდა,
ქალს-სიცოცხლის წყაროს.
პურის ყანებს თავთიუხიანს,
ზვრებს ვაზისა ბადაგიანს.
ფესვი ერთი უღვიოდათ, გული ერთი უძგერდა,
სული ერთი ტკიუდათ,სიო ერთი უქროდათ,
ერთმანეთის შემყურეს, ულამ-უთენდებოდათ,
ქალში - ვაზის მტევნებს, ქვევრში ჩასაწურავს.
ვაზში-ქალის წმინდა მანდილს უბიწოს.
დედას-ერის სიძლიერეს, სიამაყეს,სიწმინდეს.
პურს-თონეში ჩასაკრავს,ძალას არსობისა.
ერთნაირად სასტიკი და შერისხული
იყო ცრემლი უღმობელად მიმდინარე,
მღვრიე სისხლის მდორე მდინარეთა,
მტარვლის ხელით აჩეხილი ვაზის და,
გადამწვარი პურის ოქროსფერი ყანის.
სიცოცხლე წართმეული, შვილმოკლული დედის,
დის ცოლის და ჯარისქალის, ჯარისკაცის გვერდით,
სანგარში თუ ბრძოლის ველზე, იარაღით ხელში.
ფესვი გადაჭრილი,გული გადახსნილი,
მიწა ნატყვიარი სისხლით გაჟღენთილი,
ზოგჯერ შინაურის ხელით დაისრულიც
თოფი, მოკეთისთვის მათგან შეწკიპული,
სული,ვერშესამჩნევ შურით შენიღბული,
ცეცხლი, წასალეკად მათკენ მოარული,
მტერი, მუშურნე და ხარბად მომზირალი
მზაკრული მიზნებით და მზაკვრულ ჩანაფიქრით
ერთნაირად ტკივათ,ეწვით,ედარდებათ
ვაზის ზვრებს და პურის ყანებს.
ნინოს ჯვარზე მლოცავთ, მონას ღვთისა.

ბერი, მონაზონ, უფალს ავედრებდა
მსახურობას, მფარველობას ერის და ქვეყნისა.
ეს წარსულია ჟამს შერჩენილი,
და წარსულშივე დარჩეს წკვარამად.
მტარვალი იყოს ყველა, ქვეყნისთვის
ვინაც პირნათლად არ გაიხარჯა.
მუჯამართ, წმინდა ჯვართი განწმენდილი,
ღვთითკურთხეულ ამ მიწას ლოცავს პატრიარქი.
სიამაყით ავსებთ გმირი წინაპარნი,
ახალ საუკუნის ახალი გმირებით,
მებრძოლ პათოსით და მებრძოლ შემართებით,
ქალში-ვენახს, ქრისტეს სისხლით და ბახუსით შეზავებულს.
ვაშში-ძალას დაუძლეველს, სხეულს იოსესას.
ტკივილი და სიხარული ერთი აქვთო, ერთი!
გვმოდღვრავდა და გვასწავლიდა ღმერთი, მამაღმერთი,
პურის ყანებს, ვაზის ზვრებს და ქალს მშობიარეს.
ვაშში-ქალის ცრემლი, და ჯოკონდას ღიმლი.
ქალში-ვაზის ჯვარი, ბიბლიური სიბრძნით,
პურში-ძალა არსობის წყალით მაწყურებლით
არის ფენომენი, მტრისთვის ჩაუწვდენი.
სიმტკიცე და რწმენა, ვერვის დაუღვევი.
წრფელი სიყვარული, მრავალფეროვნებით
და ცხოვრების გზებით, გამოცდილებებით.
ჭირთათმენა, გამძლეობა, სიუხვე და მრწამსი,
ტკვილი და სიხარულის ცრემლი.
ერთ სულ-გულად, ურთიერთში ჩაწნულან,
ვაზის ზვრების, პურის ყანის, დედა-დედაკაცის.
ერთი ცრემლით ტიროდა და ხარობდა,
ერთი გულით ტკიოდა და მზეობდა,
ქალი მლოცვარე და ზვრები მსხმოიარე.
ჭირვარამში, ლხინში სადიდებლად ჩვენთა,
მამაზეციერი ერთი თასით ლოცავს
როგორც ერთი მთლიანი, არის არსობისა,
ახალ იმედის და, ახალ სიცოცხლისა,
ქალში-ვაზის მტევნებს, ქვევრში ჩასაწურავს,
ვაშში-ქალის პირმშოს და ბურჯს მომავლისა.



მაია ხოფერია

დავიბადე 1962 წლის 1 მაისს ქ ფოთში დამთავრებული მაქვს სამუსიკო სასწავლებლის თეორიული განყოფილება, 1981 წელს ქ. ფოთში.. მაქვს პედაგოგად მუშაობის 20 წლის გამოცდილება, 2000 წელს



წარმატებით დავამთავრე ქ. თბილისში გამსახურდიას სახელობის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ბოლო წლები ვიმუშავე საქართველოს დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ოფისის მენეჯერად, მყავს მეუღლე და ორი შვილი, ვცხოვრობ თბილისში... ქალბატონი მაია ჩვენი კრებულების წარმატებული ავტორი გახლავთ. დღეს მის ლექსებთან ერთად შემოვთავაზებთ მეგობრის, ნანა ბარაიას თვალით დანახულ მის პორტრეტს: „იმვითაა პოეტი ქალბატონი, რომელიც მხოლოდ სიყვარულზე წერს ლექსებს.... ვინ არის? მას გაცნობა არ ჭირდება... ის მაიაა,ჩემი მეგობარი მაიკო...“

ჩემო ერთგულო მეგობარო, ჩემო ბავშვობავ, მაკო, საყვარელო... რაოდენ ტრაფარეტული არ უნდა იყოს ჩემი სიტყვები, ის მხოლოდ გულიდანაა ამოთქმული და სწორედ შენისთანა ქალბატონისთვის /მეგობრისთვის / მემეტება...მთავარი ის კი არ არის ვისზე, ან ვისთვის წერ, მთავარია, რომ ხარბად ისურთქავ იმ ჭეშმარიტებას, რასაც პოეზიის სიყვარული ჰქვია... გრძნობ, ეწაფები, წერ და სიცოცხლის, სიყვარულის ხალისს აღვიძებ

ადამიანთა ცნობიერებაში... განა იმისათვის არ იშვა ვვა, რომ ადამი ჰყვარებოდა? ზეციდან ქვევით დაშვებულიყვნენ და მიწაზე განეგრძოთ ცხოვრება... შენ? შენ პირიქით,მიწიდან ზეცაში აგყავს და აღმერთებ სიყვარულს..... აი, სწორედ ეს არის პოეტის დანიშნულება, რომელსაც შენ ჯერჯერობით კარგად ართმევ თავს... შენს პოეზიას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, რისთვისაც მადლობ უფალს. ეს სიყვარული ღვთის

სარუქარია და მას გაფრთხილება სჭირდება... ვერასოდეს შევეგუები იმ აზრს, რომ ერთხელაც კალამს გადადებ და შენი ლექსებით აღარ გაგვანებივრებ, რომლითაც ხან გვებუტები,ხან გვეფერები, კოპლებიანი კაბითაც გვეგებები,ხანაც ჯადოსნურ ღამესთან ერთად საოცარ ნეტარებას

განგვაცდევინებ ხოლმე... მთაწმინდის აღმართში ფეხშიშველი გვარბენინებ, რათა შევიგრძნოთ ის ღვთაებრივი გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია...

„როდესაც გიყვარს,
ცელქობ და ანცობ.
პატარა გოგოს
გავხარ ბაფთიანს...
როდესაც გიყვარს
სამყაროს იპყრობ,
დარდი სახეზე
აღარ გატყვია...
როდესაც გიყვარს
სიცოცხლე გიყვარს
და სიყვარულით
ხდები ფერია...
როდესაც გიყვარს
არ დარდობ სხვებზე,
როგორ იტყვიან
და რას იტყვიან...
როდესაც გიყვარს
ულიმი ყველას,
სიყვარული ხომ
რჩეულთ ხვედრია"...

კეთილი სურვილებით ნანა ბერაია

ჩემი სიყვარული ასეთია,
ცოტა ბუბია და სანატრელი,
ღმერთო დაიფარე , ის ვინც მიყვარს,
ღმერთო აგვარიდე განაჩენი...
ჩემი სიყვარული ივლისია,
ქვიშა, ცხელი მზე და ატმისფერი,
ჩემი თვალებიც ხომ ისეთია,
შენი თვალებივით თაფლისფერი...
ვხედავ სიყვარული სასჯელია,
ანდა ირონია უსაშველო,
მაგრამ ეს ცხოვრებაც ასეთია
და მეც აღარ ვიცი, რით ვუშველო....

ჩემი სიყვარული სიგიჟეა,
ღამე უძილო და განათევი,
ღმერთო დაიფარე, ის ვინც მიყვარს,
ღმერთო აგვარიდე განაჩენი...

თუ არ იდარდე,
იმ წარსულის,
ვერ იგრძნობ სიტკბოს,
მინდა გიყვარდე,
მინდა გწამდე,
მინდა მნატრობდე
და შენს სიცოცხლეს
და შენს სუნთქვას,
შემოვრჩე სითბოდ....
ასი წლის შემდეგ,
მე გავრუმდები,
შენ ასი წელი,
ოღონდაც შენდე,
რამდენი კოცნა, ალერსი,
ვნება,
დაგვიკარგია,
იმ დღიდან, დღემდე....
ასი წლის მერეც,
ვიქნები შენთან,
ამ სიყვარულით,
აგიყვან ღმერთთან!

მენატრები, უსაშველოდ მენატრები,
გული მტკივა, რომ რთულია ყველაფერი,
როგორ მინდა, იქნებ შეგხვდე, შეგეფეთო
და დავდივარ შენს ქუჩაზე ფეხაკრეფით....
მაპატიე, თუ სიმშვიდე დაგირღვიე,
დრო თუ დადგა ჩემი სულის საწამებლად,
შენს თვალებში, მე ზღვა სითბო დავინახე
და ამ სიტყვებს ნუ გამიხდი სანანებლად...
მინდა გნახო, შეგეხო და მოგეფერო,
ოცნებებით არ გამომდის არაფერი,
შენგან მხოლოდ, იმ ერთ სიტყვას ველოდები,
ან მთავრდება, ან იწყება ყველაფერი.....

ჩემი თვალები სევდის ფერია,
შენი თვალები, ცხელი ივლისი,
მე მონატრების სიგიჟე შემშლის,
იქნებ შენც მნატრობ და მე არ ვიცი....
უნდა მოვიდე ძილში ამაღამ,
ლექსებს დაგიწერ, ალბათ კარავთან,
შენთან მოვდივარ ღამე ნათევი,
ჯერ კიდევ ბევრი დამრჩა სათქმელი....

დღე არის ცივი,
და არის გვიან
და არის ყოფნა,
უშენოდ რთული,
როგორც მიზანში,
ნასროლი ტყვია,
წინ გიდევს ჩემი,
მოკლული გული...
მე ვიცი მოხვალ,

მოხვალ გზის ბოლოს
და დაღლილ შენს გულს,
გულზე დამიდებ,
მეტყვი, არ მითხრა,
არც ერთი სიტყვა,
სიყვარულისთვის,
მხოლოდ დამინდე...
გარეთ კი წვიმა,
იქნება თბილი,
მარტი თეთრ კაბას,
ზანტად ჩაიცმევს,
ღამე იქნება,
ისეთი მშვიდი,
მთვარე ვარსკვლავებს,
თავზე დაიფენს...
ვიცი რომ მოხვალ,
მოხვალ გზის ბოლოს
და დიდხანს ერთურთს
გულში ჩავიკრავთ
და არ გვექნება,
ტკივილის განცდა,
რადგან ყველაფერს,
თავიდან ვიწყებთ....

შენმა სიყვარულმა ისე მომიარა,
ესლა ფეხშიშველი მოვირბენდი,
შენი ტკბილი კოცნა, ისე მომენატრა,
ვიცი შეშლილივით მომინდები...
შენი თითები და სუნთქვა, ფორიაქი,
კოცნა, მოფერება, ვედრებით,
ჩემო სიცოცხლევ და ჩემო სანატრელო,
მოდის და უსიტყვოდ გნებდები.....

დამთავრდა ყველაფერი დიდი ხანია,
ისე მითხარი, არც გინანია,
თვალეებში ჩაგიდგა სიცივე მსუსხავი,
საკუთარ სიცოცხლეს ცრემლებით ვთუთქავდი...
p.s. ეხლა ყველაფერი მართლაც გვინანია,
შენ რომ შემეყვარდი, სულ არ მინანია....

მეტი მინდა,
რალაც უფრო მეტი,
ჩემს სულს მინდა
ჩასწვდე,
ჩემი სიხლოვე,
გწამდეს და გწვავდეს...
ვერ სუნთქავდე,
არ გეძინოს,
ჩემზე დარდობდე და
ცრემლიც დაგედინოს...
შენთან ძილი მინდა,
შენთან გაღვიძება,
შენთან სიარული,
ხელის ჩაკიდება...
ადგე ალიონზე,
ხარბად ჩამისუნთქო,
ხელი არ გამიშვა,
გულში ჩამიხუტო...
შენი ცოლი ვიყო,
შენი შვილის დედა,
შენი სიცოცხლე და
შენი დიდი სევდაც....
.... ვხედავ არაფერში,
მინდა ყველაფერი,
ეს ხომ ფიქრია და
მეტი არაფერი.....

ისევ სხვისი ხარ და
ისევ მენატრები....

თუ არ გინდა გაგებუტო,
ხმა არ გაგცე არასდროს,
ერთი კოცნა, ჩემს ერთ ლექსში,
გამიცვალე, ამას გთხოვ...
ერთი ლექსი, ერთ კოცნაში,
მოდით ასე შევთანხმდეთ,
მე მილიონ ლექსს დაგიწერ,
ასე ვივლი შენამდე...
გულს მოგიტან სიყვარულით
და სიცოცხლის ფერებით,
კოპლებიან კაბას ვიცმევ,
ვიცი მომეფერები....
მოხვალ, მოხვალ უეჭველი,
თვალს შეგავლებ ტურებთან,
კოცნა უნდა გაგიცვალო,
ჭავჭავადის კუთხესთან....

სიყვარული გარუქე და სიყვარულად გაქციე,
გაგახარე, გაგაღმერთე, ლექსად გადაგაქციე,
შენ კი გული მომიკალი, ცრემლად გადამაქციე,
ასე რატომ გამიმეტე, ასე რად დამაქციე,
სიყვარული გარუქე და სიყვარულად გაქციე....

* * *

წითელი ბენდენა და შავი ნაგანი,
თეთრი ვარდები, რძისფერ ლარნაკში,
ჩემი ლექსები და შენი თბილი მზერა,
შენთან ერთად მინდა, მთებში გადაფრენა....

შენი ხასიათი

მესიჯის წერას ვიწყებ,
მინდა რაღაც გითხრა,
პასუხი მომდის მოკლე,
„ვერ წავიკითხავ...“
მე კი გული მწყდება
და ისევ გწერ,
რაღაც მინდა გითხრა,
რაღაც მინდა გითხრა,
პასუხის ნაცვლად დუმილი მომდის,
„დღეს არა, არ წავიკითხავ“...
მე კი ცუდად ვარ,
გული მიკვდება,
ეს რაღაც, ხომ უნდა გითხრა,
შენი მოფერების გარდა,
სხვა არაფერი,
სხვა არაფერი მინდა....

მე გაპატიე, რომ არ გიყვარვარ,
მე უშენობას ვავსებ ლექსებით,
დედას ვფიცავარ, არ გსაყვედურობ
და არც სხვის სიტყვებს დავესესხები...
შენი თვალების მშვიდი სამოთხე,
ჩემი თვალების უმწეო ფერი,
ზღვა სიყვარულით, დარდით და ფიქრით,
ესა ვარ მეტი, სხვა არაფერი...
ესლა ჩუმად ხარ, მაგრამ ფაქტია,
მე შენ ვერასდროს ვერ დამივიწყებ,
ის ორი წელი, სისხლით ნაწერი,
ბოლო სუნთქვამდე ამოგიტვიფრე...

შენ ხარ კაშკაშა ვარსკვლავი ცაში,
მე შენზე ფიქრი მარგუნა ღმერთმა,
ამ მოფერებით დამტოვე ვალში,
ფუჭად გაფანტულ საკუთარ წლებთან...
შენა ხარ ჩემი უწყვეტი დარდი,
ჩემი ჯილდოც და უთქმელი სევდაც,
თუ გამომყვები, თოვლში და ქარში,
ეს სიყვარული აგვიყვანს ღმერთთან...

სულ ვოცნებობ თუმცა,
რეალობა სხვაა,
ოცნებებში მხოლოდ,
მხოლოდ ერთი გზაა,
მე და შენ და ბურგჩანთები,
კარავი და ლექსები,
თოვლიანი მწვერვალები,
ციდან ლაღად ვეშვებით...
მაგრამ ეს ხომ მირაჟია,
ტირილს ვეღარ ვითმენ
და სურვილი ცრემლიანი,
გდია ღია ცის ქვეშ....

ყველა გვერდით მყავს, მაგრამ მაინც მართლ ვარ თითქოს,
ისევ მჭირდები, მენატრები, ვდარდობ და ვფიქრობ,
სულ მესიზმრები და არ ვიცი რა მემართება,
ეს ჩემი გული შენთან ყოფნას სულ რატომ ითხოვს...
იქნებ შენც მნატრობ, გულით გინდა ახლოს, რომ გყავდე,
იქნებ გჭირდები, გვერდით გედგე, მწამდე და გწამდე,
მოდის დავათბოთ ხმაში ტემბრი, სულში რითმები,
უფალმა იცის ჩვენ ერთმანეთს, როგორ ვჭირდებით....

მე შეშლილი ვარ შენი თვალებით,
მე ეს სიმშვიდე ალბათ გადამრევს
და მონატრება, როგორც ალიბი,
შენთან მომიყვანს სისხლის დაცლამდე....

* * *

მონატრებაზე ამიკრძაღეს ხმამაღლა ფიქრი
და ლექსის წერას სიყვარულზე ცოდვებად მითვლის,
ეს თუ ასეა, მაშ მესროლეთ ტყვია, რომელიც,
რომ მოგიტანოს ჩემი სული, ამისთვის იცდის....

ვარდის სურნელით სავსეა არე,
შენა ხარ სუნთქვა ჩემთვის პირველი,
აქვე სულ ახლოს მოდის მდინარე,
შენსავით ცივი და გამწირველი....
გრძნობას ვერ ვმაღავ, სულ მენატრები,
თვალებს ვხუჭავ და ჩემთან ხარ თითქოს,
შენგან დანდობას არ ველოდები
და გული მაინც ჯიუტად გიხმობს....

ჩემი სიყვარული მთის წვერზე გაუკვალავი თოვლია,
მთამსვლელის ხელით ნაკრეფი ედელვაისი მგონია....
p.s. მენატრება შენი ფერი
და თვალები სუფთა,
სუფთა როგორც ტბა ლივლივა,
როგორც წყარო წმინდა,
მინდა ღამე გითიო და
მოგეფერო მინდა....

გითხარი უშენოდ მოგკვდები თქო,
გახსოვს? -მთაწმინდაზე წვიმები,
როგორ უსამველოდ მენატრები,
იცო? -სიკვდილამდე მჭირდები...
თუ კი სიყვარული გაფერმკრთალდა,
წიგნი დახურე და გადადე,
ესლა მთავარია გავუძლო,
ესლა მთავარია გადავრჩე....
გეტყვი, - ვერ ვიცოცხლებ მე უშენოდ,
დრო და უთქმელობა მაწამებს,
ვიცი ერთი სიტყვა გადამარჩენს,
ან შენ გამომიტან განაჩენს.....
იცო უშენოდ, რომ ვერ ვიცოცხლებ,
გახსოვს? -მთაწმინდაზე წვიმები,
ესლა მთავარია შენთან ვიყო,
ესლა ზედმეტია სიტყვები....

შენი ოცნება ვარდისფერია,
ჩემს ოცნებას კი არა აქვს ფერი,
რადაც მოლურჯო თუ მონაცრისფრო,
უსასრულო და სულ უცხო ფერი....
ჩემი ოცნება წვიმის ფერია,
წვიმასთან ბევრი საერთო რამ მაქვს,
მისი წვეთები ცივი და სველი,
არ მეკითხება სულს ისე ნამავს....
შენსავით სავსე და წამლეკავი,
გადაქცეული მღვრიე ტალღებით,
ისე გამწირავ და გამიმეტებ,
გამოსათხოვარ სიტყვას არც მეტყვი....
ჩემი ოცნება შენი ფერია,
შენსავით ცივი და უსასრულო,
მოვალ და ლექსით გაგიტობ სხეულს,
იქნებ სიტყვებით დაგისაკუთრო....


დიდი ხანია ვგრძნობ, რომ შენთვის სულ ერთი არ ვარ,
შენს თბილ თვალებში, შენს ღიმილში ვკითხულობ ნათლად,
მაგრამ მანძილი, დრო და სივრცე, მე შემშლის ალბათ,
ბოლო კოცნიდან ისევ ვიწყებ დღეების ათვლას....
ესლა მარტო ვარ და ფიქრის დრო მაქვს,
ვწონი შეცდომებს, დარდით და სევდით,
მე ის ქალი ვარ, ზღვა სიყვარულით,
იმ მცირე დოზით, რომ გიდგას გვერდით....
შენ ის კაცი ხარ, სუფთა, სპეტაკი,
გაუკვალავი მწვერვალზე თოვლი,
მთელი სიცოცხლე სულ ვოცნებობდი,
ვყოფილიყავი „პოეტის“ ცოლი....

ჩამოსული ხარ სადღაც ზეციდან,
მე კი აქა ვარ, ისევ მიწაზე,
შენი თვალების შემოფეთება,
შენს სიყვარულთან ერთად ვიწამე....
მინდოდა მოსვლა, არ მომცეს ნება,
შენსკენ სავალი გზა ვერ გავკაფე,
მე დავიკარგე, შენს სახლთან ახლოს
და ჩემი პოვნა არ დაგაცადეს....
კარი ჩაკეტეს დიდი საკეტით
და გასაღებიც სადღაც დამალეს,
მაგრამ მე მაინც შევძელი მოსვლა,
იმ ღია სარკმლით, შენ რომ მასწავლე....
ჩვენ ჩაკეტიეს სახლის კარები,
მაგრამ სიცოცხლის გზა ვერ ჩარაზეს,
მე მოვიპარე ის სიყვარული,
რომლის გამოდაც ჯვარზე გამაკრეს....

წახვედი და ეს თვალეზივ გაგატანე,
დავრჩი ბრმად....
შენს ნაკვალევს შეხებით ვგრძნობ,
უშენობა მკლავს....
მენატრება შენი სუნთქვა,
რითმული და თანაბარი,
შენი კოცნა მოპარული,
წაშლილი და გადამწვარი...
იქნებ შენც კვლავს უჩემობა
და თითებზე დღეებს ითვლი,
რომ ზაფხული მალე გავა,
მთაწმინდაზე ლაღად ივლი...
იქ კუთხეში გელოდები,
ჭადრის ხე დგას გოლიათი,
ბევრჯერ უნდა გაგახსენო,
მოპარული ფორიაქი....

დღეებს ვითვლი, ჩამოხვალ და გამიხსენებ,
მე კი ვიცი, ამერევა ნაბიჯები,
შენი მზერა, ისევ როგორც ძველებური,
სითბოს დაღვრის, სიცოცხლით და დადინჯებით....
გულის ცემა და რითმები ამერევა
და გახდება სევდიანი მზერა ჩემი,
ეს ცხოვრება სულ სხვაა და მაგრამ მაინც,
ოცნებებში შენთან მინდა ყველაფერი...
გულის ცემა და ფიქრებიც ამერევა
და გახდება მზერა მართლაც სევდიანი,
დაიწყება ოქროსფერი ფოთოლცვენა,
უსასრულოდ შენთან მინდა ხეტიალი....

ჩემი სიყვარული,
შემოდგომის ფოთლებს,
შენი კარის ზღურბლზე,
დარჩენიათ....
ფეხი არ დაადგა,
ხელით მიმოფანტე,
მას ხომ ჩვენი,
ტრფობის კვალი,
ამჩნევია....
შენი სიყვარული,
ჩემს სულს,
ვხედავ ტკივილად
დამჩნევია,
დაგელოდები,
ბოლო სუნთქვამდე,
მეტი არაფერი,
დამჩნევია....





ზასაია თეა



დავიბადე 1975 წლის 26 დეკემბერს ქალაქ ზუგდიდში. დავამთავრე ეროვნული სკოლა 1992 წელს და ჩავაბარე სოხუმში ჯავახიშვილის ფილიალში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სამწუხაროდ იმავე წელს დაიწყო ომი.. დედამ სიხარულით შემიყვანა ჩვენს ქალაქში გახსნილ დამოუკიდებელ უნივერსიტეტში. სადაც ისევ თითქოს სკოლა გაგრძელდა.. დედას უნდოდა ახლოს ვყოლოდი და მისდა უნებურად შეაკცევა ფრთები ოცნებას ცოდნის ტაძარზე,

რისთვისაც ღამეებს ვათენებდი სკოლის ბოლო წლებში. ცოტა ახალგაზრდული მაქსიმალიზმით გული ავიცრუე რაღაც პერიოდი ამ ყველაფერზე.. ვიყავი სტუდენტური ეროვნული მოძრაობის სულის ჩამდგმელი ამავე ქალაქში.. აქტიური მებრძოლი საქართველოს ტკივილების და ქარიშხლების სადარაჯოზე და ალბათ ბევრს ახსოვს გამხდარი, ფართოდ თვალეგახედილი სასაცხო გოგონა, ენთუზიაზმით სავსე ლექსებით და ანთებული გულით. ზვიადის სიკვდილი იყო მორიგი გახევება..და იმედგაცრუება.. მე-4 კურსიდან გავთხოვდი მყავს 19 წლის ქალიშვილი.. თითქმის ოც წლიანი პაუზა მქონდა შემოქმედებაში თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ლექსს, რომელსაც იქვე ვანადგურებდი.

დღეს სამშობლოდან შორს ვარ და ემიგრაციამ ისევ მოახდინა ძვრები ჩემს სულში.

წარმოგიდგენთ ლექსებს, რომლითაც ავტორი სულდგმულობს. ..მინდა ამ კრებულით ქალბატონ თეას სიხარული და წარმატება არ მოაკლდეს!

ღაბუა ჩიტო

ღაბუა ჩიტო-დედის
პაწია მოლაღურო,
მინდა სიმშვიდის პლედო
ბეჭებზე მოგახურო.
ჩემო გიზგიზა გოგოვ,
ჩუმი ნატვრების ბოდვავ,
აფეთქებულ ყლორტო,
არ გაგიავდრდეს, ვშფოთავ!
ჩემო ჯავრო და სევდავ,
უფალი შენით მწყალობს,
დედიკოს გულის ფეთქვავ,
ჩემო ჰაერო, წყალო!
ჩემო სისხლო და ხორცო,
დედის ხატებავ თბილო,
გფარავდეს დედის ლოცვა,
შენით ვარსებობ შვილო!
ჩემო ყარყარა გედო,
დიდო წყალობავ ღვთისო,
ჩემო ნამყენო ნედლო,
დედის კრუტუნა ფისოვ!
ჩემო ვერცხლო და ოქროვ,
დედის სიცოცხლით ტკობავ,
მინდვრის ბალახო ლორთქოვ,
არ გაგიავდრდეს, ვშფოთავ!
ჩემო ღულუნა მტრედო,
ნატვრასაც გული მისდის,
დავენაცვლები დედი,
მაგ შენს ჟღურტულა კისკისს!
ჩემო გვირილა ცირავ,
გმოსავს ოცნების ნისლი,
უფალს მადლობას ვწირავ
შენი გამხადა ღირსი!
ჩემო ლამპარო ბნელის,
ჩემო სიმშვიდის ფარო,
მაგრად ჩამკიდე ხელი,

დედის პატარა ქალო!
ეს ლექსიცა და ფიციც
ჰგავს მონატრების ექსტაზს,
მხოლოდ უფალმა იცის,
როგორ უყვარხარ დედას!!!

ფლიდი სინანული დავიჩვიე,
როცა სიმართლვე შემაშინებს,
ისეთი მეგობრები ავირჩიე,
შეცდომა არასდროს შემარჩინეს!
შეცდომას კიდევაც გააჩნია,-
მისხალი, პატარა ნაპერწკალიც!-
მეგობრის სახელმა დამამჩნია
გულზე უსაშველო ნამეწყრალი!
ნაღდი მეგობარი გულში გიკრავს,
გინდ იყო ყველასგან გარიყული,
შენს მტერს კვერს და ტაშს არ დაუკრავს-
შენზე განაჩენით, გართმულით!
ნაღდი მეგობარი დაუდგება
ტყვიას და სიტყვასაც მკერდ-უბეთი,
მოკვდება შენს გამო, -არც წუხდება
ადამიანური ერთგულებით!
საყვედურს არასდროს დაგიმატებს
თუნდ იყავ ყველასგან შერისხული,
სამყაროს უკუნეთს გაგინათებს
მისი ანთებული ხელისგული!
აუგს შეფარულს ან დაუფარავს
გულშიც არასოდეს გაივლებდა,
ღმერთო, მაპოვნინე მეგობარი
ჩემთვის სიცოცხლეს რომ გაიღებდა!

მიდიოდა, მიდიოდა კოხტა ქალი,
მიჰვებოდა ცრუ ჭორების ხოშკაკალი,

მიაპობდა ქუჩას გესლით დანათოვარს,
რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ განათხოვარს?!-
თუ არავის შეახედებს მის წალკოტებს,
არ გეგონოთ, მას სატროფოზე არ აბოდებს.
მერე რა, რომ არვინ ჰყავს და მარტო არი,
ნუ გგონიათ მოფერების მათხოვარი!
მიდიოდა, მიდიოდა კოხტა ქალი,
მიჰყვებოდა მითქმა-მოთქმის ხოშკაკალი..
რად გგონიათ, რომ თამაშობს უკარებას,-
ბავშვობიდან დედა ამას უბარებდა!
როცა ღამე რუხ გულისპირს შემოიფხრეწს,
მხოლოდ მაშინ მოგონებებს შემოიდგრენს,
დაფიქრდება მრავალ წელთა ცრუ ლოდინზე,
მარტოსული ღამეების ცივ ლოგინზე!
კაემანის და ტკივილის ტოვებს დღიურს,
განუკურნელ სევდას ებრძვის ყოველდღიურს,
ის არასდროს არ შეავსებს ამქრის ტირაჟს,
არასოდეს არ იწამებს სიძვის მირაჟს!
მაგრამ თუკი შეუყვარდა, ფიქრებს გარყვნის,
არ ექნება შიში რისხვის, ჭორთა წარღვნის!..-
დაივიწყებს, დედა, რასაც უბარებდა,
სულ ახლახან როგორ იყო უკარება!
აღმოდებულ გულის ფეთქვას თუ ვერ დათმობს.
ქალია და მის ნაბიჯებს ნულარ დაგმობთ!
ახლა მას კი აკანკალებს ციებიანს,
ღმერთმა იცის, დარდით აღარ სძინებია,
მას ისედაც ზღაპრის ხიბლი დაჰკარგვია,
სამწუხაროდ არავისი აღარ ჰქვია!
ცრემლთან ერთად ცოტა სასმელს გადაყლურწავს,
ჩვეულებრივ მარტოსულ დღეს გადაფურცლავს!
დადლილ თვალებს ძილი აღარ ეკარებათ,
ქალია და სიყვარული ენატრება!...
მიდიოდა, მიდიოდა კოხტა ქალი,
თავს ესხმოდა მითქმა-მოთქმის ხოშკაკალი!
ხან მტაცებელს ადარებდნენ, ხან მათხოვარს..
ან რა უნდათ! რას ერჩიან განათხოვარს!

ფიქრებში საშობლოს ასე ვხსაუბრები

შენ არ იფიქრო, რომ არ მიყვარხარ,
ან უიღბლობა შენი მომწყინდა,
ახლა ამ ბილიკს სხვა გზით მივყავარ,
ბედმა ავყიამ შენს ტოტს მომწყვიტა,,
მამულო ჩემო, ბერმუხავ ჩემო,
ჩემი სიცოცხლის იმედო დიდო,
სადაც არ ვიყო, სულ მუდამ გჩემობ,
მუხლებმოყრილმა მთები გიდიდო!
ვაბის ნაჟურის ცრემლს მონატრებულს,
უხმოდ დავცლიდი ახლა ჯიხვის რქით,
შენს სუნთქვას ვწირავ სანთლებს ანთებულს,
გლოცავ ღიხს აქეთ, გლოცავ ღიხს იქით!
უცხო მიწაზე დავალ ჯვარცმული,
ბედი უშენოდ მარხულს მტოვებდა,
მაქვს კრიალოსნად სულში აცმული,
„მამული, ენა, სარწმუნოება“!

ღერწამივით მაქანავებს ბედის შტორმი,
წუთისოფელს მერამდენედ შევეჭიდე,
მომიტევე, რომ მგონიხარ ზოგჯერ შორი,
გვედრები, შენ, უფალო,შემეხიდე!
მომიტევე, რომ მგონია დასასრული,
რომ თვალები ისევ ცრემლით დავიოსე,
გამინათე, მაცხოვარო, მადლით სული,
გვედრები, გზასავალი დამილოცე!
ეს ცხოვრება მუდამ ნება იყოს შენი,
შენივ რწმენით აღარაფრის შემეშინდეს,
საძირკველი სინანულის ამიშენე,
მაცხოვარო, კიდევ ერთხელ შემეხიდე!
დამიფარე, ავს და ბოროტს ამარიდე,
ძალა მომეც, არც ნიღაბი ავიფარო,
მაცხოვარო, ამიხსენი,დამარიგე,

გვედრები, ცოდვებისგან დამიფარო!
დამიფარე ამქვეყნიურ ცდუნებისგან,
ცარიელი სული რწმენით ამომივსე,
სინანულის წრფელი მადლი თუ მეღირსა,
მაცხოვარო, ცოდვებისგან გამომიხსენ!
ღირსი მყავი შენი კალთის მფარველობის,
მივუტევო, როცა მცემს, შემაფურთხეს,
მომანიჭე სასოების ანგელოზი,
მაცხოვარო გვედრები შენ, - მაკურთხე!

ღელვა მუშისა ტალღებად თბილად,
შემოასკდება სულს ცისკარივით!...
რომ არა ჰგავდეს ყოველი დილა
ერთიმეორეს ტყუპისცალივით,-
მინდა რითმების მღელვარე ზღვაში
ლურჯი გრიგალის ფეთქვამ მარწიოს,
როგორც მიჯნურმა ძლიერ მკლავებზე
მომეფეროს და გადამაწვინოს..
და ქარიშხლისებრ რითმათა ელვამ,
მიდირიჟოროს, როგორც მავსტრომ,
გადარეული ვნებათაღელვა
ღამისთევების რიტმით აევსოს!
მუშის სტიქია ასე ასკდება
ყოველდღიური ყოფის კონტინენტს,
მწამს, ანათემა აღარ ამცდება,
უზადო მწვერვალს წავეპოტინე!
თითქოს ჯინაზე მუზა ქანცს მაცლის,
რომ გათენებას კენტად ვუცადო,
ჰორიზონტთან კი ელავს პარნასი-
სტიქიასავით უკვდავ-უზადო!

ნატრობ ღვთის გლახა სიყვარულის ნამცეცს ზედმეტად,
როცა დრო იყო, მსუყე ლუკმებს უკადრისობდი,
სულში სიჩუმე ჩამომდგარა, როგორც ვენდეტა,
საყვედურივით მტკივნეული უვარგისობის..
ყვავილი ქოთნის-დიდხანს მზეზე გაუტანელი,
სულს სასწაულით ფაქიზ ყლორტებს ვუსაზრდოებდი,
შემომჩენია ყოფასავით აუტანელი,
სიცარიელე სულშემხუთველ უსაზღვროების!..
ვხურავ დარაბებს.. და რაფაზე შემოვდებ ნიღაბს,
არავინ იცის, სუსტს თუ ძლიერს, -უჭირს ვის უფრო?-
საღამოსპირულს მოგონილი სიმშვიდე მიაქვს,
მე კი არ ვიცი, რანაირად უნდა ვისუნთქო!

არბევდა ტალღა იმედის კონცხს, მიუსაფარი-
მზე ჩადიოდა მეწამული დასალიერთან,
მე კი მინდოდა კვლავ მომეძღვნა შენთვის სამყარო,-
შენი წასვლით რომ უცაბედად, დაცარიელდა!..
ლოკავდა ტალღა მარილიან ლოდებს ნებივრად,
სიგრილე წვეთთა ტანში ძრწოლად გადაიღვარა..
მზე თავს იხრჩობდა.. და მთელი ხმით მსურდა მეყვირა,
რომ შენთან ერთად სამყარომაც გადამიყვარა!

სევდიანო დღეებო!.. მწუხრის ანგელოზებით,
მოგიტევებთ იმ წამებს, თვალს ცრემლით რომ მივლია,
ეს საბრალო ლექსები, სინანულის ცრემლებით,
თქვენს საჩუქრად ვიწამე, თქვენი დაწერილია.-
მგლოვიარე ღამეთა, უტყვი მონანიებით,
უსასლო წუთების განწირული კივილით..
სევდიანო დღეებო!.. ხვალეს ნუ დამპირდებით,
თუ ჩამიდგა თვალებში სამუდამო ტკივილი.
სულის ალაყაფები, რისთვის შემომიღეწეთ?
ზმანებათა სავანე დამიმტვრიეთ ტორებით,
ჯერაც, გულზე ატყვიათ ნატყვიარნი იმ ლექსებს,

სისხლად რომ დავანთხიე, სულის მიდამოებში.
როგორ შევხვდე გაზაფხულს, სიკვდილივით ეული,
კაბაც დაუფლეთია სუბსარქისის ქარაშოტს,
იმედების კარიბჭე-თქვენგნით შემომტვრეული,
სევდიანო დღეებო!.. თქვენთან აღარ ვთამაშობ!..
სევდისფერო დღეებო!.. ხელი არ გადმომხვიოთ,
ფერწასული არ მინდა დავენახვო აპრილებს,
იქნებ ძველი კაბები ახლით დამათმობინოთ,
თორემ თქვენს დავიწყებას, არასოდეს, ვაპირებ!..
უნდა გამოგებაროთ, არ მსურს შემოგეწიროთ,
ახლა ეს სტრიქონები განშორების ზღურბლია,
ჭრელაჭრულა ფერებით, - ოღონდ ნუ გეწყინებათ,
მინდა შევხვდე გაზაფხულს-აპრილივით გულდია.
სევდიანო დღეებო!.. ეეხხ.. რამდენი მაწვალეთ,
ყველა დარდი უთქმელი უტყვ განაჩენს რატომ ჰგავს?-
ჩემს კვალდაკვალ თუ ივლით,მაშინ ლექსად დამცალეთ,
თქვენ მოგიძღვნით მარტოდენ პირველყოფილ ავტოგრაფს!!

არ გიფიქრია?-ეს ხელები, სულის მტევნები,
რამდენ სინათლეს ინახავენ,მოვარდნილს ტალღად,
მიტყუპებულნი უმეტესად უხმო ვედრებით,
ზოგჯერ დაყრილნი უსასოოდ გოდებად,დაღლად.
ზოგჯერ-ყვრიმალთან მოფერება ათასი პეპლის,
და ანგელოზის ფრთის მაგვარად სულთან შეხება,
ხშირად მოყვასის წამომჯენნი მიწისგან ფერფლის,-
უხმოდ დაცლილის - მილიონი ცრემლის შხეფებად!
ხშირად ცოდვილნი - ნაქურდალი ალერსის ჟინში,
ზოგჯერ ქცეულნი მარტოსული წლებით ასკეტად,
რამდენი ცოდვის აღსრულება-ნაფიქრის ტვინში,-
სულის სიმტკიცით ამდენივე ცოდვის ასხლეტა!
ალბათ რამდენი უნდა გვითხრან მარტო ხელებმა,
საგანმურებად ნატვრისთვალნი პეშვით რომ ხვეტეს,
ხან გულზე უნდოდ დაიკრიფეს მარტოხელებმა,
როცა დაუსხლტათ ამქვეყნიდან ხშირად მოკეთე!

ხან სიხარულის, ხან ტკივილის მოგვწმინდეს ცრემლი,
სიმწრის წუთებში გამოსცადეს დამტვრევა ძვლებში,
სანთლებს გვინთებდნენ ..შეეცვალათ სინათლით ბნელი,
ჩვენ კი ვაგემეთ ხორცის გლეჯა -ალესილ ეშვით!
როგორ იჭამდნენ სიახლოვის დაკარგვის შიშით
გაგიჟებული მონატრებით-ვნების განცდილის,
როცა გავხდები ველარაფერს ბედის წინაშე-
დამიკრიფავენ გულზე ხელებს- ძვირფას განძივით!

მოდით, მტერს ისარი გავუღუნოთ,
ერთურთის გულმკერდით გადაშლილით,
ერთმანეთს სამშობლო დავუბრუნოთ
გოროზ არწივივით ფრთაგაშლილი!
ნუ ვიზამთ ისე რომ დაგვიანდეს,
მტერს გავცეთ პასუხი მეყვსეული,
ღმერთო, მომლოცველნი გაგვიმრავლე,
წმინდა სალოცავებს შესეული
ერთურთს გავუღვივოთ იმედების
წამით-ნაპერწკალი მინავლული,
ძმას რომ სასიკვდილოდ ვიმეტებდით,
უფალმა მოგვმადლოს სინანული.
საკუთარ სულეებზე უწინარეს
ერთურთის სიცოცხლეს ვუპატრონოთ,
ლოცვებად დავუდგეთ უზენაესს,
მტერმა ხმა ვერ გაგვცეს უბატონოდ!
აკვანში, ვითარცა უხორციონი,
მამულს გავუზარდოთ ფალავანი,
მოდით შევევედროთ ხუროთმოძღვარს-
ნდობის აგვიშენოს გალავანი!
ქართველს რაღად უნდა ამერიკა
ანდა დახვატული ემირატი,
მოდით მივდგეთ იმერ-ამერიდან-
ყველა დავაბრუნოთ ემიგრანტი!
მტერი გვეპარება ფეხაკრეფით,

წმინდანნი ტირიან ფრესკებიდან,
რამდენჯერ ერთურთს არ ვეთანხმებით,
იმდენჯერ სამშობლო ბეწვს ეკიდა!
ტანზე შევიმოსოთ დროშისფერით,
დიდგულად დავლაშქროთ მყინვარწვერი,
ერთურთის პოვნაში რომ გვიშველის,
თითქოსდა ასეთი „მიყვარს“ მტერიც!
არ გვინდა უცხოთა ცათამბჯენნი,
როცა გვაქვს სიმდიდრე ხელთუქმნელი..
ერთად თუ ვიქნებით, გადავრჩებით,
ტაძრებიც შეგვრჩება შეურყენელი!
თეთრად გავუთენოთ ერთურთს ღამე,
ერთმანეთს ავუნთოთ განთიადი,
ერისთვის მლოცველად რომ ვიწამეთ,
გვიყვარდეს ჭაღარა პატრიარქი!
მოდით, მტერს ისარი გავუღუნოთ,
ერთურთის გულმკერდით გადაშლილით,
ერთმანეთს სამშობლო დავუბრუნოთ
გოროზ არწივივით ფრთაგაშლილი!

ნუხანდელი სიზმარი

ტურებთან ნაკვერჩხლად წამეკიდე,
მაფრინე თოვლიან მწვერვალებზე,
ხელი არ გამიშვა, ცოტა კიდევ,
კიდევ მეტი ჟინით მეაღერსე.
რაკი შენს მკლავებში გავივინდე,
ტალღად -დაიარე ყველა ტინი,
მოდი, სულის ყველა ლაბირინთი
მოძერწე შენეულ ჟელატინით!....
წუხელ ტურთან სიო მკოცნიდა
და მე სულელს რატომღაც შენ მეგონე,
მერე კი ანაზდად ხელიც გკარი,-
ველარ შეგიყვარე ხელმეორედ!
სული ხილული და შესახები,
ხსოვნა-არასოდეს რომ არ ქრება,

სიზმარი-სამოთხის შესაღები,
როდესაც მიჯნური გენატრება.
შენს მერე არ დავალ პაემანზე
და შესაბამისად-არვინ მიცდის,
წუხანდელ სიზმარს რომ აველანძე-
აღბათ პოზაა და არტისტიზმი!
ხსოვნათა ფრაგმენტებს ვერ იტევენ
დამსხვრეულ სარკეთა ნამტვრევები,
თუ რამე, როგორმე მომიტევე,
ნამსხვრევებს არასდროს ვამრთელებდი..
უკვე შორს დამირჩა გაზაფხული,
ვგრძნობ ზამთრის სიცივეს გარდაუვალს,
ქალი ავაზაა გალახული,
როდესაც გულისსწორს აღარ უყვარს!
ეს სული ლოდინის ლიბოა და
სიზმრები-ნატვრათა დესპანები..
ხსოვნის ანგელოზმა მიპოვა და
დაკარგულ ხატივით მეზმანები!

იცვი, რომ მე თვითონ არა მჯერა
ისეთ ადგილებში მიწევს ძილი,
როცა ბედი მექცა განაჩენად,
სახლზე ოცნებაა მიძენძილი.
როცა ამ უცხოურ სამოთხეში
დოქი სიმარტოვის გადავცალე,
როგორ დავიღალე სამ-ოთხ დღეში,
როგორ დავემსგავსე მაწანწალებს!
სხვისი ცა ზღაპრული ფირუზია-
მე კიდევ გაბმული მახეში და,
ხალხია ირგვლივ და ილუზია-
სამყაროს ვნებებით გალეშილთა!
გამოწვდილ ხელს ვუყრი ჩაის ხურდებს,
ნაპირთან ბავშვების რია-რია,
ტალღებმა გულში რომ ჩამიხუტეს,

პატარა ბავშვივით მიხარია!
ჟრჟოლა ჩამიღვარეს შიშველ მკერდთან..
ცივად დამიწინწკლეს სხეული და..
ტურზე დამეკონნენ ისე ვნებით,-
სული სიმართლევს შეურიგდა!

ზოგჯერ სინანული ცრემლის გუბეა და
გუბეს მოაპობენ ფოთლის ფრეგატები,
როგორც არასოდეს, ისე ვუბერავ და
სადღაც -საკუთარ თავს -წასვლით ვეჭადნები!
აღბათ ნუგეშია სითბოს ერთი ყლუპი,
სულ ერთი ნაფაზი რითმის ერთი ღერის..
ახლა უსივრცობით ლექსიც დამეხუთა,
ნავსი მერვენება ირგვლივ ყველაფერი!
ჩემს თავს მწარედ ვერჩი ბედის გადამკიდე,
როგორ დავიკარგე ფოთლის ფრეგატივით,
ყველა ჩემი ლექსი მზეზე გადავკიდე,
იქნებ გამოაშრეს ცრემლის ნეგატივი!
შლეგი მონატრება დარდის მტევანია..
ვწურავ თოთო ნატვრებს სველი რეფრენებით,
თითქოს ხელისგული ზღვაში გემბანია,
ჰაერს მოაპობენ რითმის ვეტმფრენები..
ლექსი ხშიადია სულის დაპურების,
თორემ არტერიებს კბილით გადავღრღნიდი,
ვიცი.. ფანტომია დროის დაბრუნება,
ახლა საკუთარ წლებს წყალში გადავყრიდი.
ახლა ჰაერია ირგვლივ ისე ცოტა,
თითქოს ატმოსფერო ტყვიით შემიზღუდეს,
ახლა ჩემი თავი ისე შემეცოდა-
მზის სხივს ჩავუყრიდი გაწვდილ ხელისგულზე!
ახლა ტკივილები ისე გამიავდა,
არც ის შემიძლია წამით დავიღალო..
თვალის უპეებში ისე გამიავდრდა,
ლამის საფეთქელთან ლექსი დავიხალო!

ვერ მოვრჩი უსაზმნო წოწიალს,
ვერც ტკივილს ვაყოლებ ზღვის წვეთებს,
ყოველდღე პატარა პორციად
თვალეში სიმშვიდეს ვიწვეთებ..
სანამდის სახლამდე შორია,
სულ ყველა ვარსკვლავი გამორთეთ,
რად მინდა ეს ეიფორია,
ან ეს ნასესხები სამოთხე!
მზე შხეფებს მოქარგავს მოწებად,
მოლურჯო ტალღებთან ვიცეტებ..
და ასე, პატარა დოზებად
თვალეში სიხარულს ვიწვეთებ!

მითხარით, რას გავს, ოღონდ, ძმურად, ტრფობის სასრული,
ათას მილიარდ ტარანტულის შხამით დაგული,
ეგება მითხრათ სიყვარულიც ხდება ზრდასრული?-
ყმაწვილობიდან გალანტური? ..გამისკდა გული..
მითხარი, რას გავს სიყვარულის ფერიცვალება,
იქნებ ეგაა ორი სულის ერთად წვალება..
რატომ მაგონებს სულთმობრძავის საცოდავ ხავილს,
რატომ მაგონებს ფოთოლდაყრილ ფერმიმქრალ ყვავილს,
ცალებს „მიყვარხარ“ ვერ გიკიდებს ცეცხლის აღმურებს,
სიკვდილმისჯილს გავს, ბოლო იმედს, სულ, რომ აპურებს..
მაცდურს ჰგავს კიბეს, სად მიჰყავხარ, რომ აღარ იცი,
ყელში ხავილით -წახვიდე თუ ცოტას დაიცდი!..
მითხარი, რას გავს სიყვარულის ფერიცვალება,
იქნებ ესაა ორი სულის ერთად წვალება..
იქნებ ბოდვაა, სიზმარია ზაფხულის ცხელის,
მზეა და მაინც გეყინება ფეხიც და ხელიც,
ჰგავს სიყვარულის დასასრული ბუნების კვდომას,
ზაფხულის ხვატში შემოპარულ თბილ შემოდგომას!
ჰგავს ალაგ-ალაგ გაფუჭებულ საათის წიკწიკს,
პაემნის ადგილს, სადაც უკვე არავინ გიცდის,

ოდესღაც ცაზე გაბადრული მნათობის ნამღევს,
იყმუვლო გინდა და ყმუილში ღამეებს გაღევ,,
სანამ ბოლომდის ჩაიწვება წმინდა სანთელი,
სანამ ყველაფერს დაერქმევა თავის სახელი!
მითხარით, რას გავს, ოღონდ, ძმურად, ტრფობის სასრული,
ათას მილიარდ ტარანტულის შხამით დაგული..
მითხარი, რას გავს სიყვარულის ფერიცვალება,
იქნებ ესაა ორი სულის გარდაცვალება..

ღამაში ხარო!-შემშპარავი ტემბრის ვოკალში
ათრთოლდა ხალი მოშიშვლებულ, ღამაშ მუძუსთან-
კაცი:-ისხამდა ტკბილ ბაკარდის მსუქან ბოკალში,
ქალი-წრუპავდა მაღალფენა ბაკლით მუკუზანს.
ქალი ჭუტავდა სითბორაღვრილ თვალებს ანაზდად,
სულ ცოტა ადრე-აბეზარი ცრემლით დაღტობილს,
კაცს ქალი უწინ-აფოფრილი, როგორც ავაზა,
ერვინებოდა ურვეულოდ ახლა დამთმობი!
პაუზებს შუა ყურს უგდებდნენ ჯიმი მორისონს,
ქალი წრუპავდა მაგარ ყავას,ჟესტით ქალურით,
კაცი ხედავდა საძინებლის უკვე ჰორიზონტს,
ქალს უფრო ჰქონდა სილუეტი -ვერტიკალური!
მამრი-ღიმილით მოგებული წინასწარ ომის,
ქალი- დასიცხულ ტურის კუთხეს მორცხვად ლოკავდა,
იყო საღამო გაჟღერთილი ვნებით და ნდომით,
იქვე კუთხეში ჩახვეული წყვილი როკავდა!
კაცი აზარტით უკოცნიდა თოვლივით მტევანს,
ქალი ამოდ ისწორებდა კულულებს დაშლილს,
მოჰგავდა იგი სამოთხიდან განდევნილ ევას,
ოღონდ უბიწოს, ხელუხლებელს-შეჭმამდე ვაშლის!
ანგელოზს ჰგავდა! -უღიმოდა მის ფიქრებს ქალი,
კაცი თვალებით თითქოს ჭამდა.-თან ვერ ძღებოდა!
ქალის თვალებში აკიაფდნენ ჭინკები მთვრალი-
ნამდვილი ომი ახლა წასვლით რადგან იწყება!

სევდამ დამირბია სულის სანაპირო,
დროა მივაშურო მონასტრებს,
აწი გვიანია, რაც არ დავაპირო.
იქნებ ვეღარაფერს მოვასწრებ!
ნეტავი ვეღირსო, შინ როცა ვიქნები,
ვსუნთქავდე ტაძართა არომატს,
ვიდგე ხატების წინ, კრძალვით, მოწიწებით,
ვთქვა, რომ ყველაფერი გამოვა!..
უფალმა შემინდოს კითხვები უპასუხო,
ჟამიდან ჟამამდე მლოცველს,
ვდგავარ უფლის წინ და ისევ უფალს ვუხმობ,
ჩემს ურიცხვ ცოდვათა მოწმეს!

ცას მოუჩანდა მოღვედილი ურცხვად დეკოლტე,
მზის მედალიონს დაარწევდა ნისლთა ეშხიდან,
უკურნებელი ასთმით ქშენდა მთვარე მეტოქე,
ამ მერამდენე ღამესაც რომ ეჭვით შეშლიდა..
აღბათ ცას შერცხვა, შემოისხა ლაბადა ღრუბლის,
თითქოს უხმობდა სიმშიდისკენ ეჭვიან სწორებს,
ღამაში იყო! -მოვიჩრდილე ხელებით შუბლი,-
აწ კდემამოსილს თვალი მაინც ვერ გავუსწორე!
ერთიც, მეორეც მნათობია, სინათლის მფენი,
შორით უჭვრეტენ ერთურთის ცას, სხივით მოფენილს,
აღბათ ბედია მზის და მთვარის- ყისმათიც ჩემიც,
ვეღარასოდეს ვერ ჩავიკრა გულში სწორფერი!

ჩემს დასაცავად ნულარავინ სიტყვას ნუ იტყვით,
მართობაში სასომიხდილს ან რა მომარჩენს,
მასამართლებენ უპასუხო სიყვარულისთვის
და შესაძლოა ალიბიც კი არ აღმომარჩენს!
დავიკრუნჩხები მოლოდინში ხმაზე ჩაქურჩის,
თუმც განაჩენის გამოტანა ათჯერ გადადეს,
საჩივრის ფურცლებს ფოთლებივით მოაქურჩებენ,
რომ უიმედო სიყვარულად ავირიაღდებო!
ეს ტკივილები ქრისტესავით მაკრავენ ბოძზე
სიყვარულისგან თუ გავგიჟდი, არ მომარჩინოთ,
აწ სიმართლევს შევიყვარებ უფლის ნაბოძებს,
რომ დაკარგული ხელმეორედ აღმოვარჩინო!
ნუ შეიყვარებ, ახტებოდე დარდით ქარაფებს,
ძნელი ყოფილა გაგონება კაცთა თქმულების,
სიყვარულისთვის თუკი სჯიან, გამასამართლეთ,
დაე, აღსრულდეს სამართალი მართლმსაჯულების.
ჩემს დასაცავად ნულარავინ სიტყვას ნუ იტყვით,
მართობაში სასომიხდილს ან რა მომარჩენს,
მასამართლებენ უპასუხო სიყვარულისთვის
და შესაძლოა, ალიბიც კი არ აღმომარჩენს!

ღმერთო მიჭირს გამხელა,
ისეთი დღე დგებოდა,
შენ რომ მყავდი ამქვეყნად,
ისიც მაგიწყდებოდა..
მიცქეროდა იმედი,
ხშირად ქრისტეს თვალებით,
ხატებს თვალს ვარიდებდი
ტკივილს მინაბარები..
განსაცდელით განმკურნე
უფალს მახლოვებდი,
რამდენ უღირსს ვარგუნე
სულის ბაჯაღლოები.

უთვისტომო გავატბე
მე კი სევდა მახურავს,
ჩემს ედემში დავატკბე,
ვინც არ დაიმსახურა!
ლუკმაც არ გამიტუხავს
ეშმაკების ტაბლიდან,
დაროქილი ვინც მნახა,
მიყურებდა მაღლიდან.
ნუგეშს ველოდებოდი,
ლამის კეტებს მიშენდნენ,
შველას ვევედრებოდი,
თითქოს ვეღარ მისმენდნენ..
თვალწინ ხელებს ვუქნევდი,
მაინც ვერა მხედავდნენ,
როცა გუნდრუკს ვუკმევდი
ჩემს ჩაქოლვას ბედავდნენ!
სადღაც გვამის პატრუქში
სული ძლივს მიბჟუტავდა,
სუბსარქისის ქარბუქში
ეშმა თვალებს ჭუტავდა!
მაგლიჯავდნენ ნორჩ ფესვებს
მე მათ ახლებს ვურგავდი.
არ მახსოვდა ოდესმე,
ლამაზ ქალებს თუ ვგავდი..
ჩავუვლიდი მათხოვარს-
უპოვარი, უფულო.
კრულვით გამომძახოდა
ძუნწი ხარო, უგულო!
ამ ჩემს სასოწარკვეთას
ვეღარავის ვუმხელდი,
და ანთებულს სანთელთან
კვლავ სიკეთეს ვუმღერდი!
სარკეში რას ვხედავდი,
ჩამოვგავდი პიეროს,
არვის გადავუხადე
ღმერთო სამაგიერო!

გეფიცები ამღვრეულ
გუბებში ვფორთხავდი..
რა ვიცოდი აბნეულ
ამ გზას შენთან მოვყავდი!
ღმერთო, რა მაცლებდა
ცრემლიც ვეღარ მშველოდა..
იცი რა მაცოცხლებდა,
შორს რომ პირმშო მელოდა!
გავუძლებდი ყველაფერს
მაინც ღმერთით -მჯეროდა,
გავუღიმიე გაზაფხულს
შენს ნარუქარ გარიჟრაჟს,
ღმერთო ასე დაზაფრულს,
ხელი აღარ გამიშვა!
გმადლობ კარი გამიხსენ,
როცა ვაკაკუნებდი,
ღმერთო ყველა დაგვიხსენ,
გზაში დაკარგულები!

მამულო, აღსდექე.. გამომყევი, წამო, -გახედე,
როგორ აბიჯებს დათვის ტორი ჩვენს ნაქონ მინდვრებს,
ასჯერ დაეცი? -ასივეჯერ წამოგაყენებ,
ოღონდ იცოცხლე საქართველოვ, -შენ არ მომიკვდე!
მე შენს ჯეჯილებს ვეფერები, ვით ქალი გლეხის,
შენს ირგვლივ ყველა სარეველა უნდა გავმარგვლო,
შენს სისხლისმსმელებს გავუმართო უნდა ქელები,
სამშობლოვ, შენთვის თავს გავწირავ ულაპარაკოდ!!
მოვდივარ.. მზერით ვეფერები ჩვენს ნაქონ მინდვრებს,
დარდი მომყვება და ტკივილის გუნდი ნადივით,
ოღონდ, იცოცხლე საქართველოვ, -შენ არ მომიკვდე,
შენს სისხლისმსმელებს ჩავუმწარო უნდა ნადიმი!
მამულო! - შენსას დავცმუივარ დაშლილ ქვითკირებს,
შენზე ვსაუბრობ დღე და ღამე ლოცვით გამჩინთან,
ქართველთა ჩემთა დავტირივარ აგრე სიმცირეს,

გული არ დაგწყდეს, თუ ხანდახან ცრემლიც დამჩემდა!!
სულზე მოგისწროს, ვევედრები მთავარანგელოზს,
შენ არ გეგონოს, რომ უგულოდ ვწერდე ციტატებს,
გაიმართები ვიცი წელში, -მწამს საქართველოვ,
ჩემივ სხეულით ავაშენებ შენთვის ციტადელს!!
აჰა, ეს მთვარე ჰორიზონტზე გადაწვერილა,
ჩემი გულიდან ნაბიჯია ახლა შენამდე,
ჩემო სამშობლოვ, შენ იმდენ ლექსს დამაწერიხვ,
რამდენჯერ შენთვის მომინდება მტარვალთ შევაკვდე!
მამულო, აღსდექე ..გამომყევი,წამო, -გახედე,
როგორ აბიჯებს დათვის ტორი ჩვენს ნაქონ მინდვრებს,
ასჯერ დაეცი? - ასივეჯერ წამოგაყენებ,
ოღონდ იცოცხლე საქართველოვ, -შენ არ მომიკვდე!

გგონია, ფრთები შესხმული გაქვს.
როდესაც გიყვარს,
გრძნობის შარბათიც შესმული გაქვს,
გიყვარს როდესაც,
სხვა ელფერი აქვს კოხტა აპრილს,
როდესაც გიყვარს,
სხვა რომანტიზმის სურნელი აქვს სიძარტოვესაც..
როდესაც გიყვარს, ფერადია
სიზმრები შენი, როდესაც გიყვარს,
სულ ყველა გზას მისკენ მიჰყავხარ..
გიყვარს როდესაც, ყველა ტკივილს
ღიმილით შევლი,
გინდა გამვლელთაც შემოსძახო -
როგორ მიყვარხართ!
იყო უკვდავი-ადვილია,
გიყვარს როდესაც,
როდესაც გიყვარს,მართლა გიყვარს
მთელი სამყარო!!..
გვიყვარდეს ისე-, რომ შეშურდეს

სიმართლევსაც!.-
რომ სიკვდილმაც კი, ვერასოდეს,
ვეღარ, გაგვყაროს!!

მზე კონწიალობს ოქროცურვილ დისკოდ ვერხვებთან,
ხეთა ტოტებში უცნაური შარიშურია,
გაიპრანჭება შემოდგომა, თითქოს ვერ ხვდება,
რომ სუსხიანი ცივი ზამთრის დანიშნულია!
თითის წვერებზე მონარნარდა ბოშა ქალივით,
წარმავალ ეშის სამოსელში შიშველს მალავს ტორსს,
დაიბნიქება მზის თქორებში ფერად რვალივით,--
ისე იცეკვებს, აცივდება თითქოს არასდროს!
ჩამოსცვივდება კალენდარებს დღენი ორსული,
ოქროფერილი სექტემბერი დის ფეხაკრეფით,
და შემოდგომა -ბოშა ქალი გრაციოზული,
ცდილობს მზის ეშით შეაჩეროს ციფერბლატები!
არამიწიერ სურნელს აფრქვევს ჰორტენზიებად,
მსუყე სხეულით თავბრუს გახვევს ყურძნის წვენივით..
ჩიტის ბუდეებს ცარიელებს რომ ეციებათ,
ზეცას ღიმილად შეაკვდება გუინპლენივით!
ჯერ ისევ მზეთა დარია და ქარვათა დღეა,
ხეთა ტოტებში ხმელ ფოთოლთა შარიშურია,
და უსინათლო შემოდგომა -ვით ბოშა დეა,
გუინპლენივით მახინჯ საქმროს დანიშნულია!

თითქოს გულის ბნელ კუნჭულში-
იქვე, -სხვა გულს ვნახულობ,
გადამალულს გულის გულში
ისე საგულდაგულოდ!..
მეტყვი, რისთვის გადავმალე?,-
რად ვარიდებ ფორიაქს?-
ჩემს ნამდვილ გულს ავაფარე
გულის ბუტაფორია!
რომ არ ტკენდნენ შემზარავად,
რომ ვერავინ მომიკლას,
ვერ მიმიხვდეს ველარავინ,
ისევ ისე რომ მიყვარს!
არ გეგონოთ, იქ ვერ გრძნობდეს,
სევდას, -ჯარად მოწოლილს,
ან ჩაუქრა ოდნავაც კი
გულს სიწრფელის კოცონი..
კვლავ ისე სცემს ბაგაბუგით
,მოდით,გნებავთ, გასმინოთ?,
არ დამძრახოთ,-ვცდილობ გული
სიკვდილს გადავარჩინო!

**ეძღვნება ქრისტიანთა გენოციდს
სირიაში და მათ შორის უმანკო ბავშვების
მსხვერპლს**

ავად გამხადა ამ სიზმარმა ან იქნებ ცხადმა,
გთხოვთ თვალებიდან რულის ფარდა ჩამომიფხრიწეთ,
ვიღაც ურჯულო ბავშვის სისხლით მიწის გულს რწყავდა,
შენც დაგეძინა? -დედამიწავ? -გამოიღვიძე!!!
უცოდველ მზერით თითქოს შველას მევედრებიან,
ვაგლახ, ამაოდ- ,შენ კი ისევ ტრიალს განაგრძობ,
ანგელოზები უფლისათვის იხოცებიან ,-
მტარვალთა სული ჩაიბარე მაგათ სანაცვლოდ!
სანამ კაცთ მოდგმას შერჩენია იოტი გონის,

სანამ ბოლომდე გაგიგლეჯენ ძილში აორტებს,
გამოიღვიძე, დედამიწავ, -ავად ხარ მგონი,-
უმანკოდ დაღვრილ სისხლისფერი სიზმრით გაბოდებს!
დამთხარეთ თვალნი!! - რაღად მინდა, რა ცოდვას ვუმზერ,
უცოდველ კრავთა წმინდა სულებს თუ ვერ დავიცავ,
გამოიღვიძე, გაბიჯებენ ჯალათნი გულზე,
გამოიღვიძე! -სისხლით გრწყავენ შენ დედამიწავ!!!!

ემიგრანტის ტკივილი

თუმც, რახანია, თვითმკვლელობის ვძლიე ცდუნებას,
ეს გაცრუება იმედების მეტისმეტია,
სული წამართვა ზურგშექცეულ ბედის ყურებამ,
უფალო, მოდი, ვეღარ ვუძლებ ამდენ ხეტიალს.
რად ვერასოდეს ვერ აღმოვჩნდი, სადაც მელიან?
დალოცვის ნაცვლად რად შემასვა საწუთრომ შხამი?
უცხო ქვეყანა უჩვეულო ბრძოლის ველია
და მბჟუტავ სულთან ჭიდილია ყოველი წამი.
არ მივეც ნება საკუთარ თავს-მირონცხებულთ,
ოქროს ფიალით სხვის ხელადას გადავცვლილიყავ..
იცინი, რამდენჯერ გავაწბილე ტკივილი გულის,
როდესაც უნდა ეს -ესაა გარდავცვლილიყავ.
ვიცი შორს მყავხართ მეგობრები, ვიცი გახსოვართ,
უმისამართო წარმოსახვაც ახლა ვერ მშველის,
როგორც მე ჩიტი დამწყვდეული ისევ მართო ვარ
და თვალები მაქვს ადრინდელზე უფრო მეტყველი.
ნუ მსაყვედურობ, მეგობარო, რომ ჩემს თავს ვაგნე..
გაჭირვეულდა ამინდივით ტკივილიც ძვალში..
უკვე იმდენი ეკლიანი აღმართი განვლე..
ბედნიერებავ, კისრამდე ხარ დღეს ჩემთან ვალში!!
ტკივილს ვერ ვიტევ მეგობარო,და ახლა ვცდილობ,
მუჭში- ჩიტივით არ ჩამაკვდეს გული ხელებში,
სულს შემბიბერავ, ვიცი ახლა, ახლოს რომ იყო,
გულში ჩამიკრავ და ბავშვივით მომეფერები..

მე უკვე ვიცი- რაა დარდი, წამებაც ჯვარცმის,
რაა ტკივილი -დედის, შვილის ,-როცა გელიან,
რაა ქვითინი გულამოსკვნით ავდარში,ქარში,
ტყუილუბრალო იმედებით,რომ გიშველიან!
ვაგლახ, რაღა ვქნა, ყოფნა მიწევს ახლა სიშორეს..
სუნთქვას მიკრავენ უცხოეთის შლეგი ქარები..
თუმც ნოსტალგია სახადივით ვერ მოვიშორე,
სამშობლოს ისევ ხელმეორედ შევიყვარებდი..
სამწუხაროა, სასტიკ ქარებს უნდა მივთხოვდე,
მერე იტყვიან ეს დღეები რამ მოუსწრაფა,
იღბალო,, ალბათ უხეიროდ ჩემთან იხუმრე-
ქართველი ქალი მამსახურე ვინმე მუსტაფას!
როგორც ბოგანოს.. სულიდა მაქვს ..სული საჩინო,
ძვალ-რბილში ჟრჟოლამ ნეტავ როდის გადამიაროს,
როგორმე სული აქ წარწყმედას გადავარჩინო
და ყოველივემ სიზმარავით გადაიაროს!!



კრებულის სტუმრები:

ს ა რ ჩ ე ვ ი:

❖ ბადრი სულაძე	4
❖ ლანა მანველი	4
❖ მაყვალა დავლაძე	5
❖ მეგი მაისურაძე	6
❖ მზია თვალაბეიშვილი	6
❖ თამარ ნიკურაძე	7
❖ მაია მახარაძე	7

კრებულის ავტორები:

❖ აღნიაშვილი გიორგი	9
❖ ალექსიშვილი არიკო	31
❖ აბულაძე ნანა	57
❖ ბერაია ნანა	72
❖ გოგიბერიძე ინგა	97
❖ გაბელაშვილი შორენა	104
❖ გულბანი ნანი	123
❖ კელოშვილი ზაირა	143
❖ მახარაშვილი მაია	153
❖ მეტრეველი თამარ	205
❖ მარაიძე ლეილა	220
❖ სალუქვაძე რუსუდან	236
❖ ჭყონია მარინე	249
❖ ხოფერია მაია	264
❖ ხასაია თეა	278

თიბათვე იყო,
და მზის ნათელს გვჩუქნიდა ზეცა,
ჩუმი ფიქრები დაეთარა სითბოს და სევდას;
იყო ღიმილი,
ვეღრება და სინაზე ფერთა
და იმ ოცნებას
ჩვენი ლურჯი ზღაპარი ერქვა.

ნანა აბულაძე

